

გორია ოჩიგავა

# მატარებელი თბილისი-გამრა

| ტომი



გამომცემლობა „მწიგნობარი“  
თბილისი 2024



ნიგნი გამოიცა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის  
განვითარების ფონდის ფინანსური მსარდაჭერით.

---

**პრეპულის გამოცემის  
იდეის ავტორი**

**ნაირა მარშანია**

მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო  
მოღვაწეთა საერთაშორისო  
აკადემია „გულანის“ დამფუძნებელი,  
პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი,  
გიორგი შარვაშიძის სახელობის  
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

**რედაქტორი**

**მამუკა თავხელიძე**

გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის რექტორი,  
პროფესორი

**პორეაქტორები**

**მანანა გორგიშვილი**

გამომცემლობა „მერანის“ დირექტორი.  
მარიკა ბარათაშვილის, ნიკო ნიკოლაძის,  
ილია ჭავჭავაძის, ჯემალ აჯიაშვილის  
პრემიების ლაურეატი

**დიზაინი**

**გოჩა ოჩიგავა**

**დამკაპადონებელი**

**თამარ ტყაბლაძე**

ყოველი ხელოფანი ორგანიული  
ნაწილია ერის სხეულისა, სული მისი  
ინდივიდუალური სახეა ერის სულისა.

გრიგოლ რობაქიძე

## რედაქტორისგან

ნინამდებარე კრებული არ გახლავთ მხოლოდ პოეტურ  
ქმნილებათა ნაგსაყუდელი. ის არც მხოლოდ ჩანახატებით  
გადმოცემული გულისითქმაა, რომელიც მშობლიური კუთხისა და  
ქალაქის მონატრებას უკავშირდება - არც მხოლოდ ცალკეულ  
ტოპონიმთა თაიგულია, რომელიც კონკრეტულ განმარტებებს  
გვიზიარებს და გვაახლოებს წარსულთან.

ეს არის კარგად გააზრებული, მხატვრულად ხორცშესხმული  
ნაფიქრალ-ნააზრევი ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც ანუხებს  
დროებით უაფხაზეთოდ დარჩენილი საქართველოს ბედი.

წიგნის ავტორი აფხაზეთის მკვიდრია, გაგრაში დაბადებუ-  
ლი - გოჩა ოჩიგავა. როგორც თავად ბრძანებს, მისი მიზანი  
უნაპირო ცასთან შეჭიდება ნამდვილად არ არის. ეს მკითხველთ-  
ან საკუთარი ემოციებისა და ნააზრევის გაზიარების სურვილი  
უფროა, რითაც ცდილობს აამაღლოს ახალი თაობის ცნობი-  
ერება და გაზარდოს ახალგაზრდების ინტერესი საქართველოს  
ერთიან საზღვრებში მოქცევის, აფხაზეთში ღირსეულად და  
მშვიდობით დაბრუნების გზების ძიების მიმართ. წიგნი ბატო-  
ნი გოჩას შემოქმედების არა უბრალო კრებული, არამედ უნი-  
კალური ლიტერატურული ხერხების ფოიერვერკია - ჩვენ წინაშე  
უმშვენიერესი ხედები და ხუროთმოძღვრების ძეგლები იშლება,  
რომლებიც ასე მრავლად გვაქვს აფხაზეთში და ესოდენ მაღალ  
ინტერესს აღძრავს მკითხველში.

მოკლედ რომ ვთქვათ, გოჩა ოჩიგავას დებიუტი შედგა, მას სრული უფლება აქვს თანამედროვე გამორჩეული ქართველი პოეტების შემოქმედებით ფერხულში ამაყად ჩაებას და, ამავდროულად, მტკიცედ იდგეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემატიკის შემსწავლელი მეცნიერების განვითარების სადარაჯოზე.

ნიგნი სავსეა საინტერესო თავგადასავლებით, რაც უკავშირდება ავტორის გაგრაში დაბადებას, გაგრის შოთა რუსთაველის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, ბავშვობის - ომამდე გატარებულ ლამაზ წლებს, იმ ადამიანებს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ბატონი გოჩას პირველების, მოქალაქედ ჩამოყალიბების საქმეში. საოცარ სითბოს გამოხატავს პოეტი დედის, მამის, ბებიისა და ოჯახის სხვა წევრების მიმართ. კრებულში, ასევე, აღწერილია დევნილობის პირველი წლები და საინტერესო ეპიზოდები კახეთში გატარებული ყოფიდან და თბილისური ცხოვრებიდან. ცალკეული მონაკვეთი ეთმობა ბატონი გოჩას მეუღლესა და შვილებს:

„...მე ვარ მიწა - გახლეჩილი ნაწილებად,  
მე ვარ ეზო და წლებია სხვისი მქვია,  
მე შვილებს ვზრდი, გაგრელებად, არწივებად,  
დაგბრუნდები, არ იქნება თუკი გვიან...  
მე ვარ ქვიშა - შენს ნაპირზე მოფენილი,  
მე ვარ ლამე, მოალერსე შენი ლამე,  
მე გზები ვარ - შენს საშველად მოვლენილი...  
დამაბრუნე და თავიდან შემიყვარე...“

ყოველი ლექსი, მოთხოვა, ამბავი აფხაზეთისა და გაგრისადმი სიყვარულით არის განმსჭვალული, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ კრებულს არ ახლავს სარჩევი, რაც ავტორის მორიგ ორიგინალურ ჩანაფიქრზე მიუთითებს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ მიუხედავად უდიდესი ტკივილისა, რომელიც, ალბათ, თითოეული დევნილი ადამიანის ცხოვრების თანმდევია, წიგნის ავტორის პოეტურ ენას არ დაჰკრავს სიძულვილისა თუ მტრული განწყობის ელფერი, პირიქით, ის გამოსავალს ურთიერთმიტევებასა და სახალხო დიპლომატიის ხელშეწყობაში ხედავს. ამავე დროს, როგორც პატრიოტი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი, არ აპირებს დათმოს ის, რაც უდავოდ სამშობლოს, მშობელი ხალხის კულტურისა და სულის განუყოფელი ნაწილია:

„....არ დავლოცო ის აფხაზი, მითხარი?-  
ვინც იმ წლების მოგონებებს აგროვებს  
და ბაბუის მიტოვებულ საფლავზე  
დღეს წითელ კვერცხს ვინც კი გადააგორებს“.

დიახ, მიუხედავად ეკლიანი გზისა, დევნილი კაცის ყოფასთან დაკავშირებული უამრავი განსაცდელისა, ბატონი გოჩა არ კარგავს მშობლიურ მხარეში დაბრუნების იმედს. ეს უკანასკნელი იმდენად მყარია, რომ ჩვენ - მკითხველს, კოლეგას, მეგობარს, ნათესავსა თუ ენგურს გაღმა დარჩენილ ადამიანებს არ გვიტოვებს უფლებას, დავივიწყოთ აფხაზეთი! უფრო მეტიც - შევეგუოთ დღევანდელ რეალობას.

„ეჭვებს ძირი სულმთლად გამოვუთხარე  
და ყოველი, - პირქვე გადაბრუნდაო.  
ვისაც გინდა, ნიშნისგებით უთხარი:  
„ა, ბატონო, ვინ თქვა - არ დაბრუნდაო?!"

ვულოცავ ბატონ გოჩას პოეტურ-შემეცნებითი კრებულის პირველი ტომის გამოცემას; წიგნს - აღიარებას, ხოლო ავტორს შემდგომ შემოქმედებით წინსვლას და ყველაზე დიდი ოცნების ასრულებას - მშობლიურ კუთხეში ღირსეულად დაბრუნებას

ვუსურვებ. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობა მინ-  
და გადავუხადო მას, როგორც გრიგოლ რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორსა და სამეცნიერო  
კვლევების მართვის ცენტრის ხელმძღვანელს, ლიად გამოხატ-  
ული ნდობისთვის, რომელიც მისი შემოქმედების შეფასებასა და  
წიგნის რედაქტორობას უკავშირდება.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის  
რექტორი, პროფესორი  
**მამუკა თავხელიძე**

\*\*\*

ბატონი გოჩა ოჩიგავას პირველი შემოქმედებითი საღამო „გზავნილი გაგრაში“ 2012 წლის 28 მაისს, თავისუფალ თეატრში გაიმართა. მასში მონაწილეობა საქართველოს სხვადასხვა უნიკერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს; გაუღერდა ბატონი გოჩას არაერთი ლექსი და სიმღერა, თეატრალიზებულმა წარმოდგენამ 2 საათზე მეტ ხანს გასტანა. ახალგაზრდები თანატოლებსა და მოწვეულ სტუმრებს უყვებოდნენ ულამაზეს გაგრაზე, მის ისტორიასა და ღირსშესანიშნაობებზე; სახელდახელოდ მოწყობილ ეკრანზე გამოსახულ ფოტოსურათებსა თუ ვიდეო კადრებში არაერთხელ გაცოცხლდა საქართველოს უძველესი კუთხე - აფხაზეთი და შავიზღვისპირა ქალაქი გაგრა; აღსანიშნავია, რომ მონაწილეთაგან უმრავლესობას არასოდეს უნახავს აფხაზეთი, მისი მოლივლივე ზღვა და ლურჯი მთები; საღამოზე მოწვეულმა სტუმრებმა, მომღერლებმა მარიკო ებრალიძემ, ოთო ნემსაძემ და ნინი წიკლაურმა ბატონი გოჩას სიმღერები შეასრულეს, გაუღერდა აფხაზური სიმღერა ვაჟთა ხალხური სიმღერების გუნდ „ლაზარეს“ უბადლო შესრულებით, მაყურებელმა აფხაზური ცეკვებიც იხილა. ეს იყო ერთ-ერთი ულამაზესი, საოცარი ემოციებით დატვირთული, ერთდროულად ტკივილიანი და იმედიანი, სიყვარულით გამთბარი საღამო ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებაში.

სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი სტუდენტთა თავყრილობებს, სადაც ახალგაზრდები აცნობენ ერთმანეთს საკუთარ შემოქმედებას (ლექსებს, ჩანახატებს, მოთხოვნებს გაგრაზე, სოხუმზე) უზიარებენ მეგობრებს საკუთარ მოსაზრებებს, საქართველოს ფარგლებში, აფხაზეთის მომავალზე. დიდი ხანი არ არის, რაც ამ საინტერესო ფერხულში ჩაებნენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

მადლობას ვუხდით ბატონ გოჩას ამ მნიშვნელოვანი წამოწებისთვის. ვულოცავთ მას კრებულის გამოცემას და ვუსურვებთ

წარმატებებს პირად ცხოვრებაში, პროფესიულ საქმიანობასა და საყვარელ საქმეში. გულწრფელი განცდებით, მონატრებით, იმედითა და მუსიკით სავსე მისი ლექსები არ გახლავთ მხოლოდ პოეზია. ეს არის ბრწყინვალე რითმებში განფენილი შემეცნება, ბავშვური სამყაროს შესანიშნავად გაცოცხლება, აფხაზეთთან სულიერი კავშირის არგანწყვეტა და საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში გარდაუვალი დაბრუნების უპირობო მხარდაჭერა. ამასთან, არ გვეგულება სხვა რომელიმე პოეტი, რომელიც მშობლიურ ქალაქზე დაწერილი ამდენი ლექსის ავტორია და პარალელურად, ასეთი შემართებით რთავს ახალგაზრდებს შემოქმედებით პროცესში.

**ბატონი გოჩას ორგანიზებით გამართულ  
არაერთ შემოქმედებით საღამოზე მონაწილე სტუდენტები.**

\*ორივე საღამოს ამსახველი ფოტო - მასალა იხილეთ: გვ.393-398

## ნინასითყვაობა

ბედნიერი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა ერთ-ერთ სტუ-  
დენტურ ღონისძიებაზე შევხვედროდი ჩემთვის უსაყვარლეს  
პოეტებს - ანა კალანდაძესა და მუხრან მაჭავარიანს. იმ საღ-  
ამოზე ახალგაზრდულმა სითამამემ გამაბედინა და ახლოს მიმ-  
იყვანა ლექსის დიდოსტატებთან. მონიხებით მივესალმე, გამ-  
ოყხატე ჩემი მათდამი ღრმა პატივისცემა და მათივე ნებართვით,  
რამდენიმე ჩემი ლექსი დავუტოვე შესაფასებლად. რატომდაც  
მჯეროდა, რომ რჩევებს აუცილებლად მივიღებდი, ნამდვილად  
ვერ წარმოვიდგენდი, რომ პასუხი იმ საღამოსვე არ დააყოვნებ-  
და, ის დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: „წერეთ, ახალგაზრ-  
დავ, წერეთ, რომ არასოდეს დაუკარგოთ თქვენს თანატოლებს,  
მომავალ თაობებს აფხაზეთში და თქვენს მშობლიურ გაგრაში  
დაბრუნების სურვილი, რითმებზე და ლექსის წერის კულტურ-  
აზე ძალიან ბევრს ნუ იფიქრებთ, მთავარია, წეროთ გულიდან  
ამომავალი სიყვარულით ისე, როგორც ახლა, მომავალში კი,  
ბევრი მეცადინეობით, საკუთარი ხელწერა და ლამაზი რითმე-  
ბი თავად გიპოვიან...“ მადლობა ამ ძვირფას ადამიანებს ჩემი  
გამხნევებისა და ასეთი საინტერესო რჩევისათვის. არ ვიცი,  
ლექსებთან მიმართებით რა მოვახერხე ჩემი „მეცადინეობით“,  
მაგრამ უდავოა, რომ წლების განმავლობაში ბევრ მოსწავლეს,  
სტუდენტს დაგუხატე და შევაყვარე მშობლიური გაგრა.

აქვე, უფლება არ მაქვს, არ გამოვთქვა მადლიერება და პა-  
ტივისცემა არაერთი ცნობილი და ბევრისთვის საყვარელი ქა-  
რთველი პოეტის მიმართ, რომელიც ასე ლამაზად და თბილად  
უმდერს აფხაზეთს, გაგრას;

აი, როგორ ეფერება ტიციან ტაბიძე მწვანეში ჩაფლულ ქალაქს:

„პალმების ტყეში მტრედივით გაგრა,  
მიფრინავს თეთრად იალბუზისკენ,  
მთვარეც ღრუბლების ტალღებში გაქრა,  
თითქო დევებმა ხელი უბიძგეს,

ისმის ზვირთების ზათქი, განგაში,  
როგორც სიმღერა არგონავტელთა,  
აგვისტოს ლამის ცის კამარაში,  
ზღვა და ხმელეთი ისევ გამთელდა.“<sup>1</sup>

გაგრაში თავსმოხვეული ომის დაწყებას ასე გვამცნობს  
მიხეილ ქვლივიძე:

„წვიმაშ მოკლა უინი ღამით  
და ახლა გრილა  
და სველ სილაზე  
მკვდარ თევზივით აგდია დილა.  
ნისლია მთებზე  
და ბურუსში სახლებიც გაქრა  
და ზღვაში  
თეთრი ხომალდივით  
შეცურდა გაგრა...  
უცებ შორიდან, — ვერ გაიგებ, საიდან  
ისმის, —  
ქალის კივილმა  
ხანჯალივით გაკვეთა ნისლი,  
როგორც სიგნალი განსაცდელის, ეძახის ყველას:  
— სოს! სოს! სოს! ჩქარა, ვილუპებით!  
და ითხოვს შველას.“<sup>2</sup>

გაგრას პოეტმა სხვა ლექსიც მიუძღვნა:

„სააგარაკო სიჩუმე დილის.  
ყვავილნარების რწყვა.  
ტალღას გაცრული მერცხალი ჭყივის  
და მძიმედ სუნთქავს ზღვა.

1 ტიციან ტაბიძე - „ევქსინის პონტი“

2 მიხეილ ქვლივიძე - „წვიმაშ მოკლა უინი“

მას თითქო ტვირთის ტარება უმძიმს  
და უფრო ჰმატებს შნოს:  
ნაპირთან - ფერი კომბოსტოს ფურცლის  
და მუქი ლურჯი - შორს.  
სახლია ზღვასთან. მე და შენ ვცხოვრობთ,  
არავინაა სხვა.  
სახლიდან ერთი ხედია მხოლოდ -  
ვე ე ბერ თე ლა ზღვა.  
ჩვენ ყოველ დილით მივდივართ მასთან  
და ტანს ვაფიცხებთ მზეს  
და კარგად ვიცით, დიდხანს არ გასტანს  
ის, რაც გვახარებს დღეს...  
აუხდენელო სურვილო ჩემო,  
რამ დამავიწყოს მე  
მაგ შენი მლაშე ტუჩების გემო  
და გალიმება მხნე,  
მზერა უძირო და უსაშველო,  
საბედისწეროდ ღრმა  
და შემოწნული შუბლის გარშემო  
თავთუხისფერი თმა...  
მე ისევ ზღვასთან მელირსა შეყრა,  
ზღვიდან ნიავი ჰქერის.  
ნეტა ვიცოდე - სადა ხარ ახლა,  
ეხალისები ვის?  
ჩემებრ თუ გართობს სიჩუმე დილის,  
ფიქრები სხვადასხვა?  
ტალღას გაკრული მერცხალი ჭყივის  
და მძიმედ ოხრავს ზღვა<sup>3</sup>.  
თამაზ ჭილაძე კი თითოეული გაგრელის მშობლიურ მხარ-  
ესთან განშორებით გამოწვეულ სევდასა და მონატრებას შემდე-  
გი სიტყვებით გამოხატავს:

<sup>3</sup> მიხეილ ქვლივიძე - „გაგრა“

„ათი წელი გაილია, გაქრა,  
ათი - ავდრის ღრუბელივით წელი,  
მესიზმრება ბიჭვინთა და გაგრა,  
მტკივა, როგორც მოკვეთილი ხელი.  
თითქოს მათი კვნესა მესმის შორით,  
თითქოს მათი სუნთქვა მოაქვს ნიავს  
და ზღვის პირას, ჩემი სულის სწორი,  
ფრთაშეჭრილი ანგელოზი გდია...“<sup>4</sup>

ოთარ ჭილაძე აფხაზეთის, გაგრის ტრაგედიით გამოწვეულ  
ჭრილობას ჭეშმარიტი მამულიშვილის პატრიოტული სული-  
სკვეთებითა და სულის ყიჯინით ამთელებს:

„...და მაინც დიდი გზაა იქამდე,  
კვლავ შევესწრები ხის აყვავებას,  
კვლავ შემაწუხებს, რაც დავიქადნე,  
ქმნად სიკეთისა რაც მაკავებდა.

და სანამ მხრებზე მემსხვრევა წვიმა,  
გზები ნაბიჯებს სანამ მითვლიან,  
მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას,  
რაც ჩემი წებით არ დამითმია!“<sup>5</sup>

ნურც დავთმობთ და მშვიდობიანად, ღირსეულად დავბრუნ-  
დეთ გაგრაში!

გოჩა ოჩიგავა

4 თამაზ ჭილაძე - „ათი წელი გაილია“

5 ოთარ ჭილაძე - „და მაინც დიდი გზაა იქამდე“

# სისტორიული ცნობები გაგრაზე

გაგრა - ცნობილი ზღვისპირა კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტია საქართველოში (აფხაზეთში). წყაროებში პირველად მოხსენიებულია XIV საუკუნეში „ჰ(კ)აკარის“ ფორმით. გაგრა ფეოდალური საქართველოს მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო. ქალაქი თავდაპირველად ბერძნული კოლონია გახლდათ - სახელად ტრიგლიტი (Triglite) და ბერძნებთან ერთად მასში ქართველური და სხვა აბორიგენი ტომები სახლობდნენ. ძვ. წ.-ის I საუკუნეში ის პონტოს სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა, სანამ მას რომის იმპერია დაიქვემდებარებდა. ამ უკანასკნელმა ქალაქს ნიტიკა (Nitica) დაარქვა. მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო რომაელებმა ქალაქს ფორტიფიკირები აუშენეს, რომელსაც გამუდმებით თავს ესხმოდნენ გოთები და სხვა მთიელი ხალხები. რომის დაცემის შემდეგ, მისი მემკვიდრე - ბიზანტიის იმპერია იღებს ქალაქის მართვის სადავეებს. IX საუკუნიდან გაგრა, დანარჩენ აფხაზეთთან ერთად, იმერეთის სამეფომ შემოიერთა. ამ პერიოდში ის მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი ხდება და აქ გენუელი და ვენეციელი ვაჭრები მძლავრობენ. ქალაქის მთავარი ექსპორტი შალი, თაფლი, ცვილი და მონები იყო. გაგრა ადრინდელი სახელწოდებით „კაკარი“<sup>1</sup> - Cacary პირვე-

1 შესაძლებელია, „კაკარი“ მომდინარეობდეს კაკლის სვანური სახელწოდებიდან - „გავ“, რაც ნამდვილად არ არის გამორიცხული, თუ გავითვალისწინებთ იმ რეალობას, რომ სვანები უძველესი დროიდან სახლობდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ამასთან, ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ გაგრის ტყეებში მრავლად იყო კაკლის ხეები. სვანურად გავ-რა ნიგვზიან ადგილს ეწოდება; ამავე ოქმაზე იხილეთ: თეიმურაზ მიბჩუანი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქურნალი „ჯვარი ვაზისა“, №1, 2005 წ. ზოგიერთი მეცნიერი ავითარებს იმ აზრსაც, რომ გაგრა მომდინარეობს ძველქართული სიტყვისგან „გაგარი“, რაც ხეობში ვინრო გასასვლელს ნიშნავს. ეს სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან როგორც ვიცით, ქ. გაგრასთან ზღვის ზოლამდე დაშვებულია გაგრის ქედი, რომელიც ერთგვარ ჭიშარს ქმნის. უძველესი დროიდან აქ შავიზღვისპირეთში ერთადერთი გასასვლელი იყო, რომელიც ამ სექტორში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ორ მხარეს ერთმანეთთან აკავშირებდა. დასაშვებია, რომ დროთა განმავლობაში გეოგრაფიული სახელწოდება ტოპონიმად იქცა და გეოგრაფიულ სახელ-

ლად რუკაზე 1308 წელს ჩნდება, რომელიც იტალიელმა პიეტრო  
ვისკონტიმ შექმნა. ეს რუკა ამჟამად ვენეციის სან-მარკოს (წმინ-  
და მარკოზის) ბიბლიოთეკაში ინახება.<sup>2</sup> ასეთი სახელწოდება  
სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვან რუკებზე ხშირად მეორდება.  
ადგილობრივი ტომები გაგრას და გაგრის მიდამოებს „კაკრის“,  
ხოლო მდინარეს გაგრის მახლობლად „კაკ - რიფშს“ უნოდებდ-  
ნენ. გენუელებმა გაგრის მახლობლად, სადაც ამჟამად სოფელი  
ალახაძეა, დააარსეს ფაქტორია „სანტა-სოფია“, ხოლო ბიჭვინ-  
თის კონცხზე — „პიცუნდო“. XVI საუკუნეში გენუელები და ვე-  
ნეციელები შავი ზღვის სანაპიროდან ოსმალებმა განდევნეს და  
გენუელების ციხე-ქალაქები დაიკავეს. გაგრაში მონებით ვაჭ-  
რობა კვლავინდებურად ყვაოდა. 1641 წელს აქ იმოგზაურა თურ-  
ქმა ევლია ჩელებიმ<sup>3</sup>, რომელიც გაგრას „კა-კურის“ ნავსადგურს  
უნოდებს. შუა საუკუნების წყაროებში გაგრა მოხსენიებულია  
სხვა სახელწოდებებითაც — ვენეციური „კონტეზი“ (ნავსადგუ-  
რი), სპარსული „დერბენტი“ (რკინის კარიბჭე). XVIII საუკუნეში

---

წოდებად დამკვიდრდა. აქვე შეგახსენებთ, რომ ტერმინი „გაგარი“, როგორც  
ადგილად სავალი, გასავლელი ადგილი გამოყენებულია ხობის მონასტრის  
ნარჩენაში. გაგრის სახელწოდებასთან დაკავშირებით მინდა საკუთარი მო-  
საზრებაც გაგიზიაროთ, დასასვებად მიღწინენ, Cacary მომდინარეობდეს  
ძველქართული სიტყვიდან „კარკარი“, რაც სულხან - საბას განმარტებით  
(ლექსიკონი ქართული I, გვ. 354) სალ კლდეს ნიშნავს. მოგეხსენებათ, სანამ  
გაგრა თავის ნამდვილ, თანამედროვე იერსახეს მიიღებდა, სანამ გაიყვანდ-  
ნენ გზებს, მთები და კლდოვანი მასა ფაქტობრივად შერწყმული იყო ზღვის  
სანაპიროსთან. შემთხვევითი არ არის, რომ გაგრის თურქული სახელწოდე-  
ბაც „დერბენდ(ტი)“ რკინის კარიბჭეს ნიშნავს.

2 Atlas nautique de la mer Méditerranée et de la mer Noire] / Petrus Vesconte de Janua  
fecit istas tabulas anno dni MCCCXIII.

3 ევლია ჩელები - დაიბადა 1611 წლის 25 მარტს სტამბოლში, გარდაიცვალა  
მოგზაურობის დროს, 1683 წელს, სავარაუდო ეგვიპტეში, ოსმალი მწერა-  
ლი, მემატიანე და მოგზაური. ევლია ჩელებიმ 40 წლის განმავლობაში იმოგ-  
ზაურა ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში, იყო აგრეთვე მეზო-  
ბელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. მთელი თავისი მოგზაურობის  
განმავლობაში იყო საკმაოდ დეტალურად აღწერდა და ინიშნავდა შთაბე-  
ჭდილებებს სხვადასხვა ლირსახსოვარი მოვლენის, თუ ადგილ-კუთხის შეს-  
ახებ. მისი „სეიაპათნაშე“, ანუ „წიგნი მოგზაურობათა“ წარმოადგენს გვიანი  
XVII საუკუნის ოსმალური სამყაროს შესახებ არსებულ უმნიშვნელოვანეს  
ისტორიოგრაფიულ წყაროს.

გაგრა დაკნინებას იწყებს. ნავსადგური ვაჭრებმა დატოვეს და მათი ადგილი მეკობრეებმა დაიკავეს. ხშირი იყო შეტაკებები ადგილობრივ ტომებთან. XIX საუკუნის დასაწყისში, აფხაზეთის მთავრის თხოვნით, სოხუმის ციხესიმაგრე რუსულმა ფლოტმა დაიკავა. დიდი აფხაზეთი (ენგურიდან - ბზიფამდე) რუსეთის მთარგველობის ქვეშ მოექცა. მის მთავრად საფარ-ბეი შერვა-შიძე (ჩაჩბა) დაინიშნა, თუმცა, მცირე აფხაზეთმა (ბზიფიდან - ხოსტამდე), რომლის ნაწილი გაგრაც იყო, საფარ-ბეი არ აღიარა და ის კიდევ 20 წლის განმავლობაში დამოუკიდებელი რჩებოდა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გაგრა უკვე მშვენიერი ქალაქია. გაშენდა და გამწვანდა ბულვარი, მის გარშემო გაჩნდა სოფლები, თუმცა მოსახლეობა ჯერ არ იყო მრავალრიცხოვანი. 1866 წლის მონაცემებით აქ 336 მამაკაცი და 280 ქალი ცხოვრობდა<sup>4</sup>. 1869 წლიდან დაინიშნა ყოველდღიური რეისი თბომავლით სოხუმიდან ადლერში. გაგრაში ჩამოდიან ვაჭრები და ტურისტები კავკასიის სხვადასხვა რეგიონიდან, რუსეთიდან და დასავლეთ ევროპიდან. 1817-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში გაგრა თურქებმა დაიკავეს. ქალაქი ააოხრეს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა თურქეთში გადაასახლეს. შედეგად, 80-იანი წლებისთვის ის მოიხსენიება, როგორც უმნიშვნელო დასახლება; XIX საუკუნის ბოლოს ეს ადგილი მოინახულა რუსეთის მეფის ნათესავმა ოლდენბურგელმა პრინცმა. ადგილობრივებმა ის დაარწმუნეს აქ კურორტის გაშენების მიზანშენონილობაში. პრინცს ამ წამოწყებაში გენერალი შერვა-შიძე (ჩაჩბა)<sup>5</sup> ეხმარება. ამასთან იდეის რეალიზებაში აქტიურ

---

4 აფხაზეთის ომამდე ქალაქის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, ბოლო მონაცემებით სურათი რადიკალურად შეცვლილია, ქალაქში ცხოვრობს 6531 აფხაზი, 2355 - რუსი, 2046 - სომები, 328 - ქართველი, 219 - უკრაინელი, 119 - ბერძენი, სხვა ეროვნების წარმონადგენლები - 3 %. იხ. რუსეთ-ურაინის ომის შედეგად, ოფიციალური მოსკოვის გადაწყვეტილებით, გაგრის რაიონში ჩაასახლეს დონბასისა და დონეცკის ოლქებში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები, ითქვა, რომ დროებით, თუმცა, აქ დიდი კითხვის ნიშანია.

5 გიორგი დიმიტრის - ძე შე(ა)რვაშიძე - (1847 – 1918 წწ.) სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, შე(ა)რვაშიძეთა შტოს წარმომადგენელი, ხელს უწყობდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას, მისი თაოსნობით გაიხსნა

მონაწილეობას იღებს იმ დროს გაგრის ქალაქის თავი ანდრია შენგელაია.<sup>6</sup> 1903 წლის 9 იანვარს გაიხსნა გაგრის კლიმატური სადგური; მოგვიანებით, სადგურის მთავარი მებაღე (რომელიც მანამდე, მთავარ მებაღედ ბათუმში მუშაობდა) ბატონი ხოშტარია აღნიშნავს, რომ ეგზოტიკური მცენარეები შესანიშნავად ეგუებიან გაგრის ნიადაგს; <sup>7</sup> 2023 წელს აფხაზეთში კურორტ გაგრის დაარსებიდან 120 წელი აღინიშნა.



ისევ ისტორიულ ცნობებს დავუბრუნდეთ; კურორტი ის მშენებლობის პროცესში სახსრების დიდი ნაწილი პრინცის სასახლის აშენებაზე დაიხარჯა. საათიანი სას-

ტუმრო (ამჟამად „გაგრიფში“) დაშლილი სახით ნორვეგიდან ჩამოიტანეს, რესტორანი კი — ავსტრიიდან. სანაპიროზე პარკი გაშენდა, სადაც მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ჩამოტანილი ეგზოტიკური ხე დარგეს. გაგრას დამსვენებელთა დიდი ტალღა XX საუკუნის დასაწყისიდან მოაწყდა. 1911 წელს მას უკვე ელიტარული კურორტის სტატუსი ჰქონდა და აქ უკვე გერმან-

---

მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულება, საკუთარი უნიკალური ბიბლიოთეკა საჩუქრად გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სათავეში ედგა თბილისის გუბერნიას, მისი დედა, ლევან V დადიანის შვილი, ეკატერინე დადიანი (1820 – 1849 წწ.) გახლდათ. სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა ალექსანდრე ნეველის, ოთორი არჩივის, წმინდა ანას, წმინდა სტანისლავის ორდენებით, იმპერატორ ალექსანდრე III - ის მედლით, ასევე, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, შვედეთის, დანიის, იაპონიის უმაღლესი სამეცნ-სამპერატორო ჯილდოებით;

6 წინაპართა კვალდაკვალ, ლალი ჯონჯუა, თბ., 1999 წ. გვ. 25;

7 გაგრა და მისი შემოგარენი, ა. დიაჩკოვ-ტარასოვი, წიგნის ქართულ ენაზე გამოცემის ინიციატორი - დ. დოლონაძე, თბ., 2003 წ. გვ. 53;

ელი ტურისტებიც ჩამოდიოდნენ. 1921 წლის 21 თებერვლიდან გაგრა წითელი არმიის ხელში აღმოჩნდა. მოგვიანებით კი „საერთო საკავშირო მნიშვნელობის სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი“ გახდა. გაიხსნა მალარიის საწინააღმდეგო ცენტრები. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაგრა ფრონტისპირა ქალაქი გახდა და ყველა სანატორიუმი ჰოსპიტლად გადაკეთდა.



ომის შემდეგ კურორტის სამშენებლო სამუშაოები გრძელდება და დღე-ვანდელ სახეს უკვე 1970 - იან წლებში იღებს, ერთ-ერთი უდიდესი სანატორიუმის, „კავკასიონის“ აშენებით. ამ პერიოდში ახალ გაგრაში

თერმულ - მინერალური წყალი აღმოაჩინეს და ბალნეოლოგიური კომპლექსი გახსნეს. ომამდე მისი ხელმძღვანელი (მთავარი ექიმი) მამაჩემი - გენო (ჰენრიხ) ოჩიგავა გახლდათ.

1992 წლის 2 ოქტომბრიდან ქალაქი ოკუპირებულია<sup>8</sup> რუსეთის მიერ; მეზობელი სახელმწიფოს აგრესის შედეგად ბევრი ჩვენი თანამოქალაქე დაიღუპა, ათასობით გაგრელი (უმეტესად ქართველი) დევნილად ან ლტოლვილად იქცა. ხელყოფილია საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ადამიანის მრავალი უფლება და თავისუფლება.

<sup>8</sup> ტერმინი „ოკუპაცია“ აფხაზეთთან მიმართებით პირველად გამოიყენა ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ, მეორე იყო ეუთო. მოგვაანებთ, ეს ტერმინი დაფიქსირდა გაეროს გენერალური ასამბლეის, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროკავშირის პარლამენტის რეზოლუციებში, ასევე, აღნიშნულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი პირების მოხსენებებსა თუ ანგარიშებში.



ԺՅՈՒՇՈ ՑԱՑՐԱ

## გაგრის ქველი ეკლესია

ვიდრე უშუალოდ გაგრის ეკლესიაზე მოგითხობდეთ, თქვენს ყურადღებას რამდენიმე ისტორიულ ფაქტზე შევაჩერებ. IV-V სს.-ში გაგრის ზღვისპირა ზოლში რომაელებმა ააშენეს ციხესიმაგრე,<sup>9</sup> რომლის ნანგრევები დღემდე შემორჩენილია. ციხე VI საუკუნეში ბიზანტიულებსა და ადგილობრივ ტომებს შორის გამართული ბრძოლების დროს უნდა დანგრეულიყო. უფრო ადრე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ ბერძნებს დაუარსებიათ კოლონია; უცხოელი ტომების კვალი აფხაზეთში მრავლადაა, ამიტომ, არაერთი ტაძრის, მათ შორის: ბიჭვინთის, დრანდის ხუროთმოძღვრება უფრო ბერძნული და ბიზანტიური კულტურის გავლენას განიცდის; მათგან სრულიად განსხვავებულია გაგრის ძველი ეკლესია, რომელიც სწორედ რომაელების მიერ აგებული ციხესიმაგრის ეზოშია განთავსებული. იგი აშენებულია VI საუკუნეში, იმ ეპოქაში, როცა, მკვლევართა აზრით, ტაძრები ძირითადად ბიზანტიური ტიპის უნდა ყოფილიყო, თუმცა, გაგრის ძველი ეკლესიის ხუროთმოძღვრება ნამდვილად ქართულია.<sup>10</sup> ის „სამეკლესიან“ ბაზილიკას წარმოადგენს. ტიპური ბაზილიკისგან განსხვავებით, მის გრძელ დარბაზში, სვეტების ნაცვლად, აღმართულია კედლები. უგუმბათო ტაძრის ეს ძველი სახეობა ქართლსა და კახეთშია ჩასახული. საინტერესოა, რომ გაგრის ძველი ეკლესია, სხვადასხვა ნიშნით, ძალიან ჰგავს ამავე პერიოდის აღმოსავლეთ საქართველოში აგებული ტაძრების არქიტექტურას.<sup>11</sup> ეკლესიისკენ მისასვლელ გზაზე დაგებულია ფილები. სასიამოვნო საჩრდილობელს ქმნის მის გაყოლებაზე დარგული კიბარისები. ნაგებობაში შესვლისთანავე თვალში გვხვდება მასიური ბოძები, ნაცრისფერი, უხეშად დამუშავებული ქვის კედლები. ზედ თაღოვან საბჯენზე და ცოტა უფრო მაღლა, დიდი სარკმლის მარცხენა ზედა კუთხეში გამოსახულია

11 იხ. მიბჩუანი თ. აფხაზეთი. ნან. I. - თბ., 2003. - გვ.189-191. - მოკლე ცნობები გაგრის სანაპირო ზოლში შემორჩენილი IV-V საუკუნეების ციხის ნანგრევებისა და VI-VII საუკუნეების სამნავიანი ეკლესიის შესახებ.

რელიეფური ჯვრები, რომელთა ანალოგსაც ვხვდებით ბოლნისის სიონზე და მცხეთის ჯვარზე, რაც დამახასიათებელია ადრექრისტიანული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებისათვის. ყოველივეს შორეულ ეპოქაში გადავყავართ, იმ წარსულში, როცა აქ მკაცრი საეკლესიო საიდუმლოებანი სრულდებოდა, როცა იკითხებოდა საქართველოს სადიდებელი ლოცვები და სრულდებოდა საგალობლები. ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეს ბაზილიკა უძველესია აფხაზეთის ტერიტორიაზე, სიძველეზე მიუთითებს ქვათა წყობა და ადრექრისტიანული სტილი. ის არ გამოირჩევა მხატვრული ღირებულებებით, ფორმები და სტრუქტურა მარტივია, თუმცა უდავოა, რომ ის უდიდეს ისტორიულ და კულტურულ ღირებულებას წარმოადგენს საქართველოსთვის და ძველი გაგრის ერთ-ერთ სიმბოლოდ, ღირსშესანიშნაობად მიიჩნევა. ასეთი ტიპის - სამეცნიერო ბაზილიკის შვერილით გამოხატული საკურთხევლის აფსიდიანი ნაგებობა ერთადერთია აფხაზეთში.



\*გაგრის ძველი ეკლესია, იხილეთ: გვ.400

## რეპრუს

---

სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარე რეპრუაა, რომელიც აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, გაგრის მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ძველი გაგრის მიდამოებში მდებარეობს. მისი სიგრძე 18 მეტრია და შავ ზღვას ერთვის; წარმოადგენს მძლავრ ვოკლუზურ კარსტულ ნაკადს, რომელიც სათავეს გაგრის ქედის კალთებიდან იღებს და ზღვის სანაპირო ზოლში ჩაედინება. აღსანიშნავია, რომ მისი სიგრძე ზეირთცემის დროს უფრო ნაკლებია და 6 - 10 მეტრს შეადგენს.

დღესდღეობით, გინესის რეკორდების წიგნის თანახმად, მსოფლიოს უმოკლეს მდინარედ აღიარებულია მდინარე რეუ (Roe River) მონტანას შტატში (აშშ) – 61 მეტრი. მდინარე დი (D River) ორეგონის შტატში (აშშ) - ასევე ითვლება მსოფლიოში უმოკლეს მდინარედ – 36 მეტრი.



## ცხოვრების რელიეფი

მშობლიურს მხოლოდ ერთს ვარქმევთ ქალაქს,  
ახლაც უსაზღვროდ შევნატრი იმ ერთს,  
შენსკენ მიმავალ გზებს სევდა ქარგავს  
და შემოდგომა დაუდგა იმედს;

დაძრწის სიჩუმე, მიჟყვება რელიებს,  
ეჭვი იზრდება, ისრუტავს უანგბადს,  
დროის დინება მიათრევს ლექსებს  
და გაცივებულ რკინიგზას უანგავს;

რა გზა მიმიყვანს შენამდე, ნეტავ?  
ჩემს მატარებელს ველოდო როდის?  
ეჭვთან მისასვლელ ყველა გზას ვკეტავ,  
იქნებ, ეს გზაა, შენთან რომ მოდის?!



## იცი სად მინდა?

იცი სად მინდა ? -  
ლურჯი ტბის პირას,  
სადაც ასჯერ ვარ ნამყოფი...  
ნუთუ ვერ ამჩნევ,  
რომ შენ გარეშე,  
ვეღარ მომისხამს ნაყოფი.

ჩემი სიზმარი  
ღამემ წაიღო,  
სადღაც ცის მიღმა დამალა,  
გთხოვ, ნუ დამტოვებ  
ამ ნაცრისფერი,  
ცივი ქალაქის ამარა...

გამკვირვებია,  
ლიანდაგები  
როგორ დააგე ზღვის ფსკერზე?!  
სადარდებელი  
ტვირთად დააწვა  
ჩემს გამცილებელს კისერზე.

რამ მოგაფიქრა  
მატარებლისთვის  
გზის ამოყვანა ნაპირთან?!  
ზღვით წამოსული,  
ჩემი ვაგონი  
შენთან შეხვედრას დამპირდა...

## 30სენტემბრი...

მშობლიურ ქალაქს ტრფობით ვიხსენებ,  
გულს მისი სუნთქვა შვებას ანიჭებს,  
პირველი სიტყვა მითქვამს გაგრაში,  
მას ვუკავშირებ პირველ ნაბიჯებს...  
მას ვუკავშირებ ჩემს ტკბილ ბავშვობას  
და სკოლის მერთან პირველ გამოცდას;  
ომის აქ ვნახე სახე, პირველად...  
და თეთრი გემი გაგრას გამოსცდა...  
ისევ ვიხსენებ ციდან ჩამოსულ  
მზის თბილ სხივებთან პირველ შეხებას,  
გაგრის პატარა სამლოცველოში,  
ჩვენს პატრიარქთან პირველ შეხვედრას...  
დედასთან ერთად ხშირად ვსეირნობ  
გაგრის საოცრად ლამაზ ბალებში,  
ვიხსენებ მამის პირველ შექებას  
და პირველ შეჯიბრს ცისფერ ტალღებში...  
პირველ პატარანის კაფე - პლატანში,  
პირველი კოცნის ძალას - ჯადოსნურს,  
მზიან ამინდში წვიმას უეცარს  
და ცისარტყელას, მთიდან გადმოსულს;  
წლები გავიდა, ვერ შემაჩერეს,  
მუდამ გიხმობდი, ველარ დავდუმდი,  
ვნატრობ შეხვედრას, პირველ შეძახილს:  
დავბრუნდი, გაგრა, გესმიიის დავ-ბრუნ-დი!

\*გაგრის პატარა სამლოცვავი. მახსოვს, სწორედ ამ ეკლესიაში უნინდესთან და უნეტარესთან პირველი შეხვედრა; იხილეთ გვ.401

## დავპრუდები მატარებლით

რწმენა მინდა თვალის ჩინად,  
სიტყვა მინდა, როგორც ფარი...  
მინდა ტაძრის სარკმლებიდან  
შუქი - მცირედ გამომკრთალი...

დავბრუნდები მატარებლით,  
დამხვდი სადმე სადგურს უკან...  
მინდა შენი სინარნარე,  
მე ის მინდა, რაც გულს უნდა...

მინდა გეზი, მინდა გზები...  
ჩუმ სევდასთან გასაყარი..  
რომ იქ, ჩემს სახლს სახლი ერქვას  
და არასდროს - ნასახლარი...



## ყაყაჩოთა პანაკი

ჰო, წლებია  
მატარებელს ვუცდი...  
არსაიდან  
გუგუნი და არც რამ...

ვკეცავ კუთხეს  
ჩანიშნული ფურცლის,  
მოლოდინი  
უკვე საზღვრებს გასცდა...

ისევ ვარჩევ  
ქუხილს - ხმისგან სროლის...  
ისიც ვიცი,  
დრო წუთს როგორ ჰპარავს;

რა სევდა აქვს  
ლიანდაგებს შორის  
წითლად გაშლილ  
ყაყაჩოთა ბანაკს.



## მთვარეულივით დადიხარ, გაგრა...

ლამეა ჩუმი, ისეთი ჩუმი, ცის სუნთქვაც ისმის...  
და მთვარის შუქზე მთვარეულივით დადიხარ, გაგრა...  
რაღაც სხვაგვარად დამამძიმა ნათქვამმა მისნის,  
მყარად დადექი, ხელს ნუ გამიშვებ, ჩამჭიდე მაგრად...

რატომ დადიხარ ამ სახლის ახლოს, აქ რაღას ეძებ?  
ქართულ საუბარს ვინ გაგაგონებს, ან რას სთხოვ უცხოს?!  
არც რუსთაველი, არც რამ ქართული... ვიცი, რომ ვერ ძლებ,  
გამკვირვებია ამ მოლოდინის, რომ არც კი ურცხვობს!

ვერ ეგუები ამ მკვდარ სიჩუმეს, მიწამდე დახრილს,  
ვერ ეგუები, რომ მივჩუმათდით, უშენოდ ვცოცხლობთ,  
დადიხარ მარტო, ლამემოსხმული და ნატრობ ძახილს -  
სიხარულისგან, სიყვარულისგან რომ ჩნდება მხოლოდ...

ლამეა ჩუმი, ისეთი ჩუმი, ცის სუნთქვაც ისმის...  
რა ვქნა, უცხოსთვის არ მემეტები, უსაზღვროდ ჩემო!  
რა ვქნა, თავიდან ვერ ამოვიგდე ის ბოდვა მისნის,  
ეს ერთი ლამეც, არ გაიკვირვო, რომ აგიჩემო...



\*ლამის გაგრა, იხილეთ გვ. 402

## სეა - მონატრეპის...

სანაპიროზე ხმა იდუმალი  
ისმოდა წუხელის,  
ეს ჩემი ხმაა, ხმა მონატრეპის,  
შენს ცაზე წუხილის...  
მზესთან შეხვედრა უერთმანეთოდ  
არასდროს გვიცდია,  
ნეტავ, ვიცოდე, შენი ქუჩები  
ისევ თუ გვიცდიან...  
ჩემი ლოცვა ხარ, გასხვისებული,  
მაინც ჩემი ხარ  
და გარიურაჟზე ჩემს დალლილ სულში  
ლოცვადვე შედიხარ.  
გთხოვ, ჩამახუტო შენს ლურჯ ქედებთან,  
ფერს როცა იცვლიან...  
როგორ მიყვარხარ, იმ მზის სხივებმა  
ბრწყინვალედ იციან.  
ზოგჯერ კვლავ გიშვებ გონებიდან,  
თუმცალა თავდებით,  
შენ ჩემს ფიქრებში, გეფიცები,  
არასდროს მთავრდები..  
სანაპიროზე ხმა იდუმალი  
ისმოდა წუხელის,  
ეს ჩემი ხმაა, ხმა მონატრეპის,  
შენს ცაზე წუხილის...

## თბილისი - გაგრა

„გასწი, მერანო!“<sup>1</sup> არ მინდა... საქმე მივიღეს სახრამდე,  
გამომიჩინე ქედები, ლურჯი მთა, ზღვაში ჩამდგარი,  
ფიქრებში ვეძებ ბილიკებს, გზებს, ჩემს მშობლიურ სახლამდე,  
მიმაცილებენ მთაწმინდა, მტკვარი და მტკვართან ჭადარი...

უკიდეგანოდ მიყვარხარ, გრძნობა ამ გზების თანმხლები,  
განა ბრალია სიგიჟის, ანდა ფიქრების ტყვეობის?!  
მივქრივარ, რჩება ქუჩები, აივნიანი სახლები...  
და რომ გადავალ მდინარეს, მერე ნაცნობი ტყე მოდის.

მივქრივარ, შორით მომძახის მინდვრად გაშლილი სამკალი...  
ხან ცხენზე ვზივარ, ხან გემზე და ხანაც - მატარებელში,  
ბოლო სადგურის სახელზე, ვიცი, ამიტანს კანკალი...  
იმედის მარცვლებს მივუჩენ ადგილს იმ სახლის ბელელში.



---

<sup>1</sup> ინსპირაცია - ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი - „მერანი“

## დაზანგული მატარებელი

თოვს და სადგურზე ფიქრს სევდა ახლავს,  
ტოტებს იფერთხავს მუხა - ბებერი;  
თბილისში დაშლილ ბაქანთან ახლაც  
დგას დაუანგული მატარებელი...

გაგრა, უშენოდ გულს მიღრღნის ჭია  
და ლიანდაგებს სცდება საბჯენი,  
„მონატრებისთვის არავის სკიან,  
მონატრებაა თვითონ სასჯელი...“

რა ვქნა, ტკივილი არ გიშვებს თუ ხელს?  
ზურგს ნუდარ მაქცევ, შენი ვარ, მგონი...  
აქ უნამუსოდ ზედ დაადუღეს  
ნაცრისფერ ძელზე ჩემი ვაგონი.

## თბილისის მეტრო

მეტროთი ვმგ ზავრობ ამჟამად, იცი?  
და გამიელვა უეცრად თავში,  
რომ არ გაჩერდეს გაგრამდე ახლა,  
რაღა მოხდება, ნეტავი, მაშინ?  
უცნაურია, რომ მიწის ქვეშაც,  
სადღაც გზას იკვლევს იმედი, მაინც,  
მორიგ სადგურებს აცხადებს ვიღაც  
და წუთებს ვუთვლი უოლოსფერ მაისს...  
მატარებელი მიქრის და მიქრის  
და ყველა სადგურს სულ მალე გალევს,  
თუკი დამჭირდა, მიწიდან ეჭვებს  
ამოვიღებ და გავატან ქარებს...

## გერძვას გაგრელი - პატივად მერგო!

ზღვრები ათასჯერ გადავიარე,  
იყო გზამკვლევი მთაცა და ბარიც...  
სად არ წავედი, სად არ ვიარე,  
უკან, თბილისში დაგბრუნდი, მაინც,  
ისევ თბილისი რატომ ვარჩიე? -  
რომ აფხაზეთთან სულ ახლოს ვიყო.  
გაგრა სხვებისგან გამოვარჩიე,  
გულის ნაპირთან რომ გამოვრიყო...  
კიდევ იქნება გზა უამრავი,  
ვერასდროს ვიტყვი - ბრძოლები მეყო!  
სხვა ათასობით გზა უარვყავი,  
მერქვას გაგრელი - პატივად მერგო!

## სულ უდეა იყო, სულ უდეა მყავდე!

ჩემთვის ისევ ხარ ნაზი, უბინო,  
მინდა შენს ზეცას მზეს ვუნახავდე,  
არ მსურს უშენოდ და არც ურინოდ,  
სულ უნდა იყო, სულ უნდა მყავდე!  
მინდა ჩემს ფიქრებს ებარებოდე,  
ჩემს აღმაფრენას, სულს მინდა ჰგავდე,  
რომ არასოდეს მებრალებოდე,  
სულ უნდა იყო, სულ უნდა მყავდე...  
მიყვარდე,  
მიყვარდე,  
მიყვარდე,  
მნამდე...

# ერთი საინტერესო ამბავი

ლეგენდის ეული

---

დიახ, უმეტეს შემთხვევაში, რაიმე მოვლენას, საგანს, ადგილს... მისი მთავარი ნიშან - თვისებების, გამოვლინებების გამო ეწოდა კონკრეტული სახელი. დიდი ხნის ნინ, როცა ყველას და ყველაფერს ჯერ კიდევ არ ერქვა თავისი სახელი, ერთ ლამაზ მხარეში ცხოვრობდა ფიქრების მწყემსი. ცხოვრობდა თავისთვის მშვიდად და ფიქრების მოვლა - პატრონობით იყო დაკავებული. ერთ მშვენიერ დღეს მას მოსვენება დაუკარგა ზეცამ, რომელმაც ჰქითხა:

- კეთილი მწყემსო, რა ჰქვია ადგილს, სადაც შენ ცხოვრობ და შრომობ?

მწყემსი საგონებელში ჩავარდა, მას ხომ ამ საკითხზე არას-დროს უფიქრია.

- ალბათ, სახლი, - მოკლედ მიუგო მან და ფიქრებს გადახედა, იმის იმედით, რომ ისინი გაუადვილებდნენ პასუხს.

- უბრალოდ სახლი? - გაიკვირვა ცამ. - მოდი, ასე მოვიქცეთ, შემოიარე შენი ლამაზი მხარე და ვინც გზაზე შეგხვდეს, გაგა-ოცოს ან სიკეთე გიყოს, დააკვირდი, ჰქითხე სახელი და მათ სახელებში ეძებე შენი სახლის სახელწოდებაც, - დაარიგა ცამ.

მწყემსი ასეც მოიქცა და ჯერ კიდევ გაუკვალავ, მწვანე გზებს გაუყვა. პირველი, ვინც შეხვდა, არც კაცი იყო და არც კაცის მსგავსი. ვერც სულიერს უწოდებდა ადამიანი და ვერც - უსულოს.

- მიამბე შენზე, მითხარი რა გქვია? - შეევედრა მწყემსი.

- მე ის ვარ, ვისაც მთელი სამყაროს დატევა შეუძლია, ვინც ზოგჯერ სიყვარულით არის სავსე, ზოგჯერ კი - სიძულვილით, ვინც უტყვია და ამასთან ერთად - მრავლისმთქმელიც, მე გული ვარ, კეთილო მწყემსო, და თუ კეთილი ადამიანის საგულები დავიდებ ბინას, მაშინ ბედნიერი ვიქნები, - გაისმა ჩარაზული კარიდან.

- გული? - გაიკვირვა მწყემსმა. მაშ, რატომ ცხოვრობ ამ სახლში მარტო, ან ამ სიბნელეში, ჩაკეტილი როგორლა ძლებ?

- აი, ხედავ ამ მთას? მთის გადალმა ათინათი ცხოვრობს, ის რომ მოდიოდეს ჩემთან სტუმრად, ჩემი დაკეტილი კარის ჭუჭრუ-ტანაში რომ იმედის პატარა სხივად შემოდიოდეს, შევამტვრევ-დი ამ კარს, გარეთ გავიდოდი და დავიწყებდი ძებნას იმ კეთილი, სიყვარულით სავსე ადამიანისა, ვის საგულეშიც ავძგერდებოდი. მე ვერ გავდივარ, კარი ჩარაზულია, ის კი ვერ მოდის, სიბნელეში გზას ვერ იკვლევს და თან თავისი ნათების სიმცირის ეშინია.

- იქნებ, ერთად გეცხოვრათ, არ გიფიქრიათ ამაზე? - იკითხა მწყემსმა.

- არ ვიცი, კეთილო, ეს ჯერ მას უნდა ჰქითხო, - უპასუხა გულ-მა და ათინათის სახლისკენ მიმავალ მწყემსს თავისი გულისცემა გამოაყოლა.

- შენ ხარ ათინათი? - ჰქითხა მწყემსმა პატარა სინათლის სხივს.

- მე გახლავარ, ვიცი, რისთვისაც მოხვედი, სიამოვნებით ვესტუმრებოდი გულს, შევიპარებოდი ჩაკეტილი კარის ჭუჭრუ-ტანაში, გავათბობდი, მცირედ გავუნათებდი სახლს, მაგრამ მერე რა ვქნა? კარს რომ დიდი ბოქლომი ადევს. მეშინია, რომ სამუდამოდ ჩავრჩე კარს მიღმა. რაღაც უნდა მოვუხერხოთ ამ უზარმაზარ ბოქლომს.

- და როგორ? მასწავლე, - აფორიაქდა მწყემსი.

- აი, იმ მწვანე ქედს, ზღვაში რომ შეჭრილა, აბა, გაუსწორე თვალი, ხედავ? - დაიწყო ათინათმა.

- კი, ვხედავ, - დაუდასტურა მწყემსმა.

- სადღაც იქ უნდა ცხოვრობდეს გრდემლი, - გააგრძელა პა-ტარა სხივმა.

- გრდემლი ვინაა, ან რაღაა? - ჩაეკითხა მწყემსი.

- ქართველი ხალხის წარმოდგენაში გრდემლი წმინდა საგნად ითვლება და მას მჭედლები ყოველ შაბათს სანთელს უნთებენ. ძველად სცოდნიათ დამნაშავის გრდემლისთვის „გადაცემა“ დასასჯელად და მისი „ახსნაც“ (ცოდვის მიტევება). გრდემლი ლითონის საკვერავი დაზგაა. თუ მოინდომებ, იქ გამოჭედავ იარაღს, ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, საბრძოლველად - არა. აი, სწორედ იმ ბოქლომის გასატეხად, გულის კარს რომ დაადო ვი-

ღაცამ, - დაარიგა ათინათმა და გზა უჩვენა გრდემლისკენ. თან გააფრთხილა, რომ ამ უღრან ტყეში და იმის იქეთ სრული სიბ-ნელეა და რომ სჯობს, ღამის გასათევად, ფიქრები აქ დატოვოს.

- არა, ჩემს ფიქრებს ვერსად დავტოვებ, ყველგან, თუნდაც სიბნელეში, თან უნდა ვახლდე, მტკიცედ გადაწყვიტა მწყემსმა და იკითხა: თუ წასვლას ვამჯობინებ, სხვა რა გზა არსებობს, გრ-დემლის სახლამდე რომ დროულად მივიდე?

- კარგი, რახან არ იშლი, ზღვას ხომ ხედავ, ახლა ამრა (აფხაზ-ურად - მზე) ამ ზღვაშია ჩასული, სძინავს. სთხოვე დროზე ადრე ამოსვლა. ტყეში და ტყის მიღმა ის გაგინათებს გზას, - ასწავლა ათინათმა. მწყემსი ნაპირთან მივიდა, მძინარე მზე გამოაფხიზ-ლა და სთხოვა დახმარება.

მზემ შესჩივლა: „რატომ უნდა გავისარჯო ან რისთვის? აი, მე-სმის ახლა გულს ვათბობდე, კეთილ, მშრომელ ადამიანს ვასაზ-რდოებდე, პატარა ათინათს ვზრდიდე და ვპატრონობდე, მაშინ დღენიადაგ გადმოვაფრქვევდი სხივებს. ო, რა რუდუნებით გა-ვაკეთებდი ამას!“

- რუდუნებით? ეს რაღაა? - იკითხა მწყემსმა.

- რუდუნება ყველაფერს სჭირდება: სიყვარულს, მეგობრო-ბას, შრომას...

- რუდუნება სად ვიპოვო? - დამწუხრებული ხმით უთხრა დაღლილმა მწყემსმა.

- ის შენშია, ეძებე შენში, - დაამშვიდა მზემ.

მწყემსი დაპირდა მზეს, რომ თუკი ახლა დაეხმარებოდა, სანაცვლოდ, გულთან და ათინათთან ახლოს დაასახლებდა. მზემ გაანათა გზა. მწყემსმა გრდემლის სახლს მიაგნო. იქ ბო-ქლომის გასატეხად იარაღი გამოჭედა. მზესთან და გრდემლთან ერთად დაბრუნდა ათინათთან. ეს უკანასკნელი მზემ ბედნიერ-ების შუქურად გადააქცია და ნავსადგურთან მიუჩინა ბინა. გა-ტეხეს ბოქლომი, გამოუშვეს გული და ერთად დაიწყეს ძებნა იმ კეთილი და მშრომელი ადამიანისა, რომელიც ახალ დასახლებას წალკოტად გადააქცევდა.

**გ-ული,**  
**ა-თინათი,**  
**გ-რდემლი,**  
**რ-უდუნება,**  
**ა-მრა -**  
მწყემსის მიერ აშენებულ ერთ კოხტა სახლში დასახლდნენ და  
უნოდა კეთილმა მწყემსმა ამ ადგილს გაგრა.



\*ასე შენდებოდა გაგრა, იხილეთ გვ.402

## თუ ვინარ სიყვარულს წონის

ვმაღლდები,  
ვეყრდნობი ცერებს,  
სადაც ზღვას  
რეპრუა ერთვის...  
სადმე თუ  
ნონიან ცრემლებს -  
ზღვამდე მაქეს  
დაღვრილი შენთვის...  
რა წონის  
დარდისგან მოკლულს?!  
ფიქრებო,  
გამშორდით, წადით...  
წლებია,  
ვატარებ ორ გულს,  
დატენილს  
ორივეს დარდით...  
მზე მინდა -  
იმ ზეცის სწორი,  
წყვდიადში  
სინათლის მჩენი,  
თუ ვინმე  
სიყვარულს სწონის,  
სცადოს და  
აწონოს ჩვენი...

## გაგრის სადგური

„რეკავს სადგურიდან ზარი მეცამეტე...“<sup>1</sup>  
ეს ხმა შეზრდილია უკვე გარდასულთან,  
საზღვრის გადმოლახვა ისევ ვერ გავბედე,  
ჩემი თბომავალი ისევ არ გასულა...  
უანგი მოსდებია ბევრგან ლიანდაგებს,  
„ახლა, რა, თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა“<sup>2</sup>,  
ახლა ვინ დამიგებს გზაზე ფიანდაზებს?-  
გაგრა გადახსნილი ჩემი იარაა...  
სადღაც სადგურთანვე სევდა ისადგურებს,  
იქვე შუაგულში დუმან კლავიშები,  
კადრებს წარსულიდან ფიქრი მინადგურებს,  
ქარებს გაჰყოლია ძველი აფიშები.  
ნუთუ ერთმანეთი ასე მივატოვეთ,  
შენთან ჩახუტებას როგორ ვისურვებდი,  
ძველი ჰანგებიდან დარჩა სიმარტოვე,  
როგორ გაყინულა ძველი ინსტრუმენტი...  
დამაქვს მოგონება, „მწარე და ძვირფასი“,  
იქნებ, შეხვედრისა ტკბილი საათია?!  
ნეტავ, რომ იცოდეთ, რაა შუქის ფასი,  
ბოლოს გვირაბისა, მაინც რომ ანთია.  
საათს დამიხედეთ,  
გაგრას დაეკითხეთ,  
რომელი საათია...  
რომელი საათია?

\*გაგრის რკინიგზის სადგური; იხილეთ გვ.399

1 გალაკტიონ ტაბიძე - „რომელი საათია?“  
2 ამონარიდი ამავე ლექსიდან.

## არ გთმობს სული

ოხ, ამ სიზმარს რა არ ძალუძს...  
გადაგაქცევს ათას რამედ,  
გუშინ გაგრის მოსაკითხად,  
ასი ფიქრი გავაგზავნე...  
ასჯერ მაინც მოვიკითხე  
ჩემი თბილი ოდაბადე,  
მოსაზიდად წლების მქონდა  
ანკესი და კოხტა ბადე...  
ასჯერ მაინც შევეკითხე  
ჩემს ეზო-კარს, - როგორ ხარ-თქო,  
როგორ მინდა ის ჰაერი  
ასე უცებ, ერთად ვშთანთქო...  
ასი წელი არ მეყოფა,  
რომ ვიკმარო აქ დარჩენა,  
მიყვარს შენი ზღვის ნაპირი  
და კენჭების გადარჩევა...  
შენი ლურჯი მთები მიყვარს, -  
მოთამაშე შენს ქედებთან,  
ზღვაში ჩასულ მზეს რომ ვხედავ,  
რა ვქნა, ჭკუა მეკეტება...  
ვზივარ მფრინავ ხალიჩაზე,  
იმედი მაქვს გამოსხმული,  
სხეულმა კი დაგთმო, თითქოს,  
მაგრამ, რა ვქნა, არ გთმობს სული!



## გაგრა მზეა, სხივია...

ზეციდან რომ სხივი მწვდება,  
განა მარტო სხივია...  
ცა თუ მღერის, დარდისაგან  
განა გამოცლილია?!  
მზე რომ გზავნის იმედს, ვიცი,  
საჩემოა - რომელი...  
ამ სხივს ჩემთვის გაგრა ჰქვია -  
ჯერაც მიუწვდომელი...  
ჯერაც-მეთქი, მზეო, ვიცი,  
მაშ, დაფდაფებს დაჰკარი,  
ზოგი გაგრას ხელით წვდება,  
მაგრამ მზე აქვს ჩამქრალი...  
ჩემი გაგრა გულით დამაქვს,  
გაგრა მზეა, სხივია...  
მან იკითხოს, ვინც მზისაგან  
სულმთლად გამოცლილია...  
ხო, მზეც არის, სიყვარულიც  
და იმედის სხივია...  
ჩემი გრძნობა, ქარებს უძლებს,  
ასჯერ გამოცდილია...



## ჩამონათალო ჩოგურის

ჩამონათალო ჩოგურის, შენს მომავალზე ვღელავო,  
„ჩოგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო...“<sup>1</sup>  
ნამდად მერგება სხივები შენი მზის - ჩემი მეგობრის,  
„მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის...“<sup>2</sup>

ფიქრი შემმატა უამთა ცვლამ, სიზმრებში შენმა დევნამა,<sup>3</sup>  
„სიჭაბუკისა ყვავილი დამიჭენო უამთა დენამა...“  
თუ შევუშინდი ამ ქარებს, თუ არ დავიწყე თავიდან,<sup>4</sup>  
„დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე, აქა ვარ ჩემის თავითა...“

ხმა იდუმალი ჩამესმა, გული სიამით ამევსო, -  
„ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო...“<sup>5</sup>  
დავითს მოვუხმოთ, თამარსაც, ხმალი უპყრია გორგასალს,  
„მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა...“<sup>6</sup>



1 აკაკი წერეთელი

2 ნიკოლოზ ბარათაშვილი

3 სულხან - საბა ორბელიანი

4 ვაჟა ფშაველა

5 ილია ჭავჭავაძე

6 ხალხური

„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი..“

გამარჯობა, ჩემო ლურჯო ქედებო!  
ჩემო მზეო, ჩემო თბილო სახლო,  
გამარჯობა, ჩემო თეთრო მტრედებო,  
რომ იბუდებოთ ჩემი სახლის ახლოს,  
გამარჯობა, შენ ბავშვობის ბილიკო!  
რამ დაგფარა, თვალს ვერ მოგერავს კაცი?!  
ეჭვო, გინდა კიდევ გამაქილიკო, -  
დამეხსენი, წუთსაც ვეღარ გაცლი...  
ის ზღვა, ის ცა, ნეტავ, სხვაგან სად ვნახო?  
სად წავიდე, რა ვუშველო ამ გულს,  
წადი-მეთქი, ეჭვო, ხელი არ მახლო...  
ნუ გამიქრობ ჩემი გაგრის ზაფხულს;  
მონატრებამ გამიტაცა ამ მიწის,  
თავს ვერ ვთოკავ და ვეღარცა ვშველი,  
ლმერთო, ცხადშიც მათქმევინე ტაბიძის:  
„გამარჯობა, აფხაზეთო, შენი...“



## გალაკტიონ ტაბიძე - 130

პალმებს, ლურჯ მთებსაც...  
შენ რომ ნატრობდი,  
ახლა მე ვნატრობ გიშივით...  
მიწას - მშობლიურს,  
შემ რომ არ თმობდი,  
ახლა მე არ ვთმობ, ყიუინით.  
შენს სიღრმეებთან  
როგორ გავბედავ,  
ახლოს მივიდე, პოეტო?!

დარდი მოხუცდა,  
კი არ დაბერდა,  
ახლა ჩემს ტკივილს მოედო...  
წვიმა, ნანატრი,  
აფხაზეთისა

შენ სულს გისველებს, მე - სხეულს...  
დავრჩი იმედად  
ახლა ღმერთისა,  
იმედს მოიყვანს, მეყვსეულს...

ცა გაილექსა,  
ქუხს დიდებული,  
აყენებს სადლაც გუბეებს...  
და შენი ქნარი -  
გულსმიდებული,  
გაჰყვება საუკუნეებს...



## კუთხი ცოცხლობს ჩემში

სიჯიუტე ჩემი  
ეჭვებს გულზე მოხვდა,  
კუთხე ცოცხლობს ჩემში  
კოპნია და კოხტა...  
ბრონეული ამკობს  
იქ, ომამდელ ნარგავს,  
ვდგავარ სევდის ზღურბლზე  
და გავყვირი გაგრას...  
ვხსნი წარსულის ფარდებს,  
ნითელ ლაქებს ვრეცხავ,  
მინდა, შენს ცას ჰგავდეს  
აქაური ზეცა,  
მინდა, ვიწვე ზღვაზე,  
როგორც თეთრი გემი,  
კვლავ შეხვედრის შენთან  
მოლოდინით ვდგები....  
სავალ გზებზე ზოგჯერ,  
იმედს აქრობს შიში  
და შებოჭილ ფრთებსაც  
შიშით ძლივსლა ვიშლი,  
დრო და უამი გზებზე  
დგანან, როგორც მტრები  
და ვის ესმის ასე  
რატომ მენატრები?  
სიჯიუტე ჩემი  
ეჭვებს გულზე მოხვდა,  
კუთხე ცოცხლობს ჩემში  
კოპნია და კოხტა...

## იმიტომ, რომ ჩემია!

აფხაზეთო, შენ გარეშე  
წამიც არ მომრჩენია,  
გაგრა მინდა, რინა მინდა,  
იმიტომ, რომ ჩემია!

ნატყვიარი ჩემს სამშობლოს  
ჯერაც არ მორჩენია,  
გაგრა მინდა, რინა მინდა,  
იმიტომ, რომ ჩემია!

მშობლიური სახლის კედლებს  
ხავსი შემოსჩვევია,  
გაგრა მინდა, რინა მინდა,  
იმიტომ, რომ ჩემია!

საფლავებზე ქართულ ენას  
კვალი დაუმჩნევია,  
გაგრა მინდა, რინა მინდა,  
იმიტომ, რომ ჩემია!

თავს ვიმშვიდებ, ჩემი ნატვრა  
უფალს გამორჩენია,  
ღმერთან ერთად გაგრას მივალ,  
იმიტომ, რომ ჩვენია!



## სანამ გაგრას დაიბრუნო, დაიბრუნო ღმერთი!

სანამ ლოცვას აღავლენდე, გამოსახე ჯვარი,  
რწმენას მტკიცედ ჩაეჭიდე, დროს გაჰყვება ჯავრი...  
მერე ძალით გამოჰლიჯე ეჭვს სამეფო კვერთხი,  
სანამ სოხუმს დაიბრუნებ, დაიბრუნე ღმერთი!  
სანამ ხვალე გათენდება, შენ გათენდი სხვაში,  
საოცნებო თეთრი გემი შეაცურე ზღვაში,  
თუ კაცი ხარ, „დაცემულ“ ძმას გაუმაგრე გვერდი,  
სანამ გაგრას დაიბრუნებ, დაიბრუნე ღმერთი!  
სანამ სანთელს დაანთებდე, შენ დაენთე რწმენით,  
მზეს თუ გულით შეეხები, არ იქნება მწველი...  
სანამ ჯერაც ფეხზე დგახარ, თუნდაც დარჩე ერთი,  
დაიბრუნე აფხაზეთი, დაიბრუნე ღმერთი!

## საქართველოს

მზე მთებიდან სხივებს გზავნის ბარში,  
სული რწმენით გადარჩენას ითხოვს  
და ყველაზე ძლიერი ვარ მაშინ,  
როცა უძლურს ვემსგავსები, თითქოს...  
ზოგჯერ ვფიქრობ, რომ მთებსაც კი დავძრავ,  
რწმენით გავლევ ყველა ბილიკს უვალს,  
დღეს კვლავ შენთვის ვლოცულობდი ტაძრად,  
შენი დილა კვლავ მივანდე უფალს,  
მიპასუხე, მზეო, ჩემს სახლს ხედავ?  
თუ მაჩვენებ, ჩავისუტებ იმნამს,  
საქართველოვ, დაიტევდე, ნეტავ,  
აფხაზეთის, სამაჩაბლოს მინას!

## მა გაგრის ერთგული ვარ...

ეს კედლები წინაპართა ხელით ნაშენ-ნაგებია,  
ეს მინა კი, მიტოვებულ ათასობით საფლავს იტევს,  
ეს მთა, ეს ზღვა, ეს ხედები... ოქროს კალმით ნაქებია  
და ნუ გიკვირს უშენობა, რომ ოცნების კოშკებს მიმტვრევს;  
ჩემი მინდა გერქვას, ჩემი... მე სხვა სახელს ვერ ვჯერდები,  
დავმშვიდდები, ჩემს სახლ-კართან, თუ შევძელი, ეჲ, თუ მივალ...  
ნუთუ, ახლა კიდევ მკითხავ, სხვაგან რატომ ვერ ვჩერდები?!  
ნუთუ, ახლა კიდევ გიკვირს, მე რომ გაგრის ერთგული ვარ!



## ჩემი საქართველო სად არის?

ქარს ჩამოაქვს სურნელება ყვავილთა,  
როგორ მესმის გატაცების იმ ქარის...  
ჩემი სახლი, ჩემი ეზო იქ არის,  
ჩემი წილი საქართველოც იქ არის!

ტაბიძის რომ ჩუმად იწერს სტრიქონებს,  
როგორ მესმის აღტაცების იმ ქალის,  
ჩემი მზე და გაზაფხული იქ არის,  
ჩემი წილი საქართველოც იქ არის!

აფხაზეთში აყვავილდა მიმოზა,  
გაზაფხული დაბრუნებას იჩქარის,  
იქ დავტოვე ჩემი სულის ნაწილი,  
ჩემი წილი საქართველო იქ არის!



## ჩემი რიცა, აფხაზეთი - საქართველოს გულისტება!

რა მადარდებს?! - დარჩენილი უპატრონოდ საფლავი,  
მტკივა გაგრა, ჩემი გაგრა, სოხუმი და გუმისთა...!  
მომაგონდა, მომენატრა გზა სახლამდე სავალი,  
ჩემი რიწა, აფხაზეთი - საქართველოს გულისტება!

ჩემი ეზო მომენატრა, სიყვარულით გამთბარი,  
სახლის უკან, ცას რომ ერწყმის, თავს მახსენებს სულ ის მთა...  
რა შორს არის და რა ახლოს ჩემი ტურფა მთა-ბარი,  
ჩემი რიწა, აფხაზეთი - საქართველოს გულისტება!



\*რიწა - საქართველოს ყველაზე ღრმა ტბა. მდებარეობს მდინარე ბზიფის აუზში, ზღვის დონიდან 884 მ სიმაღლეზე. წარმოიქმნა გაგრის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთიდან ჩამოქცეული კლ-დეზვავით, მდინარე ლაშიფსეს დაგუბების შედეგად. იხილეთ გვ.403

## ოდა ტყვარჩელში

იდგა ოდა, კვანწილი<sup>1</sup> დო ხანტილი<sup>2</sup>...  
მერე დარჩა შემოცლილი ღობისგან,  
არ ისმოდა არსაიდან ხმატკბილი:  
არც „ქომორთით“,<sup>3</sup> არც - თუხთუხი ღომისა...

იდგა ოდა, სევდიანი, უკაცო...  
ომმა ოდას სისხლი გამოადინა,  
იდგა ასე უპუროდ და უმარცვლოდ,  
ჰაერივით სჭირდებოდა „ნანინა“.

იდგა ოდა, მზეს უხმობდა ეზოდან  
და ნატრობდა ბალანეფიშ<sup>4</sup> ყიჯინას,  
ვიღაც ტალღებს განნირული ებრძოდა  
და ხავსივით ზედ ეკვროდა გიუი ნავს.

არც მერცხლები მოფრენილან აქამდე,  
წელს პირველად აქეთ გამოაშურეს;  
და იფიქრა ოდამ - იქნებ, სახლამდე,  
პატრონს უკვე ნაბიჯები აშორებს.



1 კვანწილი(ი) - (მეგრ.) - მოვლილი;

2 ხანტილი (ი) - (მეგრ.) - დახატული;

3 ქომორთით (ი) - (მეგრ.) - მობრძანდით;

4 ბალანეფიშ - (მეგრ. ნათ. ბრუნვა) - ბაგშვების.

## ზღვის ნაპირზე დახაზული - საქართველო...

ენკენისთვეს, დახუნძლული როცა ვაზი ფერხულს ცეკვავს,  
ოქროსფერი ველი როცა შემოდგომის სურნელს იხდენს,  
მზე - როდესაც განთიადზე ცისარტყელას უყრის ხელკავს,  
თავად დედა - ღვთისმშობელი იბადება თურმე იმ დღეს...

იბადება მაშინ რწმენაც, რომ გადადგამს თურმე მთებსაც,  
შეუძლებელს შესაძლებლად გადაქცევს, მტკიცე ლოცვით,  
ისეთია, კლავს სიძულვილს, ეხებოდეს თუნდაც მტერსაც,  
იბადება ღვთისმშობელი, მზე ვერ ძლება მიწის კოცნით...

აფხაზეთშიც დაულანდავთ ღვთისმშობელი, ხელში ჯოხით,  
განა უჭირს სიარული?! - მოუვლია მთა და მდელო,  
მერე გაჩნდა თვით დავითი, შემოსილი თეთრი ჩოხით  
და ღვთისმშობლის ზღვის ნაპირზე დახაზული - საქართველო...



## ლოცვას ჰგავნარ

სადაც სუნთქვა ისმის მიწის,  
ლოცვას ჰგავნარ სადაც, რთველო!  
სადაც სულთქმა ხემაც იცის,  
გაჩენილხარ, საქართველო!

გახლეჩილო, აქ - მიწაზე,  
თუმცა, ცამდე, ალბათ, მთელო,  
ვნატრობ ხედებს ჩემს რიწაზე,  
მკლავმოჭრილო, საქართველო!

არ იქნება არ დავპრუნდე,  
ეკალბარდი არ გავთელო,  
არ იქნება არ დავპუდდე  
იქ, ჩემს სახლში, საქართველო!

ძარღვები მაქვს დაუცლელი  
და სისხლს გწირავ, ცანათელო!  
ცოტაც კიდევ გაუძელი,  
გაუძელი, საქართველო!



## მირქმა

დღეს მირქმაა, ვხედავ, ლოცვა ცრემლს თვალებზე როგორ მიშრობს, ჩემთან მოსულ გაგრას გულში თბილად ვიკრავ, როგორც პირმშოს, უსიტყვოდაც მჯერა მისი, დრო არ რჩება შემოწმების...  
დაუანგული ბოქლომიდან ამოხეთქა ლერომ რწმენის...  
განა მხოლოდ ლერო არის, განა მხოლოდ ჩემი „საზრდო“?!  
ახლა ძალმიძს ასაფრენად დიდი ფრთები შევიზარდო...  
დღეს დარდით და სილრმეებით ისევ ჩემი რიწა სჭარბობს,  
მიწა იხსნას ღვთისმშობელმა, უანგი? უანგი - მიწამ ჭამოს..

## ოდონდ თამოდი...

ხელი ჩამჭიდე, გზებით, ხიდებით გადმოგიყვანო,  
რომ დააღწიო იმ სიბნელესთან მიჯაჭვულობას,  
რა უნდა მოხდეს, რომ დაგივიწყო, გადაგიყვარო?!  
უაფხაზეთოდ დარდი საფიქრალს მიჭამს ულმობლად...  
იმათ უთხარი, რომ აგერია გზები, შემთხვევით,  
ოლონდ წამოდი, ამ ღამით ნუში მოისხამს კვირტებს  
და სამშვიდობოს როცა გამოხვალ, როცა შევხვდებით,  
თუკი გადავწვავ იმ გზებს და ხიდებს, არ გაგიკვირდეს...



ჩემთვის შენი სიყვარული,  
თან ვნებაა, თან მახა...

ის, რაც დარჩა წარსულიდან -  
პალმის სამი თავი ხეა,  
ჩემთვის შენი სიყვარული,  
თან ვნებაა, თან მახეა...

ეს წვიმაა თუ შენ ტირი?  
ციდან ისევ მოდის დარდი;  
რად მიყვარხარ, რად მიყვარდი,  
ამდენ დარდს თუ მომიტანდი?!

ფიქრი გდია ზღვის ნაპირას,  
მოდი, გვერდით მოუწექი...  
ალარ დარჩა მოთმინება,  
გაიყინა ძარღვში წვეთი...

ახმაურდით, მთებო, ახლა,  
ერიც, ბერიც... ცამდე აქეთ,  
გაგრა, შენ კი იქ ჩაყვინთე,  
ამოყვინთე სადმე აქეთ...



## სად იცყვაპა საქართველო...

აქ მზე ზღვაში იმალება, როცა იწყებს შებინდებას,  
იხუჭება ისევ გაგრა, ამბობს - ვითვლი სამამდეო,  
თუ ზემოდან გადმოხედავთ ამ საოცარ ზექმნილებას,  
თავად მთები გიჩვენებენ - სად იწყება საქართველო...

ქედი როგორ შედის ზღვაში, ჩემს გაგრას რომ ალამაზებს  
და ზღვა როგორ კოცნის ხელზე, მთიდან მოსულ ჟოეკვარას,<sup>1</sup>  
ვითვლი ირგვლივ მიმოფანტულ ჩემი სულის ამ ალმასებს  
და არ ვჩივი, თუ ამ ღამით ძილი სულ არ მომეკარა...

გულმა გაგრის ყველა კუთხე სიყვარულით შეიმეცნა,  
როცა აქ ვარ, არ მკლავს შიში, არ მიტაცებს წვრილმანები,  
ნეტავ, ახლა თუ მიპოვის, უკვე თმები შემივერცხლდა,  
ფიქრთან ერთად, სახლის უკან გატრუნული ვიმალები...

აი, ჩემკენ მოდის მგონი, გული გასცემს ჩემს სამალავს,  
მიპოვა და ახლა უკვე მის მაგივრად ვიხუჭები,  
ვეძებ გაგრის სახლებს, ქუჩებს, ოცნებების მთელ ამალას  
და შეცდომადაშვებული წერილივით ვიკუჭები....

აქ მზე ზღვაში იმალება, როცა იწყებს შებინდებას,  
იხუჭება ისევ გაგრა, ამბობს - ვითვლი სამამდეო,  
თუ ზემოდან გადმოხედავთ ამ საოცარ ზექმნილებას,  
თავად მთები გიჩვენებენ - სად იწყება საქართველო.

---

1 ჟოეკვარა - მდინარე გაგრის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სიგრძე 20 კმ, აუზის ფართობი 72,3 კმ<sup>2</sup>. სათავე აქვს არაბიკის მასივზე, ზღვის დონი-დან 2690 მ-ზე. ერთვის შავ ზღვას, ქალაქ გაგრასთან. საზრდოობს მიწის-ქვეშა, წვიმისა და თოვლის წყლით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე, სხვა დროს იცის წყალმოვარდნა.

## გაგრა

(ჩემი პირველი ლექსი)

ღამის წყვდიადში, ჭიდილში ბნელთან,  
დაშვრა, შთაინთქა ის ბადრი მთვარე,  
მზეს ველოდები, ჩაძირულს ზღვაში,  
იქნებ, ასრულდეს ოცნება მალე...  
ფიქრებში ვცურავ და მაინც მჯერა,  
ისევ ნათელი გააპობს ბნელეთს,  
მწამს, რომ ჩემი ხმა მისწვდება უფალს -  
მოჰყენს სინათლეს ზღვასა და ხმელეთს.  
გაგრა, ლურჯი ზღვა, ის თეთრი გემი...  
წამილო ქარმა, გაიჭრა ველად;  
სევდის ქალაქო, ფიქრი ხარ ჩემი,  
მიგულე შენი მომავლის მცველად!  
ალმოსავლეთით განათდა ზეცა,  
მზე უნაწილებს ზღვის ნაპირს სითბოს,  
ნათელი სხივი დამეცა უხმოდ,  
ქალაქი ზეცად ამაღლდა, თითქოს.  
იღვიძებს გაგრა - „ზღვის მარგალიტი“  
იღვიძებს რწმენა, გულში რომ მენთო,  
რაღა ვინატრო ამაზე მეტი,  
ფერფლადქცეული მიკურთხე, ღმერთო!  
გაგრა, ლურჯი ზღვა, ის თეთრი გემი...  
წამილო ქარმა, გაიჭრა ველად;  
სევდის ქალაქო, ფიქრი ხარ ჩემი,  
მიგულე შენი მომავლის მცველად!

\*\*\*

მარტო კადრი წარსულიდან კი არა,  
მარტო ზღვა და მწვანე ქედი კი არა,  
ალარც მარტო ათასობით იარა,  
გაგრა - მეტი სიყვარულის ფიალა!

მარტო დარდი, მარტო ფიქრი კი არა,  
ჩვენს თავზე რომ ასჯერ გადაიარა...  
მარტო სუნთქვა და სიცოცხლე კი არა,  
გაგრა - მეტი რწმენის თანაზიარად...

მარტო თეთრი კოლონადა კი არა,  
ალარც მარტო ჩაფერფლილი სიგარა,  
მარტო მთები და პალმები კი არა,  
გაგრა - მეტი, თავის ოქროს მზიანად!

მარტო ლურჯი იალქანი კი არა,  
ქარმა გემს რომ ფრთხილად აუფრიალა,  
მარტო სახლი, მარტო გზები კი არა,  
გაგრა - მეტი, ზურმუხტ - თვალებბრიალა!

მარტო ჩვენი კარაველა კი არა,  
არც მერცხალი, ცა რომ ააწრიალა...  
მარტო ღელვა, მარტო დრტვინვა კი არა,  
გაგრა - წყარო უკვდავების, წკრიალა!

\*გაგრის კოლონადა, იხილეთ გვ.403

## ღԵՐԾ ԾԱՑԿՈՍԱ

Յոկեսենեծ յիշոս,  
գուգ կոծեցնան  
հաւուցյուլ նացածս,  
օվայ, ճապնու ծորիյս  
ճա շուշածեցաց  
ջասրողուլ նացանս....  
արդամոնյեծա,  
արժեցյեծա  
մրհեծա մուտուցաց,  
սաելս զոնդա ჩուզու՞!  
շոյրո մանուշյեծս  
մոնա, րոմ մթուցա!  
յիշեծո ճապկարցի,  
մոմրիծ յրտուլա -  
յամոնայլուսաց,  
յոտ մոցոնյեծա, -  
յոծես մոյերո  
լյերո ճապնուսա...  
եռ, մոցոնյեծամ  
հյոմո ցոյշրյեծո,  
մուշեծո ճանուսլա...  
ճա ցըորցըոնուստուս  
լյերոս Շեցանց  
լյերո ճապնուսա....

## ის მოდიოდა გაზაფხულივით

დღო და იმედი ჰგავდნენ მეგობრებს  
და ერთმანეთთან ჰქონდათ მიმოსვლა,  
ის მოდიოდა გაზაფხულივით  
და ყვავილობდა, როგორც მიმოზა...  
ჰო, მოდიოდა და თან მოჰქონდა  
გზა - მოქარგული მწვანე არშით,  
გაგრას მოჰქონდა სულ სხვა იმედი,  
განმტკიცებული მზესთან კავშირით...  
გამოხატული ჰქონდა სურნელი,  
ჯერარნახული თავისუფლების,  
დგამდა ნაბიჯებს, წრფელი ბავშვივით  
და გაზაფხულის სწამდა სუფევის...  
გზა იყო ფართო, ჩემთვის ნაცნობი,  
გამორჩეული სწორი ხაზებით,  
სხვა მოლოდინი ქალაქს მოჰქონდა  
და მოდიოდა გაგრა სხვა გზებით...

## პილიკი სახლისკან

შენი ზღვის ნაპირს მოეფინა ჩემი ფიქრები  
და ამ ფიქრებში მივუყვები ბილიკს სახლისკენ,  
ზოგჯერ კვლავ ჩნდები ჰორიზონტზე, ზოგჯერ მიქრები,  
დღო დღოს არ ზოგავს, მიმაქანებს რაღაც ახლისკენ,  
ვუახლოვდები კოლონადას, ჩაფლულს მწვანეში,  
შევიგრძნობ სურნელს მაგნოლიის თეთრი ყვავილის,  
ვაცოცხლებ ნარსულს, მოგონებებს თითქმის ნამებში,  
ნეტავ, ვიცოდე - მონატრება როდის გამივლის?

## ჩემს სულიში შემოიხადე

სახლს მოვიკითხავ, ამჯერად,  
მოკითხვა ჩემი იმ პალმებს...  
თუ სიცხადისა არ გჯერა,  
სიზმრებში შემოიპარე...

წამლად შემერგე სნეულზე,  
მწადია, შენ რომ მიმღერდე...  
დარდს თუ ვერ მამჩნევ სხეულზე,  
ჩემს სულში შემოიხედე...

კაცს რომ უგულოდ უმართლებს, -  
ნუ იტყვი, ნულარ ავრცელებ,  
გული ფორიაქს უმატებს,  
როგორც კი სუნთქვას აჩერებ...

გადმოვაფრქვიე ფურცლებზე  
შენი ზღვა, შენებური ცა...  
შეეხე იმ სახლს ფუძეზე,  
იქ ფეთქავს ჩემი გულიცა.



## ახლა გაკოცებდი, ისე გაკოცებდი...

ზეცამ შემატოვა მთვარის ნახევარი,  
ლამეს საფიქრალი ჩემთვის დაუთმია,  
წუთი გაჯიუტდა, როგორც სახედარი,  
ცოტაც და ამ ზაფხულს წამებს დაუთვლიან...

დროის მარცვლებიდან სიტყვად აღმოვცენდი,  
სადღაც, ზღვის ნაპირზე ისევ მზეს ვუზივარ...  
ახლა გაკოცებდი, ისე გაკოცებდი,  
სხივებს რომ უკოცნის ხელებს მზესუმზირა...

ახლა მომენატრე, ახლა მოვინდომე,  
შენი სურნელებით თავბრუ დამხვეოდა,  
ზაფხულს შეგადარე, ხოდა, მოვიტოვე,  
რომ ხვალ გარიურაჟზე ისევ დამხვედროდა...

## დაძარლვული ფილები

კვლავ „რუსთაველს“ მივუყვები, უსახლკარო სულივით,  
ჩვენი ერთად - ყოფნის დამაქეს არნახული ფირები, -  
მოსვენება დაგიკარგე ჩემი ერთი სურვილით, -  
მეგზურობა გამინიე დაძარლვული ფილებით...  
სანამ ნაცნობ ნაგსადგურთან თეთრი გემი შემოვა,  
გონებაში ვაკონინებ შენზე კადრებს ფილმებად,  
არ დავუშვებ, რომ გულიდან ნამოსული - „მე მოვალ!“ -  
სიტყვად, მხოლოდ სიტყვად დამრჩეს, მექცეს დანაპირებად!  
ისევ გემი, ისევ პალმა, არნახული ფირები...  
მიმყვებიან, მაცილებენ დაძარლვული ფილები...

\*დაძარლვული ფილები, იხილეთ გვ.404

\*\*\*

მახსოვს ეს ფოტო,  
მაისის დილა...  
გაგრაში წვიმდა...

ასეთი მახსოვს,  
ასეთი მიყვარს,  
ასეთი მინდა...

უძველეს პარკში  
ვარდების ფრქვევა  
სიცოცხლედ ღირდა...

ასეთი მახსოვს,  
ასეთი მიყვარს,  
ასეთი მინდა...

იტევს სამყაროს  
ჩემი ქალაქი,  
სულ ერთი ციდა...

ასეთი მახსოვს,  
ასეთი მიყვარს,  
ასეთი მინდა...

მხოლოდ ომამდე  
იყო ნამდვილი,  
სათუთი, წმინდა...

ასეთი მახსოვს,  
ასეთი მიყვარს,  
ასეთი მინდა...

ვხედავ ფოტოზე  
თეთრი თოლია  
დაეშვა ხიდან...

ასეთი მინდა,  
მე ჩემი გაგრა,  
ასეთი მინდა...

მინდა, მინდა მინდაააააააა...

## გაგრის კარაველა

თოვლი უცვლის სამოსს ნაძვებს,  
სიო ფიფქებს ფანტავს ველად,  
როცა გული მარტო ვერ ძლებს,  
სიზმრად გეძებ, კარაველა!  
მოვქრი შენკენ სავალ გზებზე,  
თოვლმა ასჯერ გამანელა,  
ზოგჯერ სველ ფრთებს ვიშრობ მზეზე,  
მაინც მოვქრი, კარაველა...  
დრო არ ჩქარობს - გულის კართან  
შლის იმედის კარავს ნელა....  
ისევ სულის მითბობ კალთას,  
კარაველა, კარაველა...

\*კარაველა - დაწვეს აფხაზეთის ომის დროს, იხილეთ გვ.404

## ხო, ის ცრემლია

მალე ზაფხული კარებს მიხურავს,  
დრო წუთს და წამებს სწირავს,  
ეს ერთი წვეთი, ან რომ იხუვდა,  
სულაც არ ნიშნავს წვიმას...

დროის ფერხულში ისევ ვერთვები,  
მზე ციდან გამოვცერი,  
შენ რომ გგონია წვიმის წვეთები,  
თვალთაგან მომწყდა ცრემლი...

დრო მოგონებებს გარდასულს ლაქავს,  
მჯერა იმ ერთი წამის!  
ხო, ეს ცრემლია, წვიმას სულ არ ჰგავს,  
თუმცა, წავლეკო ძალმიძს...



## გაგრა - ჩემი ვარსკვლავი...

ისევ მემალები,  
ისევ არაფერს მწერ,  
ისევ სიჩუმეა შეწმი..  
სად ხარ? დამენახე,  
სად ხარ? მიპასუხე,  
სად ხარ? უშენობა შემშლის...  
როგორ მენატრები,  
როგორ მენანები,  
როგორ შემაჩვიე სევდას...  
ვიცი ეს სურნელი,  
ვიცი ეს სიზმარი,  
ვიცი მომანატრებს შენს თავს...  
სულ ნუ გამიღიმებ,  
სულ ნუ მიპასუხებ,  
სულ ნუ დაეშვები ციდან...  
ოლონდ არ მაჩვენო,  
ოლონდ არ მანიშნო,  
რომ დღეს უჩემობას იტან.



## 0სევ ის ზღვა მინდა

თქვით, რაც გინდათ, მაინც...  
ეჭვს ჯიუტად ვებრძვი,

ვეხეთქები სალ კლდეს,  
როგორც ურჩი ვერძი...

მე აფხაზეთს, გესმით?!  
დაკარგულად ვერ ვთვლი,

ისევ ის ზღვა მინდა,  
მაგნოლია - თეთრი...

ვიღაც ირჩევს მავანს,  
ისევ ქარნი ქრიან,

ჩემს არჩევანს, მაინც,  
„გზა გაგრამდე“ ჰქვია,

ახალ ბუდეს უვლის  
გარს თოლია მდედრი,

ისევ ის ზღვა მინდა,  
მაგნოლია - თეთრი.

## შენს პალმებთან ვიცეკვებდი სალსას...

ისევ ვგზავნი მოგონების ტალღას,  
თეთრ გემს ვატან ფიქრით სავსე საგზალს,  
რა იქნება, ჩემთან ახლოს იყო,  
შენს პალმებთან ვიცეკვებდი სალსას...  
შეგიქებდი ლურჯ მთებს, ზღვას რომ ერწყმის,  
გეტყოდი, რომ იერი გაქვს ნიცის,  
რომ შემეძლოს დაბადება ორჯერ,  
შენს წიაღში ვიშვებოდი, ვიცი!  
რომ შემეძლოს, მაგნოლიის ყვავილს  
მოვსტაცებდი დამათრობელ სურნელს,  
დავთვრებოდი შენს გაგრიფშთან ერთად,  
უფრო მეტი რაღა უნდა მსურდეს?!

\* \* \*

ნორჩ იასამნებს კართან მოგიტან,  
ვიცი, უთუოდ გაინაზები...  
იასამნისფერ ზეცას გაფიცებ...  
წამო, წავიდეთ, აი, ამ გზებით...  
ვინც სიყვარულის გზებით იარა,  
ღმერთმა მშვიდობა იმათ აღირსა...  
და შეყვარებულ გულებს, გავიგე,  
ფერი ჰქონიათ იასამნისა...  
მოვალ იქ, სადაც მაშინ დავშორდით,  
კვლავ შენს ნავსადგურს მივესალმები...  
და ჩვენს ერთობას „დააკვდებიან“  
გასაოცარი იასამნები...

\*ძველი გაგრის სანაპირო ზოლი და პარკი, იხილეთ გვ.405

## იყო მუსიკა, მგორი, ჯაზური

მზე გამახსენდა, ზღვაში ჩასული  
და გამახსენდი, როგორც ზღაპარი,  
იყო მუსიკა, მგონი, ჯაზური  
და შეღამება, შენი სადარი...

სხივებს ანთებდა თეთრი შუქურა,  
ჩემი ფიქრების დამწვარ თაღებზე,  
მთვარემ უყურა, ლურჯ ზღვას უყურა  
და დაეძინა მიმქრალ ტალღებზე...

არ მეშინოდა ღამის, რატომლაც,  
სულში უსიტყვოდ შემოპარების,  
ჩემში ამ ღამემ რაღაც დატოვა  
და გააჯაზა მწკრივმა პალმების...

როცა შემეხე, გული გამთელდა,  
შენ იისფერი კაბა გემოსა,  
მერე გათენდა, ისევ გათენდა...  
მზემ გადმოხედა მთებს და მდელოსა...



## სივძა - გამოდევნები

თმაში მცირე ჭალარას,  
შენს სიდინჯეს ვატოლებ...  
ერთ წამსაც კი უშენოდ,  
რა ვქნა, უკვე არ ვტოვებ...

მინდა, ისევ შეგეხო  
ღამენათევ თვალებზე,  
მერე გავფრინდებოდი  
ფრთებშესხმული მთვარეზე...

უსასრულოდ გაგრძელდა  
შენს ნახვამდე დღეები,  
როდის, როდის შევწყვიტოთ  
სევდა - გამოდევნები...

აიტაცა ფიქრები  
გულმა ვარსკვლავებამდე,  
მიყვარხარ და დროს ვითვლი  
უსირცხვილო ვნებამდე.



## გაგრა, უშაოოდ...

მზე თითქოს ჩაქრა, ხედავ, უშენოდ  
ფეხზე ძლივს დგება და რომ ვარდება?  
მზეს ვინდა ჩივის, სულს რომ ვუშველო,  
დამჭირდა გულის „დალომბარდება“...

ყოველ თვე ვიხდი „მაღალ პროცენტებს“,  
გულს ხომ ეულად ვეღარ დავტოვებ?!  
ვყიდი ყველა ლექსს, ვმართავ კონცერტებს,  
ყოველ ახალ დღეს იმედს ვატოლებ;

სულის ყოველ წამს დევნას ვუნდები,  
ცხადად რომ გნახო, გულიც მჭირდება,  
გულს გამოვიხსნი, დაგიბრუნდები,  
მე უშენობა გამიჭირდება...



## ბავშვობა

ვუძღვნი საყვარელი ბიძის, ვიტალი ფაციას ხსოვნას. მან უსაზ-ლვროდ შემაყვარა გაგრა. ეს უთბილესი ადამიანი ჩემი ლამაზი და უდარდელი ბავშვობის განუყოფელი ნაწილია.

ვიღაც ნაპირთან სხეულს იგრილებს,  
ზოგს შუა ზღვაში თავიღა უჩანს;  
ჩემი ფიქრები ჩუმად დაუყვნენ  
მოგონებების ჯადოსნურ ქუჩას...

მაგნოლიის სურნელება,  
პალმის ჩრდილში კოხტა გოგო;  
მიხმობს მთები, ჩემი რიწა....  
როგორ დავთმო, ღმერთო, როგორ?!  
ისევ ვნატრობ იმ ლამაზ დროს,  
ბავშვობის წლებს, ზღვის ნაპირებს...  
ვიცი, დღესაც ჩემი გაგრა,  
სიზმრად მოსვლას რომ აპირებს...  
ცხელ ქვიშაზე გასართობად,  
ჩავუსხდებით ყველა ლოტოს,  
მალე მოვა მესურათეც,  
გვისახსოვრებს ლამაზ ფოტოს.  
ვიღაც „ცხელი სიმინდიო“,  
შემოსძახებს მაღალ ხმაზე;  
აი, მოდის მესურათეც,  
ცელქი ზიტა უზის მხარზე.  
დაგებადათ კითხვა? – „ზიტა“  
მაიმუნის სახელია;  
ეს კი ჩვენი მხატვარია,  
რომ იცოდეთ, რა ხელი აქვს;  
„ფრთხილად, ფრთხილად, ახალგაზრდავ,  
ეს წუთია ფეხი მკარით“! –

წუხს ჩაფლული ცხელ ქვიშაში  
უცხო კაცი, მთელი ტანით.  
თეთრი გემი მოადგება  
სანაპიროს ცოტა ხანში,  
მისი ჩუმი გამოჩენა  
გამოიწვევს ყიჟინს ხალხში.  
დამსვენებლებს ეუწყებათ:  
„გემი გავა ორ-სამ წუთში,  
გთხოვთ, ბილეთებს ნუ ყრით ზღვაში,  
მოათავსეთ ამ შავ ყუთში!“  
ყველამ იცის ბიჭვინთისკენ,  
რომ უჭირავს თეთრ გემს გეზი,  
ვიღაც მიხმობს ნავსადგურთან,  
ანკესს მოჰყვა „ოქროს თევზი“...  
აქ კი წამი იყინება...  
ეჰ, რამდენი დრო გავიდა;  
როგორ მინდა, როგორ მინდა,  
რომ დავიწყო სულ თავიდან.





## პიძაჩები დამესიზმრა ამ ლამით

პიძაჩები დამესიზმრა ამ ლამით,  
სიყვარულით სავსე კაცი, გულღია,  
სიცოცხლეზე მეტად გაგრა უყვარდა,  
ჰოდა, მისთვის ცეცხლშიც გამოუვლია...  
ძველი გაგრის კუთხე-კუნჭულს იცნობდა  
და შეზრდილი იყო გაგრის ყოფასთან,  
მერე „გაგრა“-ს სულ იტყვოდა კავშირში  
წარსულიდან ფიქრის გამოყოფასთან...  
მის სახელზე მახსენდება ლურჯი ზღვა,  
ოსტატურად ამოყრილი კეფალი,  
პიძაჩების ლანდი ქუჩებს მიყვება,  
იმ დღეებზე მოგონების მკრეფავი...  
კვლავ ჩერდება დამწვარ სახლთან, მდუმარედ  
და სიმწრისგან სევდას ახრჩობს კბილებით,  
ამ სურათზე ლამის ზღვამდე თავს ხრიან  
ლურჯი მთები, ცამდე აშოლტილები...  
მახსენდება მისი თბილი ლიმილი,  
გულწრფელობით - თავად ლოცვას სჭარბობდა,  
როგორ მახსოვს, ბოლო ამოსუნთქვამდე -  
ისევ გაგრას, ისევ საფლავს სჯავრობდა...  
პიძაჩები დამესიზმრა ამ ლამით  
და განცდებით სავსე იყო კოსმოსი,  
მისგან დამრჩა სამახსოვროდ გრძნობები,  
კიდევ დამრჩა ცარიელი „კოსმოსი“...  
მე მის სახელს ვუკავშირებ ყველაფერს,  
გაგრისადმი თუ რამ გამომიცდია,  
მე „წაგიყვან“ იმ გაგრაში, გპირდები,  
იმ შენს ტკბილ სულს ვენაცვალე, ბიძია.





ՅՈՒԹԱԾՈՅ ԶԱԳՈՅԱ

## ეს ის ფოტოა...

ყაყაჩოსფერი მზის სხივების  
მაგიურებს კოცნა,  
დაბადებიდან ცამდე მიყვარხარ,  
გიგულე ჩემად,  
ვდგავარ სახლის წინ, ეს ის ფოტოა,  
ბავშვი ვარ როცა,  
როცა, სულ ცოტაც და გასროლამდე  
წუთიდა რჩება...  
დღემდე მაფიქრებს მიტოვებული  
საფლავი, ჩუმი...  
სად არ გეძებე, ეს შემართება  
შენს ნახვად ღირდა...  
ო, მერამდენედ, მერამდენედ  
ეჭვებთან ჩხუბი...  
გამოაცხადეთ ჩემი რეისი,  
გაგრაში მინდა!



## გაზრის სკოლა განეხორებელია

მშობლიურ გაგრაზე ფიქრში ვათენებ და ვაღამებ. ახლა თენ-დება, იღვიძებს ჩემი ქალაქი, ნაზად მწვდებიან ოქროსფერი სხ-ივები. საოცრად მამშვიდებს უღრუბლო ზეცა. ეს ჩემი მამალი ყივის. ეს კი ჩვენი მერცხლის ბარტყებს დაუჭყეტიათ თვალები - გემრიელი ლუკმის მოლოდინში აჭიკიკუბულან. საყვარელ ნა-ცრისფერ ჩანთას ვიკიდებ მხარზე და „სკოლისკენ ჰერი-ჰერი.“ უკვე ჩამოვიტოვე სტადიონი, კინოთეატრიც... დღეს საკონტრო-ლო წერა მაქვს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ვღელავ, მა-გრამ არ ვიმჩნევ. თავი უნდა მოვაწონო ნათელა მასწავლებელს, უთუოდ დავიმსახურებ ფრიადს....

ფიქრებში ხშირად მივუყვები გზას სკოლისკენ, მომნატრებია ლურჯი მთები, მოკამკამე ზღვა, ჩემი სახლის ეზო, მომნატრებია ახლობლები, მეგობრები, მშობლიური სკოლა, თანაკლასელები, ვერა მასწავლებელი და ყველა, უკლებლივ ყველა. მათ მასწავ-ლეს სამშობლოს, მშობელი ხალხის, ენისა და სარწმუნოების სიყ-ვარული. შთამინერგეს ყოველივე, თუ რამ ღირებულია ადამიან-ში. ჩემს ყოველ წარმატებას მათ უნდა ვუმადლოდე.

აფხაზეთის ომის შემდეგ სკოლებს თავშესაფრის მიხედვით ვიცვლიდი და დავრწმუნდი, რომ ქ. გაგრის შოთა რუსთაველის სახელობის | საშუალო სკოლა განუმეორებელია.

\*გაგრის პირველი საშუალო სკოლა, იხილეთ გვ. 405

\* ჩემი პირველი მასწავლებელი - ვერა კვარაცხელია, ჩემი კლასის დამრიგებელი - ნათელა სიმონია და კლასელები. ომამდე და ომის შემდგომ გადაღებული ფოტოები. იხილეთ გვ. 406-407

\*\*\*

ვუძლვნი არაერთი თაობის აღმზრდელის, ჩემი ბებიის -  
ლილი სურმავას (გაგრის პირველი საშუალო  
სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლის)  
და ჩვენი მშობლიურ სკოლის  
მასწავლებლების ნათელ ხსოვნას

ეს ლექსი ბებიის ერთმა საინტერესო დარიგებამ დამაწერინა,  
ყველაფერი კი ასე დაიწყო: ერთ - ერთ უმაღლეს სასწავლებელ-  
ში პირველი ჯგუფური მუშაობის ჩატარებამდე, ბებიისგან მი-  
ვიღე რჩევა; რამდენიმე საათში უნდა დაწყებულიყო სემინარი,  
ძალიან ვლელავდი, არ ვიცოდი, როგორ მიმიღებდა აუდიტო-  
რია; მაინტერესებდა, როგორ მომმართავდნენ ჩემზე 3-4 წლით  
ახალგაზრდა გოგო-ბიჭები. მაშინ ბებიამ მითხრა: მთავარი არ  
არის პატივისცემა პირველივე საათზე დაიმსახურო, მთავარი  
არც ის არის, რომ ბატონობით მოგმართონ, მთავარია, მოს-  
წავლეს, სტუდენტს გაუჩინდეს მომავალში შენთან შეხვედრის  
ინტერესი და გულწრფელად გინოდოს „ჩემი მასწავლებელი“,  
ბატონობით შეიძლება მიმართო ადამიანებს და გამოხატო მათ-  
დამი მოკრძალება, გულწრფელი ან მოჩვენებითი პატივისცემა,  
რიდი ან შიში, მაგრამ როცა ვინმე მასწავლებელს გინოდებს,  
ეს, პირველყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობაა; მასწავლეო,  
თითქოს, გეუბნება და გთხოვს, ზოგჯერ ითხოვს აღსაზრდელი  
და შენც უანგაროდ ასწავლი სამშობლოსა და მშობელი ხალხის,  
დედაენის სიყვარულს, ოჯახის, მშობლების, უფროსების პატივ-  
ისცემას, ეხმარები პიროვნებად ჩამოყალიბებაში, ამიტომ დიდი  
განსხვავებაა „ბატონსა“ და „მასწავლებელს“ შორის. მჯერა,  
რომ შენ დამსახურებულად იქნები ბატონი და მასწავლებელიც  
და უდავოდ დაიმსახურებ, შენი მოსწავლეების მხრიდან, პატივ-  
ისცემას. აკეთე შენი საქმე სიყვარულით, რწმენით და გადასდე  
ეს სიყვარული და რწმენა სხვებსაც. მაშინ ყველაფერი გამოგივა,  
მაშინ შენი იმედი ყოველთვის თვალახელილი ივლის!“ - მმოძღვ-  
რავდა ბებია.

## ხვალ გაგრას გულში ჩავიკრავ


ჩვენს მასწავლებლებს, უკლებლივ ყველას,  
ვიხსენებ კრძალვით, ვიხსენებ სკოლას,  
როგორ ვსწავლობდით მშობლიურ ენას  
და ჩვენი ქვეყნის სიყვარულს, მოვლას . . .  
ძილს ვუფრთხობ იმედს, ვაღვიძებ ისევ,  
ახლა დუმილი ნამდვილად არ ღირს,  
მივქრი გაგრისკენ, გულს რწმენით ვივსებ,  
ვნატრობ ჩემს ქალაქს, ტკივილით დაღლილს . . .  
აი, უშიშრად დგება იმედი,  
გუშინ რომ თვლემდა, სულ ერთი ციდა.  
რწმენამ მომიხმო, ტაძრად მივედი,  
მზე სითბოს აფრქვევს უღრუბლო ციდან;  
თუ რამ ეჭვს ბადებს ჩემში, ჩავიკლავ!  
არა! - გავქარწყლავ ყველა ეჭვს ლოცვით.  
მჯერა, ხვალ გაგრას გულში ჩავიკრავ,  
ლურჯთვალა რინის გავძლები კოცნით!  
მოვეფერები ქათქათა სახლებს,  
მშობლიურ სკოლას, საყვარელ ქუჩას  
და თუ ჩემს იმედს ხელს ვინმე ახლებს,  
ზღვამ ჩაიტანოს, ფსკერი რომ უჩანს!  
საფლავს გავაცლი სევდას და ბალახს,  
თან ჭიქა ღვინოს ვაპკურებ მიწას,  
წინაპრის „სახეს“ ჩამოვწმენდ ტალახს  
და გავაღმერთებ იმ წუთებს, იმ წამს!  
პატივს მივაგებ მეომრის ხსოვნას,  
ვინც არ გატეხა ვაჟუაცის ფიცი;  
მერე ჩემს მერცხალს შევასმენ თხოვნას,  
სულ სხვა გაზაფხულს მოიყვანს, ვიცი!  
დაისადგურებს სიმშვიდე ხალხში,  
კვლავ მობრუნდება ის თეთრი გემი  
და ჩემს სკოლაში, ჩემს ლამაზ სახლში  
იურიამულებს ქართული გენი!

\*დამატებითი ფოტო მასალა; იხილეთ გვ.408

\*\*\*

(ბაბუას - ვალერიან ოჩიგავას ნათელ ხსოვნას)

მზემ სხივები გამოფინა,  
სახლის კართან ლანდი მოჩანს,  
იმ კედლებში ახლა ბინა  
„აულია“ სულ სხვა ოჯახს...  
ეს უკარგავს მოსვენებას  
ლანდს, რომელსაც ხშირად ნახავთ,  
ჩივის სახლში სითბოს კლებას, -  
ეს ბაბუას ლანდი გახლავთ.  
მიდი-მოდის მოუსვენრად,  
სულ ჩერდება ვაზის ძირთან,  
ეჱ, ტყვიების მაშინ ცვენა  
ასეთ ყოფად, ნუთუ, ღირდა?!  
სურნელებას აფრქვევს ვაზი  
და „ადესის“ მტევნებს არხევს,  
მოხუცის ლანდს მოსდის ბრაზი  
და უსიტყვოდ სევდას ამხელს.  
ისე არვინ უვლის ახლა  
ჩემს ეზო-კარს, როგორც ადრე,  
დავიწყნიათ ვაზის გასხვლა,  
ზოგიერთ ძირს მოჭრაც ჰკადრეს!  
ბაბუ ნარგავს ეფერება,  
ყურძნის მტევნებს ჩუმად არხევს  
და იმ უცხოს ემტერება  
მის დარგულ ვაზს ხელს თუ ახლებს...  
არ კითხულობს - „სო რექ, ღორონთ?“<sup>1</sup>  
საფლავებზე რად არ ვჩანვართ...  
ტკბილ შეძახილს ნატრობს მხოლოდ -  
ჩვენ დავბრუნდით, ბაბუ, ჩვენ ვართ!



<sup>1</sup> მეგრ. - სად ხარ, ღმერთო?

## ფიქრები ჩემს ქალაქზე

აქ დგას, სადღაც, ჩემი სახლი,  
აქვე არის ჩემი ქუჩაც...  
და ფიქრები ჩემს ქალაქზე  
ზამთრის ქურქში შეიყუჩა...  
აქ დგას ჩემი მაგნოლია,  
სადღაც აქვე, მღერის წყარო  
და გაუძლებ, გულო, როგორ, -  
ეს ზღაპარი არ იწამო?!  
ეს პალმებიც მეცნო, მგონი,  
ნაცნობია კიპარისიც...  
თუ სიცხადეს არ ვირწმუნებ,  
მაშ, მჯეროდეს, აბა, რისი?!  
ეს ხომ ჩემი ლურჯი მთაა,  
ეს შიშველი ხეა ხურმის,  
ნეტავ, ვინმე იქ, ჩემს სახლში,  
აიღებდეს ხელად ყურმილს...  
შევახსენებ, რაც ჩემია,  
რომ ამ ტაძრებს ჩემი ჰქვია,  
რატომ ჰქვია გაგრას ჩემი,  
ათასჯერ რომ შემიქია...  
სადღაც აქვე, ამ თეთრ თოვლში,  
მიდი - მოდის ბაბუს სული,  
არ იქნება არ ვიპოვო,  
სადმე ია ამოსული...

## სულს ღაფავდა ნოემბერი

წვიმა უკვე აღარ ჰგავდა ნამდვილ წვიმას,  
წვეთებს, თითქოს, დატყობოდა ზამთრის ხელი...  
თბილ ოთახში ქსოვდა ბებო ფერად წინდას  
და ბუხარში ტყაცუნობდა შეშა - ხმელი...

სულს ღაფავდა ნოემბერი, სველ ჭიშკართან,  
არ უნდოდა შემოდგომას ჩვენთან გაყრა  
და მოყვარე რომ ვერ ნახა სახლის კართან,  
იცადა და მერე სადღაც ქარებს გაჰყვა...

ის ბავშვობაც მასთან ერთად მიჩუმათდა...  
მიჩუმათდა ხმა - ბავშვური, ჭყაპა - ჭყუპის,  
ვერ გახელდა ნოემბერი, დრო ვერ მართა,  
ზამთარს მოჰყვა ჩემი გაგრა - ცალი ტყუპის...

დატყობოდა ქალაქს ჩუმი მარტობა,  
ცხადსაც ჰგავდა ეს ამბავი, თან არ ჰგავდა,  
წვიმა შლიდა ომის კვალს და შლიდა მტრობას...  
ისევ სულზე მეკრობოდა სველი გაგრა;

ვაშენებდი მასთან ერთად სულის ტაძრებს,  
ბებო რთავდა ბოლო შტრიხებს, ჭრელი წინდის  
და მოჰქონდათ სურნელება ფიქრებს, აზრებს...  
ბებოს სახლის, პარკისა და ძველი წიგნის..

## რა ნომერზე დაგილაკო, მითხარი?

გაგრა, გაგრა, გაგრა - ვყვირი ყოველდღე,  
ვიღაც ბავშვი ჩემს ეზოში ხითხითებს  
და აბრაზე მიწერილი რვიანი -  
ჩემი სახლის მისამართზე მითითებს...  
ნაცნობ ქუჩას მივუყვები მდუმარედ,  
მოგონების წვიმა მოდის - მასველებს,  
რუსთაველის სახელობის, პირველი...  
მშობლიური სკოლის სახელს მახსენებს...  
ათასობით წამის ვცდილობ აღდგენას  
და ბავშვივით ვიკარგები ციფრებში,  
ორ ოქტომბერს ფიქრებიდან რა წაშლის,  
რა გააქრობს ომის კადრებს სიზმრებში?!  
როცა ნატვრა ჩემს საგულეს ვერ ჰგუობს,  
შენს მზეს ეძებს, ხშირად, სწორედ მას უხმობს...  
ტელეფონის ჩემთვის ნაცნობ ნომრებზე  
ახლაც ვრეკავ, მაგრამ არვინ მპასუხობს...  
მზეო, ისევ დამიბრუნე იმედი,  
არ დატოვო ჩემში ეჭვი მისხალი...  
შენ - გაგრაში დაკარგულო ბავშვობავ!  
რა ნომერზე დაგირეკო, მითხარი?



## ჩემი თეთრი დათუნია

შორს, ღრუბელი ცას ეკვროდა,  
ნაცრისფერი იყო გაგრა...  
ნუთი წამში თავსდებოდა,  
არ მინდოდა მზესთან გაყრა...

ამოსუნთქვას ვერ ვასწრებდი,  
დრო მიქროდა ისე ურჩად,  
მცირედითაც ვერ ამწევდით;  
მხრებზე მეწვა ზღვაც და ქუჩაც...

ნისლს ვფანტავდი და ვერ ვძლებდი,  
რომ არ მახლდა გემი, იქვე,  
ჩემს ბავშვობას დავეძებდი,  
საცოდავად ეგდო პირქვე,

ნეტავ, წამით შემხებოდა,  
წავიყვანდი ჩუმად, სადმე,  
არასოდეს შეხვდებოდა  
ის, რაც მერე გამოვცადე...

სადლაც შიში იდგა ლანდად,  
არ მიშვებდა ჩემს ძველ სახლთან,  
დრომ ფიქრებზე იძალადა  
და დამტოვა ასე სახტად...

ახლა ვცდილობ მოვიცილო  
სევდა - მიაქვს თან თუ ნიავს,  
იქნებ, ვნახო, მოვიძიო  
ჩემი თეთრი დათუნია...

## იმ „კუთხეში“ მინდა

ბნელ კუთხეში მოგონების  
ისევ ვახრჩობ დუმილს,  
ხელით ვეძებ სიბნელეში  
ტელეფონის ყურმილს,  
გაშიშვლებულ ფიქრებს აფრთხობს  
გაწყვეტილი ზარი  
და სიჩუმე კედლებს ანგრევს  
შორს წასული ბზარით,  
მერამდენედ დამაბრკოლა  
უსახურმა ჩიხმა,  
მერამდენედ დამიღამდა  
შენი ზეცის მიღმა...  
ხან კუთხეში მიმიმწყვდიეს,  
ხან გამაძრეს სული,  
ასჯერ მაინც მიმაბრუნეს  
მთებით გადმოსული...  
მაგრამ არის ერთი კუთხე,  
ჩემი სულის ლანდი,  
სადაც ლოცვა მისწავლია,  
სადაც მზის სხივს ვგავდი,  
აი, ერთ ჩემს ძველ ფოტოზე  
კუთხე გამოვლინდა,  
ეს ხომ ჩემი სახლის ფრთაა,  
იმ „კუთხეში“ მინდა...



## საოცარი მონატრება

საოცარი მონატრებით ივსები,  
ამ მხარეში ერთხელ თუ ხარ ნამყოფი,  
ჟოლოს ბუჩქებს, ჩემი გაგრის ეზოში,  
ხელმეორედ გამოუსხამს ნაყოფი,  
ბილიკს მივსდევ მანდარინის ბალისკენ,  
მოჩანს შინდი - ლალისფერი მძივებით,  
იქვე ახლოს თავს იწონებს თხილნარი,  
ერთმანეთში გახლართული ძირებით.  
ომამდე რომ მწვანე ეზოს შევმატე,  
დგას ხეებად პროწეულის ნერგები,  
ნუთუ, გაგრა არ ისურვებს ჩემს ნახვას,  
ნუთუ, გაგრას შვილად აღარ ვერგები?!  
გადაეცით მზეს, იმ მხარეს ამოსულს,  
რომ გაგრაში დაბერება მეწადა,  
დამიჯერებთ? - ჩემს ეზოში ხეტიალს  
ვისურვებდი სიცოცხლეზე მეტადაც...

**გამრა, პარათაშვილის | შესახვევი, სახლი 8...**

ო, რომ შემეძლოს, მზეს დავასწრებდი შენთან შეხვედრას  
და გაზაფხულსაც მე მოგიყვანდი, მერცხალზე სწრაფად,  
ვინ დამასწრებდა განავარდებას, რინის შემხედვარს  
და თავს ვიგრძნობდი გასაოცარი სამეფოს გრაფად...  
ჩემს ქუჩას ისევ დაერქმეოდა „ბარათაშვილის“,  
ხო, გაზაფხულსაც მე მოგიყვანდი, მერცხალზე სწრაფად...  
მთებიდან ზღვამდე შევიქმნებოდით ბარად გაშლილი,  
შენ იქნებოდი სახლის სარკმელი, მე - შენი რაფა...

## რა იქნება?

თვალებს ვახელ, სანამ დილას შევიცნობდე,  
მზე ღიმილით ჩემს ოთახში შემოვიდა,  
რა იქნება, შენს თბილ სხეულს შევიგრძნობდე,  
თენდებოდეს სწორედ ისე, შენ რომ გინდა...  
მოდი, სანამ წლებმა თმები გამითეთრეს,  
მოდი, თორემ ფიქრებისგან გამომცლიან,  
რა იქნება, იქ, იმ სახლში გამითენდეს,  
სადაც მთები ზღვას ხვდებიან და კოცნიან...

## მაინც მჯერა, მოვა დილა გაგრული...

მენატრება ზღვის ტალღებთან თამაში  
და სიმღერა, ლურჯი მთების დაკრული...  
თვალებს ვხუჭავ, ფიქრს მივყვები და მაშინ,  
მითენდება ჩემი დილა გაგრული...  
მახსენდება გზა სახლამდე სავალი  
და „რვიანი“ - ჩვენს ჭიშკარზე გაკრული,  
ვერ ვიპოვე ვერსად გამოსავალი,  
ვერსად ვნახე გათენება გაგრული...  
ის სხივები მხოლოდ ჩემი მზის არის,  
იმედი მაქვს სადღაც გულში დარგული,  
არც გიჟი ვარ, ღმერთო, აღარც მისანი,-  
მაინც მჯერა, მოვა დილა გაგრული...

## 32პრუნებ

(აი, რატომ მინდა დაგიბრუნო)

მოგონებებში, გაგრაზე ფიქრში,  
ვაპრუნებ წუთებს, უტკბილეს წუთებს,  
ვაპრუნებ თეთრ გემს, მოვუხმობ ქალაქს,  
ნანატრ მშვიდობას ღამეს რომ უთევს...  
ვაპრუნებ პალმებს, საყვარელ ქუჩებს,  
ვაპრუნებ იმ დროს, არ მაკლდი როცა,  
ვლოცავ შენს ზეცას, ვკოცნი შენს მიწას,  
იქ დაბადების წუთებსაც ვლოცავ!  
ვაპრუნებ ფოთლებს გარინდულ ხესთან,  
ვაპრუნებ მერცხლებს, ჩვენს ლამაზ მერცხლებს,  
ვაპრუნებ ეზოს, ვაპრუნებ სახლ-კარს,  
გული უშენოდ, ქალაქო, ვერ ძლებს!  
ბებიის სახლთან, დაფერფლილ სახლთან,  
წამით ვაპრუნებ ბავშვობას, თითქოს,  
რა ტკბილი იყო იმ სახლში ყოფნა,  
კვლავ იმ დღების შევიგრძნობ სითბოს;  
ვაპრუნებ სურნელს ლურჯი ზღვის, მთების,  
ვინც გვერდით გვყავდა, ვაპრუნებ ყველას,  
ვაპრუნებ მზის სხივს - იმედით მოსილს,  
მზის სხივს ვაპრუნებ - გრძნობით რომ დელავს...  
ვაპრუნებ კერას, მშობლიურს, ქართულს,  
ვაპრუნებ რწმენას, ვაპრუნებ ტაძრებს...  
წუთუ, ეს ზეცა, ნათელი ზეცა,  
უსიყვარულოდ, უჩვენოდ გაძლებს?!  
მიჭირს მოვუხმო უმძიმეს წუთებს,  
ვლამობ გაქცევას, დროს ვებრძვი, მაგრამ  
ვაპრუნებ სევდას, ვაღვიძებ ტკივილს,  
რომ ცხადად ვნახო ახალი გაგრა!

## ნითელი ვარდი...

ვიხსენებ ქალაქს, - ეთაყვანება  
და ყველა ეტრფის, ვინც კი მას იცნობს,  
ისიც მახარებს, რომ ჩემი სახლი  
ზოგჯერ, ერთ-ორ კაცს ისევ მასპინძლობს,

გულს მითბობს, რა ვქნა, რომ ჩემს ეზოში  
ასე თუ ისე, ვიღაცა დადის;  
სახლის კედელზე ვითვლი ნაკვალევს  
სურნელოვანი წითელი ვარდის...

დრო გაზაფხულობს, პატარა შვება  
ხან წამით ჩნდება, ხან მემალება,  
ვარდობის თვეა მომდგარი კარზე  
და მენანება და მენანება...

ო, როგორ ვნატრობ იმ დროს, როდესაც  
იყავი ჩემი, სულ გვერდით მყავდი,  
ისევ მიიწევს, როგორ მიიწევს  
სახლის კედელზე წითელი ვარდი...



## ბალჩას ვარდი ჩანდასუნი<sup>1</sup>

იდგა გემი, უხმოდ იდგა...  
იმ ნაპირთან არმისული,  
და ვინატრე ვარდობის თვეს  
ბალჩას ვარდი ჩანდასუნი...  
მომავონდა ჩემი ეზო,  
ის დღეები გარდასული,  
გაზაფხულმა მომანდომა  
ბალჩას ვარდი ჩანდასუნი...  
იწვა გაგრა ჩემს მკლავებზე,  
ფერმიხდილი ჩანდა სული...  
და ორივეს გვსურდა ერთი, -  
ბალჩას ვარდი ჩანდასუნი...



1 „ბალჩას ვარდი ჩანდასუნი“ - ბალში რომ ვარდი ხარობდეს.

## ჰორტენზია

თავი ველარ დავალნიე უჩვეულო ხილვებს,  
რარიგ შვენის გაბრწყინება მზის ოქროსფერ სხივებს,  
ცხელ ძარღვებში ახლა გაგრას გაზაფხული უჩქეფს...  
რარიგ შვენის ყვავილობა ჰორტენზიის ბუჩქებს...  
ცას სიცოცხლე დატყობია, თითქოს, არ ჰგავს სნეულს,  
მზე მიწაზე ჩამოსულა და იგრილებს სხეულს,  
ყვავილები შესევია გაგრის ფერად ქუჩებს,  
რარიგ შვენის ყვავილობა ჰორტენზიის ბუჩქებს...

## ოლეანდრეპს გამოყევი ნაპირამდე...

ისე გელი, როგორც ბავშვი, მოთმინებით...  
დროს ფიალა აუვსია, თან, პირამდე...  
იქ, ლურჯ ზღვასთან გელოდები, მოდი ნებით,  
ოლეანდრებს ჩაუყევი ნაპირამდე...  
მოდი, ერთად გზას გავუყვეთ კენჭებიანს,  
მოვუსმინოთ იმ ტყბილ ჰანგებს წარსულიდან...  
მოლოდინი, ქართან ერთად, ეჭვებს მიაქვს,  
არ მითხრა, რომ თეთრი გემი წასულია...  
დრო ფიალას არ ეშვება, გადამრია,  
მოთმინებით აუვსია, თან, პირამდე  
იქნებ მითხრა, თოლიები სად არიან?  
ოლეანდრებს გამოყევი ნაპირამდე...

\*ჰორტენზია - იხილეთ გვ.409

\*ინსპირაცია: მხატვარ ბექა ხუცურაულის არაჩვეულებრივი ნამუშევარი; იხილეთ გვ.409

## ევკალიპტის ხეივანი

ჩემს გულს ვშველი, შენს დიდ გულზე შედუღებით,  
უდავოა, რომ ხელს ისევ ხელი ბანს...  
მე და ფიქრი ფეხაკრეფით შევუყევით  
მარადმნვანე ევკალიპტის ხეივანს...

შენს კმაყოფილ გამოხედვას ვიჭერ გვიან  
და წამებზე ვევიდები ფრჩხილებით,  
მზესთან ერთად ფოთლებიდან იჭრებიან  
დაბრუნებულ ანგელოზთა ჩრდილები...

ამ გზის ბოლოს ნაღმებს ნეტავ, აღარ დებენ?  
შენს სიღრმეში კვლავ ჯიუტად ვიჭრები,  
აქ ხეები და ფოთლებიც ღალადებენ  
ხმებით - შენთვის შეწირული ბიჭების!

ჩემი ნელი მოძრაობა ნუ გადარდებს,  
ხომ ხედავ, რომ ჯერ არ ვგავარ ხეიბარს,  
მზეს უთხარი, „გათენებას“ ნუ გადადებს,  
მოვუყები ამ სასწაულ ხეივანს...



## გამიშვით...

ნუ მიდგენთ საზღვრებს, ნუ შემაჩერებთ,  
ჩემს თოლიასთან ჩუმად გამიშვით,  
გამიშვით, წავალ... მომნატრებია  
გაგრა - თავისი მთებით, გაგრიფშით...

ჩემს ერთ ოცნებას ნუ დამაშორებთ,  
სახლ-კარის ნახვას ნუღარ დამიშლით,  
ფრთებს ნუ დამაჭრით, იქნებ, ვიხილო  
გაგრა - თავისი მთებით, გაგრიფშით...

თუკი გამიშვებთ, თუ მომენდობით,  
ტკივილით სავსე გულსაც გაგიშლით,  
მერე მიხვდებით, რატომ ვსულდგმულობ  
ისევ გაგრით და ისევ გაგრიფშით!



\*გაგრიფში (სასტუმრო-რესტორანი); იხილეთ გვ.410

## გულს უსმითე...

აღარ ვუსმენ ბოლმანარევ, ათას რამეს, შენზე ნათქვამს...

და მტრის პირით საქილიკოდ გამოსროლილ „ვიდი, ვიცებს“...

მე ნუ მიცქერ, გულს უსმინე, ის ჩემს დარდებს მაინც გათქვამს,  
„ქარიშხლის დროს დადებულ ფიცს წყნარ ამინდში ვინ ივიწყებს?!”<sup>1</sup>

ვინ ივიწყებს მშობლიურ სახლს, სახლის სხვენზე ხის ძველ აკვანს,

მიწის ყოველ კუთხე-კუნჭულს, მშობლიური ეზო-კარით,

გასაოცარ სანაპიროს, მწვანე ქედი გარს რომ აკრავს,

აბა, სცადეთ, ახლა ჩემში ყოველივე ეს მოკალით!

ვინ ივიწყებს პირველ განცდას ლურჯ ტალღებთან შეჭიდების?

პირველ კოცნას, ტუჩებზე რომ ფიფქებივით დაგადნება,

როგორ უნდა არ გახსოვდეს ჩახუტება ლურჯი მთების...

და როდესაც მზე ყოველდღე იპადება, განა დგება...

ამიტომაც, გეუბნები, ვერაფერი შემაჩერებს,

ამიტომაც, ნულარ უსმენ იმათ „ვენი, ვიდი, ვიცებს“<sup>2</sup> ...

ფიცს არასდროს გავტეხ გესმის, დაე, ღმერთმა შემაჩვენოს...

„ქარიშხლის დროს დადებულ ფიცს წყნარ ამინდში ვინ ივიწყებს?!”

1 უილიამ შეზლიტის მიხედვით.

2 დასაშვებად მივიჩნიე და გამრავალფეროვნების მიზნით, ლექსში გამოვიყენებე მრავლობითი რიცხვის ფორმით - Veni, vidi, vici (ლათინურიდან: „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“) — ლათინური ფრთიანი გამოთქმა, რომელ-იც, აბიანეს თანახმად, ეკუთვნის იულიუს კეისარს, რომელმაც ეს სიტყვები გამოიყენა რომის სენატში ძ. წ. 47 წელს, მას შემდეგ, რაც გაიმარჯვა ფარ-ნაკე II-ის წინააღმდეგ გამართულ ზელასთან ბრძოლაში. ფრაზა გამოიყენა სწრაფი გამარჯვების აღსაიშნავად.

## ჩემს მონაცრებულ და ნაცვიმარ ქალაქს

მოდის წვიმა აფხაზეთში, ქუჩებს სახლებს ჰპანს  
და ბავშვობის ნაცნობ ჰანგებს დრო აყოლებს ბანს,  
ეს მოხუცი ჩვენს მეზობლად მცხოვრებ აფხაზს ჰგავს,  
მახსოვს, მაშინ მის ეზო-კარს ვაფარებდით თავს;  
...იყო ომი, ამ ომისთვის არ ვიყავით მზად,  
ერთმანეთან მისასვლელი ჩაგვიხერგეს გზა,  
მიკვირს, გული როგორ გიძერს, მარტო როგორ ძლებს?!  
ერთი წელი შეემატა მონატრების წლებს...  
ვიღაც პირქვე დამხობილა, ისევ წყევლის ომს,  
შვილის ცოცხლად დაბრუნებას ყველა წმინდანს სთხოვს...  
ფიქრს იმედთან განშორების ვპარავ ყოველ წამს,  
ისევ შენთან დაბრუნების და შეხვედრის მწამს!



ეს ფოტო ნათელი დასტურია ჩემი მშობლიური ქალაქის მულტიკულ-ტურულობისა და ერთ სივრცეში სხვადასხვა ეროვნების ადამიანის გაერთიანებისა. ფოტოზე ამოიცნობთ ქალბატონ ვალენტინა ჩაჩბას - ქ. გაგრის საავადმყოფოს მთ. ექიმს და რაც მთავარია, არაჩვეულებრივ ადამიანს. მას ბევრი ქართველი ემადლიერება. ვერადლიერები მეც, იმისთვის, რომ მამა იმ საშინელ ომს გადაურჩა.

„რთულია იცხოვრო ომის პირობებში, როდესაც ორივე მხარეს წარმოადგენ“ - ვალენტინა ჩაჩბა

## პავლი, ასე ნაცხობი...

ფანჯრის სარკმელს წვეთი მოსწყდა, თეთრ ღრუბელთან ბრუნდება,  
თითქოს, ზეცა ისრუტავსო, მიდის, მაღლა იწევა...  
ვინ გითხრათ, რომ შემოდგომა წუთებს ითვლის, სრულდება?!  
დროსთან ერთად, ჩემს ჰამაკში კვლავ ზაფხული ირწევა;

ყვითელ ფოთლებს, სიგიჟეა, მაგრამ სახე ეცვალათ  
და ბუნებას მწვანე ფერი შეემატა, ხალასად,  
თუ მზის სხივებს, სანუგეშოდ, გუშინ სულ არ ეცალათ,  
მზე დღეს ისევ მომევლინა თბილსხივების ხარაზად;

ვიღაც მოხუცს ვამჩნევ გზაზე, დროს მიჰყვება მდუმარედ,  
ვერ გავიგე, მიდის, მოდის, თუ არ იძვრის სრულებით?  
თუ შევხვდებით, ალბათ მეტყვის - წლები ღირდა თუ რამედ?  
ოცნებებო, როგორ ჩნდებით ან როგორლა სრულდებით?

დრო ისრებზე დაეკიდა და უკუსვლით ანაცვლებს,  
ამ გზის გავლას, მეჩვენება, რაღაც დიდხანს ვუნდები  
და არ იყოს წვიმის წვეთის, მიწაზე რომ აღარ ძლებს,-  
ნინ მივიწევ, თითქოს, მაგრამ მაინც უკან ვბრუნდები...

სად გაიქცა ის მოხუცი? - არ იჩქარა გაცნობა,  
ფიქრებს, ასე მოზღვავებულს, რა უღონოს ამ გულმა?  
ახლა გვერდით ჩამირბინა ბავშვმა, ასე ნაცნობმა,  
მასთან ერთად ჩაიარა ბავშვობამ და ზაფხულმა...



## მშობლიური ქალაქის სურველი...

თითქმის დადგა გაზაფხული, გაგრა, სად ხარ? - ვერ ვხვდები...  
ტკბილად ვკოცნი დედას ყელზე და შენს სურნელს ვიბრუნებ,  
თითქმის დამდნარ თოვლზე ისევ პირველ იას ვემთხვევი  
და პირველი მერცხალივით დედის გულზე ვიბუდებ...  
ხო, ასეთი სურნელება კიდევ იებს ვუპოვე,  
იებია, რომ მახსენებს შენი მთების არომატს,  
დედის თვალებს, ხშირად, შენი ზეცის იერს ვუტოლებ,  
აი, დედა და იები მამშვიდებენ რატომაც..



დედა - ყველაზე ძვირფასი, გული (გულნარა) ფაცია

## შობა პრაღაში

მაგისტრატურა და დოქტორანტურა პრაღის სახელმწიფო  
უნივერსიტეტში დავამთავრე. ეს ლექსიც სწორედ იმ დროს დაიწერა.

როცა ჩვეული სითბო მომაკლდა  
და სიმარტოვემ თავი იჩინა,  
ნატვრამ ფიქრისთვის დრო არ დამითმო,  
სული სიმღერამ გადამირჩინა.  
წერილს ვკითხულობ - დედა მიღოცავს  
შობა-ახალ წელს ხელით გაკრულით,  
ფანჯრის რაფაზე ჩიტი დასკუპდა,  
თოვლი მოვაო, - მამცნო კაკუნით.  
თოვლმა დაფარა მთელი ქალაქი,  
პრაღის ქუჩები ზღაპრის ფერია,  
დე, მენატრები, მალე ჩამოვალ,  
შობას გიღოცავ, ჩემო ფერიავ!  
აი, თენდება შობა - ბრწყინვალე,  
დღე სამშობლოზე ფიქრით იწყება...  
გაგრას, ბავშვობას, დედის ნანინას...  
ვერ გავიმეტებ დასავინყებლად!



## მოპის ლამა

მზე, უსულო სხეულივით, თითქოს, ზეცას დაეკიდა, -  
გაგრის ქედის შემხედვარე, ითხოვს - სულით ამავსეთო,  
რა ვინატრო ამ ახალ წელს, წუთი წამებს გაეციდა,  
მშვიდობა და სიყვარული დაგებედოს, აფხაზეთო...  
ვაღებ სარკმელს, შობის ლამეს გულს იმედი ეფინება,  
ჩემი სახლი მომენატრა, იქ ვცხოვრობდი, აქ ვარსებობ,  
ანგელოზთა გუნდი მაღე ქუჩებს გამოეფინება...  
დამიბრუნდი, დამიბრუნდი, დამიბრუნდი, აფხაზეთო!

## პველი გაგრის უპის მალოდივი

მზეც კი იცნობს მიზეზს ჩემი წყურვილის  
და წინაშე ვდგავარ მე რომ დილემის...  
არც შენა ხარ ჩემთვის ამოწურული  
და არც ხიბლი შენი მელოდიების...  
ვერ გავძეხი ცქერით შენი ლურჯი ცის  
და ხასხასა შენი მდელოს იების,  
ჩემში ცხოვრობს მოგონება ურიცხვი  
ძველი გაგრის უბნის მელოდიების...

\*ძველი გაგრა. მდ. უოეკვარას ხეობა. იხილეთ გვ.410

## ქარმა ფოთოლს დაუთვალა ცუთები

ქარმა ფოთოლს დაუთვალა წუთები  
და გაგლიჯა ისე, როგორც აფთარმა,  
ნოემბერო! უკვე ნულარ წუხდები, -  
შემოდგომა გაიტაცა ზამთარმა...

ისევ ბარდნის, გუშინ უფრო ბარდნიდა,  
ბალებს, ქუჩებს თეთრი ქუდი ეხურა,  
ჩამოთოვა თოვლის თეთრი ფარდიდან  
და სარკმელთან შველას მთხოვდა ბელურა;

აჟღურტულდა თბილ უბეში გამთბარი,  
ალბათ, ჩემთან გაატარებს ამ შობას,  
გაზაფხულთან ერთად ჩუმი ზამთარი  
მომანატრებს ჩემს ქალაქს და ბავშვობას!



## მერა იყო განშორება

აბა, როგორ იქნებოდა,  
დღეს რომ აღარ შეგხებოდი?!  
შენზე სიტყვა რომ არ მეთქვა,  
რინა რომ არ მომეკითხა?!  
შენ ხომ მზეზე მეტი იყავ,  
შენ ხომ ზეცად მერგებოდი...  
შუალამეს შენზე ფიქრმა  
ლურჯი მთიდან მომაკითხა...  
ო, რამდენი ვისაუბრეთ  
თოლიების სიცელქეზე  
და ამბავზე მთების ზღვასთან  
საოცარი შეჭიდების,  
გამახსენდა ცხელ ნაპირზე  
როგორ ვხტოდით ცისფერ ქვებზე,  
მერე იყო განშორება,  
დადგა ჟამი შეჭირვების...  
ნეტავ, შენი დაბრუნება  
შევძლო მზესთან შერიგებით,  
ნეტავ, შევწვდე ზეცას, სადაც  
ანგელოზთა დადის გუნდი...  
დავიბედო მინდა ახლა  
სიარული შენი გზებით,  
დავიბედო მინდა შენგან  
მყარად თქმული - „დამიბრუნდი!“

## არ გეგონოთ, ნვიმას ვჩივი

არ გეგონოთ, ნვიმას ვჩივი,  
იყოს ზეცა ღრუბლიანი...  
ოღონდ კარებს იქ ნუ ჩადგამთ,  
ჩვენ შორის რომ ზღურბლი არის...

არც ამდენი სევდა მინდა,  
არც დაღლილი ჯარი ფიქრთა,  
იმ საწადელს მინდა ჩავწვდე,  
გაგრის ცამ რომ ჩაიფიქრა...

ვინ დამიშლის ახლა სიტყვა  
დავიშურო საქებარი,  
ნვიმიანიც მინდა გაგრა,  
მინდა პარკში კაფე-ბარი...

გაგრის იყოს და ავიტან  
თქეშსაც, მთიდან მოდენილსა...  
ერთ სიგარას დავჯერდები  
და ერთ ჭიქა კოქტეილსაც...

არ გეგონოთ, ნვიმას ვჩივი,  
იყოს ნვიმა, თქეშიც იყოს...  
ოღონდ გაგრამ სადმე ბარში  
ერთი წუთი გამომიყოს...

## სიზმარი

ნაპირთან ახლოს, ჯერ კიდევ თბილ კენჭებზე ჩამომჯდარი ვუცქერ, თუ როგორ ეალერსება ჩამავალი მზის სხივები მოლივლივე ზღვას. ლამდება... სანაპიროდან აშრიალებული და მერე ძევლი გაგრის პარკის სურნელებით გაჯერებული ნიავი პალმის რტოებს ეფერება, ირგვლივ მყუდროება ისადგურებს, დუმს მთელი არემარე. ძილი არ მეკარება და მშობლიურ მხარეს მონატრებული, სანაპიროს გასწვრივ ფეხით ქვიშას ვტკეპნი. გაგრის ზღვას სულ სხვა ხმა აქვს, სხვა სურნელი, სულ სხვაგვარად შრიალებს. მივიწევ ზღვისკენ, ის უკვე მისველებს ფეხებს, რა თბილია, რა სასიამოვნო, ნაპირთან თავმოყრილ კენჭებს ახმაურებს და ნელ-ნელა უცვლის ადგილს. აენთო მთვარე, ის სავსეა ამ სიზმარშიც და ჩვეულებისამებრ ზღვის კალთებზე გამოსახულ საკუთარ ანარეკლს უღიმის და ეჩურჩულება. წუთით ქალაქსაც შევავლოთ თვალი. რამდენ ტკივილს და სიხარულს იტევს ჩემი პატარა გაგრა. ალბათ, იძინებს ახლა. დაღლილი მეჩვენება, ლოდინით და მონატრებით დაღლილი. ალბათ, ჩემი მერცხლებიც დაუბრუნდნენ მშობლიური სახლის აივანზე აგებულ ბუდეს. ეს კი, ციცინათელებს რომ ჰგვანან, ჩვენი სახლებია, მთვარის შუქი რომ ეცემა და ისევ პატრონის დაბრუნებას ელიან. როგორ მენატრება ჩემი სახლი, ვერ ვპოულობ მას ამ სიზმარში. ვერც ახლობლებსა და ნათესავებს მოვკარი თვალი... ბოლოს ისევ ზღვის ნაპირზე ვიქარვებ სევდას.

სიზმარი მთავრდება, ირლვევა სიჩუმე, „ილვიძებს“ ომი და ასე გრძელდება უკვე რამდენი წელია. სწორედ ასე მესიზმრება ჩემი ზღვის მარგალიტი და მელვიძება პირველი ტყვიის გასროლის ხმაზე. ახლაც ამ საზარელმა ხმამ გამომაღვიძა. როგორ მინდა, წუთით შევავლო თვალი ომამდელ ქალაქს, გადავუფრინო მწვანეში ჩაფლულ მშობლიურ გაგრას, სწორედ ისეთს, როგორიც მახსოვს - მოკამკამე ზღვასა და ლურჯ მთებს...

## ჩ ა რ ლ ი

მხოლოდ მე ვგრძნობ რას მაღავს  
გული, უივილ - ხივილში,  
რა სევდაა, რა ნატვრა...  
კეთილშობილ ღიმილში;  
მომენატრა შენი ცა,  
ზღვის გაშლილი ნაპირი  
და ბავშვობას მიცოცხლებს  
ჩემი ჩარლი ჩაპლინი...  
ეს ხე, ეს გზა, ეს სახლი...  
ნაწილია გულისთქმის,  
ისევ ვცოცხლობ, ეჭვს ვებრძვი,  
გაგრა, შენი გულისთვის!



გაგრა, 1988 წ.

## პველი გაგრის საქანელა

შეუსუსტდა ფოთოლს ღერო  
და ქარს გაჰყვა სადღაც ნელა,  
როგორ მინდა, ავამღერო  
ჩემი კოხტა საქანელა...

წამოჩიტდა ბარტყი მერცხლის,  
თეთრგულა და მაკრატელა,  
მოგონების ხურჯინს ვერ ცლის  
ჩემი თეთრი საქანელა...

მზე ღრუბლებთან გაქცეულა,  
დრო კი იქცა საფარველად,  
პალმის ჩრდილში დგას ეულად  
და ქანაობს საქანელა...

ზღვა მიათრევს დამსკდარ ნავებს,  
გაჩნდი ჩემდა სადარდელად,  
ჩემს ბავშვობას აქანავებს  
ძველი გაგრის საქანელა...



## საქანელადან პირდაპირ წყალში...

გემი უთუოდ შეყოვნდა გზაში,  
ფიქრი მაცვივა ბოლოზე ქუდის,  
მხიბლავს ქედები, შესული ზვაში,  
ხედი, რომელიც სიცოცხლეს უდრის...  
ვხედავ თოლიებს ერთ ზოლში, გუნდად,  
უანგბაძს ვისრუტავ, ვიცვლები წამში...  
ახლა წავედი, ვისკუპო უნდა  
საქანელიდან პირდაპირ წყალში...  
შორს, საქანელამ ამაგდო ცაში,  
თითქოს, სიმძიმე აკლდება წონას,  
იქნებ, შეგეხო კიდევ ერთ ცდაში,  
იქნებ, აზრი აქვს დუმილთან ბრძოლას!



## ამ ტილოს

ერთი დღე უშენოდ ერთი წლით მაბერებს...  
მივყვები შენს ნაპირს, ზღვის ტალღით ნაფერებს,  
სიცოცხლე მიღიმის ბავშვობის სარკმლიდან,  
დრო სადღაც გაჩერდა, თითქოს, ხმა გაკმინდა...  
ავყევი თეთრ ღრუბელს, ცისკენ რომ გაქანდა,  
სიოც ჩვენ გამოგყევა და უცებ გაქარდა,  
შენს ზეცას ვეახლე, თვალი რომ შეგავლო,  
თოლია დამპირდა: „მის სულში შევალო“...  
ეშვება თოლია, მე ვრჩები ზეცაში,  
დრო ხატავს პეიზაჟს, რომელსაც ვერ წაშლი...  
ფრთაშესხმულ მეგობარს შორს ვატან გულისთქმას,  
რომ ვპოვო სიმშვიდე და სული მოვითქვა...  
ქარმა სულ უმატა, ღრუბელი დაფლითა,  
რომ დავეცემოდით, ელოდი დაბლიდან,  
თითქოს, ცამ ჩაგვყლაპა, გვაქცია ცრემლებად,  
შეიშრო თვალები, დაგვტოვა მძევლებად.  
არ ტირის შენი ცა, ვის უნდა დასტიროს?!  
იცის, რომ უფალი თავად ქმნის ამ ტილოს,  
დაჰყურებს სამოთხეს, უგზავნის სიყვარულს,  
ოხ, ნეტავ ცა ვიყო, გიყოფდე სიხარულს ...



## ჩემო აფხაზეთო!

ქარი მიმათრევს,  
შენს ცას ვეხები უსუსური ჩემი სხეულით,  
ვკოცნი ზღვის ნაპირს...  
ტკბილ წამებს მაჭრის უმოწყალოდ „დროის დალაქი“,  
ვრჩები უშენოდ,  
უმისამართოდ, უსახლკაროდ, სულით სნეული,  
ქრება სიზმარი,  
ნისლში გამირბის ნისლისფერი ჩემი ქალაქი...  
თავს ვინუგეშებ,  
საშველს არ ვაძლევ, ვათამამებ, ძილს რომ გაექცეს,  
რომ გამოვფხიზლდე  
და ეს სიზმარი, ღმერთმა არ ქნას, ცხადად არ მექცეს!



## ნიჟარა

მოგონებების გასაღვიძებლად,  
სახსოვრად დამრჩა ნიუარა ერთი,  
როცა ნიუარას გულდასმით ვუსმენ,  
თითქოს, აფხაზეთს მიცოცხლებს ღმერთი;  
საკმარისია, მივაყურადო,  
ჩამესმის ტკბილი, ნაცნობი ხმები,  
რამ მოგაწყინა ასე, პალმის რტოვ,  
რად არ შრიალებ და რატომ ხმები?  
შენ რატომ კვნესი, ჩემო სახლ-კარო,  
ქართული კერის ჩაქრობას შიშობ?  
რაზე ჩურჩულებთ, თქვენ, ლურჯო მთებო?  
ჩემო ტყეებო, თქვენ რატომ შიშვლობთ?  
შენი ხმაც მესმის, ლივლივა ზღვაო,  
ნალვლობ, შეგატყვე სევდიან ხმაზე,  
შენ რატომ სტირი, ჩემო თოლიავ,  
ნუთუ, ფიქრობ, რომ გაგცვალე სხვაზე?!  
ჩამესმის კვნესა დაჭრილი კაცის,  
სულ არ ვკითხულობ, რა რჯულის არის?  
ეს ჩემი ზეცის დამხობის ხმაა,  
ისმის კივილი მთისა და ბარის...  
ხმა ეს სასტიკი, ტკივილით სავსე,  
გულს აცლის დილას, სიკეთეს არ შობს,  
ის დროს აჩერებს, ამუნჯებს ქალაქს,  
ჩემი ბავშვობის ტკბილ ხმებსაც ახშობს,  
ზოგჯერ ყურს მოვკრავ უცნაურ ხმასაც,  
რაღაც ნაცნობი არის ამ ხმაში,  
ეს მიწა ყივის, მაფრთხილებს: „მოდი,  
თორემ დავახრჩობ შენს ქალაქს ზღვაში!“

## 1992 ლიუს 2 ოქტომბერი

ისევ მიყვარხარ, გნატრობ ესოდენ,  
შენს მთებს და ზეცას კვლავ ვეფერები,  
ვიხსენებ იმ დროს, როცა გესროდნენ  
და შემოდგომის დათმე ფერები;

თითქოს, ლამობდა სული გაქცევას,  
მახსოვს, ქუჩები როგორ მოგისპეს,  
ღამე გიქადდა მაშინ დაცემას,  
ღამე ეძებდა შენთვის ომის ფერს;

...და იყო ომი, გრგვინვა ისეთი,  
რომ არ დაგინდობს, ტკივილს რომ მოგვრის,  
სულს მაძრობს ღამე, სწორედ ის, ერთი,  
რომ მოსპო დილა ორი ოქტომბრის!



## ესროდნენ გაგრას

ოქტომბრის დილის სულ სხვა სურნელი მოპერონდა ნიავს...  
სევდის საფარქვეშ იმაღლებოდა ბარი - მთასავით...  
ესროდნენ გაგრას, ტალახთან ერთად, ესროდნენ ტყვიას...  
ის კი იტანდა, მაინც იტანდა, მარიტასავით...<sup>1</sup>  
რატომ იტანდა? - ვერ დაამცირა სიმხდალემ მონსტრის...  
იყო სიმართლე, სამარადჟამოდ მოწმე გულისა...  
ალბათ, სჯეროდა სხვა გაზაფხულის იმედად მოსვლის,  
ალბათ, უნდოდა მოსვლა ყვავილად, ბრონეულისა...  
ვუცეკერდი სურათს, „მშვენიერების ჯვარცმას“ რომ ჰეგავდა...  
ეკალდადგმული ციცქნა ქალაქი ჩემთვის ვარდობდა,  
გაგრამ იცოდა, იყო აღდგომაც იმ ჯვარცმის გარდა...  
გაგრა, თითქოსდა, მზეს უცაბედად ჩამოვარდნოდა...



გაგრის ძველი პოლიკლინიკა (აქ მუშაობდნენ დედა და ბებია)

---

<sup>1</sup> გიორგი ლეონიძის „მარიტა“ („ნატვრის ხე“)

\* \* \*

რანაირია ეს ოქტომბერი -  
ვცდილობ, რომ დავწერო...  
ის თან გვაშორებს, თან გვაკავშირებს  
ძნელია აღვწერო...

ვყვირი შენს სახელს და ცა მიწამდე  
ეშვება დროებით...  
ნეტავ, იცოდე როგორ მაკლიხარ,  
მე - შე - მო - დგო - მე - ბი...

არ დავნებდები, არ ავცრემლდები  
მეშველა გოდებით?!  
ჩემო გაგრიფშო, ჩემო პალმებო...  
მე - შე - მო - დგო - მე - ბით...



## რა დაგავითხობს?!

თვალცრემლიანი ვტოვებდი ქალაქს,  
მახსოვს, იწვოდა იმ ღამით გაგრა,  
ყველა ოცნება წაიღო ქარმა,  
მერე ღიმილიც უკვალოდ გაქრა...  
მამინ ჩვილ ბავშვსაც ესროლეს ტყვია,  
მამინ ქალაქი სხვა ქალაქს ჰგავდა,  
თუ რამ შეეძლოთ წაიღეს, დაწვეს,  
სიყვარულის და ღირსების გარდა.  
რა დამავიწყებს ტყვიების წვიმას,  
სისხლიან ღამეს, ცრემლიან მთვარეს,  
ცეცხლში გახვეულ საყვარელ ქუჩას  
და სევდით სავსე გაყინულ თვალებს...  
თვალცრემლიანმა დავტოვე გაგრა,  
ნეტავ, ოცნების ფრთხებს როდის გავშლი?  
დავემშვიდობე დროებით ლურჯ მთებს,  
თითქოს, ბავშვობა მომტაცეს მაშინ.



\* ომის კვალი; იხილეთ გვ.411

## 1993 წლის 27 სეპტემბერი

შემოდგომაა, მზე ამბავს ჰყვება  
ნითლად შეღებილ ფოთლების ჯარზე,  
ჯვართამაღლებას, გამთენისას,  
ჩვენი სოხუმი გააკრეს ჯვარზე...

ზეცა მიამბობს ტკივილზე მიწის,  
მარტოდ დარჩენილ ქალაქის ჯავრზე,  
დაძრწის იმედი უმისამართოდ,  
ჩვენი სოხუმი გააკრეს ჯვარზე;

ეს გამარჯვება განა მეტია  
ყელამდე სისხლით ავსებულ ჯამზე?!  
ყველა დამარცხდა, ჯვართამაღლებას  
ჩვენი სოხუმი გააკრეს ჯვარზე...

ფიქრები ომზე სინანულს მმატებს,  
უშენოდ ყოფნის მაფიქრებს მსჯავრზე,  
ცოდვათა ჩვენთა გასაქარწყლებლად  
ჩვენი სოხუმი გაეკრა ჯვარზე!



\*ომისდროინდელი სოხუმი; იხილეთ გვ.412

## 30 დაგიცავი...

დრო ჩემს ტკივილზე ამხედრდა,  
რაშივით გამოაჭენა,  
ნუთუ, გილირდა, მითხარი,  
მაშინ მათ ხელში დარჩენა?!

ვერ დაგიცავი, ვერ დავგმე  
ის, რაც სიძულვილს აჩაღებს,  
სამოთხე დედამიწაზე  
დარჩათ საჯიჯგნად ყაჩაღებს.

ზეცას აღმოხდა: „ვაი, მე...“  
მზე დაენარცხა მიწაზე,  
ლურჯი მთა ზღვაში შევიდა,  
თავი დაიხრჩო იმწამსვე...

აღარ მიმიშვეს საფლავთან  
და ტყედ მიქციეს ჯეჯილი,  
ამიტომ გქვია ნაწილი,  
გულიდან ამოგლეჯილი!

შენ რაც გენებოს, ისა თქვი,  
თუნდ, მოღალატე მიწოდე,  
დღეს ან ხვალ მაინც შეგხვდები,  
მაინც ჩემი ხარ, იცოდე!

## დროს ვპატიობ...

იმ დროს ვპატიობ, როცა გესროლეს, როცა გეტკინა  
და არა აფხაზს, თუნდაც იმ ქართველს, ვინც გაგიმეტა...  
სიყვარულის და სიცოცხლის გარდა მორჩა მეტი რა?!  
სული - კლდესავით შეუდრეკელი იძრა იმედად.

ვიღექ ზღვის პირას, ოლონდ სხვა მხარეს, გალმა ენგურის,  
უაფხაზეთოდ სიმებდაწყვეტილს მსურდა, მეტირა,  
მთები ისეთი, ზეცა ისეთი... არსად მეგულვის,  
სიყვარულის და სიცოცხლის გარდა, მორჩა მეტი რა?!



\*\*\*

შენ მოგაყენეს ჭრილობა  
ჩემკენ ნასროლმა ტყვიებმა,  
მერე კი იყო ცრემლები,  
ბავშვობის გამოტირება...

კიდევაც მწყინდა, მტკიოდა,  
მეგონა - ობლად მაქციე...  
მერე კი მივხვდი, დამინდე,  
დროებით გამომაქციე...

არ შემოგჩივლებ სატკივარს,  
თუმც იყოს გაუგონარი,  
„წყენავ, დუმილით ნათქვამო,  
ოქრო ხარ აუწონარი...“

ზოგჯერ დუმილიც ოქროა  
და შენც ოქრო ხარ იცოდე...  
ნეტავ, რა ჰქვია ჩემს ნატვრას  
უსიტყვოდ გამოიცნობდე...

ახლა ხომ გესმის გულისთქმა,  
მუდამ ვლოცულობ რისთვისაც,  
ხო, დაბრუნება ვალია,  
თუნდაც, ბოლნური ჯვრისთვისაც!<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> გაგრის მე-6 საუკუნის ეკლესიის კედლებზე გამოსახულია ბოლნური ჯვრები. მათ შორის ერთი რკინის კარების თავზე, მეორე - პატარა სარქმელთან.

**საქართველოს ეროვნული გმირების: ქ. შარტავას  
და გ. გაბესკირიას ნათელ ხსოვნას**

თუკი ვენახებს გამიჩებ,  
თუკი დამინგრევ სალოცავს,  
თუკი ჭრილობებს გამიჩენ, -  
აცლი სისხლისგან გამოცლას...  
თუკი შელახავ საფლავებს,  
ბავშვს თუ მიუშვერ იარაღს,  
ვეღარ ვუპოვი სამალავს  
გულზე დაწოლილ იარას...  
ბზარებს მიეცი თუ ბიძგი,  
თუკი ესროლე ეზო-კარს,  
ნუ გაიკვირვებ, თუ ვიბრძვი,  
ძალას თუკიღა ვერ ვზოგავ...  
სულ რომ ისრები დამასო,  
სულ რომ კოცონზე ვიწვოდე,  
ჩემს სიცოცხლეში არასდროს,  
„არ დაგიჩოქებ, იცოდე!“  
თუ ჩემს მიწაზე მოდიხარ,  
თუ ტანკმა გადამიარა,  
არც გამიბედო, რომ მითხრა -  
ვინ დაინყო და ვინ - არა...  
გესვრი! - თუ მოხვალ ამგვარად,  
სახელს დაირქმევ „მპარავი“ - ს  
თორემ, რას გერჩი სხვაგვარად,  
ომი არ უნდა არავის!

## მე ის გაგრა მინდა, როცა კაცი მერქვა!

უცებ მოვწყდი ზეცას, დავენარცხე პირქვე,  
ჩამომგლიჯეს ფრთები, რაღა უნდა მექნა?!  
უდარდელი წლები ჩამომემსხვრა იქვე...  
როცა იყავ ჩემი, კაციც მაშინ მერქვა!

ძლივს ვაშენებ იმედს, აგურ-აგურ ვბედავ,  
ჩემი სახლის კედლებს ალბათ ვიცნობ ბზარით,  
ველარ ვიგებ, როდის მომწყდი საგულედან,  
ან საიდან გაჩნდი, ან წახვედი საით?!

წარსულიდან ლანდებს ვვზავნი ისევ შენთან,  
ფიქრადქცეულ კენჭებს იმ ნაპირზე ყრიან...  
თუკი სახლის კარი მაინც ამოშენდა,  
იქნებ გულის კარი შენ დატოვო ღია...

ღმერთმა არ ქნას, უცებ შევიყვარო სხვა მთა  
და ჩემს სახლზე შიშით, ჩემიაო - ვერ ვთქვა,  
რა გიამბო ახლა მოლოდინზე სხვათა...  
მე ის გაგრა მინდა, როცა კაცი მერქვა!



## რა დოოს გაგრააო?!

გული სევდას ეტანება, ქსოვს ნაცრისფერ ჭილობად,  
დამრჩი ისევ უნუგეშოდ, დამრჩი ისევ ჭრილობად...  
საქართველოს უშენობა არა, არ ეკადრება!  
აი, რატომ ვყვირი სოხუმს, აი, რა მეგაგრება...  
ნუ მასნავლით, სად შევჩერდე, სად შევწყვიტო გოდება,  
ო, რა ვუყო ჩემს თბილ სახლ-კარს, ისევ რომ მაგონდება...  
გავგიუდები, ჩემი გაგრა თუკი დამეკარგება,  
აი, რატომ ვყვირი სოხუმს, აი, რა მეგაგრება...  
რა იქნება, შენთან მოსვლას აღარავინ მიშლიდეს...  
მხოლოდ მაშინ დავმშვიდდები, შენც რომ ჰპოვებ სიმშვიდეს,  
დავმშვიდდები, როცა „მოდი!“ - გულზე დაგექარგება,  
აი, რატომ ვყვირი სოხუმს, აი, რა მეგაგრება.

## ოღონდ დაპრუცი...

რა ვუყო ამ მზეს, თუ არ მაქვს ცა?!  
რა ვუყო ამ რაშს, თუ არ ჩანს გზა?!  
რა ვუყო ამ ნავს, თუ მიაქვთ ზღვა?!  
რა მოვიფიქრო, ვიღონო სხვა?  
რა ვუყო სიტყვებს, თუ ჩამწყდა ხმა?!  
ვიარო მინდა შენ მხარდამხარ...  
ხმა მომაწვდინე, თუ ახლოს ხარ...  
გესმის? - გვიანი იქნება ხვალ!  
მიტოვებ ფიქრებს - სევდასთან ბმულს,  
რა ვუყო სხეულს, თუ კლავენ გულს?!  
რად მინდა ფრთები, თუ წასვლა გსურს?!  
დაბრუნდი, გესმიის? - გავყიდი სულს!

## ქრისტე აღდგა, ქრისტე აღდგა, პიშვპო!

მოდის წვიმა, ნეტავ, შენ თუ შეიგრძნობ,  
მადლს ასხივებს სააღდგომო ცისკარი,  
ასეთ წვიმას სხვაგან ვერსად ინატრებ,  
ეს ცრემლები მხოლოდ შენი ცის არის...

არ დავლოცო ის აფხაზი, მითხარი?-  
ვინც იმ წლების მოგონებებს აგროვებს  
და ბაბუის მიტოვებულ საფლავზე  
დღეს, წითელ კვერცხს ვინც კი გადააგორებს.

ეჰ, რამდენის არც კი ვიცით საფლავი,  
იმ საფლავთა მოფერება მეც მინდა,  
ქრისტე აღდგა, ქრისტე აღდგა, ბიჭებო!  
ჭეშმარიტად! - ხმა ეშვება ზეციდან...



## უსახელო გმირ ჯარისკაცებს!

მოგონება ისევ ქარში მატარებს  
და მივყვები ბუმბულს თეთრი გედისა...  
განა მარტო ლურჯი მთები მადარდებს,  
ან ამბავი გაგრის მწვავე ქედისა...

განა მარტო ის სახლ-კარი მაფიქრებს,  
ან საფლავი ჩვენი წინაპრებისა,  
მე არც მარტო სალოცავი მატირებს  
და არც ის, რომ აღარც წირვა მელირსა...

არც ის ზღვაა მხოლოდ ჩემი ნუგეში,  
არც ნაპირი ასჯერ გადატკეპნილი,  
შენ გარეშე ეჭვს ვუზივარ უბეში,  
უსულო ვარ, განა მარტო დევნილი...

ჰო, მივტირი უსახელო ჯარისკაცს, -  
ჯერაც ფარავს თოვლის თეთრი საფარი,  
მოხუც დედას ახლა ალბათ ჯავრი ჰკლავს...  
მე კი ვიცი, სად ვიპოვო საფლავი...

ენგურს გაღმა უკვე ვერვინ მაკავებს,  
მივქრი, წუთებს აუტეხავთ განგაში...  
უსახელო ქართველ გმირთა საფლავებს,  
რომ პატრონი გამოუჩინდეს გაგრაში...

## „იქნებ, გადარჩი?!”

ეს ლექსი ერთ ქალბატონს ვუსახსოვორე. ის დღემდე არ კარგავს იმედს, რომ ცოცხალი დაუბრუნდება საყვარელი შვილი, რომელიც აფხ-აზეთის ომში გმირულად იბრძოდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ქალბატონი ქეთევანი პრაღაში სწავლის პერიოდში გავიცანი; ვუსურვებ, რომ საკუთარი რწმენის ერთგული და მუდამ სულგაუტეხელი იყოს!

ვუძღვნი აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჩვენს ღირ-სეულ თანამოქალაქეებს, თანამემამულეებს...

ჩემს ნავსაყუდელს ვეძებ სიზმრებში  
და ჩუმი სევდა მახრჩობს, მაწვალებს,  
შორიდან ვისმენ შრიალს ტალღების,  
ქარი პალმის რტოს უნნავს ნაწნავებს...  
მიხმობს შენი ხმა, ისევ დაგეძებ,  
ლურჯი მთებისკენ მივალ-მივქრივარ,  
თუ მზე დაგნათის, მზეში მიპოვე,  
შენ რომ გევლება, მე ის ფიქრი ვარ;  
ისევ მწყურია შენთვის სიცოცხლე,  
იქნებ, გადარჩი, იქნებ, იცოცხლე?!  
ის ჩუმი სევდა გულმა დაგარქვა,  
შენ ხარ, შენ გქვია ჩემი სიცოცხლე!  
იქნებ, დედის ხმას ახშობს სიზმარი,  
მინდა, რომ ისევ რწმენას მივენდო,  
ჩვენ დავბრუნდებით! - გული გაჰყვირის,  
შენც დაბრუნდები, დედის იმედო!

## როგორ მიღეა შენთან, როგორ მიღეა შენთან, ჩემო მაგნოლია!

ომი დამთავრდაო - გვაიმედებდნენ, მაგრამ ქალაქში დარჩე-ნილმა მოხუცებმა იცოდნენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, რომ ახლა მოჩვენებითი მშვიდობა მეტი საფრთხის მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო. მაშინ გაგრაში დარჩა ერთი მოხუცი, შაოსანი ქალი, დარჩა იმ რწმენით და იმედით, რომ გადაარჩენდა სახლს, ქართულ კერას, შვილის საფლავს შებლალვისგან იხსნი-და. იყო ბევრი ცრუმლი, ტკივილამდე მონატრება, შიში, შეურა-ცხყოფა, არაერთი გათენებული და გაბზარული ღამე... მოხუცი არ კარგავდა იმედს, რომ ამ საშინელ დღეებს ბოლო მოეღებოდა და ობლად დარჩენილ ქალაქს მალე ეშველებოდა.



ელოდა მოხუცი, ელოდა  
გაგრაც, მაგრამ - ამაოდ...  
გატყდა მხოლოდ მაშინ,  
როცა დიდი ხნით დადუმდა  
ქალაქი, თითქოს, სუნთქვა  
შეწყვიტა, დადუმდა სიო,  
ზღვა, მთელი ბუნება დად-  
უმდა. არც ბავშვების ური-  
ამული ისმოდა და აღარც  
ჩიტების ჭიკჭიკი. გულიც

დადუმდა, თითქოს... ყოველი წუთი, წამი შვილებთან, შვილიშ-ვილებთან განშორებით გამოწვეულ ტკივილს კიდევ უფრო ამ-წვავებდა. ნათესავების, მეგობარი აფხაზების დახმარებით, ბებიამ ჯერ სოჭს, ხოლო შემდეგ თბილისს შეაფარა თავი. იმ საშინელ დღეებზე ფიქრით დამძიმებული, დაღლილი, მალე გარ-დაიცვალა. ჩემთვის უსაზღვროდ თბილი, უსაყვარლესი ადამი-

\*დამატებით: იხილეთ ფოტო - მასალა. გვ. 413

ანი გაგრის ტრაგედიამ შეიძირა. საყვარელი შვილების, შვილიშვილების გარემოცვამ სულ რამდენიმე წლით გაუხანგრძლივა სიცოცხლე. მახსოვს, როგორ განიცადა, როცა საკუთარი სახლის გადაწვის ამბავი შეიტყო. ვერ წარმოიდგენთ, რა თბილი იყო იმ სახლში ყოფნა....

ომმა ბებიის სახლიც კი აამეტყველა, თურმე, სულ გვეძებდა, გვიხმობდა, ჩვენს დაბრუნებას ელოდა. ვინ იცის, იქნებ, მისმა კვნესამ, მისმა სიცარიელემ გააგიჟა ის, ვინც ცეცხლს მისცა და ფერფლად აქცია. თურმე, როგორ ცდილობდა ეზოში მდგარი მაგნოლია დახმარებოდა ალმოდებულ სახლს; აღელვებულა, აშრიალებულა, მიუფანტ - მოუფანტავს ფოთლები, მაგრამ ცეცხლის ჩაქრობა მაინც ვერ შეძლო. იქნებ წავიქცე მეც, დავიცერფლო - ნატრობდა ცრემლმორეული. ცეცხლი მის ფოთლებსაც მოედო, მაგრამ გადარჩა. დგას ისევ იდუმალი, ტკივილიანი, მონატრებული, მაგრამ არ ყვავილობს, მას შემდეგ, ჯერ ერთხელაც არ აყვავებულა. ვიცი, რომ ისევ ჩვენს გამოჩენას ელის და მერე უთუოდ თავპრუს დაგვახვევს მისი საოცარი სურნელი.

როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია!



## თამარ გაბისონიას და ყველა ტკბილი ბაბოს ნათელ ხსოვნას...

საოცარი სურნელი ჰქონდა ბებიას... ყველასგან განხვავებული, საერთოდ, მის ოთახში ყველაფერი განსაკუთრებულ და სასიამოვნო სურნელებას აფრიკევდა. მაშინ სად იყო ამდენი სარეცხი საშუალება, დღეს რომ უხვად აქვთ დიასახლისებს, მაგრამ იმ „გაკრახმალებულ“ ზენრებშიც კი თავი ყვავილების ბაღში გეგონებოდათ. ახლაც შევიგრძნობ სახელდახელოდ გაშლილი მეგრული სუფრის არომატებს. ბებიის ტანსაცმელსაც რაღაც სხვაგვარი, ტკბილი სურნელი ჰქონდა. ფიქრებში ჩუმად ვუახლოვდები მის საწოლს და ფუმფულა ბალიშებიდან (ბებიას ერთდროულად 5 ბალიშზე ედო ხოლმე თავი, ზომების მიხედვით აწყობდა, მახსოვს) წინასწარ „დამალულ“ ტკბილეულობას, ბუშტებს, ხელით ნაქარგ ცხვირსახოცებს ვიპარავ. ბებიამ შესანიშნავად იცის, რომ ეს პროცესი აგულიანებს და ახალისებს ბავშვებს და ამიტომ მალავს, თორემ განა პირდაპირ არ



ჩამიყრიდა უბეში?! დედამიწის ზურგზე ვერც ერთი ქვეყანა ვერ გამოუშვებს ისეთ ტკბილ კანფეტებს, ბებია რომ მახვედრებდა. ვერავინ, სამწუხაროდ, ვერავინ გამოიგონებს ისეთ საათს, დროს რომ უკან აბრუნებდეს და იმ საოცარ მომენტებს რეალურად აცოცხლებდეს. სამაგიეროდ, დიდი გამოგონება არ სჭირდება იმ სიყვარულსა და უხილავ ჯაჭვს, რომელიც ჩემს ბავშვობასთან, უთბილეს ადამიანებთან მაკავშირებს.

## ბებია და კობეშია? ფერისცვალება

ჩემთვის ეს დღესასწაული ასოცირდება საოჯახო თავყრი-ლობებთან, ბებიის მიერ მომზადებულ უგემრიელეს კერძებთან: საცივთან, ზედ რომ ნიგვზის ზეთს დაანურავდა ბებია, ღომში ჩაძირულ აპაშის სულგუნთან, მეგრულ, დიასახლისივით ფუმ-ფულა ხაჭაპურთან, ბრონეულის ბრდლვიალა მარცვლებთან ჩახუტებულ ზურმუხტისფერ ფხალთან, საუცხოო კაკილით შე-ზავებულ რბილ ნადულთან, ადესისეულ ღვინოსთან და ა.შ. რა თქმა უნდა, მაგიდა სავსე იყო ხილით, ეს დღე ვერასდროს წარ-მომედგინა და წარმომიდგენია რძიანი სიმინდისა და დაძარლვუ-ლი, მეგრული კობეშია-ს გარეშე (რომელსაც ჩემები აფხაზურ აჯიკასთან ერთად მიირთმევდნენ). კობეშიას/კოპეშიას, ანუ გო-გრის - მეგრული ყოფისა და რიტუალური მისტერიების ერთ-ერ-თი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტის გარეშე ჩვენი ზეიმი ალბათ წარმოუდგენელი იქნებოდა. ის ხომ „უკავშირდება უძველეს რწ-მენა-წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ ღმერთები მზეს გოგრა-ში ინახავდნენ (კობეშიას მიშატყობინუანდეს).“ ფერისცვალების მოახლოებას გვამცნობდა ფერშეცვლილი ბუნებაც... სულ სხვა ფერს დაიდებდა თითოეული ბუჩქი, ხე... ზღვაც სხვაგვარად შეითერებოდა ხოლმე. უფლის ღვთაებრიობის დასტურად იცვ-ლებოდა ყველა და ყველა ფერი გარშემო.



## ჩემი დღიური

1995 წლის 28 იანვარი.

მახსოვს ის დღე. 15 წლის ვიყავი, შენს სასთუმალთან დახრილი, შენს გულისცემას ვეთხოვებოდი. ვითვლიდი ყოველ ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას და უკვე მძაგდა ის სამარისებური სიჩუმე, რომელიც, სანამ დედას დაგუძახებდი საშველად, ვიცოდი, რომ თავს დამატყდებოდა. იმ სიჩუმემდე იყო არანორმალური კივილი დაუძლურებული სხეულისა, რომელსაც სიცოცხლე აფხაზეთის ომშა, გაგრის სახლის დაწვამ და შვილის მიტოვებულმა საფლავმა გამოაცალა. კივილიო - ვამბობ, თუმცა, მაშინ ეს ხმა მხოლოდ ჩვენ ორს გვესმოდა. მოხუცი, მოტეხილი ქალის სხეული, რომელიც ბოლო რამდენი დღე უსიტყვოდ, გაუნძრევლად ელოდებოდა სულთან განშორებას, უცებ რაღაც ძალით აღიმართა... ხელები მომხვია ბებიამ, რაღაცნაირად ჩამეჭიდა, თითქოს, დაყრდნობას ლამბდა, თავისი ლამაზი, მწვანე თვალებით, თითქმის უსიცოცხლოდ, თვალებში ჩამხედა, ჩემთვის მშობლიური მზერითვე მითხრა: „სიკვდილის არ მეშინია, ბებია, მე ხომ შენში ვიცოცხლებო“ და წავიდა...

არასდროს დამავიწყდება, როგორ დავინახე მოხუცის გაყინულ თვალებში ჩემი ბავშვობა, რომელიც იმ დღეს სამუდამოდ დამშორდა.

ისინი ცოცხლობენ ჩვენს გულებში, ამიტომაც დავარქვით მათ წასვლას გარდაცვალება.



## ფიქრში დავდივარ...

უიარაღოს შენ დამიმიზნე,  
გქონდა გასროლის განა უნარი?!  
რამ დამიტოვა შენდამი ისევ  
გრძნობა მძლავრი და გაუხუნარი?!  
ნუთუ, უშენოდ უნდა დავპერდე?!  
ნუთუ, უშენოდ წლებს გავატარებ?!  
როგორ გაბედე, როგორ გაბედე,  
რომ გამიშვი და გემს გამატანე...  
შენ ნავსადგურთან ზურგი მაქციე  
და იმ საღამოს გამიშვი მარტო,  
შემრცხვა, ჩემს ფიქრებს ქრთამი ვაძლიე,  
შემომითვალეს - გაგრაში ვართო...  
გზად ზარებს რეკენ ლიხნის,<sup>1</sup> ბედიის ...<sup>2</sup>  
ფიქრში დავდივარ შენს თბილ სახლებში,  
ფიქრებო, ახლა სახლში ბებიის,  
ხელით მოქარგულ შედით საბნებში.

---

<sup>1</sup> ლიხნის ტაძარი X საუკუნის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა, აღმართულია სოფელ ლიხნის მუაგულში. 2006 წლის 7 ნოემბერს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტური ძეგლის კატეგორია. იხილეთ გვ.414

<sup>2</sup> ბედიის მონასტერი — X საუკუნის ქართული მონასტერი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში. 2006 წლის 7 ნოემბერს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტური ძეგლის კატეგორია. ისტორიული ცნობების თანახმად, ბედიის კომპლექსი დაახლოებით 999 წელს ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ - ბაგრატ III ბაგრატიონმა. იხილეთ გვ.415

## მე და პელურა

კოლხეთის დაბლობს ათეთრებს თოვლი,  
სიცივეს ერწყმის ცივი ტეხურა  
და გაზაფხულზე ფიქრებთან ერთად,  
ზამთარს შემოვრჩით მე და ბელურა . . .

უკვე მეოცე დეკემბერს ვითვლი,  
მომნატრებია ჩემი მერცხლები  
და თუ ჭაღარას შემმატებს ფიქრი,  
უშენოდ ყოფნით შევივერცხლები . . .

შემოვიარე სამშობლო ჩემი,  
შენს დილას ვეძებ, ვეძებ ახალ მზეს,  
დღეს დათოვლილი მმასპინძლობს მხარე -  
სამეგრელოდან ვუმღერ აფხაზეთს . . .



## დღო ცუთს და ცამებს გვის

გული უშენოდ სევდას მიეცა,  
დამძიმდა, ცრემლებს ღვრის . . .  
სიზმრად დაგეძებ, ჩემო ქალაქო!  
მე უშენობა მღლის.

ვხედავ სასტუმროს, ჩაფლულს მწვანეში,  
თანაც, ერთს არა, შვიდს,  
ვეტრფი ზღვის ნაპირს, ზღვამაც მომხიბლა,  
ვუცქერ ლივლივას, მშვიდს . . .

ეს სილამაზე, ფერთა სიუხვე  
სიამოვნებას მგვრის . . .  
მიდის ბავშვობა, განცდებს მიტოვებს,  
დრო წუთს და წამებს გვის.



## აქ ეს ხეა, ალბათ, მხოლოდ ჩვითანი ...

(დევნილობის პირველი წლები)

ვიცქირები ჩემი სახლის აივნიდან,  
აქ სხვა ხედი, სხვა ბუნება მოჩანს,  
მერცხლის ბარტყი ჩემს სარკმელთან გაირინდა  
და ზღაპარიც სადღაც სხვაგან მორჩა... .

გარდასულ წლებს იცით, აქ რა მომაგონებს?  
მზე, მთები და მხოლოდ ლურჯი ზეცა,  
სხვა ყველაფერს, ალბათ, ფიქრი მოაგორებს,  
ის ძალლივით ჩემს სატკივარს ეცა,

ბავშვობის წლებს მწვანე ნაძვიც გამახსენებს,  
ერთი ნაძვი, ჩემს ეზოში რომ დგას,  
მასზე ფიქრი დღე და ღამე არ მასვენებს,  
ის გაექცა კაცის ავ ხელს, ავდარს,

აქ ეს ხეა, ალბათ, მხოლოდ ჩემიანი,  
მარადმწვანე, ეული და დინჯი,  
სხვასაც უყვარს, მაგრამ უფრო ჩემი არის,  
ყველა ტოტით, ყველა წინვით, გირჩით,

ის ვერ დათმობს განშორებას სიმწვანესთან,  
მე ვერ დავთმობ გაგრის ეზოს სურნელს,  
ჩემში ცხოვრობს მოგონება სიმწარეთა  
და არ ვჩივი, თუ მიწოდებთ სულელს...

## ზურგით გაგრას დავატარებ...

ვწევართ პირას ნავსადგურის,  
მე და ჩემი ტურფა გაგრა,  
სევდამ გულზე საკინძითა  
მოგონება მომამაგრა...

ეს გულია, რომ გახლიჩეს  
განშორებით იმ ლურჯ მთებთან,  
ზღვის ნაპირზე ფიქრი გდია  
და ჩემსავით ირუჯება...

ზღვა ღილინებს, ძველ სიმღერას  
ლურჯი მთების ბანი შვენის...  
და გვაცვივა ბუმბულები  
გაკერილი ბალიშების...

ზეცა გვაყრის მოგონებებს,  
აქ ხომ ფიქრებს არ ფუთავენ...  
და ერთმანეთს მე და გაგრა  
ბალიშებით ვაბურთავებთ...

დავრჩით ერთად, სალამომდე,  
მზემ ჩემს ფიქრებს უქადაგა,  
მერე რთულ გზებს გავუყევი  
და მომეკრა უკან გაგრა...



## როგორია ნახონ ყოფნა „ლტოლვილებად“...

ეს ქარია, თან რომ მაფრთხობს, თან რომ ყვირის..  
ქარი, უცებ მოვარდნილი ხევებიდან,  
ძლივს იჭერენ თავს ზღვისპირას თავმოყრილი  
თოლიები, აფრენილი ხელებიდან...  
ნუ გაშინებს ამ ქარების თავხედობა,  
ნუ გგონია - მზის სხივები ძლებენ მდგმურად,  
თუ შემოგრჩა სიყვარული, აქვე, ნდობა..  
მაშ, ჩამჭიდე ხელი ისევ ძველებურად...  
მთათა რიგებს გამოვაბამ ამ გიუ ქარებს,  
როგორია ნახონ ყოფნა „ლტოლვილებად“...  
ახლა ვნებას სიუჟეტი ავითარებს -  
ჩემებური, მოვლენილი თოლიებად...

## შენი დაკარგვის ეჭვია, რომ გაჲავს

(ბინის მისამართს ყოველდღე ვიცვლი)

თავშესაფარი ლოცვებში ვპოვე,  
დღესასწაულობს ღვთის სახლში მირქმა,  
ბინის მისამართს ყოველდღე ვიცვლი,  
რომ ვერ მიპოვოს ეჭვებზე ფიქრმა;  
მივეშურები ტაძრისკენ შვებით,  
შენი დაკარგვის ეჭვია, რომ მკლავს,  
თავგასულ ეჭვებს ლოცვებით ვთოკავ,  
მათთან ჭიდილი მაგონებს როკვას,  
ამ გიუურ ცეკვას ავუწყე ფეხი,  
არ ვწყალობ ეჭვის თაყვანისმცემლებს,  
წვიმის წვეთებთან დავიწყე ცეკვა,  
ჩემი ქალაქის რომ ჰგვანან ცრემლებს... .

## მაგნოლიას, ვერხვის ხეს და რტოებგაშლილ პალმას...

მზეს შევეხო მინდა ხელით და მოვუხმო კრძალვით  
ფიქრის გორად გადაქცეულ ასტეროიდ პალასს<sup>1</sup>, -  
ვიცი, ფიქრებს გადმოაფრქვევს, გამახსენებს წამით:  
მაგნოლიას, ვერხვის ხეს და რტოებგაშლილ პალმას...

მზეს რომ შევწვდე, ვეზიდები თითო-თითო აგურს,  
დრო არ იცდის, მიქრის სადღაც და ტკბილ წამებს მპარავს,  
ისევ ვხატავ გონებაში პარკში ერთად დარგულს -  
მაგნოლიას, ვერხვის ხეს და რტოებგაშლილ პალმას...

ნეტავ, როდის შევეხები ასე ნაცნობ სამ ხეს?  
იქ ვიპოვი ნავსაყუდელს, ჩემი სულის ალმასს,  
იქ დავრჩები, სადაც ქარი საამურად არხევს:  
მაგნოლიას, ვერხვის ხეს და რტოებგაშლილ პალმას...



---

1 პალასი - მეორე აღმოჩენილი ასტეროიდი (ცერერას შემდეგ), ერთ-ერთი ყველაზე დიდი ასტეროიდი მზის სისტემაში. პალადა (პალასი) აღმოჩენილ იქნა 1802 წლის 28 მარტს, გერმანელი ასტრონომის ჰენრიხ უილიამ მათეუს ოლბერსის მიერ.

## სახლი საგარეჯოში...

ვწევარ ჰამაკში,  
ფიქრადქცეული,  
„ბავშვობის საბანს“ ვკერავ,  
ეს ხომ მეორე  
ჩემი სახლია,  
ჩემი მეორე კერა...  
სიცილ-კისკისი,  
ლხენით აღვსილი  
გოგო - ბიჭების ისმის,  
მზე შემოსულა  
ჩვენს თბილ ეზოში,  
სხივებს გულუხვად ისვრის...  
ცდილობს, გამოძვრეს  
მსხლის ხის ტოტებში,  
ხანაც ტოტებში კაკლის,  
ეზო ისეა  
მორთულ-მოვლილი,  
არ ჩანს მისხალიც ნაკლის...  
კვლავ დახუნძლულა  
ჩვენი ალუჩა,  
დამძიმებია მხრები,  
ეს ბილიკების  
გასაყარია,  
სადაც ბავშვობას ვხვდები...  
თითქოს, ნუგეშად  
სანთლით დავეძებ  
სიკეთით სავსე ხელებს...  
ყველა კუთხეში  
ვეჩურჩულები  
ბებიის დარგულ ხეებს...

აქ სიამეს მგვრის  
სუნი კედლების,  
ფანჯრების მიღმა ხედი,  
მე, როგორც დევნილს,  
მხვდა ამ სახლ-კართან  
პირველშეხვედრის ხვედრი...  
ვწევარ ჰამაკში,  
ფიქრადქცეული,  
„ბავშვობის საბანს“ ვკერავ,  
ეს ხომ მეორე  
ჩემი სახლია,  
ჩემი მეორე კერა...

### ჩემს კახეთს

(აფხაზეთიდან დევნილობის პირველი წლები)

ლურჯი ველი, დაძარღვული მტევნები,  
იისფერი, ვრცელი კავკასიონი,  
ერთმანეთთან მოსაუბრე ქვევრები  
და ზვრებს შორის მოშრიალე სიონი...  
ეს ალაზნის ველის მოჩანს ფერები,  
ჩემს კახეთში ფეთქავს ყურძნის ნაჟური,  
აქ სხვა ცაა, მზისგან მონაფერები,  
სხვა სიეშხე და ბუნება საშური...  
ოქროსფერი გზები ზოგჯერ ცად მიდის,  
შემიფარა მაშინ ჩემმა კახეთმა,  
გამახსენდა უცებ სახლი მამიდის,  
დრომ იმ სახლში წუთით შემომახედა.

## 3 უძლვენი ჩემი მამიდის - ნათო (ნათოული) ოჩიგავას ნათელ ხსოვნას

სახლი ვნახე ცარიელი, მეწყინა...  
თუმცა, იყო გადმოფრქვევა წარსულის,  
ღამენათევ ფიქრებს სხვენზე ეძინათ,  
ჩრდილიც ვნახე, სახლის კარს რომ გარს უვლის...  
ჩურჩულებდნენ გაცრეცილი კედლები,  
სადღაც იდგა ჟოლოსფერი სანათი,  
თავს იქებდა დროის შემოკედლებით,  
ძველ ტუმბოზე დარჩენილი საათი...  
მრგვალ მაგიდას დავეყრდენი, მდუმარედ...  
ო, რა სუფრებს შლიდა მასზე მამიდა,  
როგორც ჩვილ ბავშვს, წამსკდა ცრემლი - მდუღარე...  
მივხვდი, ის დრო სამუდამოდ წავიდა...  
ფანჯრის რაფას დასტყობოდა დამწვარი,  
უამრავი კვალი წმინდა სანთლების...  
ჰო... ეს სახლი იყო სულის ტაძარი  
და ხორცშესხმა ჩემი წარმოსახვების...  
ჩუმი სევდა სულში მძიმედ შევიდა,  
შემოიჭრა ხმები სადღაც უმალვე...  
და ფიქრები, გადმოყრილი სხვენიდან  
საკუთარ თავს იქვე გადავუმალე...  
მოვდიოდი აქ ხმაურით, სამღერლად,  
თუმცა კერა გამოირჩა მალვითა...  
დარჩა სახლი.... ჰო, სახლ-კარი სახელად:  
„მონატრება.... მოგონება... მამიდა...“  
მადლობა, რომ მიერთგულე, მეღირსე...  
ასეთია ეს ცხოვრება, რას იზამ?!  
სადღაც მაინც ინაყოფვა ლელვის ხემ,  
სადღაც ძირი ამოსულა ვაზისა...



## მამიდის სახსოვარი

ოხ, რამდენი  
სადღეგრძელო თქმულა,  
ლხინით სავსე  
და დიდებულ სუფრებთან,  
სადაც ქუხდა,  
ძვირფასია თუ რამ,  
სადაც მუდამ  
სიყვარული სუფევდა...  
იყო სიბრძნე,  
შეჯიბრება თქმათა,  
იყო ცეკვა,  
სიმღერების პოპული,  
საოცარი  
შეზავება ხმათა,  
საოცარი  
ლხენა - მამაპაპური...  
მახსენდება  
ის პატარა გოჩა,  
ცეცხლზე ხტომა და  
გაფანტვა ჭინკების...  
წარსულიდან  
სიყვარული მომრჩა  
და მამიდის  
სახსოვარი - ჭიქები...

## ნაცხობი ქუჩა

რამდენიმე წელი, სხვა  
დევნილებთან ერთად, ვიცხოვრე  
თბილისში, უშიშროების აკადემიის  
საერთო საცხოვრებელში...

ჩუმად დავყვები  
ძველ, ნაცნობ ქუჩას,  
ჭადრებს ელტვიან  
ცივი ვერხვები;  
მარჯვნივ მდუმარე  
ღვთის სახლი მოჩანს,  
იქ როგორ გაჩნდა? –  
მიკვირს, ვერ ვხვდები . . .  
პასუხს ამჯერად  
თავს ავარიდებ -  
კვალდაკვალ მომდევს  
ღრუბლების ჩრდილი,  
აქ დაყოვნებას  
სულ არ ვაპირებ,  
ბალახს დაადნა  
მთვლემარე თრთვილი.  
ხეებს ეცლება  
ფოთლების ჯარი,  
მარტოდ დარჩენილ  
ქარს გული სწყდება.  
ილევა ქუჩა  
და ქუჩის ბოლოს  
გარდასულ დღეთა  
ძახილი მწვდება.

## მამულეთი...

როცა ვუმზერ მოვლილ ყანას,  
ეფინება გულს სიამე,  
ერთად თავი მოიყარა,  
ფიქრმა, დროს რომ ვუზიარებ...

გზას მივყავარ შესაყართან,  
ტეხურის და აბაშისა,  
ძველ წისქვილთან შეყრა ქართა  
ჰგავს ყრმობის წიგნს, გადაშლილსა...

ჩემი გულის „მახარია“,  
სული ცაში მონავარდე, -  
მიხმობს სახლი, „მაღალია“<sup>1</sup>,  
მამაჩემის ოდაბადე,

ხის აკვანი წინაპართა,  
ტკბილი ლოცვა, ბევრჯერ თქმული,  
მათბობს მზერა სახლის კართან  
და დახვედრა გეჯეთური...

როცა ვუმზერ მოვლილ ყანას,  
ეფინება გულს სიამე,  
ერთად თავი მოიყარა  
ფიქრმა, დროს რომ ვუზიარებ...

---

<sup>1</sup> „მაღალია“ - შემაღლებული, ახალგაზრდების შეკრებისა და გართობის ადგილი...

## ...და მაინც, სხოვრება მშვენიერია...



აქ 14 - 15 წლის ვარ...

ამ დროს, ომგამოვლილი მე და ჩემი ძმა დევნილთა საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით, ერთ პატარა ოთახში. სკოლებს თავშესაფრის მიხედვით ვიცვლიდით. (საგარეჯოს მე-2, თბილისის მე-4, თბილისის 173-ე). მაშინ შუქი, გაზი.... ჯერ კიდევ სანატრელი იყო. მეტროსადგურ „ახმეტელის თეატრამდე“ გლდანის ნებისმიერი

მიკ.რ.-დან მხოლოდ ფეხით გადავაადგილდებოდით. ზოგიერთ საგანში მთელ კლასს მხოლოდ ორი-სამი წიგნი გვქონდა და ასე წვალებ-წვალებით ვსწავლობდით გაკვეთილებს, კლასში შეშის ღუმელს მივუსხდებოდით და ვთქებოდით. ეს ის დროა, როცა საათობით ვიდექით პურის და ნავთის რიგში. დედა ხშირად აცხობდა ნამცხვრებს და თან არაჩვეულებრივად გამოსდიოდა. დღესაც ასეა... მაშინ სულ მიკვირდა, ასე უცებ როგორ მთავრდებოდა „ზებრა“, „მედოკი“, „პრაღა“... მერე აღმოვაჩინე, რომ დედა, რომელიც მთელი ცხოვრება მუშაობდა ექიმ-ლაბორანტად, იმ დროს, პარალელურად, ტკბილეულს ახმეტელის მეტროსთან აბარებდა. მამა? - მამას ერთი დღე არ გაუცდენია ისე, რომ არ ემუშავა. ხან სად და ხანაც - სად; თან, სულ მთავარ ექიმად. ამის ჩამოთვლას აღარ დავიწყებ... ისეთი პერიოდიც იყო, როცა ერთი-კაკალი მამიდა გვზრდიდა საგარეჯოში და ცივ ნიავს არ გვაკარებდა... მაშინ არ ვიცოდით, დედ-მამა ცოცხალი იყო თუ არა. ახლა თვალზე ცრემლმორეულს მახსენდება, როცა საგარეჯოელი კლასელი გარდამეცვალა და ბავშვების გადაწყვეტილებით, როგორც თვალსაჩინო მოსწავლეს, დამევალა პირველი შევსულიყავი და სამძიმარი მეთქვა. შავი შეფერი-

ლობის არაფერი მქონდა და ჩემმა ბებიამ ჩემი მამიდაშვილის - ეკას ხალათს გადაუადგილა ღილები, ზედ ამოქარგული ყვავილი დამალა და მომარგო.

აი, ასეთ რთულ პერიოდში გამოიარა ჩემმა ბავშვობამ, არაფერს ვამბობ იმ დაუფიქრებელ, დამცინავ ფრაზებზე, რომ-ლებიც მაშინ, სამწუხაროდ (ალბათ, გაუაზრებლად) ბევრს ეკერა პირზე: „რას მოეთრეოდით, დატეულიყავით იმ თქვენს გაგრაში.“

...და მაინც, მაშინაც მშვენიერი იყო ცხოვრება, რთული, მაგრამ მშვენიერი, რამეთუ, დიდი გამოცდილება შემმატა და მასწავლა ბრძოლა, საოცრად გამაძლიერა. ისწავლეთ ბრძოლა, შეენინაალმდეგეთ საკუთარ თავს და პრობლემებს. „არ არსებობს გორაკი, რომელსაც ადამიანი დაუინებული ცდით ვერ გადალახავს...“



## აქაშრი?

„აქაშრი?“ -  
მკითხა კაცმა ერთმა,  
„თქვენ აქ ცხოვრობთ?“ -  
უნდა მკითხოს ვატყობ,  
მომერიდა,  
რაღაც უნდა მეთქვა,  
ჰოდა, ვთქი, რომ -  
თბილისელი ვარ-თქო.  
მაშინ წვიმდა,  
ფიქრებს ვგავდი - უფრთოს,  
მივყვებოდი  
ვიწრო ქუჩას გორკის,  
მე - წითელი,  
სირცხვილისგან უფრო,  
დავიმალე  
ქვეშ წითელი ქოლგის...  
თბილისურად,  
გიუმაჟურად წვიმდა,  
თუ ყურს წვიმას  
დაუგდებდა კაცი,  
მიხვდებოდა -  
რაა ჩემთვის წმინდა,  
ქუჩას გორკის  
ასე, ჩუმად გავცდი...



# ზაქრაძის ქუჩის ეპიზოდები

(დევნილობის პირველი წლები)

---

## ეპიზოდი I

### მამიდის სახლი

ესეც ჩემი ისტორიის, ჩემი ბავშვობის მცირე, მაგრამ ძალიან საინტერესო მონაკვეთია. სხვადასხვა ამბავი თბილისის ერთ-ერთ უბანში, ზაქრაძის ქუჩის ერთ-ერთ სახლში ხდება. რეინისმოაჯირებიან, ხისაფეხურებიან კიბეებზე ავრბივარ, ადგილ-ადგილ ფიცრები ჩავარდნილია. ზეპირად ვიცი, სად უნდა გადავახტე ზოგიერთ საფეხურს და წამებში დედასთან ვჩნდები. ის უკვე ზემოთ მელოდება. კარს ვერ აღებს, სამსახურში დარჩენია გასაღები, სანამ უმცროსი ძმა სკოლის მეორე ცვლიდან დაბრუნდება, რაღაც უნდა ვიღონო. ვიწრო გასავლელით ვუახლოვდები ბინის უკანა მხარეს. ერთადერთი გამოსავალი პატარა სარკმლიდან გადაძრომაა (კიდევ კარგი, ღია დავტოვეთ). ასეც ვიცევევი, ჩანთას დედას ვაწვდი, თხელ ქურთუკს ვიხდი, რაღაცნაირად ვძვრები ციცქნა სარკმელში, ორ წუთში უკვე საპირფარეშოში ვარ, აქედან გავდივარ სამზარეულოში, შემდეგ საძინებელში, მერე გზას ვიკვლევ მისაღები ოთახისკენ. ცოტა ხანში, ბინის შემოსასვლელში, თეთრ კარზე დამაგრებულ უზარმაზარ რკინის ზღუდეს ზემოთ ვწევ და დედას კარს ვუდებ. მისია შესრულებულია. უკანა კარის გასაღებს დედა ხვალ წამოიღებს სამსახურიდან (იმ დროს რეინიგზის საავადმყოფოს ლაბორატორიულ განყოფილებაში მუშაობდა), დილით კი წინა მხრიდან ჩავკეტავთ კარს. რა მახსოვს ბინის შიდა ინტერიერი-დან? თითქმის ყველაფერი, ეს მამიდას ბინა იყო. დევნილობის პირველ წლებში იქ რამდენიმე თვე დავყავით, მერე კი პოლიციის აკადემიის საერთო საცხოვრებელში მოგვცეს ოთახნახევრიანი ბინა. „ნახევრიანი“ - ვამბობ, არადა იმ ნახევარში მარტო ერთი

პატარა მაგიდა ეტეოდა, სადაც მე და ჩემი ძმა რიგრიგობით ვმეცადინეობდით. მეორე ოთახში ერთი კარადა, ორი ორსარ-თულიანი რკინის საწოლი და მამიდის ნაჩუქარი ტელევიზორი იდგა. ამ ამბავს სხვა დროს გავაგრძელებ, ახლა ისევ ზაქრაძის ბინას ვუბრუნდები. ხო, სახლი მამიდასი იყო, მაგრამ ყველა ნივთს ბებიის გემოვნებით ჰქონდა მიჩენილი ადგილი. მახსოვს უზარმაზარი ტახტი შემოსასვლელში, მწვანე სამეული, მისაღები და საძინებელი ოთახების გამყოფი შუშაბანდი, სამზარეულოში შესასვლელი ხის კარები (ორი ნანილისგან შედგებოდა). ბებიის საკერავი მანქანაც მახსოვს. მოკლედ, კარგი ავეჯი არ აკლდა ამ ბინას, მაგრამ ბებია მაინც რკინის საწოლზე წვებოდა, ის მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ხო, მთავარი შუშაბანდი დამავიწყდა, შემოსასვლელი ოთახის, პატარ-პატარა ცისფრად შეღებილ ხის ფანჯრებად დაყოფილი. ო, რა საოცარი ხედი იშლებოდა იმ შუშაბანდიდან. პირველი, რაც თვალში მოგხვდებოდათ, ჩემი მე-სამე საშუალო სკოლა იყო.

## ეპიზოდი II

### უცხო პაცი, რომელიც აღრე მინახავს

სახლში ვართ ყველა, კარზე კაკუნია, სტუმარს ჩემი თვალებ-ბრიალა მამიდაშვილი უდებს კარს და ისიც ნელი, მაგრამ რაღაც-ნაირად მტკიცე ნაბიჯებით შემოდის. მე და ჩემი ძმა საძინებელი ოთახიდან ვუცქერთ ამ სურათს. ის ხვდება, რომ ბავშვები უთვალთვალებენ, მაგრამ არ იმჩნევს. დედა გვიწყრება, ჩვენ მაინც ვბავშვობთ. ცოტა ხანში სტუმრისთვის ახალნაყიდი ტკბილი გარგარი გამოაქვთ. როგორი გრძელი და ლამაზი თითები აქვს ამ კაცს, თვალებიც... არა, აშკარად სადღაც მინახავს, მახსოვს ეს თვალები... გაგრიდან ხომ არა?! უცხო კაცი იღებს გარგარს და თითებს შორის მონეტასავით ათამაშებს, ერთი-ორი მიირთვა კიდეც. მგონი, უფრო გადაყლაპა... არა, აშკარად კურკიანად

ყლაპავს, ნერვიულობა ორივეს ეტყობა, მაგრამ ახლა ქალი უფრო თავდაჯერებულია და მტკიცე. „წასვლის დროა“ - ამბობს მამაკაცი. „კი, ნამდვილად“ - მკვახედ პასუხობს ქალი. ის დგება, გადის ღიმილით და რაღაც ფარულ შეტყობინებას გვიტოვებს. ჩვენ (მე და ჩემი ძმა) გამოვცვიდით ოთახში და მაგიდაზე დარჩენილ გარგარს მივგარდით. მეორე დღეს ქალი, დედაჩემის თეთრ პლაშში გამოწყობილი (ოხ, რა ლამაზი იყო), წავიდა ინ-სტიტუტში. დიდი ხნით „წავიდა“.

### ეპიზოდი III

#### ეპ-4 სკოლა

სულ რამდენიმე თვე ვიყავი ამ სკოლის მოსწავლე, მაგრამ ბევრი რამ დამამახსოვრდა. პირველი შეხვედრა დირექტორ-თან... (როგორც კი შეხვედოდი, პირდაპირ გააგრძელებდი სვლას და სადღაც იქ იყო კაბინეტი). „ქალბატონო, დასაწყისშივე გა-ფრთხილებთ, ისედაც გადავიტვირთეთ. ბევრი დევნილი ბავშვი მივიღეთ, დამატებითი თავსატეხი და მით უმეტეს, არაფრით გა-მორჩეული ბავშვები არ გვინდა, თან, როგორც მივხვდი, თქვენ ინგლისურენოვან სკოლას ეძებთ, ჩვენი კი გერმანულენოვანია.“

ამის პასუხად, დედაჩემმა ფრთხილად გახსნა ჩანთა, ამოილო უამრავი დიპლომი, სიგელი, რომელიც გაგრის და შემდგომ, საგარეჯოს სკოლებიდან გამოგვივა და მაგიდაზე დაუდო დი-რექტორს. მერე ჩუმად ჩაილაპარაკა: „მე ბეჯითი შვილები მყავს, თუ საჭიროა, გერმანულსაც ისწავლიან, არსად გვაქვს წასასვ-ლელი, შორს ვერ ვატარებ, მეუღლე ახლახანს ჩამოვიდა, ის ფაქტობრივად ტყვე იყო. ჩვენ ჯერ არ გვაქვს სტაბილური სამ-სახური. ამიტომ გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი მდგომარეო-ბა“, - დაასრულა დედამ და მეორე დღეს ჩვენ უკვე ჩარიცხული ვიყავით მე-4 სკოლაში.

**ისტორიის კაპითელი** - ყველაზე ბნელი და ჩემთვის ყველაზე ნათელი ოთახი...

კუთხის ითახი იყო, სართული არ მახსოვს, ერთი ფანჯარა გზის (ცოტნე დადიანის ქუჩა) მხარეს გადიოდა, სადაც მზის სხივებს ვერხვები გვიღობავდნენ, მეორე კი - სკოლის შიდა ეზოს მხარეს, რომელიც დიდი სინათლით არ გამოირჩეოდა. თავისებურად ნათელი კი იმიტომ იყო, რომ ისტორიას ყოველთვის კარგად ვსწავლობდი და ამ სასკოლო სივრციდან ყველაზე მეტი ფრიადი გამომქონდა.

**ბიოლოგიის კაპითელი** - სავსე მცენარეებით. ფანჯრები ქვაფენილის მხრიდან ჰქონდა. რომელიც სკოლის მარჯვენა შესახვევიდან ესაზღვრებოდა ზაქრაძის ქუჩას. აქ ბევრი სინათლე იყო. ბიოლოგის მასწავლებლები ყოველთვის გამორჩეული მყავდა, ყველა სკოლაში. ბიოლოგიაც ძალიან მიყვარდა (დედა ბიოლოგი მყავს).

**ქართული ენა და ლიტერატურა** - ჩემი ნამდვილი კომფორტის სივრცე...

ყველა მასწავლებლის სახელი და გვარი არ მახსოვს, მაგრამ კარგად დამამახსოვრდა ეს სახელები: ნათელა (სიმონია, გაგრის პირველი საშუალო), ზამილი (გვარი ვერ გავიხსენე, საგარეჯოს მე - 2 საშუალო), ქეთევან დემეტრაშვილი (თბილისი 173 - ე სა-შუალო). სულ ვისენებ მე - 4 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სახელს, მაგრამ ამომივარდა თავიდან. მახსოვს გარეგნობა - საშუალო ტანით, საყვარელი ქალბატონი, თმის ფერი - ღია, ტუჩისაცხის ფერი გამოკვეთილი, მაგრამ ყოველთვის მოხდენილი. წლების შემდეგ ვნახე, იმავე სკოლაში. საკონტროლო წერისთვის „ვეფხისტყაოსნიდან“ ერთი თემის სამუშაო ვარიანტს ვეძებდი და მივაკითხე. უარი არ უთქვამს, ნიმუში მომცა, მაგრამ სახლში არ გამატანა. ჩამკეტა ოთახში და მითხრა: „გაძლევ ერთ საათს, მერე გაკვეთილი მეწყება, წაიკითხე, დაამუშავე და როგორც შეძლებ, ისე დაწერე. შენ მოაზროვნე ყმაწვილი ხარ, რატომ უნდა ჰგავდეს შენი თემა სხვის ნამუშევარს“. მაშინ გავბრაზდი. დღეს, როგორც პედა-

გოგი პედაგოგს ალბათ, ხელებს დავუკოცნიდი. ხო, კიდევ რაც მახსენდება, ეს არის საშინელი ბოძი, რომელიც შუა კაბინეტში (ოღონდ ქართულის იყო თუ ბიოლოგის, არ მახსოვს) იყო აღმართული და იმ ბოძთან ახლოს დაჯდომა კარგ მოსწავლეს ესიკვდილებოდა, ცუდს კი აგულიანებდა.

გეოგრაფიის კაბინეტი, ისევე როგორც გერმანულის - ძალიან პატარა და ვიწრო. გეოგრაფიის მასწავლებელი ახალგაზრდა იყო, მისი სუნამოს სურნელს ახლაც შევიგრძნობ. მახსოვს, ერთმა მოსწავლემ უთხრა: „მას, ნიშანი მაღირსეთ და ერთი კარგი სუნამო ჩემზე იყოსო...“ არ დაიბნა პედაგოგი, კარგი, ოღონდ თუ იმ ქვეყნის შესახებ, რომლის სუნამოებსაც ვანიჭებ უპირატესობას, მინიმუმ 10 გეოგრაფიულ ცნობას მოგვაწვდიო“... რა თქმა უნდა, ზარმაცი მოსწავლის გაუმართლებელი მცდელობა მცდელობადვე დარჩა. ბეჯითი მოსწავლეც ბევრი გვყავდა. სახელს ვერ ვიხსენებ, იყო ერთი მაღალი (მაშინ ასე მეჩვენებოდა) სიმპა-თიური ბიჭი, რომლის დასწრება გეოგრაფიის მასწავლებლისათვის ნამდვილი ზეიმი იყო. იცით რატომ? ყველა სახელმწიფოს დედაქალაქი ზეპირად იცოდა.

**სიძლია და პოზია** - ამით ნამდვილად გამოვირჩეოდით. მარტო დათოს შესრულებული სიძლერა რად ლირდა და ლირს? დათომ წლების შემდეგ მიპოვა, დღეს ის ეროვნულ ანსამბლს წამოადგენს.

**რუსული ენის საპილად პეტი პაპინატი** - სკოლის მარცხენა ფლიგელში. ერთი პატარა ფანჯრით, ძლივს რომ შემოდიოდა შუქი. ამ სასკოლო სივრცეშიც გამორჩეული ვიყავი. რა გასაკვირია, მე ხომ აფხაზეთიდან ვარ.

**ვიზაულტურა, ვერ ვიტანდი...** ბიჭებს ყველაზე მეტად „ცხენობანას“ თუ „ვირობანას“ თამაში უკვარდათ. მე ყოველთვის ხელოვნებისადმი მიდრეკილი, რომანტიკოსი ტიპი ვიყავი. მახსოვს ერთხელ, მოვიგონე - მას, ქვედა რიგში ვერ დავდგები, ჩემთვის სიმძიმით დატვირთვა არ შეიძლება... და რატომ - რომ იკითხა მასწავლებელმა, უუპასუხე - ბრძა ნაწლავის ოპერაცია გავიკეთე და ჭრილობა ახალი შეხორცებულია-მეთქი. კიდევ კარ-

გი მაჩვენეო, არ უთქვამს... მერე სულ მზოგავდა. აი, კიდევ რა გა-  
მახსენდა, გასახდელი არ იყო სკოლაში, ან თუ სადმე იყო, ისიც,  
ალბათ, მოუწესრიგებელი. (საყვედურად არავინ მიიღოს, ცუდი  
დრო იყო). და რას ვაკეთებდი ამ დროს მე? ვიყენებდი დასვენების  
დროს, ავრბოდი სახლში, ვიცვლიდი ტანისამოსს და ვბრუნდებო-  
დი უკან სკოლაში. ხო, აი, ასეთი უცნაური ბავშვი ვიყავი.

## ეპიზოდი IV

### თანაკლასელის დაგადახის დღე...

მამა უკვე ჩამოსულია. ეს ის დროა, ბიჭები კუნთებით, ხელის  
გადაწვით, სიგარეტის მოწევით კი არა, ფართე მხრებით, ახალი  
ჯინსებით ან პიჯაკით რომ იწონებენ თავს. თან როგორი პიჯა-  
კი იყო იცით მოდაში, ოქროს ღილებით, მაქსიმალურად ღრმა  
საყელოთი და სპეციალურად დაყენებული სამხრეებით. ესეც  
დილემა, სად იშოვო, ან უნდა იყიდო, ძვირია, ან უნდა შეიკე-  
რო... ზემოთ ბებიის საკერავი მანქანა ტყუილად არ მიხსენებია...  
რაც იმ მანქანამ იმ დღებში იხვარხვალა (როგორც მეგრელე-  
ბი იტყვიან)... ჯერი ნაჭერზე მიდგა, ვერ ვიშოვეთ. უცებ მამას  
თვალები გაუნათდა, ხვალ მოვაგვარებ ამ პრობლემასო და  
მართლაც მეორე დღეს სამსახურიდან ხელდამშვენებული მოვ-  
იდა. ახლა, რაში იყო საქმე - მამა სამხედრო ნაწილში მთ. ექიმად  
მუშაობდა. სწორედ იქ მოიკითხა ძველი, ჩამოწერილი საზეი-  
მო სამხედრო ფორმები, რომლებსაც ჯერ არც ღილები და არც  
სამხრეები ჰქონდა მიკერებული. ვდგავარ და ვუყურებ ახლა ამ  
უნიფორმას და ბებიის ოქროს ხელების იმედადღა ვრჩები... გა-  
დავაკეთეთ, მშვენიერი ღილები მივაკერეთ. თეთრ ზედა-ქვე-  
დას რა მოუხდებოდა, რა თქმა უნდა, ღია ფერის ფეხსაცმელი,  
რომელიც მამას გაგრიდან ჰქონდა წამოლებული. ვერ მოვირგე,  
დიდია, ახლა რაღა ვქნა? დედა გაიქცა და იქვე ვაგზლის მოედ-  
ნის (მაშინ ასე ერქვა) მეტროს ჩასასვლელთან ფეხსაცმელში  
ჩასადები შალის ქეჩიობი მიყიდა. ესეც მოგვარდა. მამაჩემს ქა-

მარი წავართვი, გახურებული ლურსმნით რამდენიმე ნახვრეტი დავამატე და ზეიმისთვის თითქმის გამოვეწყვე. რა ქნას ბებიამ, რაც შეეძლო დაამოკლა და დაავიწროვა, მეტი შეუძლებელია. ქამარს მთელი ძალით ვიჭერ და ნაკლს პიჯაკით ვფარავ. ახლა ალბათ, მიხვდებიან ჩემი თანაკლასელები, რატომ არ ვიხდიდი პიჯაკს ცოცხალი თავით.

## ეპიზოდი V

მათემატიკა, სკოლის მარჯვენა ფლიგელი, მზიანი კლასი. მას-წავლებლის სახელი არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, ერთ მაღალ-სართულიან, ფერად ბინაში ცხოვრობდა. წინ რაღაც კულტურის (მუსიკის) სახლი იყო. ახლა რატომ მოვხვდი ამ ბინაში. ყოველთვის კარგად ვსწავლობდი, ბეჯითი მოსწავლე ვიყავი.

მაგრამ მათემატიკაზე არ ვგიუდებოდი. წყდება სემესტრული, საბოლოო ნიშნების საკითხი. 4 - სა და 5 - ს შორის ვარ. მასწავლებელი მიმართავს კლასს: „ჩემო ფრიადოსნებო, (ასე იცოდა მიმართვა), ჩემთვის არაფრით არ ხართ განსხვავებული ერთ-მანეთისგან, ყველანი ლამაზები, კარგები, ბეჯითები, საყვარლები ხართ, მაგრამ აი, ამ ყმაწვილის (მე მიყურებს) ჩვენს სკოლამდე პირველად მოსვლა და მერე ყოველდღე ერთი და იმავე გზის გავლა უფრო რთული და ეკლიანია. ამიტომ ფრიადი! თუ ჩვენი სკოლიდან გადავიდა (იცოდნენ, რომ ვაპირებდი) ჩვენი ქვეყნის სამაგალითო შვილი ნამდვილად იქნება.“

რატომ ის ფერადი სახლი? არავინ იცოდა და მე ეს კეთილ-შობილი ქალბატონი მამზადებდა მათემატიკაში, უსასყიდლოდ, რომ იმ ფრიადისთვის მიმელნია.

## ეპიზოდი... VI

### ებო

სპორტული ფეხსაცმელი იმ დროისთვის ყველას არ გვქონდა, იქვე ქუჩაში ვიხდიდით და ვიხდენდით მეგობრების კედებს, ბოტასებს. მახსოვს, მე და ჩემს ძმას თავიდან სახელებით არ მოგვმართავდნენ. ფრაზა - „აი, ლტოლვილები მოდიან, უმცროსი ჩემკენაა“, ხშირად ჩამესმის ყურში... (ვალერი ყოველთვის მაგრად თამაშობდა ფეხბურთს). მე თუ მეკარეობას დავთანხმდებოდი, ეს დიდი საქმე იყო. მაგრამ ჩემი მეკარეობა უფრო რატომ უნდოდათ, იცით? მარინა დეიდასთან უნდა ჩამეწყო (ჩვენი ქვედა მეზობელი, ნეტავ, სახელი ხომ არ მეშლება?) რომ არ ეყვირა და ეჩხუბა, თუკი გაქცეული ბურთი მათი ავტოფარეხის რეინის კარებს მოხვდებოდა.

## ეპიზოდი VII

### უცნაური სურვილი...

სულ მინდოდა გამეგო „ოდსტუპნიკების“ მნიშვნელობა... ახლა კი ვიცი, როგორც იურისტმა, რას ნიშნავს. ხოდა (ეს ფორმა არალიტერატურულია, მაგრამ აქ სასწაულად მოუხდა) მაშინ, ჩემთვის გაუგებარი, რაღაც ამდაგვარი ურთიერთობა გვქონდა მეზობელ ქალბატონ ლიასთან. რაზე არ ვჭორაობდით მე და ლია. პირველად მან მითხრა, საშიშია, გარეთ რომ ფეხსაცმელს იხდითო... უამრავი ისეთი რამ შეიძლება შეგერჭოთ, რაც მთლიანად დაანგრევს თქვენს ცხოვრებასო... არ დაკონკრეტებულა, მაგრამ უდავოდ ნახმარ შპრიცებზე საუბრობდა, ზაქრაძის ქუჩის მთავარ სირცხვილზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ქალბატონი ლიას დედაც კი მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ ლამის 30 წელია არ არის ამ ქვეყნად. ახლა არც ლიას ამბავი ვიცი (ლმერთმა ჯანმრთელად ამყოფოს). რას ვამბობდი? ხო... მოკლედ, მიზნად დავისახე მათ ხუხულა ბინაში შესვლა და იქაურობის შესწავლა.

უცნაურ, მაგრამ საინტერესო ქალბატონებად მეჩვენებოდა ქალბატონი ლია და დედამისი. „სახლი ძველ უბანში“ გახსენდებათ? შევედი, როგორც იქნა და ზღაპრულ სამყაროში ამოვყავი თავი. ახლა, უცებ რაც გონიერაში ამოტივტივდა არის: ფერადი ჭურჭელი, ყველა ჭიქა სხვადასხვა ფერის, ჩეხური ბროლის სამნათურიანი პატარა ჭალი, საწოლის თავზე კედელზე გაკრული ძალიან ლამაზი ხალიჩა (ბეჭიასაც ჰქონდა ასეთი, გაგრაში), ისე ბრდლვიალებდა, ოქროს ძაფით შემკული მეჩვენებოდა და პატარა მრგვალი მაგიდა, ხელით ნაქსოვი ულამაზესი ლურჯი გადასაფარებლითა და ზედ შავი უზარმაზარი ძველი ტელეფონით, რომელსაც რატომლაც, სტალინის ტელეფონი დავარქვი.

## ეპიზოდი VIII

### ზაქრაძის ძურის მეორე პოლო...

დღეს გია ოჩიგავას მამიდას ვსტუმრობდით... ეს ის სახლია, ზუსტად მეტროს ამოსასვლელთან რომ დგას. ლამაზი, ხორცსავსე, კარგად მოსაუბრე, ზედმეტად დინჯი ქალბატონია დღეს ჩემი მასპინძელი. ორი საათი საკმარისი იყო, ჩემი ცოდნა და საზოგადოებაში კულტურულად ქცევის კარგი მანერა გამომევლინა და დავიმსახურე მასპინძლის სიმპათია და შექება. მაშინ გავიცანი გიას დაც.

ზაქრაძეს რომ ქუჩა ესაზღვრება, იცით? ეკლესიაც დგას იქ... ხო, ხო, სწორად უყურებთ; აი, სწორედ იქ ცხოვრობდნენ (თან ერთსახლში) დედაჩემის ბიძაშვილ - მამიდაშვილები. ორმა ოჯახმა უკვე დატოვა ეს სახლი. არაჩვეულებრივი დახვედრა იციდა სამივე ოჯახმა. მაგრამ ნანი დეიდას ჩვენთვის (მხოლოდ ჩვენთვის) სახელდახელოდ გაშლილ სუფრას არაფერი შეედრებოდა. დიახ, ჯერ ჩვენ დაგვაპურებდა და მერე საკუთარ შვილებს. მის ასეთ დამოკიდებულებას მისი მეულლის - ბიძინა ბიძიას საოცარი კეთილგანწყობა განაპირობებდა... და ეს ყველაფერი ხდე-

ბოდა აფხაზეთის, სოხუმის დაცემიდან სულ რამდენიმე თვეში, როცა საქართველოს ყველაზე მეტად უჭირდა.

და მაინც, ყველაზე მეტი სითბო, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, თანადგომა იმ დროიდან მომყვება. აი, ასეთი იყო ჩემი „ზაქრაძისეული“ ბავშვური ყოფა.

## ეპიზოდი IX

და ბოლოს... სულით და გულით შევხვდებოდი მე-4 სკოლის თანაკლასელებს. აქვე, ერთ ეპიზოდს გავიხსენებ. მეტროში მგზავრობის დროს, ის დროა, როცა ხალხი ვაგონებს შორის სივრცესაც იკავებდა, შემოდის ლამაზი გოგონა და კართან ახლოს დგება. ვხედავ იქვე მდგომი „არსება“ უხერხული მოძრაობებით და მიმართვებით აწუხებს. გოგონა ფეხს ვერ იცვლის, ან სად წავიდეს. მაშინ ჩემში გაიღვიძა მეგრულმა გამჭრიახობამ და ახლოს მივედი მანდილოსანთან, „ვამე, გოგო, როგორ ხარ, სად ხარ, სად დაიკარგე, ძლივს არ გნახე...“ და თან, თვალს ვუკრავ. ისიც მიხვდა, რომ საშველად მოვევლინე. იმ მომენტში ვერ ვიცანით ერთმანეთი. არადა, ჩვენ ხომ კლასელები ვიყავით. მერე იმდენი რამ გავიხსენეთ. მე ის კონკრეტულ ადგილამდე მივაცილე (დოლიძის ქუჩის დასაწყისი) და ამაყი წამოვედი. კიდევ იყო ერთი საინტერესო შემთხვევა, როცა „ევრობრენდში“ გოგონა გამომელაპარაკა, მიცნო, ისე თბილად მომესალმა, მომიკითხა.

ბავშვებო, მადლობას გიხდით, რომ იმ რთულ პერიოდში მიმიღეთ, გამითავისეთ და დღესაც გახსოვართ. სიამოვნებით შეგხვდებოდით.

სიამოვნებით გავაგრძელებდი ზაქრაძის ქუჩის ძველ ამბებს.

## თბილისის „კარაველა“

მთვარეც მიყვარს, მზესაც ვეტრფი, ორივესი ვიცი ფასი,  
დამიჯერე, არასოდეს წარმოვაჩენ იას ვარდად,  
შენგან დაცლილ ყოველ დილას რა დავარქვა? - ალბათ, ფარსი...  
აქ მზეც მქონდა, მთვარეც მახლდა, გულმა მაინც იავადა...  
აქაც ნახავ ვიწრო ქუჩებს, შეიძლება, ზღვაც კი ნახო,  
მთებიც არის, თან, რა მთები და თვალს მოჰკრავ თოლიებსაც,  
მაგრამ შენთან სხვა ფერი აქვს ყოველივეს, ახლო-მახლო...  
შენთან პალმამ ცეკვაც იცის და ზამთარში თოვს იებად...  
დაიჯერებ? - „კარაველას“ თბილისშიც კი მივაგენი,  
წარსულიდან სილუეტი მერამდენედ დამეკარგა,  
იმ ოცნების ნაპირამდე, ნეტავ, როდის მივა გემი?  
მთაწმინდისკენ გზას მივყვები, შენზე ფიქრი დამაქვს, გაგრა...

\*\*\*

ხან შენს ცრემლებს დავატარებ, ხან ბინდი ვარ...  
ოცნებიდან, სამწუხაროდ, არც მორჩა რა,  
მივდივარ და თან, არ ვიცი, სად მივდივარ...  
ოცი წელი დამატარებს „ას ოცდა რვა“<sup>1</sup>...  
მთავარ გზას რომ ვერ ვპოულობ, ეს მაგიუებს,  
ვერ ვიპოვე გზა - შენამდე მოსასვლელი...  
ვერ გავიგე ეს ისრები რას მანიშნებს...  
და ბილიკებს მოგონება მოსავს სველი...  
წვიმს და ფიქრი გალუმპული შემესია,  
სხვას ნუ ატან შენს გზავნილებს - შენ გამანდე!  
თუ შენა ხარ ჩემი სულის ეკლესია,  
მაშ, ყველა გზამ მომიყვანოს შენს კარამდე...

---

1 სამარშრუტო მიკრო-ავტობუსის ნომერი, დღეს უკვე - 531.

## გულო!

ვიცი, გულო, დედაქალაქს როგორ შემოევლები,  
თუმცა, ვხედავ, აქ დარჩენა სამუდამოდ არ გინდა,  
აგერ უკვე ოცმა წელმა ჩაიარა თბილისში,  
მაგრამ ისევ მათქმევინებს: დიახ, მე ვარ გაგრიდან!  
ამ ფიქრებმა მიმიყვანა ოცნებების ნაპირთან,  
დაუბერა ზღვიდან ქარმა და საამოდ აგრილდა,  
მალე ჩავალ ჩემს ქალაქში, თეთრი გემით გავცურავ,  
შენ იძგერე და ცხოვრებას კვლავ დავიწყებ გაგრიდან!

## თოვლში დაკარგულო ყვავილო!

იქნებ ყინულს მიეყინა ვარდის თხელი ფურცლები,  
იქნებ ჩვენი გრძნობა იყო სულაც გამოუცდელი,  
იქნებ სერზე ძალით იყო ია ამოყვანილი,  
შენ ხარ ჩემი - სადღაც თოვლში დაკარგული ყვავილი...  
მე ჩემს სახლში, ახალ სახლში ვზივარ, ბუხრის ნაპირას,  
შენ კი, ალბათ, იყინები იქ, შავი ზღვის ნაპირას...  
მეგონა, რომ დაფარავდა თოვლი ომის ნაკვალევს,  
ქარი ჩემს გულს მოგონებებს ახლოს აღარ აკარებს...  
შენ იქ დარჩი, მე აქეთ ვარ... თოვს და უფრო უმატებს...  
ნუთუ, ახლა ლურჯ მთას თოვლში უფრო მეტად უმართლებს...  
ჩემო, ცამდე მონატრებავ, ჩემო სულში ბლავილო,  
თოვლზე პირქვე დამხობილო, მაგრამ მაინც ყვავილო...

## მსოლოდ გა ვერ დაგიპრუნდი აქამდე...

დაგიბრუნდა შენებური სიმწვანე,  
დაგიბრუნდნენ კვლავ, თეთრგულა მერცხლები,  
მზემ გაათბო, გააცოცხლა ბუნება,  
შენ კი ვხედავ, რომ ხელიდან მეცლები...  
თეთრი გემიც დაუბრუნდა შენს ნაპირს  
და სიზმარმაც შენთან მოსვლა ინება,  
დაგიბრუნდა ჯადოსნური სურნელი,  
დაგიბრუნდა გაზაფხული - იებად...  
მე კი აქ ვარ, სხვა ქალაქში, უშენოდ,  
შენზე ფიქრი, სულ ცოტა ხნით, აქ მანდე,  
რა ვქნა, თუკი ვერ მოვედი შენამდე?!  
რა ვქნა, თუკი ვერ დავბრუნდი აქამდე?!

\*\*\*

როცა დაგკარგე, თავიც დავკარგე,  
ფეხზე დადგომას წლები დასჭირდა,  
მე დაბრუნება ყველგან შევძელი...  
შენთან მოსვლა კი ასე გაჭირდა...  
მე ღმერთს ვეძებდი, შენ რომ მეპოვე,  
ღმერთი შემომხვდა ყველა ბილიკზე,  
ო, დაბრუნება როგორ გაჭირდა  
და შესევია მინდვრებს პირიმზე...  
სად არ ვიარე, სად არ შევჩერდი,  
ალბათ, სავალი კიდევ ბევრია,  
ხოდა, მომიშვი, შენთან მომიშვი,  
სანამ ეს გზებიც გამომელია.

## მაცდარინები...

ფიქრს მოვეჭიდე, შევთხოვე ჩემი  
სიზმრად დარჩენა ცოტაც ეცლია,  
ისიც დადუმდა და სახლის უკან,  
მანდარინების ბაღებს ეწვია...

გათენებამდე მივენდე სიზმარს,  
ისევ შენ გიხმე, ისევ შენ გნახე...  
მშობლიურ ეზოს ვესტუმრე წამით  
და ნაცნობ კედლებს ხელი შევახე;

სიზმარი გაქრა, რა უნდა მექნა?!  
გავუშვი ფიქრი, ისიც დამშორდა,  
ყვითლადშეფერილ ხეების მწკრივებს  
თითქოს, შეერწყა ჩემი ბავშვობა...



## ეს ჩემი სახლია, მე მიყვარს ჩემი სახლი!

---

რამდენიმე დღის წინ ხელში ჩამივარდა ჩემი სახლის ფოტო-სურათები. ძალიან ამაღელვებელი იყო წარსულთან შეხვედრა. თვალწინ გადამეშალა უდარდელი ბავშვობის საუკეთესო წლები. საოცარი გრძნობა დამეუფლა. უსაზღვროდ მონატრებულმა ჩემი სახლის ეზოში ამოვყავითავი. ბევრი რამ შეუცვლიათ. მოურღვევიათ კიბე, მოუჭრიათ რამდენიმე ხე, კედლები გადაუღებავთ. რატომ ცდილობენ ყველაფრის ასე გადასხვაფერებას? ალბათ, ძნელია იმ აზრთან შეგუება, რომ ამ სახლში, სულ რამდენიმე წლის წინ, ცხოვრობდა მისი ნამდვილი პატრონი, მეუღლესთან და შვილებთან ერთად, რომ თურმე, დროგამოშვებით ეზოში ჩნდება მოხუცი კაცის ლანდი, რომელიც მოსვენებას უკარგავს დაუპატიუებელ სტუმრებს. ვფიქრობ, რომ მოხუცი ბაბუაჩემია, რომელმაც ბებიასთან ერთად საკუთარი ხელებით ააშენა ეს სახლი და რომელიც გაგრის ტრაგედიამდე გარდაიცვალა. ბაბუას გახსენებაზე ჰაერში ადესის სუნი დატრიალდა. ვიცი, რომ მისი დარგულია. ათობით მანდარინის ხე ისევ ამშვენებს ჩვენს ეზოს, ვერც ლელვის ხეს მოუხერხეს რამე, სანამ ნაყოფს ისხამს, მისი მოჭრა არ შეიძლება, ალბათ, სმენიათ წინაპრებისაგან. არადა, რომ იცოდეთ რა გემრიელ ნაყოფს ისხამს. როგორი წაცნობი ხმაა, ნუთუ ეს ჩვენი ძალლია, ჭკვიანი, ერთგული გერმანული ნაგაზი, ის ხომ დიდი ხნის წინ ჩვენთან განშორებით გამოწვეულმა სევდამ შეიწირა. ფიქრებმა დამაბრუნეს ბავშვობაში. ისევ შემომეშამა ძალლის ყეფა. სახლის უკანა ეზოდან გამოიქცა და კუდის ქნევით მომიახლოვდა. . . მეალერსება, ჩემთვის კარგად ნაცნობი მოძრაობით, ცდილობს მანიშნოს, რომ სადღაც უნდა გავყვე, ვუსრულებ თხოვნას და ისიც უსაზღვროდ ბედნიერია. სახლის ერთ-ერთ კუთხესთან ჩერდება, აღელვებული ჩანს, მოუსვენრად დასტრიალებს თავს ერთ პატარა ადგილს. ნეტავ, რა უნდა მაჩვენოს? აქ, ამ ადგილზე მე და ჩემი უმცროსი ძმა „ომობანას“ თამაშის დროს ვემალებოდით ერთმანეთს. რაღაც

ფიცრები და უანგიანი რკინის ნაჭრები დაუყრია სახლის ახალ „მეპატრონეს.“ ჩანს, რომ ამ ადგილისთვის დიდი ხანია ხელი არავის უხლია. ძალმა თათებით მიყარ-მოყარა უსარგებლო ნივთები, შიგნით შეღწევა მოახერხა და პირით რაღაც გამომი-თრია. გავშეშდი - ეს ხისგან გამოთლილი ჩემი სათამაშო თოფი იყო. ძალს ერთგულებისთვის მადლობა გადავუხადე და გულ-ში ჩავიკარი. მერე თავად შევუდექი იმ ადგილის დასუფთავე-ბას, თითქოს, ვგრძნობდი, რომ რაღაც უნდა აღმომეჩინა. მალე გამოჩნდა სახლის კედლის პატარა, დაფარული ნაწილი, ხელით ჩამოვწმინდე ტალახი და სისხლი გამეყინა - მხოლოდ რამდენ-იმე ასო იყო გაფერმკრთალებული. მშობლიური სახლის კედელ-ზე კარგად იკითხებოდა ქართული წარწერა:

„ეს ჩემი სახლია, მე მიყვარს ჩემი სახლი! გოჩა, 1990 წლის 12 ივნისი.“





ჩვენი სახლის ეზო, გადასცვაფერებული,  
მაგრამ მაინც ნაცნობი



ჩვენი გერმანული ნაგაზი - აგბარი

## მიმდევრობა

ვირჯები შენთვის, ჩემო მამულო,  
ნათელი შენში რომ კვლავ ვიხილო,  
რომ არ დავეცე, რომ არ გამთელონ, -  
მამალლებს, მლოცავს ვაზის ჯვრით ნინო...  
მხოლოდ ღვთის სახლის ვრჩები იმედად,  
უიმედობა რომ არ ვითმინო,  
რომ მქონდეს ძალა ბრძოლის, შენების, -  
მამალლებს, მლოცავს ვაზის ჯვრით ნინო...  
მუხლმოდრეკილი ხატებს უწმინდესა,  
ვანდობ ოცნებას, რომ ავიხდინო,  
მელის ილორი<sup>1</sup>, მოქვი<sup>2</sup>, ბიჭვინთა<sup>3</sup>...

1 ილორის წმინდა გოლეგის ეკლესია XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლია. ის აფხაზეთში, კერძოდ, ოჩამჩირები მდებარეობს. ტაძარი შუა საუკუნების საქართველოს უმნიშვნელოვანეს სალოცავს წარმოადგენდა. აյ ქართული წირვა-ლოცვა 90-იანი წლებიდან, აფხაზეთის ოკუპაციის შემდეგ შეწყდა. XVII საუკუნეში ილორის ეკლესია ლევან II დადაიანმა შეაკეთა. 1736 წელს დაწვეს თურქებმა და შემდეგ აღადგინეს ოდიშის მთავრებმა. ძეგლი საფუძვლიანად შეაკეთეს XIX საუკუნის 40-იან წლებში. ილორის ეკლესის ფასადებზე დღეისთვის შემორჩენილია ქართული დამწერლობით შესრულებული ხუთი წარწერა, მეექვსე აღარ იყოთხება. /იხ. ისტორიული სატორაზაყნოს წარწერები: ილორის წარწერები //ახალა-ძე ლ. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო: ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. I.-თ., 2005.-გვ. 96-108 (ილორის ტაძრის ხუროთმოძღვრული დახასიათება, შემორჩენილი ლაპიდარული წარწერების ენობრივ-პალეოგრაფიული ანალიზი); ასევე, ილორი //როგავა გ. რელიგია და ეკლესია აფხაზებში.-თბ., 2007.-გვ. 157-158/. იხილეთ გვ. 416

2 მოქვის ტაძარი — საკათედრო ტაძარი საქართველოში, მდებარეობს სოფელ მოქვში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, აფხაზეთი. 957-967 წლებში ააგო აფხაზთა მეფე ლეონ III-მ /გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის ბიძა/. მოქვის ტაძარი დავით აღმაშენებლის დროს მოუხსატავთ. XIX ს-ის დასახუისში ტაძარი მიტოვებული და გაძარცვული იყო, მაგრამ საუკუნის შუა წლებში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ ტაძარი აღადგინა და თავის საგვარეულო საძვალედ აქცია, თუმცა ბევრი ორნამენტის აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა. /იხ. „მოქვის ტაძარი“, აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, უურნალი „ჯვარი ვაზისა“, №1, 2005. /ასევე იხ. საინტერესო ლეგენდა მოქველი დიდოსტატის შესახებ: <https://likan-orose.wordpress.com/tag/მოქვის-ტაძარი/>. იხილეთ გვ. 416

3 ბიჭვინთის ტაძარი — X საუკუნის, ბიჭვინთის საეპისკოპოსოს საკათედრო ტაძარი, მდებარეობს ბიჭვინთაში. ბიჭვინთის ტაძარი, ისევე როგორც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე სხვა ძეგლები, ორგანულადაა

მამაღლებს, მლოცავს ვაზის ჯვრით ნინო...  
როგორ იქნება, ფიქრში ყოველ დღე,  
რომ არ მოგიხმოთ, ქართველნო გმირნო!  
ღმერთო, იმ მიწის ღირსი გამხადე,  
აფხაზეთს მიდის ვაზის ჯვრით ნინო!

## სანთალი

მე ვარ სანთელი, სათნო და წმინდა...  
სასოებისთვის ვიწვოდე მინდა,  
გუშინ ათასჯერ ჩამაქრო ქარმა,  
დღე იყო ცივი, თბილისში წვიმდა ...  
მერე სამებამ ჩამიკრა გულში,  
ისევ აღმოვჩნდი სანთლების გუნდში,  
და მის კედლებში, სინათლით სავსე,  
სიყვარულისთვის დავენთე გუშინ.  
ნახევრად დამწვარს მომედო ალი,  
სიჩუმემ შთანთქა სიცოცხლის კვალი.  
დავენთე შენთვის, ვენთები მარად,  
ჩემი ხვედრია და წმინდა ვალი.

ჩართული ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში, მაგრამ მისი გარეგნული სახე, საქართველოს სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ბიზანტიურ ნაგებობებთან. ოეიძურაზ გატონიშვილის გადმოცემთ, ბიჭვინთის ეკლესიის ადგილას იდგა ქართველთა ერთ-ერთი მთავარი სალოცავი — ბოჩის (ბოჩი, ფანურად ნიშავს შამალ ცხვარს, ქართველთა ძველი წარმართული ღვთაება - იხ. 6. მარი, „ჭანური გრძატიკა“, გვ. 131) ტაძარი. იხ.გვ.416

## აფხაზეთის სალოცავებს...

ფიქრს სწადია, შემახვედროს ზღაპართან...  
სადაც მზეში წვიმა უცაბედია...  
სადაც ღამე თვლემს ბაგრატის საფლავთან  
და ქართულ სულს აკვანს ურნევს ბედია...

მოჩანს მთები, კავკასიის დარაჯად,  
შევერცხლილი, მცირედ გადანათოვი,  
მიიღია ღამე, მთვარეც არსაც ჩანს,  
ხელს უკოცნის მზეს ახალი ათონი;

მცირე ხნითაც არ ყოფილა იოლი  
შენს ლურჯ მთებთან განშორება, მერწმუნე...  
სულს ამძიმებს სახეცვლილი ილორი,  
შენ, იმედო, ნუთუ გადამეწურე?!

სხვაგან არსად მინახავს და არც არის,  
ზღვის და მთების ამდაგვარი თანხვედრა,  
ლოცვას ცამდე სწევს ბიჭვინთის ტაძარი,  
აქცამ იცის უჩვეულო დახვედრა...

აფხაზეთს რომ გადმოჰყურებს ამაყად,  
უფლის სახლი, ცადანვდილი მოქვია,  
აქ მზიან დარს წვიმა შეცვლის ამაღამ,  
ლიხნის თავზე კვლავ ღრუბლები მოქრიან...

მოდის წვიმა, გაგრის წვიმის სადარი,  
ამ წვიმაში ხეტიალი გავრისკე,  
აი, მოჩანს პანაწინა საყდარი,  
მიდის ფიქრი, მეც მივყვები გაგრისკენ.

## ამბობენ, სამოთხეაო...

არასოდეს ვინანებ 1960 წლის ბოლო ზაფხულს უმშვენიერეს გაგრაში. ბევრი მსმენია და წამიკითხავს შავი ზღვის ამ პატარა საპორტო ქალაქზე, უდიდეს სიყვარულსა და სითბოს რომ იტევს; საოცარია მისი მზე, კიდევ უფრო საოცარია მისი ხალხი - სტუმართმოყვარე, მხიარული და სიცოცხლით სავსე. ყოველთვის ვფიქრობდი დიდი გალაკტიონის მონატრებაზე, რომელიც პოეტს გამუდმებით აბრუნებდა წარსულში, ლურჯ მთებთან, თეთრ სანატორიასთან, პალმებთან, მის ლექსებზე შეყვარებულ იდუმალ ქალბატონთან... როცა საკუთარი თვალით ვიხილე აფხაზეთი, გაგრა, გალაკტიონის პათოსს ამ უტურფეს მხარეზე, მისი უკვდავი სტრიქონებივით შევუერთდი...

ისევ გაგრა... ისევ 1960 წლის ზაფხული. ქალაქი მხიბლავს განუმეორებელი ბუნებით... რინამ ხომ სულ გამაგიშა თავისი სიეშით... ყოველდღე ვუცქერ ჯადოსნურ გათენებას და ენით აუნერელ დაღამებას ზღვის ნაპირზე. ვტკბები ამ სურათით და მაინც დაუკინყარი წუთების განმეორებას ვნატრობ და ვნატრობ...

იქნებ თქვენ მითხრათ, ახლა სად ვიმყოფები? ამბობენ, სამოთხეაო... ისე, მართლაც ძალიან ლამაზია, ხომ გჯერათ ჩემი?! კალამს არც ამჯერად ვაძლევ საშველს და აქაურ ამბებზეც ვწერ. მაგრამ ამასთან, არასოდეს მტოვებს შეგრძნება, რომ სამოთხის ბალში ცხოვრების ბედნიერება ერთხელ უკვე მხვდა წილად... ოღონდ დედამიწაზე - მწვანეში ჩაფლულ გაგრაში, რომელსაც, ვაი, რომ თურმე, არ გაუფრთხილდნენ...

ნუ გათელავთ სამოთხის ბალს! ო, რომ იცოდეთ, როგორ ვნატრობ იქ დაბრუნებას წვიმის წვეთად, თოვლის ფიფქად, ცელქ სიოდ ან თუნდაც ზღვის აბობოქრებულ ტალღად, მაშინ რომ არ დამინდო...

ნუ იტყვით და ნუ დაწერთ, რომ ტრაგიკულად წავედი... მე შავი ზღვის მარგალიტმა დამავიწყა თავი და ლამაზი გრძნობებით სავსე, ტალღებში გავუჩინარდი...

1960 წლის 23 აგვისტოს, ქალაქ გაგრაში, 26 წლის ასაკში დაიღუპა მწერალი გურამ რჩეულიშვილი. ის მღელვარე ზღვაში გადაეშვა უცნობი რუსი ქალიშვილის გადასარჩენად.

...ეს წერილი ახალი ბათუმის ნაპირებთან გამორიყულ ბოთ-ლში ვიპოვე....



## ყაყაჩო

შენდამი ლტოლვა ჰგავს მონურ ვნებებს,  
კალათად მექცა ღერები ლერწმის  
და შიგნით ვაფენ ტკბილ მოგონებებს,  
შენზე, ლურჯ ზღვაზე, ლურჯ ცას რომ ერწყმის;

გული შეგნატრის, წამითაც არ გთმობს,  
დამაპრუნეო - ლამის დამახრჩოს,  
შენი სურნელი აგიუებს, ათრობს  
კლდეზე გადმომდგარ წითელ ყაყაჩოს...



## დღო და მუზა...

„სასიტყვეთში“ გახლდით გუშინ, დამემგზავრა დრო და მუზა,  
ბევრი კარგი გაიხსენეს, მოაგონდათ ბევრი ცუდიც,  
მიამბობდნენ ოცნებებზე, სიყვარულზე, სავალ გზებზე,  
თითქოს, ხელი გამიშეშდა, რითმებიდან ჩამოვცურდი,  
ერთი სიტყვაც ვერ დავწერე, მხოლოდ ცქერით, სმენით დავტკბი,  
გზად ფიქრებთან შევიარე, შემეგება მთელი გუნდი,  
დროს სადილზე დავეწვიე, მისახსოვრა ათი წუთი,  
მერე სევდა გავაძოლე, გამოვცალე კათხა ლუდი,  
როცა გასვლა დავაპირე, თან გამომყვა ერთი დარდიც,  
დრომ გამანდო, რომ „სასიტყვეთს“ შეეჩია თურმე ქურდი,  
სულ გაზიდა სათნოება, სიკეთე და ტკბილი სიტყვა,  
ყველა მუზას სამათხოვროდ დაუტოვა ძველი ქუდი,  
გინებისთვის, სიბილნისთვის დაულია ყველას პირი,  
შენი მესმის ახლა, მუზავ! ვიცი, ვიცი რატომ დუმდი...  
გულწრფელობას, მართალ სიტყვას არ მოგაკლებ, ოლონდ მოდი,  
მე სხვა მარაგს გამოვაჩენ, ჩემი კალმით დამიბრუნდი!

## ოქროს თევზი

ნავსადგურთან ფიქრებს ვუხმე, მინდა მათთან ალერსი,  
სევდის ზღვაში გადავუშვი ჩემი ძველი ანკესი,  
თითქოს ანკესს სანუგეშოდ მოგონება მოება,  
ოქროს თევზის მოლოდინში წლები მიაქვს დროებას  
და თუ მაინც, თუნდაც ერთ ფიქრს ოქროს თევზი ამოყვა,  
თუ მის ჩუმად გამოჩენას აღელვება არ მოჰყვა,  
ვინატრებ, რომ არ მტკიოდეს, რაც მტკიოდა ამ დრომდე -  
რომ ჩემს სახლში ფეხის დადგმას არასოდეს ვნატრობდე . . .

# ნ ა ტ ა ლ ი ს

ჩემი ფიქრები, მონატრება, სურვილები რომ მშობლიურ ქალაქს უკავშირდება, ეს უკვე დიდი ხანია არავის უკვირს, მაგრამ ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრის ამ ქვეყნად არსებობაც რომ გაგრას დაუკავშირდებოდა, ძნელად თუ წარმოვიდგენდი. დიახ, ჩემი ნატალი გაგრიდანაა, ისიც ამ ქალაქში დაიბადა და ომამდე გაგრის პირველ საშუალო სკოლაში სწავლობდა. კრებულის ამ ნაწილს სწორედ ჩემს მეუღლესა და ჩემი შვილების დედას ვუძღვი; გაგრას კი მინდა დავპირდე, რომ აუცილებლად დავბრუნდები, ამჯერად, ოჯახთან ერთად და მამა-პაპისეულ სახლში არასოდეს ჩავაქრობ სიყვარულით გამთბარ ქართულ კერას!

იწვა ქედი, ზღვის ნაპირთან, სიცხისაგან გაშოლტილი...  
უხვად ვკრეფდი ოქროს სხივებს, იძლეოდა მზე თანხმობას...  
იდგა გოგო, ლურჯთვალება, ლერწამივით აშოლტილი....  
კოლონადის შადრევანთან ისველებდა თმებს, ტალღოვანს...  
ლურჯ მთას ყელი მოეღერა, იდგა მტკიცედ, უდარდელად...  
ზეცას ნაკლი აღარ ჰქონდა, არ უჩანდა არცა ბზარი...  
ვინ იცოდა, ვინ იცოდა, რომ ეს გოგო ლურჯთვალება,  
ნლების შემდეგ, გახდებოდა ჩემი გულის თანამგზავრი...



## ჩემი ფიქრები შენს ფიქრებს ერთვის...

ხან სიოს ვძაძავ, ხან მზეს დავყვები,  
ვნატრობ ჩემ გვერდით გიხილო მუდამ,  
რომ შეგიგრძნობდე, რომ გეხებოდე,  
გულმა საგულე დაგითმოს უნდა...

არ დაგიძახებ, რომ არ შეშინდე,  
არ გაგაჩერებ, იარე შენთვის,  
ისიც ეყოფა სულს სანუგეშოდ,  
რომ შენი ფიქრი ჩემს ფიქრებს ერთვის...

დაგელოდები დღეს ზღვის ნაპირთან,  
ვერავინ მიგრძნობს, ვერავინ მნახავს,  
დღეს მინდა ვიყო ზღვა მოლივლივე,  
და ნაზი ტალღა, გრძნობას რომ ახლავს,

ცისფერ თვალებში შვებას ვპოულობ,  
მონატრება ხარ ზაფხულის იმ თვის,  
შენი შეხება კვლავ მაფერმკრთალებს,  
გული ზეცაში ვარსკვლავებს ითვლის...

რომ არ დაგაფრთხო, მზერა გავყინე  
და უნაზესი ღიმილით ვთბები,  
მალელვებს, მათრობს ტკბილსურნელებით  
მზის სხივებისგან დაწნული თმები...

## ჩემი ქათქათა, უმაცო ფიფქი

ლამაზ შეხვედრას მახსენებს ლამე,  
ლამე, რომელიც გრძნობებში მცდიდა,  
მაშინ მოხვედი სავსე იმედით  
და სიყვარული გვათოვდა ციდან...

რომ მოხვიდოდი, გამანდო სიომ,  
შვებით გელოდი საღამოს ცხრიდან,  
თოვდა ლამაზად, თოვდა მსუბუქად  
და სიყვარული გვათოვდა ციდან...

შენი ღიმილი მმატებდა რწმენას,  
სინაზით სავსე ფიქრებად მცრიდა,  
შემოვუფრინეთ ერთად სამყაროს  
და სიყვარული გვათოვდა ციდან...

გახსოვს, ძვირფასო, ის მთვრალი ლამე?  
ეჭვებით სავსე სასმისს რომ ცლიდა,  
შუა ზამთარში დათბა, დამშვიდდა  
და სიყვარული გვათოვდა ციდან...

შენსავით თეთრი, უმანკო ფიფქი  
ნაზი შეხებით წამებში მცვლიდა,  
თოვდა მსუბუქად, მერე უმატა  
და უსასრულოდ ითოვა ციდან...




## ჩემო, თოვლიში ყოჩივარდა...

შენი გულის კართან მინდა,  
სანთელივით უხმოდ ვენთო,  
ჩემო, ცამდე ამაღლებავ,  
ჩემო, მზეზე უფრო მეტო!  
არ იქნება ამ სინაზის,  
ან ამ თვალთა არ ვთქვა ქება...  
ჩემო, მუდამ გაზაფხულო,  
ჩემო, კვირტის აფეთქებავ!  
შენ ხარ შველა ჩამქრალ ფიქრთა, -  
ჩემს ეჭვებთან მომჩივანთა,  
ჩემო, ქარში დამშვიდებავ,  
ჩემო, თოვლში ყოჩივარდა...



## ნატალის

დაგეძებდი ყველგან - სოფლად, ქალაქად,  
ვერ ვიპოვე ქვეყნად შენი ბადალი,  
შემეპარა სენი „უკურნებელი“,  
მე შენით ვარ „ავად“, ჩემო ნატალი...  
სილამაზე ლურჯ თვალებში იღვრება,  
რა სინაზე, რა ლიმილი, რა ტანი...  
თუ ბუდიდან გული ამომივარდა,  
შენი იყოს, მიჩუქნია, ნატალი!  
მახსენდება ყველა შენი მოკითხვა,  
სიყვარულით, თბილად შემონათვალი,  
შენს „არასაც“ სითბო ეპარებოდა,  
უარმყოფდი როცა, ჩემო ნატალი!  
მე გიპოვე, შენც მიმიღე ნუგეშად,  
ჩემი სულის შენ ხარ ჩამონათალი  
და თუ ხშირად მზეს ვეხები ხელებით,  
შენ მამალლებ ცამდე, ჩემო ნატალი!  
შენი სუნთქვა, შენი წრფელი „მიყვარხარ“  
ჩემში ცოცხლობს, ტრფობით შემონატანი,  
მუდამ მყავდე, მუდამ გაზაფხულობდე,  
ნატალია, ნატო, ჩემო ნატალი!



## ასჯერ მოვალ...

როგორ ვცდილობ ჩაგატიო ლექსში,  
თბილ სტროფებში მიგიჩინო ბინა...  
მინდა, ნაზად მოგეფერო თმაზე,  
წვიმა რთავდეს ჩვენი ფანჯრის მინას...

სიმღერაშიც ჩაგატიო, ვცდილობ...  
და ნატალის ვლილინებდე მინდა,  
ცაზე მზე ხარ, გულშიც მზე ხარ, კარგო,  
როცა სევდა მეფინება ბინდად...

როგორ მინდა, ჩაგატიო სულში,  
შენით იყოს სავსე გული, გონიც,  
შენი გრძნობის დასატევად, ჩემო,  
ასი გულიც არ მეყოფა, მგონი...

ჩემს ლოცვაში ჩაგატიო მინდა,  
სანთელივით, ჩაუქრობლად ვენთო,  
ეს სიცოცხლე თუ არ მეყო შენთვის,  
ასჯერ მოვალ, ჩემო ერთადერთო!



## ცამდე მიყვარხარ...

შენ გვერდით გული არ იშლის ფრენას,  
ისევ მამალლებ, ისევ მიყვარხარ!  
გრძნობები ათოვს თოვლის თეთრ ფენას,  
ხელი მომხვივი, ცისკენ მიმყავხარ...  
თოვს მოგონება უტკბილეს წლებზე,  
ახლა ცხოვრება უფრო ტკბილია,  
ცოტა სითეთრეს არ ვჩივი წვერზე,  
„თოვს“ და დღეები უფრო თბილია...  
ხშირად ვუცქიროთ ამ ზეცას, ამ თოვლს,  
თოვლის საფარქვეშ რა რიგ ღამდება...  
რა სიმშვიდეა... საოცრად „გვათოვს“  
და თუ იმატებს, გამიხარდება...  
შენ გვერდით გული არ იშლის ფრენას,  
ხელი მომხვივი, ცისკენ მიმყავხარ...  
მე შენგან ვსწავლობ გულისთქმის ენას,  
ცამდე მამალლებ, ცამდე მიყვარხარ!

\*\*\*

როგორც ზღვის ტალღას აყოლილი თეთრი გემები,  
შენს ტალღოვან თმას მივუყვები ჩემი თითებით  
და სანამ ასე, სიყვარულით შემეგებები,  
დავიმორჩილებ ამ სამყაროს, მთელი დიდებით...  
შენგან მოსული გათენების როგორ არ მწამდეს?!  
ცისფერ თვალებში მზის სხივები დანავარდობენ,  
ფიქრებს მოჰკითხე - სად მივყავარ ამ ჩემს საწადელს,  
ვინმეს, შენ გარდა, ჩემს გულისთქმას განა ანდობენ?  
ჰო, შენს თვალებში ლურჯი ზეცა მშვიდად ჩაღვრილა,  
შენს თლილ თითებზე ჩემს საშველად სახლობს სიკეთე,  
თითქოს დაღლილა ეს სამყარო, თითქოს, დაღლილა,  
ერთიც მაკოცე, გულისცემა გამომიკეთე...

\*\*\*

მხოლოდ შენ იცი, გულში სხივები  
როგორ შემოდის და როგორ ქრება...  
როგორ ასწავლე შენს გაღიმებას  
ჩემი გრძნობების აბობოქრება?!

ვიცი, დამიცავს შენი „მიყვარხარ...“  
სევდას არასდროს არ მიმაკარებს;  
მივყვები შენს თმებს, ტალღებს რომ ჰგვანან,  
ოცნების ზღვაში რომ მიმაქანებს...

სიცოცხლით მავსებს ეს გამოხედვა,  
ო, ეს თვალები, არნახულია...  
ყელზე რომ გკოცნი, სურნელს ვგრძნობ იის,  
შენთან ზამთარიც გაზაფხულია...

უშენოდ ამ გულს არ ძალუძს ძგერდეს,  
უშენოდ წამსაც ვერ გაიმეტებს....  
მე შენს ნაკვალევს ჩუმად მივყვები,  
შენს ნაბიჯებზე ვნერგავ იმედებს...

მზის სხივებს ვწვდები, რაც გაგიცანი  
იმედით გამთბარ სიტყვებს ვუმატე...  
ერთად ვიაროთ, ასე ვიაროთ  
სიყვარულიდან - სიყვარულამდე!

## იასამანი

ქარებს ფიქრი ცის კიდემდე მიჰყავდა...  
და ვეძებდი ვის რა უნდა, ვის რა სურს?!  
უფრო მიყვარს, ვიდრე გუშინ მიყვარდა,  
ისევ აფრქვევს ვარდი სურნელს გიშმაურს...  
გაზაფხულმა უკვე მოიყვავილა,  
გადაიგდო ლურჯმა იამ საპანი,  
შენს სარქმელთან დავერგვები ყვავილად,  
ვიშრიალებ, როგორც იასამანი...  
წვიმს, ღრუბლებთან შერკინება გავრისკე,  
იამ თავი დაისველა, ტანიცო...  
აბა, ერთი, მოიწიე სარკმლისკენ,  
მოდი, მოდი... დღეს თავიდან გაგიცნო...

## არაფერი დაგეგმო სიყვარულის გარდა!

ნუ ეცდები, ვარსკვლავებს ვერ ჩამოხსნი ძალით,  
ზოგჯერ ახვალ ზეცამდე, ზოგჯერ იწვნი ვარდნას...  
და იქ, სადაც ცხოვრება იზომება წამით,  
არაფერი დაგეგმო, სიყვარულის გარდა!  
დღეს თუ ისევ იწვიმა, ვერ გაუსხლტი წვიმას,  
ხვალ პატარა იმედი გამოაშრე მზეზე,  
შეეფარე გზის პირას თეთრ სალოცავს - წმინდას,  
სიყვარულით იარე სიყვარულის გზებზე!  
დრო წაიღებს მოლოდინს, იალქნიან გემებს,  
უმეტესად სინანულს მიყრის გულის კართან,  
დამიჯერე, არ გინდა, ნუ დააწყობ გეგმებს,  
არაფერი დაგეგმო, სიყვარულის გარდა!

\*\*\*

ცას ვათქმევინებ, რას ვგრძნობ, თუ საკადრისად ვერ ვთქვი,  
შენს სურნელოვან თმებში ჩაწნულ მზის სხივებს ვეტრიფი,  
ოცნების ზღვაში ვცურავ, როცა შენს თვალებს ვუმზერ...  
და მთელ სამყაროს ვატევ შენს - ოქროსავით გულზე...

ხელით მატარებს რწმენა, ვუსწრებ სიმაღლით მთებსაც,  
ნაზად ვეხები ზეცას, ვისხამ იმედს და ფრთებსაც...  
შენი სისუსტე სწონის ძალას ფრთიანი გუთნის,  
შენი სიჩუმე, ხშირად, მზის დაბადებას უდრის...

შენს დანახვაზე, მშვიდად, ყელს მოიღერებს გედი,  
შენს გალიმებას, ჩემო, ძალუძს იმაზე მეტი,  
ვიდრე მოსწრებულს სულზე, მზის ამოსუნთქვას ცაზე...  
ვიდრე გაზაფხულს, უცებ, რომ მოგადგება კარზე...

ცას ვათქმევინებ, რას ვგრძნობ, თუ საკადრისად ვერ ვთქვი,  
შენს სურნელოვან თმებში ჩაწნულ მზის სხივებს ვეტრიფი,  
ოცნების ზღვაში ვცურავ, როცა შენს თვალებს ვუმზერ...  
და მთელ სამყაროს ვატევ შენს - ოქროსავით გულზე...



## მზე ზღვის ნაპირზე

(და ისევ გაგრა...)

გუშინ ვინატრე, რომ ვიყო სხივი იმ მზის,  
რომელიც შენ გითბობს სხეულს,  
ნატვრა ამიხდა, მზემ გამიტაცა და მოვეფინე შენს  
მინდვრებს, ბალებს,  
ვესტუმრე სახლ-კარს, ვესტუმრე პალმებს, გული  
გავუთბე შენს მიწას სწეულს,  
სადაც სამოთხე, ამქვეყნიური ყველა მნახველის  
გულისკარს ალებს,  
მხოლოდ იმედი დამრჩა უმზეოდ, იმედი შენი  
ცხადშიაც ნახვის  
და თუნდაც იყოს მცირედი, მაინც, ნათელმა ხელი  
ხვალ იქნებ, ახლოს;  
დღეს ვრჩები მზესთან, მზე დიდებული არ ჩადის  
ზღვაში, თავს ისევ არ ხრის,  
დარჩა ნაპირზე, ჰო, ზღვის ნაპირზე და გავინაბე მეც  
იქვე, ახლოს...



## პავანი გაგრასთან

ვინატრე მთები, შენი ნაპირი,  
ვუმღერე პალმებს, საყვარელ ქუჩას,  
ვინატრე ზეცა, თეთრი თოლია,  
ვუმღერე ლურჯ ზღვას, ფსკერი რომ უჩანს,  
ჩვენს შეხვედრამდე ვნატრობ ყველაფერს,  
ყველას ვუყვები შენს მშვენებაზე,  
მინდა დავბრუნდე, რომ მოგეფერო,  
რომ კვლავ ვიზრუნო შენს შენებაზე...  
და რა გამოლევს სიმღერებს შენზე,  
რა ამონურავს წარსულზე სათქმელს?!  
ნატვრა მახსენებს შენს თავს ყოველდღე,  
ნატვრა, ჩემს გულში რომ გინთებს სანთელს.  
დაგელოდები იქ, ძველ კაფესთან,  
პაემანს ვნიშნავ საყვარელ პარკში,  
ვიცი შევხვდებით, დრო გადამიშლის  
იმ წლებს, როდესაც ვიყავი ბავშვი...  
ამჯერად მოვალ ოჯახთან ერთად,  
გაგაცნობ რჩეულს და ჩვენს პატარებს;  
შენი დანახვა გამიქრობს სევდას,  
სევდას, რომელსაც გული ატარებს;  
მივირთმევთ ყავას ქალაქურს, ნამდვილს  
და ამღერდება უთქმელად გული,  
თვალებს გავანდობთ სათქმელს, იტყვიან -  
უერთმანეთოდ რომ იყო რთული;  
დაქროლებს ქარი, გაჯერებული  
მაგნოლიის და შენი სურნელით,  
ის დღე იქნება სწორედ ისეთი,  
თავს რომ გვანატრებს და რომ სულ ველით.

## **იღგა რუსთაველი რუსთაველის ქუჩაზე**

ერთ პატარა ქალაქში, ულამაზესი შენობის წინ, პალმების ჩრდილში მიმიჩინეს მყუდრო ბინა. ასე დავიბადე სულ სხვა ეპოქაში და სულ სხვა გარემოში. ჩემთვის არ იყო მშობლიური ის ლურჯი ზღვა, რომლის შრიალსაც ყოველ დღე ვისმენდი, არც ის მაგნოლიები, საოცარ სურნელს რომ აფრევევენ, არც თეთრი თოლიები, ასე რომ უხდებიან გაგრას. ძალიან მალე გავითავისე და შევიყვარე თვალწარმტაცი კუთხე, თავისი ულამაზესი ბუნებითა და ჯადოსნური ფერებით. ამ სილამაზით გაოცებული სახეები არაერთხელ მინახავს. უამრავი ადამიანი ჩერდებოდა „გაგრიფშის“ წინ და თითქმის ამეტყველებული პეიზაჟის ცქერით ტკბებოდა. მე კი ვიდექი ჩემთვის ამაყად, მშვიდად და მათი განცდების, ბედნიერების მონაწილე ვხდებოდი. ნუ გაგიკვირდებათ! დიახ, ვხედავდი, შევიგრძნობდი, ვტკბებოდი. მახსოვს, ერთხელ როგორ ვინატრე, ახალ საქართველოში პოეტად, მზის სხივებად ან თუნდაც წვიმის წვეთებად დაბრუნება... მაშინ ვერც ვიფიქრებდი, რომ ჩემი „ვეფხისტყაოსნით“ მშობელი ხალხისგან ასეთ სიყვარულს და აღიარებას დავიმსახურებდი. მადლობა ყოვლისშემოქმედს ამ ფასდაუდებელი საჩუქრი-სათვის. რა თქმა უნდა, ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ვინმე ძეგლს დამიდგამდა. როცა სხვადასხვა ქალაქის მსგავსად, გაგრაშიც „დამაბინავეს“, სწორედ მაშინ მოხდა ის სასწაული: მოკვდავივით დავიწყე სუნთქვა, ამეხილა თვალებიდა უტკბილესი ბგერებიც ჩამესმა ყურში. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა გაგრასთან. ეჰ, ბოლოს რაც გავიგონე, გასროლის ხმას ჰგავდა, ტყვიამ წამართვა სინათლე, ვერაფერს ვხედავდი, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა ჩემი შეგრძნებები. სიმღერების, მილოცვების, ზღვის შრიალისა და ჩიტების ჭიკჭიკის ნაცვლად, საშინელ ხმაურს ვისმენდი. ვიღაც ტიროდა, ვიღაც კიოდა. თითქოს, მზე დასცეს, ცაც ჩამოიქცა, თითქოს... „წადი, წადი, თავს უშველე“

- ყვიროდნენ ხეები და ფოთლებს მაყრიდნენ თავზე, რომ არა-  
ვის დავენახე. რა ხდება ჩვენს თავს? - ვცდილობდი გარკვევას,  
პასუხს არავინ მაძლევდა. ვგრძნობდი, როგორ კვდებოდა ყოვე-  
ლი ბუჩქი, ხე, ბალახის ღერო. ერთი ძლიერი აფეთქება და ნამსხ-  
ვრევებად ვიქეცი. ახლაც ასე ვარ ნამცეც-ნამცეც იმ ლამაზი შე-  
ნობის შორიახლოს მიმოფანტული. არ მესმის და ვერც ვხედავ,  
ნუგემად კი ვიტოვებ იმედს, რომ აუცილებლად დაბრუნდებით  
და მიპოვით, რომ ისევ ვიხილავ თქვენს ერთობას, დავტკბები  
გაგრის ცქერით და შევიგრძნობ მის სუნთქვას.

### შემაკონიწეთ, შემაკონიწეთ... თქვენი შოთა რუსთაველი.

...

გაგრის წიაღში, ერთი შენობა  
წუთებს ითვლიდა ძველი საათით,  
ქუხდა ქორწილი, იყო ღრეობა,  
მთვარეც გამოჩნდა თეთრი ხალათით. . .  
ოცი წელია ვამარცხებ ტკივილს,  
ცრემლით შევყურებ შედეგებს ომის,  
ზარნაშოს ხმა ცვლის მამლების ყივილს,  
დამსეტყვა ხილვამ ქალაქის კვდომის. . .  
ტყვიის კივილმა შთანთქა წვიმის ხმა  
და დაამუნჯა ბუნების ქნარი,  
გაგრიფშს წაართვა მისი თილისმა,  
ცეცხლს აღვივებდა ჯიუტი ქარი.  
აი, ის ფოტო, ტკივილს რომ ამხელს,  
ურყევად იდგა იქ რუსთაველი,  
უბადლო მგოსნის ძეგლსაც კი ახლეს  
ბოლმით დამსკდარი, შეშლილი ხელი...

დასცეს ხელმწიფე უკვდავი რითმის  
და მის ნამსხვრევებს ფოთლები მოსავს,  
მაშინ წამები დააკლდა თითქმის,  
ოქტომბრის დილის გაგრაში მოსვლას!  
უსიტყვოდ ყოფნა ყოფილა ძნელი,  
დუმს რუსთაველი, აღდგომას ელის  
და ჩვენს მოსვლამდე ძველი საათი  
მის უკვდავ ფრაზებს ამაყად მღერის.

ლექსის თანაავტორია ჩემი ყოფილი სტუდენტი, დღეს უკვე საუკეთესო  
მეგობარი, ჩემი უმცროსი ვაჟის ნათლია - ანრი ფხაკაძე;  
მადლობა, ანრი, იმ ლამაზი დღისთვის და სასიამოვნო განწყობისთვის!



\*შოთა რუსთაველის ბიუსტი, „გაგრიფშის“ წინ (ომამდე და ომის  
შემდეგ); იხ. გვ. 417

## სანამ ...

სანამ კლდის ფერდობს, როგორც ზღაპარში,  
ფიქრებად ათოვს თეთრი გვირილა,  
სანამ ლურჯი ცა მთას ცამდე აწვდილს,  
სხივებდაწნულ მზეს ადგამს გვირგვინად,  
სანამ უგზავნის კოცნას თოლიებს,  
ზღვა მშობლიური, მშვიდი, ლივლივა,  
სანამ ვერ ახლეს ხელი ბუნებას,  
მხოლოდ სიზმარში, შენთან ვივლი, რა...  
მერე კი მოვალ ცხადში, მიმიღებ?  
შენ ხომ დამპირდი, რომ დამიბრუნებ,  
მაჩვენებ: სახლ - კარს,  
წინაპრის საფლავს,  
მშობლიურ სკოლას,  
მშობლიურ ეზოს,  
საყვარელ ქუჩას (ოდნავ სახეცვლილს),  
მაჩვენებ ბუდეს ჩვენი მერცხლების,  
სხვა აღმაფრენის, სხვა ალიონის,  
მხოლოდ შენ მინდა, რომ იყო მაცნე,  
ხომ მაპატიებ, დამტოვებ შენთან (?)  
და ამ ყველაფრის პატრონად მაქცევ!  
ისევ ზღვა მშვიდი, ისევ ლივლივა  
და შენს ქუჩებში მშვიდად ვივლი, რა... .



## კურორტი გაგრა 100 ლეისაა!

მზე, მზეზე მკითხეთ? მზე ისეთი აქვს -  
გაყინულ გულს რომ გაათბობს, გაშლის,  
სასიყვარულოდ ცამდე რომ ასწევს!  
ვერსად იპოვით ასეთ მზეს სხვაგან,  
ის მხოლოდ ჩვენთან, ჩვენს ქალაქშია!  
უცქირეთ მნათობს თბილსხივებიანს,  
ეს მზეა, იმედს ცამდე რომ ასწევს!  
ზღვა, ზღვაზე მკითხეთ? ზღვა ისეთი აქვს -  
გრძნობებით სავსე აზვირთებს ტალღებს  
და ამ ტალღებზე თეთრ გემებს არწევს,  
ვერსად იპოვით ასეთ ზღვას სხვაგან,  
ის მხოლოდ ჩვენთან, ჩვენს ქალაქშია!  
უცქირეთ ცაში გუნდს თოლიების,  
ნახეთ თეთრ გემებს ზღვა როგორ არწევს;  
სახლებზე მკითხეთ? თეთრ სასტუმროზე?  
ყოველი სახლი ქმნის ისტორიას,  
ბევრი შენობა აქ ითვლის ას წელს,  
ამ ლამაზ სახლებს სად ნახავთ სხვაგან?!  
ისინი მხოლოდ ჩვენს ქალაქშია;  
უცქირეთ ქალაქს, ცას განათებულს  
ქალაქს, რომელიც ზეიმობს ას წელს!  
ამ სიმშვიდეში, მშვიდობას ეძებთ?  
აბა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!  
მხოლოდ მშვიდობა აკლია ქალაქს,  
უჩვენოდ მხრებზე კვლავ დარდი აწევს,  
„სინათლე“ ამ ცას, მიწას და ქუჩებს,  
ყველას, მშვიდობას ვინც მოსვლას ურჩევს!

## ერთი სურვილი...

როცა წამები აკლდება თორმეტს,  
ვცდილობ, სარკმელთან მოვუხმო სურვილს,  
ნათდება ზეცა, სათქმელი ჩემი,  
ხმაურში, ფიქრებს გვერდს ისევ უვლის...

აი, შემოდის ახალი წელი,  
ეს ღამე ჩემთვის სხვა ღამეს არ ჰგავს  
და ჩუმად, სადღაც, კუნჭულში გულის,  
ძლივს ვაკონიწებ: მშვიდობა - გაგრას!

## ნაცრისფერ გაგრას ...

იქ, ჰორიზონტთან, სადაც ეხება  
ზღვა ნაცრისფერი ნაცრისფერ ზეცას,  
ვძირავ ჩემს სევდას, ნაცრისფერ სევდას  
და გზას შენამდე დღითიდღე ვკეცავ;

გადავაგორებ კიდევ ერთ ზამთარს,  
და სიკვდილისთვის გავწირავ ლოდინს,  
გაჩუქებ ფერებს, გაჩუქებ ლურჯ ცას,  
სხვა გაზაფხული იმედად მოდის!

## დრომ დამატყვევა

---

დრომ შემიპყრო და წარსულს მიმაჯაჭვა. ხშირად განვმარტოვდები საკუთარ ფიქრებთან და გარდასულ დღეთა სიამით ვტკბები. განვიცდი, მტკივა, რომ ეს ყველაფერი სადღაც გაქრა, მაგრამ, მაინც, არ გავურბივარ გაგრაზე ფიქრს. მე მისმა სილამაზემ და ფერთა სიუხვემ დამატყვევა. დროს მორჩილ მონასავით თავს ვუხრი და ვთხოვ, გამიშვას, მამგზავროს ნათელ მომავალში, სადაც გაგრასთან ერთად ვიცხოვრებ. დროსთან სიფრთხილეა საჭირო, ის არ ჩქარობს და სანამ მშობლიურ ქალაქთან შეხვედრის წუთებს მაჩუქებდეს, მათვლევინებს შეცდომებს, რომლებსაც გაგრის ტრაგედია მოჰყვა. მახსენებს ყველაფერს, რასაც 20 წელზე მეტია ვნატრობ და ვეფერები: ლურჯ მთებს, მზეს, რომელიც სიყვარულს აფრქვევს, ულამაზეს პალმებს, მაგნოლიებს, უდარდელ ბავშვობას, უთბილეს სახლს, მოლივლივე ზღვას, ჩემს მშობლიურ მიწას... არ ვიცი, მოახერხებს თუ არა დრო - მოარჩინოს ყველა ტკივილი, მაგრამ მისგან რომ უფრო მეტ სიკეთეს ველი, ეს უდავოა!



## მუზა შევარდა მიცდორში...

დრომ მომავლისკენ წამიღო, დავრჩი გრძნობების ამარა,  
გამოვალვიძე იმედი, წვიმამ წვეთები დამალა,  
გამომიგზავნეს წუთებმა ფიქრების მთელი ამალა,  
მოძრაობას მთხოვს სიცოცხლე, რა გამაჩერებს, აბა, რა?!

ისე უეცრად განათდა, გაბრნებინდა ცისა კამარა,  
საშველს არ მაძლევს ფურცელი, რა მოვუხერხო კალამს, რა?  
ნათელმა სძლია ჭრილობას, დრომ ყველა ბზარი დაფარა,  
მუზა შევარდა მინდორში, რითმების მწკრივი დაბარა...

რაღაც მოვირგე მგზავრობა, გზამ გამიტაცა სავალმა,  
ლექსში ვიპოვე ნუგეში, როცა ვერ მარგო წამალმა,  
შეხედე, როგორ თენდება, იყივლა ჩემმა მამალმა,  
წამო! გამიშვი, ვიფრინო, ნუ შემაჩერებ, წავალ, რა...



ଓଡ଼ିଆ

ზოგჯერ, ვით ფოთოლს მიმათრევს ქარი,  
სადღაც მიტაცებს ცხოვრების რიტმი,  
მიმართულებას არც ვეძებ ხშირად,  
ოღონდ გავფრინდე და წამებს ვითვლი ...  
ზოგჯერ ზღვის ტალღას მივყვები მარტო,  
ზღვა დღეს მშვიდია, მე - უფრო მშვიდი,  
რამდენ ხანს გასტანს მგზავრობა, ნეტავ? -  
ორი დღე, სამი, ან იქნებ, შვიდი?!  
დროგამოშვებით ვპოულობ ნუგეშს  
მთაში, მინდვრებზე, ბალახებს შორის,  
შევისისხლხორცებ ყვავილთა სურნელს,  
ბარში მივყვები ნაკვალევს შრომის,  
შემოდგომის ქარს გავექცე როგორ?  
ამოსუნთქვასაც კი აღარ გაცლის;  
დამაფართვატებს აქეთ-იქით და  
დამტოვა ლეროდ, ძველ სამოსს მაცლის.  
მიმიტან ისევ ჩემს ხესთან, ქარო?  
რომ შევერიონ ფოთლების ფენას,  
თუ ჩემს მიწაზე დამაგდებ სადმე,  
მაშინ განვაგრძობ უშიშრად ფრენას ...  
იქ, ხის ფესვებთან ვიქცევი მიწად,  
იქ ვპოვებ შვებას, ის ჩემი ტყეა!  
და გაზაფხულზე ვიმწვანებ ისევ,  
იმედი ჩემი ბუნების ტყვევა!

## ათას გრძნობაში გამოპრძმედილს დავღალავ კალამს...

არ დავიზარებ სიმართლისთვის ძიებას, გარჯას...  
უიმედობის დასაძლევად ავისხამ აბჯარს,  
მაინც აღვმართავ აფხაზეთში ხუთჯვრიან ალამს,  
ათას გრძნობაში გამობრძმედილს დავღალავ კალამს.  
სუნთქვას დავუთმობ, ვუერთოგულებ სამშობლოს უტკბესას,  
ლექსებად დავღვრი მონატრებას - დაფარულს, უთქმელს,  
მოვუხმობ რითმებს სიყვარულზე, შევამკობ ფურცლებს...  
კვლავ გავაღვიძებ მოგონებებს - უთბილესს, უცვლელს.  
მუზას ვთხოვ დარჩეს, შევანუხებ ასჯერ, ათასჯერ...  
ის ძველებურად გამიღიმებს, მეტყვის: „აქ ვარ ჯერ“...  
შემოვევლები ცისარტყელას, ციდან რომ მიმზერს,  
დილას რომ მჩუქნის, ჩავიხუტებ, ვადიდებ იმ მზეს,  
ლექსმა მიპოვა, მიპატრონა და დამრთო ნება,  
გავათამამო, ავამაღლო გრძნობები, ვნება...  
ლექსი აცოცხლებს, ამეტყველებს გულისთქმას, წარსულს,  
მუზას დარჩენა უანდერძა, დამშორდეს არ სურს...  
ჰოდა, მეც დავწერ, ავამაღლებ სიყვარულს თქვენში,  
სიტყვების კონას აფროდიტეს<sup>1</sup> ჩავუნავ თმებში  
და თუ ლექსებით შევუერთდი სიცოცხლის წყაროს,  
ღვთიურმა ძალამ მომიტევოს და შე-მი-წყა-ლოს...

<sup>1</sup> აფროდიტე (ძვ. ბერძნ. Αφροδίτη) — სილამაზისა და სიყვარულის ქალ-ღმერთი ძველ ბერძნულ მითოლოგიაში, ზევსისა და დიონეს ასული.

## პაცვის ხიდზე...

მზე დაეშვა, ლურჯი ზღვისკენ დააპირა დახრა,  
მეჩვენება, თითქოს, ახლოს, ორ ნაბიჯში დგახარ,  
ვერ გეხები, მიზეზი ხარ ჩემი შფოთვის, დარდის,  
გზა შენამდე მოსასვლელი, ბეწვის ხიდზე გადის...  
ვნატრობ ისევ, ძველებურად გამითენდეს შენთან,  
დღეს შეხვედრა მზესთან ჩემი კვლავ უშენოდ შედგა...  
ჯერჯერობით ნაბიჯს ვერ ვდგამ, რომ არ ჩაწყდეს ხიდი,  
ვდგავარ აქვე, შორიახლოს და ჩემს სიზმრებს ვყიდი...  
წამოვიდა წვიმა, მე კი იმედს ვეძებ სანთლით,  
თან სიბნელეს გულში ვიკრავ სულ სხვა დილის ხათრით,  
ფეხს არ ვიცვლი, ვდგავარ ასე, მუხლებამდე სველი,  
ბეწვის ხიდზე რკალშემორტყმულ ცისარტყელას ველი...

## ხიდი - გაგრაგდე

ისევ მზის სხივის გამოსახვას ვბედავ მის ცაზე,  
ხიდი, გაგრამდე მისასვლელი ამაგებინეთ,  
ჩვენი სამოთხე, განფენილი დედამიწაზე,  
როგორ მიქციეთ ჯოჯოხეთად, გამაგებინეთ?!  
ვეღარ გავუძლებ, აფხაზეთო, ისიც სიზმარში,  
ფიქრებაშლილი, სანუგეშოდ, ზოგჯერ გხედავდე,  
გთხოვ, სიყვარულით მაგრძნობინო, თუნდაც ცივ ხმაში,  
რომ მზის სხივები ჩამოაღწევს ჯოჯოხეთამდე.

\*\*\*

იდგა გაგრა ტანზე თითქმის შიშველი,  
სიცივისგან კანკალებდა ქალივით  
და მოიხმო ტვინის გამომთიშველი -  
მოგონების ვრცელი ტალღა, განივი...  
მერე შეხტა ზღვაში, ვნებით გიჟური,  
თქვა: „ნუ მეძებ - ამ სივრციდან გავედი...“  
და რადარზეც გაქრა ყველა ნიშნული -  
ალარც გრძედი და ალარცა განედი...  
შორს შევიდა, თქვა: „მჯეროდეს მე რისი?!“  
სიკვდილის წინ, სიტყვა გამოიმეტა:  
„მივალ, ჩემი ისტორიის მერმისი  
დარჩა ღმერთის და დევნილთა იმედად...“

## ოხ, როგორ მომნატრეპისარ

„ნუ სტირი, თუკი გიყვარვარ“<sup>1</sup>,  
ნუ შეგაშინებს დუმილი...  
მე მონატრებას მივყავარ,  
მოგაგნებ, რწმენით თუ ვივლი!  
ლოცვით შედეგი მოიმკეს, -  
ეჭვები გამირბიანო...  
შენ ჩემი თავი მოგიკვდეს,  
თუკი კვლავ დავიგვიანო...  
შენს გარჯას ვამჩნევ, ლომის წილს...  
ჩემი მშვიდობის მტრედი ხარ,  
მოდი, ჩაგიცრა, მოინი...  
ოხ, როგორ მომნატრებისარ!

---

1 „ნუ სტირი, თუკი მართლა გიყვარვარ“ - ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით.

## გაგრა მინდა...

დამიტოვე ეს სიზმარი, მზეო, ჯერ ნუ ამოხვალ  
და ღამესთან მარტო ყოფნა, გევედრები, მაცალე,  
მერე მოდი, ამობრწყინდი, მაგრძნობინე - აქ რომ ხარ,  
რაც ეჭვი მაქვს, ფიქრებიდან, ყველა ამომაცალე...

დილა მინდა - აფხაზეთის სურნელებით დამტკარი,  
სითბო მინდა - ჩვენს ქალაქს და ჩვენს ქუჩებს რომ სჩვევია,  
მენატრება ლურჯი ზღვა და ზღვას რომ ერწყმის მთა-ბარი,  
საოცარი გათენება, რაც კი გამომრჩენია...

მზეო, გულში ჩაწვდი ყველას, ვინც მაფიქრებს, ვინც მიყვარს...  
მიდი ყველგან, სადაც ნატვრას ფეხაკრეფით უვლია,  
გაგრა მინდა... ის გზა მინდა, გაგრაში რომ მიმიყვანს,  
ჩემი სახლის, ჩემი ეზოს ჩახუტება მწყურია...



## სიცივე სცოდნია ლოდის

ზღვის ცივ ნაპირთან ქრის ცივი ქარი,  
განა ეს სუსხი ზამთრისგან მოდის?!  
გულში თეთრი ცა რომ ჩავიკარი,  
მივხვდი, სიცივე სცოდნია ლოდინს...  
ერთვის ფიფქები გაგრაზე ფიქრებს,  
უკვე ყელამდე დავდივარ თოვლში,  
ჩუმი განცდები ქარბუქში მითრევს  
და ნულარ გიკვირს - ფრთებს ზანტად თუ ვშლი...  
თოვლს დაუფარავს ჭრილობა ბევრი,  
აქ ომი, თითქოს, არც იყო ადრე...  
ქვეშ თეთრი საბნის, თვლემს სახლიც, ტევრიც....  
ჩემი სათქმელი თეთრ ფიფქებს ვანდე.  
ნეტავ, შევძლებდე შენს ცხადში ხილვას,  
ხან შენი ზღვა ვარ, ხან შენი ვარ ცა,  
შენთან ზამთარიც სხვაგვარად მხიბლავს  
და სხვა ეშხი აქვს გაყინულ ვარდსაც.  
ხან მეკარგები, ხან ისევ აქ ხარ...  
ქმნიან ფიფქები არნახულ ლანდებს,  
იმ ბილიკს ვეძებ, თოვლის ქვეშ ახლა,  
რომელიც გულში გაზაფხულს ანთებს.  
ზღვის ცივ ნაპირთან ქრის ცივი ქარი,  
განა ეს სუსხი ზამთრისგან მოდის.  
გულში თეთრი ცა რომ ჩავიკარი,  
მივხვდი, სიცივე სცოდნია ლოდინს...

## უცხო ყვავილი...

ჩემო ქალაქო, შენთან შეხვედრის  
არდამდგარ წუთებს ეჭვებით ვქოლავ...  
შუა ზამთარში რამ გამახსენა,  
რამ გამახსენა ვარდების კონა?  
რამ მოიტანა ასე ნაცნობი,  
ნაზი სურნელი ჩემი ეზოსი?  
სიმღერასავით მწვდება, მაღვიძებს  
მთის მონათხრობი ტკბილი ეპოსი...  
სწორედ ამ მთასთან დგას-მელოდება  
სახლი მზიანი, ქათქათა, კოხტა,  
დღეს „სხვისი“ ჰქვია, ჰო, ჰქვია „სხვისი“,  
ვისლა მოვკითხო, ეს როგორ მოხდა?!  
ბევრი ხე მოჩანს სახლის გარშემო,  
ჩვენი დარგული, პატარა, დიდი...  
ეს ხომ ის ხეა, ვიხსენებ იმ დროს,  
მის კენწეროზე ხის თოფებს ვთლიდი;  
როცა ყვავილობს ეზო საამოდ,  
ნეტავ, იცოდეთ აქ ყოფნა რად ღირს...  
ვინ მიმასწავლის ბილიკს სახლისკენ,  
ჩემი ეზოსკენ, ლოდინით დალლილს?  
დედის დარგული ხე გამახსენდა,  
როგორ კეკლუცობს, ფრთები მოისხა, -  
ო, როგორ შვენის, ო, როგორ ხატავს  
ეზოს ყვავილი ფეიხოისა<sup>1</sup>..

---

<sup>1</sup> ფეიხო (ნათ. ფეიხოისა) /იხ. ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი/ ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, თბილისი 1968 წ. გვ. 743. დამატებით: იხილეთ გვ. 417

## ნამდვილი ამჩავი ერთ ჩემს გაზრებ მეგობარზე

საოცარია ჩემი ქალაქი, თუ ერთხელ შეიყვარე და გაითავისე, არასოდეს დაგავიწყებს თავს. ვის არ მოხიბლავს მისი ჯადოსნური ბუნება?! ის ისეთი პატარაა, ისეთი ნაზი და რამდენ სიყვარულსა და ტკბილ მოგონებას იტევს... იყო დრო, როცა მხოლოდ ლამაზი გრძნობებით საზრდოობდა და სიხარულს უნაწილებდა თითოეულ ჩვენგანს შავი ზღვის მარგალიტი - გაგრა. ომა ყველაფერი წაშალა, განირა დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ცეცხლს მისცა სახლები, ქალაქები, სოფლები. მხოლოდ სიყვარულს ვერ ახლეს ხელი, ვერ დაწვეს, ვერ ჩაძირეს... ამ უფაქიზეს გრძნობასთან ბრძოლით უფრო მეტად გაამძაფრეს გაგრასთან, საყვარელ ადამიანებთან შეხვედრისა და მათთან დაბრუნების სურვილი.

სწორედ ამ სურვილით შეპყრობილმა გადავლახე შიში და გაგრის ტრაგედიდან დიდი ხნის შემდეგ ჩავედი ჩემს მშობლიურ ქალაქში. ერთადერთი იმედი, რაც მასულდგმულებდა მთელი მგზავრობის განმავლობაში, იყო ლოცვის მადლი და ძალა. გაგრასთან შეხვედრა მასთან 18 წლის წინ განშორებით გამოწვეულ სევდაზე უფრო მტკიცნეული აღმოჩნდა. ქალაქის შესასვლელთან არაქართულმა წარწერამ „გაგრა“ რამდენიმე წუთით გამაქვავა. მსურდა, ძლიერი და იმედიანი ვენახე გაგრას, მაგრამ ცრემლები მაინც ვერ შევიკავე. ისიც მალავდა ცრემლებს; რომ არ შემშინებოდა, უღრუბლო ცამ ნაცრისფერი ღრუბელი ინატრა და წვიმა წამოვიდა, გაგრამ საკუთარი ცრემლები წვიმის წვეთებს შეუერთა. გულში მიკრავდა ყოველი ქუჩა, ხე, ბუჩქი... თითქოს, სახლებმაც გამომიწოდეს ხელი, მისასალმებლად. ის ღამე გაგრასთან ჩურჩულში გავატარე, არ მახსოვს როგორ დაღამდა, არ მეძინა...

მეორე დღე უფრო მძიმე აღმოჩნდა. როგორ ვნატრობდი მშობლიურ კუთხეში, გაგრის მიწაზე ფეხის დადგმას. ნატვრა ამიხდა, მაგრამ ახლა არ ვიცი, მოვეფერო, თუ ვუსაყვედურო მას. გაგრის მიწამ ხომ ჩემთვის უთბილესი და უნეტარესი ადამიანის სხეული მიწად აქცია; დედა გაგრის ტრაგედიამ შეიწირა. დევნილობის ყოველი დღე დედაზე ფიქრით იწყებოდა და მთავრდებოდა. პირველად მომეცა შესაძლებლობა, მუხლმოდრეკილს მის საფლავთან მეტირა. მეტირა ქართულად. არ იტიროო - მითხრეს, ქართულად ნუ მოთქვამო, მაგრამ ვინ შემაკავებდა?! მაშინ მეგონა, რომ ჩემი უსაზღვროდ მონატრებული დედის სულს იმით ვანუგეშებდი, რომ სწორედ ქართულად ვიტირებდი. დედის საფლავი მხოლოდ დაახლოებით ვიცოდი. ნათესავმა მიმითითა სავარაუდო ადგილზე. ორი დღე ვწმენდი იქაურობას, ხელები დაგლეჯილი მქონდა. როგორც ჩანს, ხალხს ეშინია აქ შემოსვლის, მეც გული გამისკდებოდა, რომ არა ჩემი აფხაზი მეგობარი. ტყეს შეუჭამია აქაურობა, საშინელი ეკალ-ბარდებია, სახელები და გვარები არც იკითხება. საფლავის ქვები წაქცეული ან წალებულია. ერთ კონკრეტულ ადგილზე დავამაგრე ხის ჯვარი, წმ. ბერ გაბრიელის საფლავიდან აღებული შავი მიწა მოვაყარე და ჰოი, საოცრებავ, მიწაზე ერთი კონკრეტული ადგილი განათდა, ეჭვგარეშეა, დედის სამუდამო განსასვენებელი, დავემხე მიწაზე და უფრო მეტად ავტირდი. რამდენიმე მეგრული სიტყვაც წამომცდა, არამეონია უნებურად, დედა ხომ წარმოშობით მეგრელი იყო. რომ შემძლებოდა, ჩემს ხმას მთელ მსოფლიოს გავაგონებდი. გაგრამ ბუნება აახმაურა, ფოთოლთა შრიალმა ჩემი ქართულად კვნესის ხმა გადაფარა. თითქოს, ცდილობდა ქალაქი, რომ არავის გაეგონა ჩემი ქართული მოთქმა.

გაგრაში ჩამოსვლა საყვარელ ადამიანთან შეხვედრის სურვილმაც გადამაწყვეტია. ის აფხაზია და დღემდე ცხოვრობს ჩვენს ულამაზეს ქალაქში. მახსოვს, როგორ ჩამიკრა ძლიერად გულში და როგორ დამადნა ტუჩებზე მისი ცრემლები. ვინ დამასწრებდა ატირებას?! მაგრამ წინა დღით, დედის საფლავის ნახვამ დამიშრო ცრემლები. თურმე, როგორ გვენატრებოდა ერთ-

მანეთი, რამდენი გვქონია ერთმანეთისთვის სათქმელი... მან მშობლიური მხარე ომის დაწყებისთანავე დატოვა და რუსეთში გაემგზავრა, მაგრამ ხშირად ბრუნდება, ყოველ ჩამოსვლაზე პატიებას სთხოვს გაგრას, 2 ოქტომბრის სისხლიანი დილისთვის, საბოლოოდ რომ დასცა ქალაქი. როგორ შეცვლილა და მოტეხილა, ერთ დროს სიცოცხლით საკუთრებული საკუთრებული კაცი. მან თავისი სიდინჯით, ჯენტლმენური თვისებებითა და უვაუკაცესი ხმით ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან მომხიბლა და შემაყვარა თავი. როგორი თბილი და მხიარული იყო მაშინ. ახლა, თითქმის არ იღიმოდა; მომატარა ყველა ის ადგილი, რომელიც ჩვენი შეხვედრის წლებს, წუთებს გაგვახსენებდა. ერთ საღამოს, ძველი გაგრის პარკის შესასვლელთან გააჩერა მანქანა, ვგრძნობდი, რომ არ სურდა გადმოსვლა, მაგრამ, როცა სხვა გზა არ დავუტოვე, მითხრა: „მაპატიე, რომ ასეთი გაგრა დაგახვედრე“ - ო. მართლაც რომ შეცვლილა ჩემი გაგრა, გადასხვაფერებულა. ჩვენ კიდევ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. რატომდაც მეგონა, რომ ის უჩემოდ არ გააცდენდა არც ერთ წუთს და იმ რამდენიმე დღეს ჩემთან ერთად გაატარებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ომი ადამიანებსაც ცვლის, თურმე. ან, იქნებ, არ სურდა იმ გრძნობის გაღვივება, რომელიც ომამდელ გაგრაში ასე გვალამაზებდა და გვამაღლებდა ორივეს. იქნებ, ჩვენი ისტორიის გაგრძელება და ჩვენი თანაცხოვრება წარმოუდგენელი ეჩვენებოდა ახალ გაგრაში? ამასობაში, მე არ დამიკარგავს არც ერთი წამი, მოვეფერე მშობლიურ სახლს, მართალია, შორიდან, მაგრამ დავპირდი, რომ ისევ დავბრუნდები და დავეპატრონები; მიუხედავად იმისა, რომ აფხაზმა მეგობარმა შემომთავაზა შიგნით შესვლა (აფხაზები არიან, ვთხოვ ცოტახნით დაცალონ და ნახევარი საათით შედიო) მაინც ვერ გავბედე, განა შესვლის შემეშინდა? - არა, ალბათ, უფრო სახეშეცვლილ გარემოში გაქვავებისა და უკან გამოსვლისა. ამიტომ უარი ვთქვი სახლში შესვლაზე.

არაერთხელ მოვეფერე გაგრის ზღვას, რომელიც სულ სხვაგვარი მეჩვენა, უმშვენიერეს სანაპიროს, პალმებს... სხვათა შორის, დაღლილ-დაქანცულმა, პირველ დღეს შხაპი ვერ მივიღე,

წყალი არ იყო, კიდევ დიდხანს არ იქნებათ, - მითხრეს და ამიტომ ფეხები ზღვაში დავიბანე, თითქოს, ერთდროულად შემეხო თითქმის გაყინულ სხეულზე ზღვა, ბავშვობა, სიყვარულიც და დარდიც...

დადგა განშორების დღეც. როგორ მჯეროდა, რომ მოვიდოდა და, უკვე მერამდენედ, სამუდამოდ მასთან დარჩენას მთხოვდა. ეს რომ მომხდარიყო, არ ვიცი, მაშინ როგორი იქნებოდა ჩემი პასუხი. მაგრამ, დღევანდელი გადმოსახედიდან ვხვდები, რომ ორივემ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. ისევ დავტოვე გაგრა, ისევ თვალცრემლიანმა და ისევ უმისოდ! ის არ მოსულა. უფრო სწორად კი, ვერ შეძლო მოსვლა. მერე დამირეკა და მითხრა: „ვერ გავუძლებდი კვლავ შენი ცრემლების ხილვასო, გაგრაში მე მხოლოდ ერთი ვარ შენთვის, იქ კი, თბილისში შეგიძლია უამრავი ძვირფასი და საყვარელი ადამიანის გარემოცვაში იცხოვრო...“ ომის შემდგომი ცხოვრება დასტურია იმისა, რომ ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყარა. თურმე, როგორ მყვარებია ის გაგრა, რომელიც ყველას გვახსოვს და დღემდე გვენატრება. საყვარელი ადამიანის გამოც კი ვერ გავძედე ჩემს ქალაქში დარჩენა, რომელიც ომმა ძირფესვიანად შეცვალა და გააუცხოვა ჩემთვის. ამასთან, ვერ დავტოვე მოხუცი მამა, რომელიც დედაქალაქში ჩემს დაბრუნებას ელოდა. ვერ დავტოვე უამრავი მეგობარი, რომელიც დევნილის მძიმე ჯვარს ატარებს. ვერ დავთმე დროებით უაფხაზეთოდ დარჩენილი დანარჩენი საქართველო, რომელმაც შემიფარა და უამრავი მძიმე დღე გადამატანინა...

მე არ მითქვამს უარი სიყვარულზე, მე წარსულს გავატანე მოგონება ადამიანზე, რომელიც დავუთმე უჩემოდ დარჩენილ მშობლიურ გაგრას. იყო დრო, როცა მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ სამნი ვიყავით დედამიწაზე: მე, ის და ჩვენი ქალაქი. ახლა სიყრმის მეგობარი გაგრასთანაა, მე დავრჩი მარტო, მაგრამ გაგრა არ ტოვებს ჩემს ფიქრებს, ოცნებებს, განცდებს... არ ვიცი, რა იქნება ხვალ, მაგრამ მნამს, რომ სულ მალე ჩემი მორიგი ვიზიტი შედგება ისეთ გაგრაში, რომელიც მხოლოდ ამ ქალაქს ეკადრება...

უკვე გამოვცდი გაგრას, ისევ გავქვავდი იმ წარწერის დანახვაზე... დავხუჭე თვალები, მოვიმარჯვე ყურსასმენი და მეგობრის (ისიც გაგრელია) სიმღერას ვუსმენ. სიმღერა გაგრაზეა. არ დაგიმალავთ და მაშინ, როცა გაგრის ქუჩებში სულ მარტო დავდიოდი და ქართულად დამლაპარაკებელი კაცი არ მეგულებოდა, ამ სიმღერას ხმამალლა ვასმენინებდი ჩემს ულამაზეს ქალაქს და ისიც სიამოვნებით ისრუტავდა ქართულ ჰანგებს. რამდენიმე საათში გადმოვკვეთე ადმინისტრაციული საზღვარი, დროებით ვემშვიდობები აფხაზეთს, ხვალ უკვე თბილისში ვიქნები... ყურში ჩამესმის ერთი გაგრელი პოეტი ქალის გულშიჩამნვდომი და ჩემთვის ასე ახლობელი სიტყვები:

„გამამტყუნეთ, ვინც გინდოდეთ მიწოდეთ,  
ქვეყნის ვალი სიკვდილამდე დამდევს,  
საქართველო ერთიანი მსურდა  
და აქ ვიხდი მე ამ ვალის სასჯელს!“<sup>1</sup>



---

<sup>1</sup> მიმოზა დანელია - შეროზია, ლექსების კრებული „რწმენა, იმედი, სიყვარული“, თბ., 1997 წელი, „საქართველო ერთიანი მსურდა“.

## არასოდეს მათქმავინო:

და - ვი - ლა - ლე

ცა ღრუბლებში გაეხვია, გაწვიმდა...  
დღე ეჭვებში მერამდენედ დამიღამე,  
ალარ მათბობ, მზე უშენოდ არც მინდა,  
დავიღალე, მარტოობით დავიღალე...  
ისევ ბილიკს მივუყვები ოცნების  
და ვედრებაც, თითქოს, ცამდე ავიტანე,  
შენზე ფიქრი, ვიცი, დღესაც მომძებნის,  
კიდევ ერთხელ, კიდევ წუთით ამიტანე...  
ამ ფიქრების გვირგვინს გინავ ყოველდღე,  
გვირილების მოსაწყვეტად დავიხარე,  
მითხარი, რომ კვლავ გიყვარვარ, მომენდე,  
არასოდეს მათქმევინო: და-ვი-ლა-ლე...

## ენგურის ხიდზე

ვიხსენებ მთებთან შეზრდილს  
ფერად ზღვის ნაპირს, ქვიანს,  
ენგურსგამოლმა ვცხოვრობ,  
ენგურსგაღმელი მქვია...  
ფიქრები იმ თბილ წლებზე  
ღიმილს და სევდას მგვრიან...  
დამელოდები? - მოვალ,  
თუ არ იქნება გვიან...  
ისევ ის განცდა, გულთქმა,  
ისევ ის ქარნი ქრიან...  
ენგურს ვლახავ და მივქრი,  
მე ხომ გაგრელი მქვია!

## მზეო, თამო, რაა...

ნეტავ, ხიდთან ვინ არიან,  
რომ კეცავენ გზას...  
ხიდის ქვეშ რომ მდინარეა,  
დაღვრილ სულებს ჰგავს...

ეს უფროა ხიდი ბეწვის,  
აქ დრო იმედს კლავს;  
უსოხუმოდ გული მეწვის,  
გაგრის ვხედავ ლანდს...

სად ხართ, ჩემო მთებო, ზვრებო,  
ამოვლერლე ძლივს...  
ხიდის აქეთ ჩანხარ, მზეო!  
ხიდის იქეთ წვიმს...

ეჭვმა მითხრა, ჩემი არ ხარ,  
მერე ხელიც მკრა...  
იმ წვიმაში მინდა ახლა,  
მზეო, წამო, რააააა...



## თავალ, თამოვალ... და ისევ გაგრა...

გულს ვსინჯავ ხელით, აქ სადმე თუ ხარ...  
წავალ, წამოვალ... და ისევ გაგრა...  
ვწუხვარ უშენოდ, იმაზეც ვწუხვარ,  
ამ ოქროს წუთებს, რომ ისევ ვკარგავ;

რაღაც უეცრად გაფრინდა ეს დღე,  
ვერც ფიქრად გნახე და ვეღარც გულში,  
ნუთუ, წახვედი და უცხოს ენდე...  
მაში, მიყვარხარო - რად მითხარ გუშინ?!

ვიცი, რომ სადღაც დაბუდდი ჩემში,  
იქნებ, ძარღვებში შენ მოსჩქეფ ახლა...  
იქნებ, იმ სახლის ბინადრობ სხვენში,  
ვიცი, წამსვლელი შენ მაინც არ ხარ!

გულს აწვდი ჟანგბადს, სისხლივით შველი,  
შენში მისხალიც არ არის ზიზღის,  
აბა, რით ავხსნა, ტკივილი შენი,  
რომ მაგრძნობინა წვეთებმა სისხლის...

ვწუხვარ უშენოდ, იმაზეც ვწუხვარ,  
ამ ოქროს წუთებს რომ ისევ ვკარგავ,  
გულს ვსინჯავ ხელით, აქ სადმე თუ ხარ...  
წავალ, წამოვალ... და ისევ გაგრა...

## შემოდგომა გაგრაში

შემოდგომის ფერებს ვითვლი, ხატავს გზებს და ბუნებას...  
მაგრამ მაინც ვერ ვეღირსე გაგრის შემობრუნებას,  
კიდევ ერთი დღე ილევა, ზეცას ლამე ბარდება,  
ფერის შეცვლამ ვერ განსაზღვრა სულის გაფერადება...

ნოემბერი ხეებს აცლის უკანასკნელ ფოთლებსაც,  
ქარი გზებზე მტვერს დაათრევს და ცარიელ ბოთლებსაც...  
სადღაც მთიდან მომავალი, ზამთრის ხმებიც მოისმა,  
შემოდგომამ ვერ დაფარა ძველი კვლები ომისა...

სული - ისევ ნაცრისფერი, აღარც ძველი ბარაქა,  
დამრჩა მხოლოდ მოგონება და ბავშვობა - არაკად...  
სულს ფერები ვერ შევმატე შემოდგომის ფერებით,  
გაიფანტა, ქარებს გაჰყვა უტკბილესი ბგერები...

ცრემლებს მაინც არ ვაჩვენებ, მივცე უნდა პირობა,  
იქნებ, გაგრას ქარიც შველის, შველის ბუნებრივობა...  
მალე ფოთლებს გადააქცევს ნეშომპალად ბუნება,  
მერე სადმე იაც მოვა, გაგრაც შემობრუნდება...



\*შემოდგომის გაგრა; იხილეთ გვ.418

## როლი

ეს ცხოვრებაა, მარგებენ როლებს,  
კვლავ „ვმსახიობობ“, ავად თუ კარგად...  
ხან მსხვერპლს ვთამაშობ, ხან ვგავარ მსროლელს,  
რაღაცას ვიძენ, რაღაცას ვკარგავ...

ზოჯერ ვმუნჯდები, ზოგჯერ სხვას ვმართავ,  
ვთამაშობ სულელს, თუ სხვა გზა არ მაქვს,  
მე უარი ვთქვი თამაშზე მათთან,  
ვინც მწამს და მიყვარს, რაც გულით დამაქვს!

თუ ვითამაშე უნაკლოდ როლი,  
ვიღებ შექებას, მაძლევენ „ჯილდოს“,  
ხან მახეს ვაგებ, ხან კოშკებს ბროლის,  
ამ გამოწვევას რომ შევეჭიდო.

ხან სხეულს ვთოკავ, ხან სადღაც მივქრი,  
არა, არ ვითხოვ ოქროს რტოს, პალმის,  
ჩემს პალმის რტოსთან მიმაფრენს ფიქრი,  
სული ბუდიდან ამოხტეს, ლამის...

იქ ჯილდოდ მელის „ოსკარი“ ჩემი,  
დრო წუთებს მითვლის, კვლავ მაკონტროლებს,  
სულ სხვა სცენარის იმედად ვრჩები  
და ველოდები ჩემს ნანატრ როლებს...

## მუნჯი კინოს პერსონაჟი

ისევ ვიქწევ ხელ-ფეხს, ღმერთო,  
გავაგონო აბა, ვის რა?!  
გულიდან რაც ამომენთო,  
ისევ გულზე მომხვდა ისრად...

ისარს, ალბათ, ეჭვი მესვრის,  
მშობლიური მეცნო პლაჟი...  
ვხედავ ჩემს თავს და „ხმა“ მესმის  
მუნჯი კინოს პერსონაჟის...

ვინ გაიგებს, რომც ვთქვა რამე,  
არც უესტები მშველის, ვხედავ,  
როლებს ვირგებ, ვათევ დამეს,  
დამემ გულში შეიხედა...

წვიმს, ჩუმად ვარ, აზრს ვერ ვხედავ  
ამ ღრუბლების ცასთან გაყრის...  
და ჩემი ხმა ვანდო, ვბედავ,  
წვიმადმოსულ ცრემლებს გაგრის...



## სევდის ქალაქს

წახვედი, როცა უზომოდ მწამდი,  
ქარმა ფოთლები გასტაცა ხეებს,  
ძლივსლა აღმომხდა - წყვდიადო, წადი,  
ნუ აფათურებ ჩემს სულში ხელებს!

დრომ დაღამების ბრძანება გასცა,  
ყველა მნათობი ჩააქრო წამში,  
მერე, იმედი მიწაზე დასცა  
და თავი უკრა უძირო ჭაში,

ჭა ჰეგავდა ციხეს, გაყინულს, მტვრიანს,  
იყო მომგვრელი სიბნელის, შიშის...  
მოპქონდა ომი გასროლილ ტყვიას  
და ვერ იკლავდა უმსხვერპლოდ შიმშილს...

დღესაც მსხვერპლი ვარ უშენოდ ყოფნის,  
შენ კი უსულოდ დაგტოვეს, ჩემო!  
გულს სიმამაცე ჯერ კიდევ ჰყოფნის,  
შენთან შეხვედრას ჯერ კიდევ ვჩემობ...

ალარ გინატრო? სთქვი - იქნებ, ვცოდავ?!  
მზე ნაბიჯ-ნაბიჯ ჩემს გულში შედის,  
იქნებ ვბრუნდები, მაცალე ცოტაც,-  
სული ჩაგბერო, ქალაქო სევდის!

\*\*\*

გაგრა, სახლი, ეზო... რაღაც მემძიმა...

ბრონეულებს დასკდომია ატლასი...

ჩუმი იყო დღეს ზღვა, ტალღებს ეძინა,

თუმცა, იყო ქვეშ დინება ათასი...

ერთ დინებას მეც ბავშვივით მივენდე,

სალამომდე გამომრიყავს ნაპირზე,

ზიზღნარევად, ეჭვს სხეულზე მივედე,

სულს რომ ღაფავს - დასტყობია თავ-პირზე.

იქნებ ზეცამ ჩემს მზეს სხივი უნახოს,

არ დავუშვებ, სევდა ამომაცოცდეს,

აქვე ვგდივარ, ნავსადგურთან სულ ახლოს,

ხელოვნური სუნთქვა გამომაცოცხლებს!

გაგრა, სახლი, ეზო... რაღაც მემძიმა...

ბრონეულებს დასკდომია ატლასი...

ჩუმი იყო დღეს ზღვა, ტალღებს ეძინა,

თუმცა, იყო ქვეშ დინება ათასი...



## მაინც გნახავ, გაგრა...

(2015 წლის ბარბარობა)

წყალწალებულ ვგავარ ნატვრას  
და დინებას ვებრძვი ასგვარს...  
დრო მიმათრევს, სავალ გზაზე  
შვებით ვლახავ ათას საზღვარს,  
ნუთუ, მხოლოდ მე დამაკლდი,  
ნუთუ, მხოლოდ მე მჭირდები?!  
ხავსმოდებულ იმედს მაინც  
ვერ ვთმობ, ისევ ვეჭიდები....  
ვერ გიპოვე, ვეღარ შეგწვდი,  
ვერ დავფარე გზები სრულად,  
ამ ჭიდილში დროსთან, ეჭვთან...  
ბევრი ფიქრი განწირულა;  
დრომ ცხოვრების ტკბილ ფიალას  
ცრემლი ასჯერ ჩაურია,  
რა არ შემხვდა ამ რთულ გზაზე,  
ათას წყალსაც ჩაუვლია...  
მოვდიოდი, მოვცურავდი,  
მოვფრინავდი, მოვდელავდი...  
უიმედო ფიქრებს, ეჭვებს  
დროსთან ერთად ჩუმად ვკლავდი...  
ყველა ფუჭ აზრს და ყველა ეჭვს  
ჯანდაბამდე გზა ჰქონია...  
სანამ შენ გნამს, რომ შეეხვდებით,  
მაინც გნახავ, მეც მგონია...

## გაგრა-ჩემი სამოთხე

გზად ტაძრებისკენ ვეძებთ ახალ გზებს  
და ნათელ ხაზებს ვკარგავთ უკვალოდ...  
უიმედობა შთანთქავს ამ ხაზებს,  
სწორ გზაზე ვდგავართ, არ ჩანს უბრალოდ...  
სიყვარულისკენ ვკვალავთ სავალ გზებს,  
სამოთხისკენაც ვკვალავთ სავალ გზებს,  
ეკლესიამდე ვკვალავთ სავალ გზებს,  
სულს კი საჯიჯგნად ვუგდებთ გავაზებს...  
ისმის შორიდან რეკვა ზარების,  
დგას უფლის სახლი, რწმენის დარაჯად,  
აღმართს მივყავარ კართან „სამების“,  
სანთლებს სათქმელი კიდევ გადარჩათ...  
ლოცვით ვიპოვო ხსნის გზა ეგება  
და იმ ბავშვობის შევხვდე ბილიკებს,  
ვიღაც ღიმილით შემომეგება,  
ტკბილად დამლოცა, სანთლებს მირიგებს...  
გზები საშველად მაშინ გაჩნდება,  
როცა ფიქრობ, რომ გამოგელია,  
თუ მზის სხივების იცი გარჩევა,  
დაგაბრუნებენ, სადაც გელიან...  
დაგაბრუნებენ, სადაც გელიან:  
შენი მთები და შენი ქუჩები,  
სადაც ნანატრი თეთრი გემია,  
სადაც სიკვდილსაც გადაურჩები...  
სხვა სურნელი აქვს იქ, იმ ბალახებს,  
სხვა გემო - ჰაერს, ასე რომ მიყვარს,  
ეს თავგანწირვა ხსნის გზას მანახებს  
ჩემი „სამოთხის“ კართან მიმიყვანს...  
გზად ტაძრისაკენ ვეძებთ ახალ გზებს  
და ნათელ ხაზებს ვკარგავთ უკვალოდ...  
უიმედობა შთანთქავს ამ ხაზებს,  
სწორ გზაზე ვდგავართ, არ ჩანს უბრალოდ...

## ცხოვრების გილი

მივქრი, ოცნების ცხენს ვკარი დეზი  
და ჩავეჭიდე ჩემს ფიქრებს ფრთებზე,  
ისევ სახლისკენ მიჭირავს გეზი,  
მზემ გადმოფინა სხივები მთებზე,  
ნუ მემალები, უშენოდ ვერ ვძლებ,  
დალამებამდე ვიჩქარო უნდა,  
შენთან რომ მოდის, იმ ბილიკს ვეძებ,  
მისი დანახვა ყოველთვის მსურდა...  
ეჸ, ამ ჯირითით დავლალე ცხენი,  
რაღა მჯეროდეს „ცხოვრების გიდის“?!  
მზე ჩემი გაგრის, მზე ასე ცხელი,  
ისევ ხვალამდე, მშვიდობით, მიდის...

## ჩვითი გულის ნაწილი

ქარო, წამიღე, მაჩვენე მონატრებული მთა-ველი,  
რა არ მასვენებს, მაფიქრებს - გაიგებს განა ყოველი?!  
უდიდეს ტკივილს ატარებს ქართული მიწის მტკაველი,  
ჩემი გულის და სამშობლოს ნაწილი განუყოფელი...  
„დროებით, მხოლოდ დროებით“ - დაგვაცალკევეს, ამბობენ...  
შენთან შეხვედრის წუთები დროს აქვსო გამოკეტილი,  
მე ისეთ წუთებს რა ვუთხრა, თუ უშენობას არ გმობენ,  
ღმერთო, მაღირსე „დროებით“-ს მაღე დავუსვა წერტილი!

## ირგვლივ არც მზე, არავინ...

ცაში ვხედავ ჩემს თოლიას - გაუფანტავს ლოდინი,  
გაგრაში ვარ... თბილ კენჭებზე მოაბიჯებს საღამო,  
მზეს ქვიშაზე, პალმის ჩრდილში გაუშლია ლოგინი,  
სულ არ ჩქარობს ზღვაში ჩასვლას, თითქოს, აცდის სამყარო...

რა ჯობია სიმშვიდეში ზღვის ნაპირზე ხეტიალს,  
ჩემს გაფიცულ ეჭვებს უკვე აუღიათ კარავი,  
ღამეს ზღაპრის დასახატად უამრავი ხედი აქვს,  
დავრჩით მარტო მე და გაგრა, ირგვლივ არც მზე, არავინ...

გაგრა, ახლოს მოიწიე, თავი მხარზე დამადე,  
რა ვიღონოთ სანუგეშოდ, მოლოდინსაც თუ ვავნეთ?!  
ხან იისფერ ჰორიზონტთან, ხან სულ ახლოს დავლანდე,-  
მხოლოდ გემი, თეთრი გემი მიდის-მოდის მდუმარედ.



## გაგრის მაინც სხვაა

ცამ გადაშლილ გულზე  
ასი ფიქრი დასხა,  
დამიტოვა განცდად  
მზე, თოლია და ზღვა...  
ამიტომაც არის,  
დარდი გულზე მიჭერს,  
დგას ნაპირთან მუზა  
და მზეს ხელით იჭერს...  
თავბრუ მესხმის, თითქოს,  
ჩარხავს ფიქრებს დაზგა,  
იქაური მინდა  
მზე, თოლია და ზღვა...  
დროს ვერ უსწრებს ფიქრი,  
გაიოფლა, დასცხა,  
მირჩევნია გაგრის -  
მზეც, თოლიაც და ზღვაც...  
აქაც კი მაქვს ბევრი -  
ამის მსგავსი და სხვაც...  
შეედაროს გაგრის  
მზეს, თოლიას და ზღვას...  
როგორ მიყვარს, როგორ...  
ნეტავ, იქეთ დამსვა...  
მაინც სხვაა გაგრის  
მზე, თოლია და ზღვა.

## შეხვედრა გაზრასთან

ხშირად მიფიქრია, როგორი იქნება, წლების შემდეგ, ჩემი შეხვედრა მონატრებულ გაგრასთან. პირველად ვინ შეეგებება ლოდინით დაღლილ გულს, ვინ მოეალერსება? ჯერ, ალბათ, მშობლიური სახლის კედლებს მოვეფერები, მერე შემოვირბენ ჩემს კოხტა ეზოს და მთელი ბავშვობა გადამეშლება თვალწინ. ჩვენს მერცხლებს ვახარებ, რომ დავბრუნდი და არასოდეს დავტოვებ უთბილეს კერას. მოვიკითხავ მეზობლებს, ბავშვობის მეგობრებს. ფეხით შემოვივლი ყველა ადგილს, რომელსაც ასე ტკივილამდე ვნატრობდი და ჩემთან ვუხმობდი. ბების ნასახლართანაც მივალ, ვიცი, რომ ეზოში მდგარი ულამაზესი მაგნოლია დღესაც გარინდული ელის ჩვენს დაბრუნებას. აშრიალდება მისი თითოეული ფოთოლი და გამახსენებს იმ წუთებს, როცა ვტოვებდი გაგრას... მერე ძველი გაგრის პარკის სურნელებით დავტკბები. მივეფერები ყველა პალმას, ყველა ბუჩქს და სიხარულით აკანკალებულ სხეულს მოლივლივე ზღვას ვანდობ, პირდაპირ ნავსადგურიდან გადავეშვები წყალში, სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში. ჩამოვირეცხავ ყველა ტკივილს და გათენებამდე, მზესთან ერთად, ზღვაში ჩავმალავ. ჲო, გათენებამდე. ვიცი, დაბრუნების მიუხედავად, წლების წინ ქალაქთან განშორების სევდა ყოველთვის შემახსენებს თავს, იმ მიზნით, რომ არასოდეს, არასოდეს განმეორდეს ის საშინელი დღეები. მერე, უფრო მეტად დავაფასებთ ჩვენს ქალაქს, გავუფრთხილდებით და მოვუვლით.

## გულისფერა...

დამეკარგე... ვარ სიგიჟის ზღვარზე...  
ისევ ფიქრი, წვიმა, ისევ ქარი...  
ტურისტების მოსაზიდად, ზღვაზე  
სუვენირებს ყიდის უცხო ქალი...  
ზოგს სთავაზობს აფხაზეთის მიწას,  
რკინის ყუთით ყიდის ჰაერს გაგრის,  
ამ უცნაურ „ნივთებს“ ძალლი იცავს  
და წუთები უღიმდამოდ გარბის;  
ახლა წვიმას შენთან მოსვლას ვუშლი,  
წერილს ვწერ და ზღვას მოკითხვას ვუთვლი,  
გულში ვიკრავ გამოგზავნილს გუშინ,  
გაგრის მიწას, პანანინა ყუთით...  
წუთით ირგვლივ ახმაურდა რაღაც,  
ვერ ვამსგავსებ ამ ხმას წვეთებს წვიმის,  
თითქოს, გული ფეთქავს, აქვე, სადღაც,  
იქნებ ვცდები, იქნებ ქარი წივის?  
გარეთაც კი გავიხედე, ვლელავ,  
ეს ხმა ჩემთვის არ ჰგავს კაკუნს კარზე,  
ვერც ფეხის ხმას მივამსგავსე, ვერა,  
დამესენი, ეჭვო, გადექ განზე!  
დავუბრუნდი ჩემს ოთახს და იმ ყუთს,  
ახმაურდა ყუთში მიწა, იძრა...  
ეს რომ გაგრის გულისცემა იყო -  
მაშინ მიეხვდი, მიმახვედრა მიწამ.

## ნოემბარო, ნუ შრიალებ, გაფიცებ!

მორცხვობს რცხილა, გაშიშვლებულ ტოტებს შლის...  
და ყურძნისგან ვხედავ დაცლილ ვენახებს...  
ნოემბერი მოშრიალებს ფოთლებში,  
სიმწვანისა ნიშანწყალი ვერ ვნახე...

გზად მოვდივარ, სევდა ჩემზე წინ მოდის...  
ვცდილობ, ავყვე მივიწყებულ სიმღერებს,  
ზოგჯერ სილრმე უხილავი ჭრილობის  
მინდა, რიწის შევადარო სილრმეებს...

შენზე ფიქრი უკვე თავსაც მარიდებს,  
თუმცა, შენთვის გული გადამიშლია...  
მალე თოვლი ნავსაყუდელს დაიდებს  
გზებზე, სადაც ახლა გავლას მიშლიან.

არა, იმ წლებს დავიწყებას არ მივცემ,  
შენგან მოსულ ძველ ბარათებს ვერ დავხევ,  
ნოემბერო, ნუ შრიალებ, გაფიცებ,  
ხედავ, სუსხი თან მოგყვება ფეხდაფეხ...



## გაგრა მპერდები კვლავ გავშვივით მანებება...

ფეხშიშველი მივუყვები სანაპიროს,  
ჩემს სიწითლეს მზის სიწითლეც ემატება,  
დარცხვენილი ჩემი გული სანამ იყოს?!  
მზე შემოდის ჩემში, რაღაც მემართება...

ჩუმი სევდა, სადღაც ზღვაში იძირება,  
ვერ ვიწამე ვერვინ, გარდა იმ ერთისა,  
სევდით სავსე წითელი მზის მიძინებას,  
უცილობლად, მზე მოჰყვება იმედისა...

მოჰყვება და ცას ეცვლება იერ-ფერი,  
ო, რა მიყვარს, როცა იმ ცას ეცეკვება,  
იქაური მიყვარს თუნდაც ნოემბერი,  
გაგრა მკერდზე კვლავ ბავშვივით მეწებება...



## თოლია

თუ მშვიდობისფრად ზეცა შეგღებავს,  
შენ მაინც აფრქვევ ფერებს საოცარს,  
ჯადოსნურ ფერებს; სითბოს უხილავს  
გული უმღერის, გული დალოცავს...  
დაფარა თოვლმა შენი ქუჩები,  
მთებს რომ გითეთრებს, ესეც თოვლია,  
თუ რამ მახსენებს შენს თავს, ვინატრე:  
ზღვა, თეთრი გემი, თეთრი თოლია....  
ამ სითეთრეში სული მშვიდდება,  
უფრო გათეთრდა თეთრი საყდარი,  
თეთრი გემი კი მოდის, მოცურავს,  
ვხედავ აზვირთებს ტალღებს ავდარი...  
ბარდნის და ბარდნის, ათოვს ყველაფერს,  
სევდას უფერულს ებრძვის ზამთარი,  
ომის კვალს აქრობს თოვლი ქათქათა,  
თეთრად შემოსა ჩემი მთა-ბარი...  
სიომ მიამბო, რომ ზღვის ნაპირთან  
დროს წუთებს უთვლის თეთრი თოლია,  
იქ მეგობარი, უერთგულესი,  
თოლიას სახით, თურმე, მყოლია...  
ის ბავშვობიდან მიცნობს, მეძახის,  
ჩემთან შეხვედრა ისევ სწადია  
და ნავსადგურთან რომ ვერ მიპოვა,  
სწუხს ამიტომაც, მეძებს, ცხადია...  
ჩემო თოლია, მოვალ უდავოდ,  
თეთრ აფრებს გაშლის თეთრი ხომალდი,  
შენ ის განცდა ხარ, ჩუმი ფიქრები,  
ჩემს მონატრებას მუდამ რომ ახლდი...  
ვიცი, დამიცდი ზღვის თეთრ ნაპირთან,  
ნარსულ დღეებზე ფიქრში გართული,

მერე მოიფრენ გემთან, მახარებ,  
რომ ახლოს არის მიწა ქართული...  
შენ მიმაცილებ იმ ნავსადგურთან,  
სადაც დავშორდი გაგრას, ბავშვობას  
და სიხარულის ცრემლებს თვალებზე  
აღარ დააცდის განცდა დაშრობას...  
გაგრაში მოვალ რწმენით, მშვიდობით,  
თოვლზე დავკოცნი პირველ ნაკვალევს,  
ავხსნი „ბორკილებს“ დროს, რომ მაფერხებს,  
ჩვენი შეხვედრის წუთს რომ აკავებს!

## ოხ, როგორ თოვს...

დილით მცირედ ჩამოთოვა, ახლა უფრო მაგრად თოვს...  
უუერთდები, გზად გაგრისკენ, ოცნებათა მარათონს,  
ჩემს ფიქრებში თეთრ ბილიკებს მივყვებოდე, ვინ მიშლის?!  
დავიჩემე - გადავკვეთო მალე ხაზი ფინიშის.  
უჰ, როგორ თოვს, ქარი ურცხვად მაყრის ფიფქებს სახეში,  
ნეტავ, ახლა იქ რა ხდება, ჩვენს ქუჩებზე, სახლებში?  
დრომ ჭალარა შემომმატა, თმას მითეთრებს ზამთარიც,  
ხსნის გზა, ღმერთო, სად ვიპოვო, მაცოდინა - სად არის?  
უჰ, როგორ თოვს, მუხლებამდე მწვდება თოვლის საფარი,  
ჩემს გაგრამდე, ნუთუ, კიდევ ბევრი დარჩა სავალი?  
ნუ მთხოვთ, ეჭვი შევიფარო, ვეღარც ჭორებს ავყვები,  
აქ იმედი თუ გაივლის, მის ნაკვალევს გავყვები...

## იანვარი შესევია ქუჩებს ძველი გაგრის...

აღმაფრენას ვინ დამასწრებს, მაგრამ უფრთოდ ვწვალობ...  
და მომწყურდი, შენ მომწყურდი, ვით იმედის წყარო,  
ყელი თითქოს გამომიშრა, დარდს დამახრჩოს უნდა  
და გიჟივით დავენაფე ხელში ჩამდნარ გუნდას...  
თეთრი თოვლი გვერდს ვერ უვლის მართლაც ზღაპრულ ხედებს,  
ზეცა, თითქოს, მთებს დაეყრდნო, ვეღარ უშვებს ხელებს,  
ბეღურები მობუზულან სველ ტოტებზე კაკლის,  
იანვარი შესევია ქუჩებს ძველი გაგრის...  
აღმაფრენას ვინ დამასწრებს, მაგრამ უფრთოდ ვწვალობ..  
და მომწყურდი, ჰო, მომწყურდი, ვით იმედის წყარო.



\*გაგრა - ზამთარში; იხილეთ გვ.418

## ჩემი ქველი ფოტოალბომი

როცა უსაზღვროდ მენატრებოდა,  
და უმისობა ასე მიჭირდა,  
ძველ ფოტოალბომს გულში ვიკრავდი  
და ცოცხლდებოდა გაგრა, ბიჭვინთა;  
მაოცებს მთების ზღვასთან ჭიდილი  
და ზღვის ტალღების კლდეზე ამბორი,  
დღესაც მიყვება ლამაზ მხარეზე  
მოგონებების ფოტოალბომი...  
მიყვება მწვანე კიპარისებზე,  
ძველი კადრები სულს ამთლიანებს,  
ხან პალმების მწკრივს ვხედავ სურათზე,  
ხან - ასე ნაცნობ, მცოცავ ლიანებს;  
ჩემს ფოტოებზე ყველა ილიმის,  
ილიმის, თითქოს, მთელი ბუნება,  
სხვაგან ასეთი ღია ფერები  
ვერსად ვიპოვე, არც მეგულება...  
გულს მიკლავს ერთი ფოტოსურათი,  
ეს ომამდელი ბოლო კადრია,  
ვიხსენებ იმ დროს, ფერებდაკარგულს,  
გაგრას ვავედრებ წმინდა ანდრიას;  
მე დავბრუნდები, მერე გულიდან  
თუ რამ სევდა მაქვს, შვებით ამოვშლი,  
ბიჭვინთის, გაგრის ღია ფერებით  
ასობით ფოტო შევა ალბომში.



ჩემი ძმა - ვალერი ოჩიგავა  
ეს ომამდელი პოლო კადრია

## ჩემი ველჩება

მაცხოვრის წმინდაო მოციქულო სვიმეონ,<sup>1</sup> ღვთის ნებით, შენი მადლი და სიყვარული მოჰყვინე საქართველოს უძველეს კუთხეს - ქრისტეს ზიარი სისხლით ნაკურთხ აფხაზეთს და ამ მიწაზე მცხოვრებ მოკვდავთა სულსა და გონებას; მრავალი წარმართი გამოიყვანე სიბნელიდან და აჩვენე ღვთისნიერების, ქრისტიანული წესით ცხოვრების ძალა და სილამაზე, შენი სწავლებით აღაშენა ჩვენმა წინაპარმა უფლის მრავალი სახლი,<sup>2</sup> სა-დაც, საუკუნეების მანძილზე, გულმხურვალე ლოცვით თავად ღმერთს ეჩურჩულებოდა და იღებდა წყალობას... შეგვინდოს უფალმა დაუნახაობა, შეგვინდოს უფალმა ჯვრის უპატივცემულობა... წმინდაო მოციქულო სვიმეონ, ამპარტავნობით, გაუმაძღობით, ანგარებით, სიძვით, ნაყროვანებით, მიმომწვლილვე-

1 ძველი ქართველი და უცხოელი მემატიანეების ცნობით, წმ. სვიმეონ (სვიმონ) კანანელმა წმ. ანდრია მოციქულთან ერთად პირველმა იქადაგა ქრისტიანობა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში. სწორედ წმ. სვიმეონ კანანელმა დაამხო აფხაზეთში კერპთაყვანისმცემლობა, რომელიც ხალხს ჩვილი ბავშვების მსხვერპლშენირვისკენ უბიძებებდა, ის უცხო ენაზე გულმხურვალე ლოცულობდა და კურნავდა მასთან საშველად მისულ ადამიანებს. წმინდა მამათა გადმოცემით, დააბ. ახ. წ. აღ-ით 55 წელს მოციქული წარმართებმა შეიძყრეს და თავი მოკვეთეს. წმების ადგილს ახ-ლაც ატყვაი სისხლის კვალი. მორწმუნებმა, იპოვეს რა მოციქულის გვამი, დიდი პატივით მიაბარეს ის მიწას. წმ. სვიმეონი დაკრძალულია ნიკოფისიას - ისტორიული საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე.

2 IV საუკუნეში მოციქულის სახელზე ახალ ათონში (აფხაზეთი, თანამედროვე ახალი ათონის ტერიტორია - ივერიის მთა.) პატარა ეკლესია ააგეს, რომელიც სავარაუდოდ, ხის უნდა ყოფილიყო, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში //VII – VIII სს./ აქ თეთრი თლილი ქვისგან ტაძარი ააშენეს; დღევანდელი ნაგებობა ქართული ხუროთმოძღვრების IX-X საუკუნეების ნიმუშს წარმადგენს, რომელსაც რესტავრაცია რამდენჯერმე ჩაუტარდა, მათ შორის, XIX-ის 80-იან წლებში. ტაძრის ფრესკული მოხატულობა შემორჩენილი არ არის. არქიტექტურული დეკორიდან ყურადღებას იქცევს ქრისტიანული სიმბოლოების - თევზზე, ლომისა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებანი. იხ. აფხაზეთი, ახალი ათონი //ყაუჩჩიშვილი ო. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, ობ., 2004 წ. გვ. 67-73. სიმონ კანანელის ტაძრის IX-X საუკუნეების ბერძნული წარწერების ანალიზი. იხილეთ გვ.419

ლობით, ამაოდ მეტყველებით, ბილწი გულისთქმით, ღვთისა და ეკლესიის უპატივცემულობით დაცემული და საკუთარი მინა - წყლიდან დევნილი ერის შვილი და ცოდვილი ღვთის მონა ----- გევედრები, მიაწვდინე ჩემი ხმა ყოვლისშემოქმედს, რომ შეგვინდოს ცოდვები, წყალობის ღირსგვყოს, გვატაროს სწორი გზით, რომელიც მშვიდობით დაგვაძრუნებს აფხაზეთში და სულიერ სიმშვიდეს მოგვიტანს; შესთხოვე დედათა შორის უნმიდესსა და უდიადესს - ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამს, რომ გაგვაძლიეროს სიყვარულსა და რწმენაში, გვასწავლოს მიტევება და ჩვენს მოძმე აფხაზებთან და ოსებთან ერთად საქართველოს ერთიან საზღვრებში ცხოვრების უფლება და ნება მოგვანიჭოს. წმინდაო მოციქულო სვიმეონ, დიდია შენი სიყვარულის, რწმენისა და ღვთის სამსახურში ტანჯვა-წამებით სიკვდილის დათმენის ძალა; უსაზღვროდ მტკიცა, ვნანობ და მუხლჩაუდრეკლად შეგთხოვ პატიებას იმ უგუნურ ადამიანთა გამო, ვინც უგულებელყო შენი ქადაგება და ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის განამა... წმინდაო მოციქულო სვიმეონ, ნუ განმაშორებ სამუდამოდ აფხაზეთში ჩემი სახლ-კარის, წინაპრის საფლავის დაცვისა და მოვლის ვალდებულებისაგან, ნუ ჩააქრობ ქართულ კერას ჩემს მშობლიურ კუთხეში, ნუ განმაშორებ უფლისა მცნებათაგან! ამინ!



## მეკითხვები: აფხაზეთი ვისია?!

მეკითხები: აფხაზეთის მიწა-წყალი ვისია?!

წმინდა სვიმონ კანანელი რომ დაუდგა მსახურად....

მე გპასუხობ - არც ქართველმა, არც აფხაზმა, ვაი, რომ  
აქ ცხოვრება, ამ ედემში აღარ დაიმსახურა...

მეკითხები: აფხაზეთის მიწა-წყალი ვისია?

მე გპასუხობ - თავად უფლის, არც შენი და არც ჩემი,

მაგრამ იქ მაქვს ჩემი სახლი, იქ დგას ჩემი აკვანი,

ამიტომაც დაბრუნების კვლავ ერთგული დავრჩები...

მეკითხები: აფხაზეთის მიწა-წყალი ვისია?!

მე გპასუხობ - ეს მიწაა წილნაყარი ლვთისმშობლის....

ამიტომაც მჯერა, გესმის? ამიტომაც ვიწამე,

რომ არ უნდა მეშინოდეს დროებითი სიშორის!



## საშობაო ნატვრა

ცივა, ცივა, მოუმატა იანვარმა ნაბიჯებს  
და ზამთარი მოგონებებს უსირცხვილოდ აბიჯებს,  
მზე ღრუბლებმა გაიტაცეს, აბა, ვინდა აცდიდა?!  
ფანტელები ისე ცვივა, როგორც ფქვილი საცრიდან...

ნეტავ, იყო ახლა ჩიტი, ფრთების მშვიდი რხევებით,  
იმ გაყინულ ციცქნა სხეულს გაგითბობდი ხელებით,  
რა ვინატრო, შობის ღამეს, ნეტავ, იქცე ბეღურად,  
არასოდეს მიფიქრია, კარი გამომეხურა...

არასოდეს მიფიქრა, გამეხედა სხვის მხარეს,  
შენ რომ მყავხარ, ვინ დამწამებს სისუსტეს და სიხარბეს...  
შენ ხარ ჩემი სულის კალთა, ჩემი მინა, სხეული...  
შენ ხომ თვითონ სამოთხე ხარ, ოლონდ მიწისეული.

მერე ისევ დაუბრუნდი შენს ლურჯ ზღვას და მწვანე ქედს,  
მალე მარტი დაგვავიწყებს სიცივეს და ნალექებს...  
დამელოდე, დამელოდე, იმდენი მაქვს სათქმელი,  
ნეტავ, ახლა იქ ჩემს სახლში თუ დაანთეს სანთელი...

ცივა, ცივა, მოუმატა იანვარმა ნაბიჯებს  
და ზამთარი მოგონებებს უსირცხვილოდ აბიჯებს,  
მზე ღრუბლებმა გაიტაცეს, აბა, ვინდა აცდიდა?!  
ფანტელები ისე ცვივა, როგორც ფქვილი საცრიდან...

## თუ მატყვი, ჩემო, - „დრო კიდევ დაგრჩა...“

ვიჯექი პარკში, მათოვდა სევდა და ჩემი პალტო გათეთრდა  
ნამში, თუ დაგივიწყე, ვიცი, რომ მალე, სევდასთან ერთად, უსიტყვოდ  
ნამშლი, გამაქრობ ფიქრში, დაამსხვრევ ნატვრას და ამომაგდებ  
გულიდან, ვიცი...  
აღარ მიმიშვებ მშლობლიურ სახლში, არ გამახარებ სინათლით  
იმ ცის...  
შენ უფრო იბრძვი, რომ იყო ჩემთან, მშიბლიურ სახლზე დარდს  
შემომისევ,  
მე კი უსიტყვოდ ჩავეფლე თოვლში, ზამთარი მეფობს  
გარშემო, ისევ...  
ალბათ, დაგლალე ფიქრებით, სევდით, უშენოდ მოსულ  
დღეებზე განცდით,  
დაკარგულები ცხოვრების გზაზე, ბედის განგებით, ერთმანეთს  
ავცდით...  
რა ლამაზი ხარ მაისში, ვიცი, ყოველი ქუჩა ვარდებით გმოსავს,  
ვიცი, ლივლივებს შენი ზღვა ახლა, მე მის ნაპირთან ვერ ვბედავ  
მოსვლას,  
ნაზი ხარ ისევ, თბილი ხარ ისევ და გაბრაზებას მიმალავ  
ცრემლში,  
ჩემთან კი ბარდნის, სიცივე ჩუმი შემოპარულა უშენოდ ჩემში,  
დამფარა თოვლმა და სითეთრეში თითქოს, ვიპოვე პატარა  
შვება.,  
შენ ისევ მზეობ, თუმცა, ცრემლები შენს მაღალ ცაზე  
არასდროს შრება...  
თუ მეტყვი, ჩემო, - „დრო კიდევ დაგრჩა...“ ფიქრში ჩაძირულს  
მომისწრებ სულზე,  
თოვლის ფიფქებად გადაქცეული შენი ცრემლები მადნება  
გულზე...

## მაინც უნდა გნახო...

მივლასლასებ, ვეღარ გავცდი  
ხავსმოდებულ ტროტუარს,  
წინ ჩემივე ლანდი მიდის,  
მხარზე გაგრის ტატუ აქვს...

საგზლად ერთ ფიქრს დავატარებ,  
მე იმას ვჭამ, ის კი - მე,  
რაც ამ გზებზე ცოდვა ვზიდე,  
ყველა გამოვისყიდე...

დამსკდარ ფილებს ვამტვრევ ფეხით,  
ვცდილობ, გზიდან ავყარო,  
ვიღაცისთვის ქალაქი ხარ,  
ჩემთვის - მთელი სამყარო!

გზაზე იქნებ ის მთა შემხვდეს  
და ზღვა, ტალღებხვეული,  
უნდა გნახო, თუნდაც იყო  
კაბაგამოხეული...



## საქართველო - ნამდვილი საგიშათი...

„საგიშეთში“ ვარ, თან არ ვარ ავად,  
აქ ყველა სურვილს, იმედს ებრძვიან,  
დამიტოვებდნენ ერთ იმედს, ალბათ,  
ერთხელ მაინც რომ ქრთამი მეძლია...  
გულანთებული აქ ბევრი დადის,  
ქვეყნის ბედმა რომ „გიშად“ აქცია  
და როცა მიზეზს ვერ ამხელს დარდის,  
საკუთარ ფიქრებს უწყობს აქციას...  
როგორ გავიქცე უძირო ნავით?!  
ჩვენი „მკურნალი“ თვითონ გიჟია,  
მისი სიგიშის თავი და თავი  
სკამის დაკარგვის დიდი შიშია...  
მე ჩემს „სიგიშეს“ ვაბრალებ გაგრას,  
პირზე სხვა სიტყვა აღარ მეკერა,  
ახლა ჩემი მზე მზეს თითქოს არ ჰგავს,  
ყველა გაგრისთვის გადამემტერა...  
„სდუმს და საფიქრალს ფურცლებზე არ ღვრის,  
თუ დააპირებს, აგერ ურნაო,  
ვფიქრობთ, არც ახსოვს მიზეზი ნაღვლის“ -  
დასკვნა დამიდეს: „განიკურნაო...“  
ჩუმად ვარ, მხოლოდ გულს ვანდობ სათქმელს,  
ნუდარ მომისმენთ, ნუდარ გამიგებთ,  
ჩემი გულისთქმა მოკითხეთ სანთლებს,  
ვტოვებ „საგიშეთს“ - კარი გამიღეთ!

## უდაბნოში ისევ ვეპებ რაზის

კაცი ვარ - შენზე ფიქრის და დარდის,  
დავდივარ მარტო ამ უდაბნოში,  
აქ შორიახლოს სიჩუმეც დადის,  
გამომიწოდოს რომ უნდა გროში...

მე და სიჩუმე იმედებს ვაბამთ,  
მიცნო ვიღაცამ და ხურდებს მიწვდის,  
მეც მათხოვარი ვგონივარ, ალბათ,  
გარეშე ჩემი გაგრის და რიწის....

აქ, უდაბნოში ქარები იცის,  
ყველა ნაბიჯზე - ჭორი და მახე,  
აქ არვის სჯერა სიტყვის და ფიცის,  
ყველას ქვიშაში ჩაუფლავს სახე...

აქ ბოროტებას არავინ ამხელს,  
უსმენენ ყველგან უსახო ბოდვებს,  
აქ წაქცეული თუ სადმე ნახეს,  
ნყალს არ მისცემენ, რომ იხრჩობოდეს.

იმედს დამემთხვეს არ უნდა დროში,  
დავდივარ, გაგრის გარეშე ვერ ვძლებ,  
ალბათ, გიუი ვარ, ამ უდაბნოში,  
რახან ჯიუტად ოაზისს ვეძებ...

## ჩემი ფიქრების შემხედვარე, ლრო ახლა თავად გახდა სამკურნალო...

---

დროს მხოლოდ ერთეულები უსწრებენ... როგორც წესი, ის წამებს, წუთებს წლებს გვმატებს, ზოგჯერ ნელა მიდის, ზოგჯერ - მიქრის და ჩვენც შესაბამისად, მასთან ერთად მივედი-ნებით. მაგრამ დროს, ჩვენგან განსხვავებით, უკან დაბრუნებაც შეუძლია. დარწმუნებული ვარ, ხშირად ბრუნდება წარსულში და თავის წამოქმედარს აფასებს... ვის რა შემატა, ვის რა წაართვა. ვფიქრობ, წანობს, რომ წლების წინ დაგვაშორა მე და გაგრა. წანობს, მაგრამ არ აღიარებს. ნეტავ, ცხადშიც შემეძლოს დროს-თან ერთად უკან დაბრუნება; დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერ გამომგლეჯდა ხელიდან იმას, რაც მომცა. მაშინ გაგრა დავთმე, ქართველობის ფასად და დღემდე საყვედურს ვისმენ - რატომ?

„დრო მკურნალიაო“ - არავინ მოგატყუოთ... მე ყოველ დღე მმატებს სევდიან ფიქრებს ჩემს მოტაცებულ ქალაქზე. ჩემი ფიქრების შემხედვარე, დრო თავად გამხდარა სამკურნალო.



## ფიქრების მონიტორინგი

ტალღა ბობოქრობს, იწყება მოქცევა, მგონი, მორიგი,  
ზღვამ დამავალა ქალაქზე ფიქრების მონიტორინგი..

ახლა, რომ შენს თავს მახსენებს, ბავშვობის ბილიკებია,  
პალმის ხეებზე მძივებად ასხმული ფინიკებია,

მაფიქრებთ, ლურჯო ქედებო, ბალებო ულამაზესო,  
რას შეველიო - ამ ზეცას თუ სხივებნათელ ამ მზესო?!

ან როგორ დავთმო ფერები მაისის კოკორ-ვარდისო,  
სიმღერა, ასე ნაცნობი, ქათქათა კოლონადისო?!

ვის დავუტოვო საჩუქრად სიმღერა მაგნოლიისო?!  
რად ღირს სურნელი შენი მთის, ან თუნდაც, მარტო იისო...

ოცნების ნავსაყუდელო, ისევ დარდი ხარ გულისო,  
შენ ჩემო, გუშინ ტკივილო, ხვალ - ცრემლო სიხარულისო...

ჩემი იმედის ტაძრამდე სულ მალე ავალ დიდებით,  
მხრებით ვატარებ ჩემს ქალაქს, თავისი ავლა-დიდებით!



## თუ რამ ხდა გნვდება...

ეს ჩემი ხმაა, გნვდება თუ რამ ხმა,  
გაგრა, შენ ამ დროს, ნეტავ, რას შვრები?  
მე შენს ტალღებზე ვწევარ გულალმა,  
მთვარის ანარეკლს ვეთამაშები...  
შენზე ფიქრია, რომ მაწერინებს,  
ვბედავ ხეტიალს შენს თბილ ქუჩებში  
და მონატრებით სავსე წერილებს,  
ჩემი მაგიდის ვმალავ უჯრებში...  
ვმალავ ჭრილობას, რომ ვერ შეხორცდა,  
დრომ მას შემატა მეტი ტკივილი,  
თუ რამ ხმა გნვდება, მაშინ გეყო ცდა!  
ეს ჩემი ხმაა, სულის კივილი...  
ეს ჩემი ხმაა, გნვდება თუ რამ ხმა,  
გაგრა, შენ ამ დროს, ნეტავ, რას შვრები?  
მე შენს ტალღებზე ვწევარ გულალმა,  
ისევ ბავშვობას ვეთამაშები...

## ჩემი ჯვარი

ჩემი ეზოს მანდარინს რომ ამშვენებს,  
მოყვითალო მარგალიტის მძივებია,  
ვიღაც სახლზე სართულ-სართულ აშენებს,  
ვუყურებ და ფიქრებიც კი მძიმდებიან...  
იმ უტკბილეს მოგონებებს ვინ წაშლის?!  
გაგრა, გნამდეს, რომ ვერ დაგთმობ საბურთაოდ,  
ჩემი ჯვარი, ჩამარხული მიწაში,  
შეინახე, შეინახე სამუდამოდ!

## დაზრილი დედამიწა

გაგრა, შენ ჩემი ტკივილი გქვია,  
რა დამავიწყებს, რაც მაშინ მოხდა?!  
შენთვის ნასროლი უგულო ტყვია,  
ჩემს დედამიწას შიგ გულში მოხვდა,  
იმედი მზესთან შეხვედრას ითხოვს,  
დილამ ჩემს ფიქრებს მოაკლო ზრუნვა  
და მზის გარშემო, შევიგრძნობ, თითქოს,  
რომ დედამიწამ შეწყვიტა ბრუნვა,  
წამი შეჩერდა, დაიწყო თრთოლვა,  
დადუმდა გემი, დადუმდა ტალღა...  
და ამდენი ხნის ლოდინის შემდეგ  
ქალაქო ჩემო, დაგეტყო დალლა,  
უშენოდ ისევ ობოლ ბავშვს ვგავარ,  
შემინებული კვლავ ვიკვნეტ ფრჩხილებს  
და ჩემს ფიქრებში, ზღვისპირზე გაგრის  
ვლანდავ წარსულის მთვლემარე ჩრდილებს...  
გაგრა, შენ ჩემი ტკივილი გქვია,  
რა დამავიწყებს, რაც მაშინ მოხდა?!  
შენთვის ნასროლი უგულო ტყვია,  
ჩემს დედამიწას შიგ გულში მოხვდა.



## ფაო, მომა რაც მაჟუთვის

ფაო, მომე რაც მეკუთვნის, შენი - შენ!  
დღეს მომისწარ, ხვალე ველარ მიშველი...  
არ ემოსა გაგრას ტანზე, შევნიშნე  
და ზღვის ტალღებს მიყვებოდა შიშველი...

იქნებ ისე, თოლიებთან მიცურა,  
გააყოლა თვალი ჩემი მზერისკენ,  
მაშინ რა ვქნა, თუ დახრჩობა ისურვა,  
მაშინ რა ვქნა, თუ მზეს ჩაყვა ფსკერისკენ?!

ახლა დროა ტანისამოსს ვიძრობდე,  
დაიხრჩობა, მოტყუვდება ლანდებით...  
სად მიდიხარ, გაგრა, ნეტავ, ვიცოდე,  
სიბნელიდან როდის ამოლაგდები?

ფაო, მომე რაც მეკუთვნის, შენი - შენ!  
დღეს მომისწარ, ხვალე ველარ მიშველი...  
არ ემოსა გაგრას ტანზე, შევნიშნე  
და ზღვის ტალღებს მიყვებოდა შიშველი.



## დრო კაცის ყოფას თამაბეჭი აფევს

თუნდაც ვიცოცხელო ათასი წელი -  
განშორების დღე უდავოდ მოვა,  
სიცოცხლით დაღლილს მომწყდება წელი,  
ციდან ფიქრების შეწყდება თოვა...  
წამოვა წვიმა, უსიტყვოდ წავალ,  
მერე მზეს ვანდობ განუწულ ფიქრებს,  
ახლა დარჩენილ ტკივილსდა ვწამლავ,  
ხელს თბილი სხივი ზეციდან მიქნევს.  
წავალ, როდესაც დავიხსნი მიწას,  
ზღვა და ლურჯი მთა რომელსაც აკრავს,  
როდესაც გულში ჩავიკრავ რიწას  
და შვილთაშვილებს დავურწევ აკვანს...  
როცა ერთობა იმედის დილას  
დიდების გვირგვინს დაადგამს თვლიანს,  
როცა ვიხილავ მზეს, დარდს რომ ჩრდილავს  
და ჩემს სამშობლოს ბედნიერს, მთლიანს!  
გავყვები მზის სხივს, ამიყვანს ცაში,  
იქ ეშხით დამწვავს ბუნების ქნარი,  
შორს გამიტაცებს ოცნების რაში  
და ფერფლად ქცეულს წამიღებს ქარი.  
მოვეფინები ნაწიმარ ქუჩებს  
და ზღვის ნაპირებს ახალი გაგრის,  
მშობლიურ მიწას შევახებ ტუჩებს,  
მოვუხმობ წარსულს, ზეცად რომ დაჰქრის,  
როცა შევიგრძნობ ფიქრების თრთოლვას,  
მოვალ მშვიდობად, სინათლედ, ლოცვად...  
მოვალ სიმშვიდედ, დავიწყებ თოვას  
და დავადნები ქვეყანას კოცნად.  
დრო კაცის ყოფას წამებში ატევს,  
სულ არ მწადია დღეების მოთვლა;

მამულზე ფიქრი ჭაღარას მმატებს;  
თოვლმა დაინყო ქუჩების მორთვა.  
ყველა სიმღერა ვიმღერო მინდა,  
ყველა ლექსის თქმა სურვილებს ერთვის,  
ამ ლექსებს გული ალერსით ჰქმნიდა,  
რომ მესახსოვრა, მამულო, შენთვის!

## ჩემი სახება

სულის სარჩენად ტაძარი... და სიყვარული ვიწამლე...  
უღმრთოდ და უსიყვარულოდ ამ ქვეყნად ყოფნა რთულია,  
სად არ ვიარე, ვეძებდი ყოვლისშემოქმედს, ვიწამე,  
რომ ღმერთი სიყვარულშია, რომ ღმერთი სიყვარულია!  
თან დამყვებოდა, ყოველთვის, იმედი, როგორც მრჩეველი,  
ლოცვამ, ზეცამდე ასულმა, ფიქრებს სიცხადე მოჰყონა;  
ჩემი სამება, ნუგეში და სულის გადამრჩენელი...  
სამშობლო, ჩემი ოჯახი და ჩემი გაგრა ყოფილა!

## თეთრი გემი...

როგორ გავძლო, თუ რამ იმედს მიჩრდილავს და არ ახარებს,  
სარეველა ბალახივით, დავტოვო და არ მოვცელო?!  
როგორ მინდა, თეთრი გემი ჩემს დილას რომ არ აღამებს,  
იყოს ჩემი სახლი, ეზო და პატარა სამლოცველო...  
მეც ამ სახლში, შენთან ერთად, ვიცხოვრებო, მზე დამპირდა,  
შენც - იმედო, უცილობლად, აქ ხომ მოხვალ, აქ ხომ ივლი?  
და წაგვიყვანს, ჩვენ ორივეს, საოცნებო ზღვის ნაპირთან  
თეთრი გემი, თეთრი გემი, ზღვის ლურჯ ტალღებს აყოლილი...

## ჩემი იხადი

(ჩემს პატარებს - ლუკას და ილიას)

როცა ვარსკვლავი მოწყდება ციდან,  
ვიღაც სურვილებს ჩაუთქვამს ღამით,  
ზოგი ღვინოში „დაახრჩობს“ სევდას,  
ბედს „მოიძიებს“ ვიღაცა ყავით,  
ნატვრის ხეს დღესაც ანდობენ ნატვრას,  
ზოგს ისევ სჯერა ახალი მთავარის,  
პოეტი შვებას ლექსებში ეძებს,  
რითმებში ბორგავს უგონოდ მთვრალი...  
ზოგი თილისმის იმედად რჩება,  
ზოგს ცისარტყელა უნერგავს იმედს,  
ბევრისთვის მზეა სიცოცხლის წყარო,  
სითბოს რომ უყოფს ამერს და იმერს...  
ბევრი ლოცვებით ამყარებს რწმენას,  
წმინდა ხატებთან გულისთქმას ტოვებს,  
იქ სანუგეშოდ ზღვა ხალხი მოდის  
და სიყვარულსაც ღვთის სახლში ჰპოვებს,  
თილისმაც მქონდა, ვეტრფოდი მთვარეს,  
გაგრაზე ფიქრებს ახლაც კი ვბედავ,  
ყველაზე მეტად იმედს და ნუგეშს  
ჩემი შვილების თვალებში ვხედავ.



## ლოცვა ქართულად...

ღმერთო, გევედრები შენ, ზეციდან გვისმინ, პირი ჩვენკენ  
იბრუნე, წყალობა მოგვივლინე, შენ გაგვიშვი მშვიდობით, რომ  
გიაროთ შენი გ ზით, შენს მცნებებს ვასრულებდეთ და ბოროტს  
გავურბოდეთ. მასნავლენ, უფალო, შენ ნინაშე ლოცვა და შენი  
ნმიდა სჯულის დაცვა, რომ შენით გული გაგვიერთგულდეს და  
შენი ნმიდა სჯულით ვიაროთ. ამინ!

ნშ. გაბრიელ ბერის ლოცვა

რა ვქნა, რომ მიყვარს  
იმ მიწის სუნიც,  
დაფლეთილ ფიქრებს  
ვაგროვებ, ვკერავ..  
იქ მეგულება  
სიმშვიდე სულის,  
საფლავი ძველი  
და თბილი კერა,  
ვყიდი ჩემს ფიქრებს,  
ნაბიჯში - თითოს...  
სევდამ ათასჯერ  
გამომდო კბილი,  
ფარშევანგისა  
კუდივით, თითქოს,  
თვალწინ იშლება  
ბავშვობა ტკბილი...  
ოლონდ ომამდე,  
ოლონდ იქამდე,  
სანამ მომგლეჯდნენ  
შენი კალთიდან,  
ხოდა, ამას გთხოვ,  
ისევ იქ მანდე  
ლოცვა ქართულად,  
ნმინდა სანთლითა...

## გზავნილი გამრაში...

---

ყველა და ყველაფერი სადღაც მიჰქრის.... მიჰქრის დრო, ფიქრი, სიმღერა და მონატრებაც მიჰქრის. მიჰქრის წერილი, შენც მიჰქრიხარ, იმედო! ალბათ, ჩემს უმშვენიერეს ქალაქთან შეხვედრას ჩქარობ. წადი, წადი.... არ შეგაჩერებ, ოლონდ, შეხვდი ჩემს გაგრას, მოეფერე, დამიმშვიდე... მოამზადე ჩემთან შესახვედრად. არ ვინანებ შენთან დროებით განშორებას, ბედნიერი ვიქნები, თუ დამასწრებ და პირველად, სწორედ შენ ეტყვი ჩემს სათქმელს ქალაქს, რომელსაც მსურს, რომ ჩემი მომავალიც დავუკავშირო;

გაირინდა დრო, გაფითოდა ფიქრი, დატკბა სიმღერა, ჩაქრა მონატრება... გაღვივდა იმედი. ნუთუ, შეხვდნენ, ნუთუ, მიიღო ქალაქმა ჩემი განუყრელი მეგობრები?! ვგრძნობ, როგორ ეფერება გაგრა ჩემს გზავნილს, იღიმის და პასუხად ჩემს წერილზე მიგზავნის საკუთარ ფიქრებსა და მონატრებას. მიგზავნის თეთრ გემს, რომელიც სულ მალე მიადგება ჩემი ოცნების ნაპირს, მერე კი წამიყვანს სახლში და ბედნიერ მომავალში დამაბრუნებს. მე ისევ ვიცხოვრებ გაგ - რა - შიიიიი...



## მე ვიცხოვრებ გაგრაში!

ვის უნახავს სანთელი, უცეცხლოდ რომ იწვოდეს,  
ნუ გგონია წავედი, აქვე ვზივარ სანგარში,  
წინა ხაზზე გავდივარ, დაე, ყველამ იცოდეს,  
რომ დავიწყე გაგრიდან და ვამთავრებ გაგრაში...  
აი, მოჩანს ქედები, სახლი მწვანე საფარში,  
ვერსად გავხდი მნახველი ამდაგვარი ბუნების,  
მე ვიცხოვრებ გაგრაში, ულამაზეს ზღაპარში,  
ვინ გაბედა დაშვება ჩემი არდაბრუნების!

## ვიცხირები ჩემი სახლის თვალებით

ველი თეთრ გემს, თვალს ვუსწორებ ჰორიზონტს  
და საცაა ზეცა ქურთუკს მოიძრობს,  
ვიცქირები ჩემი სახლის თვალებით,  
გამომიშვით წარსულიდან თავდებით...  
ოხ, ამ კაცის გამოხედვა მაბრაზებს,  
ჭიქა ღვინო ჩამოუდგამს რაფაზე...  
ეს ღვინოა - ჩვენი ვაზის ნაჟური,  
ფერი უცხო, გემო უცხო - საშური...  
ათასობით ამოსუნთქვას დავარქვი  
ერთი სიტყვა, მზის სხივებით ნაქარგი.  
წყურვილს ვიკლავ ისევ სახლის თვალებით,  
გამომიშვით, გამომიშვით თავდებით..

## თითისტოლა სანთალი...

მომაწოდეთ თითისტოლა სანთალი,  
ჰო, სანთელი - ყველა ნატვრის დამტევი,  
ნუ დამინგრევთ პანაწინა სალოცავს  
და შემარგეთ შვება - ლოცვის თანმდევი...

გულში მცირედ შემოუშვით მზის სხივი,  
იმედის მზის, დედამიწას რომ ათბობს,  
დამანახეთ სახლის უკან გორაკი,  
მონატრება უსასრულოდ რომ ათოვს...

წლები გარბის, დროს ვერ ვთოკავ წამითაც,  
ამ ცას გული მაინც იმ ცას ადარებს,  
ნუ დააფრთხობთ ჩემს ფიქრს, ის ხომ გაგრაზე  
ცრემლით სავსე მოგონებებს ატარებს...

მომაწოდეთ პანაწინა სანთალი,  
ჩემს სისუსტეს ისევ ხელს რომ აფარებს,  
სანთლის შუქი სიოს ელამუნება  
და მოკითხვას ჩემს ქალაქთან აბარებს..



## შენთან მოვდივარ...

ყველა ქალაქში მქვია სტუმარი,  
საცხოვრისს ვიცვლი, უკვე წლებია...  
გაგრა, გჯეროდეს, ჩემი სიზმრები  
შენს მზეს და ზეცას ისევ წვდებიან...  
ხარ სიყვარულის ჩემი ზარდახშა  
და ბავშვობაზე ფიქრთა კრებული,  
როგორ მაკლია შენი ჰერი,  
ზღვის სურნელებით გაჯერებული...  
ჩემს მოგონებებს სულში ვუძვრები,  
ვუმდერ შენს ბალებს, ვუმდერ შენს მთებსაც;  
აქ რომ არ დატკბე, ასე ძნელია,  
ტკბილი გემო აქვს წვიმის წვეთებსაც...  
მუდმივად მწვდება შენი ძახილი -  
ამდენი ხანი, ნეტავ, სად ხარო?  
მე გავისტუმრე გუშინ ნაღველი,  
შენთან მოვდივარ, ჩემო სახლ-კარო!

## მზეს ვატან სხივებს გაგრაში

გემით გიგზავნი სხივებს უთბილესს,  
მზემ დღეს სხივები ზღვას არ მიანდო,  
ვიცი, რომ ნატრობ დილას ჯადოსნურს,  
შენს ტკბილ სიზმრებზე ღამემ მიამბო,  
მზეს გამოვატან ფიქრებს უნაზესს,  
იმედის სხივებს, ჩემში დარჩენილს,  
დღეს შენთან ვგზავნი სულ სხვა განთიადს,  
მზეს ღამენათევს, შენთვის გაჩენილს...

## მზის დაპადება

კვლავ ჩემებური დილა დავხატე,  
გულში იმედი ისევ ანთია,  
ღმერთო, წყალობის ლირსი გამხადე,  
რომ ჩემს გაგრაში შევხვდე განთიადს!  
მზის დაპადებას მინდა ვუცქირო  
და გაგრის თავზე ამ მზის ნათლობას!  
განათდა ზეცა ლურჯი, უძირო,  
გათენებისთვის ვიხდი მადლობას.

## არაერთგზის...

არაერთგზის გამოვყევი თეთრ ღრუბელს,  
არაერთგზის მოგეპარე მთებიდან,  
როგორ უნდა შეგხებოდი, ქალაქო,  
როცა ქარი უმოწყალოდ მდევნიდა...  
არაერთგზის გადმოვლახე საზღვარი,  
შენს მინაზე ფეხის დადგმას ვეცადე,  
როგორ უნდა შეგხებოდი, ქალაქო,  
რაღაც ძალა მუდამ გწევდა ზეცამდე...  
არაერთგზის დავუბრუნდი ზღვის ნაპირს,  
მახსოვს, გემის დანახვაზე კრთებოდი,  
როგორ უნდა შეგხებოდი, ქალაქო,  
როცა ნისლში გახვეული ქრებოდი...  
რწმენით სავსე ნუ დააშრობ ნაკადულს,  
მე ხომ რწმენა წვეთნვეთობით ვაგროვე,  
როცა ცხადშიც დავბრუნდები, გაფიცებ,  
შენი გულში ჩახუტება მადროვე...

## დაეშვება სანამ დამე...

თბილი მზე ხარ ჩემი, გაგრა,  
ჩემთან ერთად დარჩი, წამიც...  
დაეშვება სანამ ღამე,  
გეხებოდე სანამ ძალმიძს...  
იმედი ხარ ჩემი, წყარო  
მოკიაფე სულში შუქის,  
დაეშვება სანამ ღამე,  
წაცნობ ჰანგებს გული გჩუქნის...  
მოფენილა სანამ ცაზე  
მარგალიტის თეთრი მძივი,  
დაეშვება სანამ ღამე,  
არ მოუშვა ჩემთან ძილი...  
ჩემი მზე ხარ-მეთქი, გესმის?  
დარჩი, შვებით ამავსეო...  
დაეშვება სანამ ღამე,  
არ გამიშვა ხელი, მზეო...

## 35-ე მარტი...

ოცდათხუთმეტჯერ ვიხილე მარტის  
გასაოცარი ვნებათა ღელვა,  
ზოგჯერ ვტკბებოდი ულრუბლო ზეცით,  
ზოგჯერ ქუხილით მაფრთხობდა ელვა...  
ოცდათხუთმეტი გავლიე წელი;  
არც ბევრი დროა, არც ისე ცოტა,  
ორ ოცდათხუთმეტს ჯერ კიდევ ვითხოვ -  
დრომ საპროტესტო მიიღო წოტა...  
ოცდათხუთმეტჯერ იფეთქა ნუშმა,  
ოცდათხუთმეტჯერ დავშორდი ზამთარს,  
რაც წლები დამრჩა, შევალევ გაგრას,  
თუ დამიბრუნებს, თუ ნებას დამრთავს!

## გაგრის ქადი...

როცა ბათუმის ზღვის ხმაურს ვისმენ,  
ვიყრუებ ტკივილს, „ვიყრუებ“ ყურებს,  
გული მაშინვე გაფრენას ითხოვს  
და მიაშურებს სოხუმის ყურეს;  
თუ სადმე ვნახე პალმების მწერივი,  
ან შევერცხლილი ნაძვებით მთები,  
„ვიბრმავებ“ თვალებს, ვარიდებ მზერას.  
ისევ გაგრაზე ფიქრებით ვთბები...  
სხვა თოლიები, ნაპირი სხვა ზღვის  
უკვე წლებია სიმშვიდეს არ მგვრის,  
ფიქრებში ისევ მიცურავს გემი  
და აი, ქედი გამოჩნდა გაგრის...  
„ზღვის მარგალიტსაც“ თვალს ვაწვდენ უკვე,  
მას ცისარტყელას ფერები ფარგლავს,  
ო, როგორ ვნატრობ, ო, როგორ მინდა  
ცხადშიც ვისმენდე, ვხედავდე გაგრას...

\*\*\*

დრო დავანარცხე თეძოზე მოგვერდით,  
ახლა ეჭვია საჩემო სამიზნე,  
ადამიანად ისევ თუ მოვედი,  
თოლია მომიყვანს სამოთხის ნაპირზე...  
მზემ და იმედმა ლურჯ ზღვაში შეცურეს,  
ჰევანან თეთრ გემზე შემომსხდარ დობილებს,  
ფიქრი წარსულზე საბის ქვეშ შევჩურთე,  
ჩვენთან ბავშვები მოჰყავდათ თოლიებს...

## 21 მარტი...

სანამ მხნედ ვდგავარ, სანამ ჭალარა შემომემატა,  
სანამ ჯერ კიდევ ისევ შორსაა ჩემს სიბერემდე,  
გთხოვ, დაიბრუნო, რაც რამ ოდესმე შენი მემართა  
და ნაბიჯ-ნაბიჯ მიმახლოვო შენს სიქველემდე...  
გთხოვ, დაიბრუნო შენი ფერები, გასაოცარი...  
მზე დამიხატო შენს ნათელ ცაზე, ალერსიანზე,  
ჩემი სიმშვიდე, ო, შენებრ თბილი, საღამოც არის...  
მაგრამ ვოცნებობ ზღვისფერ დილაზე, ასე მზიანზე...  
ჯერ სანამ მხნედ ვარ, სანამ დღეები წარსულს ბარდება,  
სანამ გრიგალი ფიქრს - სევდანარევს გაგლეჯს ქარებად,  
გაზაფხულს სთხოვე, წლებს ნუ მიმატებს, ნაუცპათევად,  
რა გეჩქარება, შენ - მარტის თვეო, რა გეჩქარება?!

## უკვე გავცდი „მეორმოცე“ საფეხურს...

ვეღარ დავრჩი გაზაფხულის იმედად,  
ვეღარც ხარის, სამწუხაროდ, ვერც გუთნის,  
ზედ კიბეზე ვდგავარ, გზადაკარგული,  
და ვმკითხაობ - რომელ მხარეს ვეკუთვნი?  
ხო, გაგრისკენ რომელ მხარეს ვიარო?  
როგორ შევკრა გზები დამსკდარ-დაშლილი?!  
იქნებ, ქარებს სულ სხვა გზებით მივყავარ, -  
ფრთები... ფრთები დამხსნეს, სად არგაშლილი...  
სხვა გზა არ გვაქვს, ისევ უნდა შევერთდეთ!  
გამოყევი ჩემი სევდის ნაფეხურს,  
აქ დავდგები, შენ გამოჩნდე, აჯობებს,  
უკვე გავცდი „მეორმოცე“ საფეხურს...

## გაგრა და ქვის კაცი...

ისევ დუმილი, სპობ ყველა ბგერას...  
არც წვიმა, აღარც სიმღერა ქართა,  
მძუდს ეს სიჩუმე, გულს დარდი ბერავს,  
მხოლოდ ღალადი ჩამესმის ქვათა;

ყოველი ქვაა აქ მოწმე ამბის,  
რომელიც, მახსოვს, გადაგხდა მაშინ,  
დრო უმოწყალოდ, რა ჩქარა გარბის,  
უშენოდ მმატებს ჭალარას თმაში...

ლამაზ ამბებსაც ჰყვებიან ქვები,  
ჩემს ბავშვობაზე, უდარდელ წლებზე...  
ხან წამით ჩნდები, ხან ისევ ქრები,  
როგორც მზის სხივი, ლურჯი მთის წვერზე...

დავდივარ, სიზმრად ვაგროვებ ამ ქვებს,  
მძიმეა,- ქვები დაგქონდეს ტვირთად,  
გული გარდასულ ტკბილ წამებს აქებს;  
სხეულს და სულსაც ვტვირთავ და ვტვირთავ...



\*\*\*

ერთი სიზმარი დამეკარგა,  
კოხტა და მოკლე,  
სად არ ვეძებე, მოვიკითხე,  
იქნება მოკლეს?!  
იქნებ დროს გაჰყვა, შეეხიზნა  
სრულებით უცნობს,  
ანდა უჩივის სიმარტოვეს,  
ტირის და ურცხვობს...  
როგორც სტუმარი მოდიოდა  
სიზმარი, ხშირად,  
მერე ვიღაცამ გონებიდან  
სულ გამოხშირა...  
ვეღარ ვეხები ამიტომაც  
მშობლიურ ქალაქს,  
უსიზმროდ ფიქრი - მოწყვეტილი  
მდუმარედ დამაქვს...  
იქნებ საჩემოდ დაიკარგა  
სრულებით გაქრა,  
ანდა ჩემს სიზმარს განეშორა  
რინაც და გაგრაც..  
იქნებ დრო არის გაღვიძების  
რაიმე ახლის...  
ჩემი გაგრის და თოლიების  
ცხადშიაც ნახვის...

## როდის?

გაზაფხულზე დაბრუნება მიწერია,  
როცა შენი ლიანები მაისობენ?  
როცა ჭიკვის გავიგონებ მეგობრების,  
ძველ ბუდეს რომ აგნებენ და ხალისობენ?  
როცა წყალი ხეში ჰპოვებს ნავსაყუდელს,  
როცა შენი სილამაზე გამაფითრებს?  
ვარდის ბუჩქში კვირტის ვნებით აფეთქება,  
როცა ისევ სიყვარულზე დამაფიქრებს?  
შესახვედრად, იქნებ სხვა დროს გვიმზადებენ,  
იქნებ, ზაფხულს შეუძლია დამაბრუნოს?!  
არ იქნება, დრომ საშველი არ მიპოვოს,  
ჩემი ზღვა და ჩემი მთები არ მარგუნოს...  
შემოდგომით დაბრუნება მიწერია,  
როცა გაგრა ფერებს აფრქვევს გასაოცარს?  
მანამდე კი, ვინც ჩემს სახლ-კარს უპატრონა,  
გული ჩუმად ეფერება, მასაც ლოცავს...  
გაგრამ მითხრა მოითმინე ზამთრამდეო,  
იმედს სახლში ზამთრის ბოლოს დავადგები...  
ის პირველი თოვლის ფიფქი მე ვიქნები,  
სიყვარულით ჩემს მიწას რომ დავადნები...  
მოდის, მოდის ის ზამთარი, ზანტად მოდის...  
ეს ნანატრი თეთრი თოვლის ფიფქებია...  
მიდის, მიდის თეთრი გემი, მარტოდ მიდის  
და ამ გემზე ჩემი ტკბილი ფიქრებია...

## ჩიხს დათოვლილ მხარეს

ეს ფერები შენს მთებს,  
ნეტავ, როგორ რჩებათ?!  
ასეთ ხედებს მუდამ  
ღირს, რომ ადიდებდე,  
სანამ მოვალ, კარგო,  
და გიგულებ ჩემად,  
სიყვარულის ხიდით  
ახლა ადი მზემდე...  
ის შეგიმკობს კალთებს,  
ხეს გაუთბობს ძირებს,  
ზამთარიც რომ იყოს,  
გეტყვის - „გაკეკლუცებ“,  
გამოგატანს მზითვად  
ფერადთვლიან მძივებს,  
სულ რომ დაგათოვოს,  
სხივებს აკრეფ უცებ.  
ამიტომაც არის,  
ყველა ფერი გხატავს,  
და გიხდება, თითქოს,  
თოვლისფერი ფატაც...  
მონატრებას გული  
ფეტქვით გამოხატავს,  
დარდს ხელიდან ვუშვებ  
და იმ თოვლში ვფანტავ...  
ისევ ვითვლი თვეებს,  
განშორების თვეებს,  
„წელს“ - არ ვამბობ, ასე  
თავს ვიტყუებ, ალბათ...  
დაათოვა ჩემს მთებს,  
მწვანე ნაძვებს, თელებს...  
საფიქრალი ჩემი  
იქ, იმ თოვლში დალბა....

## ჯადოსნური ნავი

ჯადოსნური ნავი ნაპირს კოცნის,  
ვიცი, ახლა მზის ჩასვლას რომ ელი,  
დღეს მოდიხარ? - დრო არ დარჩა მოცდის...  
ლურჯმა მთამაც მოილერა ყელი;

ხომ ხედავ, რომ არ მიშვებენ შენთან,  
ხომ ხედავ, რომ დავუძლურდი მალვით;  
მზე დაეშვა, მოლოდინი შეკრთა,  
თავს უშველე, გამოცურე ნავით...

ზღვას მიენდე, დაივიწყე წყენა,  
და ტყვეობას დააღწიე თავი,  
გევედრები დაიმგზავრე რწმენა,  
ჩქარა, თორემ ზღვამ წაილო ნავი...

დაგამძიმებს მთები, ქუჩა ფართო...  
მთელი გაგრა ალბათ, ჩემს ნავს დაშლის...  
მაშინ სუნთქვა გამოუშვი მარტო,  
სუნთქვა შენი, მჯერა, ჩემს ფრთებს გაშლის!



**პოლოს ეაინც მოვალ შენთან...**

დავბრუნდები ორ ოქტომბერს,  
იმ დღეს, როცა დაგვაშორეს...

დავბრუნდები, ნეტავ, როდის?  
თითქოს, ბედთან დავდე ზავი...  
როცა ოქტომბერი მოდის,  
გულში ჩნდება თითო ბზარი;

მაჩვევ დუმილს ლურჯი მთისგან,  
მშორდებიან შენი გზები  
და დაცლილი იმედისგან,  
ველი, როდის შევივსები...

ორ ოქტომბერს მინდა გნახო.  
ორ ოქტომბერს შეგხვდე მინდა,  
შენს თბილ ნაპირს ხელი ვახლო,  
მზე აფრქვევდეს ნათელს ციდან...

მაინც შენთან მოვალ ბოლოს,  
მაინც წავა ჩემი სევდა...  
მინდა, გულმა შვება ჰპოვოს,  
ისე ძერდეს, როგორც ძერდა!



## მზე სსიცეპისგან იგეღს წნავს...

მზე სხივებისგან იმედს წნავს, ამაყად მოდის მთებიდან...  
თენდება, თვალებს ახელენ და იღვიძებენ ქუჩები,  
შენ რომ დაბრუნდე, დამშვიდდე, განა ეს მხოლოდ მე მინდა?!  
მზეს დავუდგები მსახურად, ისევ გახდები თუ ჩემი...  
თუ ისევ მომფენ სიხარულს, შენთან დარჩენას მაღირსებ,  
დამატებობ შენი სურნელით და მარტოობას გამიქრობ,  
როგორც კი მოვალ, მაშინვე სულს სიხარულით აგივსებ,  
გეტყვი - ერთმანეთს ვჭირდებით, მარტოდ ყოფნაზე არც ვფიქრობ...  
მერე დავსხდებით, მოვყვებით, უერთმანეთოდ რაც გვჭირდა,  
ფერებდაკარგულ მზის სხივებს იმედი როგორ უჩნდებათ,  
ეჭვების გასაქარნყლებლად რამდენი ბრძოლა დაგვჭირდა...  
მერე კი გულში ჩაგიკრავ და ვივლით ასე ქუჩებად.

## ღამეს მოჰკითხეთ!

ღამე გზადაგზა შთანთქავს,  
პალმის ხეების ჩრდილებს,  
გემი ატეხილ ტალღებს  
აპობს და იმორჩილებს,  
ნაპირს ვერ ხედავს გემი,  
არ ჩანს შუქურა გაგრის,  
წყალში სიმძიმე მითრევს  
სულზე მობმული ბარგის...  
მიზეზი ჩემი სევდის  
და მონატრების რინის,  
ღამეს მოჰკითხეთ, ღამეს,  
მან ყველაფერი იცის...

## უსიცოცხლოდ გათენების არ მჯერა..

უსიცოცხლოდ გათენების არ მჯერა,  
თუმცა, შენთვის სიცოცხლესაც დავთმობდი,  
მზის მეწამულ ბოლიკებზე ამჯერად,  
შორი გზიდან მოდის ღამის მნათობი,  
მოდის, ციდან ჩამოშვებულ ფარდას ცვლის,  
ზღვის კალთებზე მისი შუქი კიაფობს,  
მაგნოლიას შვენის კაბა პატარძლის  
და გაგრაზე ლამაზ ზღაპარს მიამბობს...  
ო, ამდენ ხანს, ღმერთო, მტოვებ აქ რისთვის?!  
ცაო, ღამე დამიბრუნე ფერადი,  
ვეძებ სამოსს, მეფურს, ჩემი გაგრისთვის,  
სწორედ ისეთს, შენ რომ ხელით კერავდი...  
ვეძებ ღამეს ჩუმს, მშვიდსა და საამოს,  
როცა მუზა მაფხიზლებს და მაშრომებს,  
ჩემს სარკმელთან ახლაც მოდის საღამო,  
მაგრამ გაგრას ისევ წლები მაშორებს...  
უსიცოცხლოდ გათენების არ მჯერა,  
თუმცა, შენთვის სიცოცხლესაც დავთმობდი,  
ბინდისფერი ბილიკებით ამჯერად,  
დიდებულად მოდის ღამის მნათობი...



## ნუ განვითორებ

ვოცნებობ შენთან შეხვედრის წამზე,  
ნაპირებს ვნატრობ, შავ ზღვაში შესულს,  
სიზმრებში ჩემს სულს, მშობლიურ ცაზე,  
შევახებ თრთოლვით, ქალაქო, შენს სულს...  
არ გაგიკვირდეს, რომ ვნატრობ აფხაზს,  
ჩვენს ბავშვურ ყიუინს, შენებურ ივლისს,  
დავეძებ მერის, გუდისას, მალხაზს...  
მოკითხვას ვუთვლი მზეს, შენ რომ გივლის...  
ახლა, ფიქრებში მზის სხივზე ვწვები,  
გიგზავნი სითბოს, ეს დამრჩა მარტო,  
კვლავ უშედეგოდ წლებია, წლები  
დავეძებ პასუხს კითხვაზე - „რატომ?“  
მახსოვს, დაინტ ლრიალი მაშინ  
კოლონადის წინ მთვლემარე ლომბა,  
მოვიდა ღამე სამხედრო მარშით  
და გათენება იმსხვერპლა ომმა;  
მას შემდეგ ვიბრძვი, ზღუდეებს ვლახავ...  
ჩემს ერთ ოცნებას ზღვის ფერი დაჰკრავს  
და სანამ ცხადად ჩემს სახლ-კარს ვნახავ,  
ნუ განმაშორებ, სიზმარო, გაგრას!



## გზად ვარ დაგითმო სულის ნაწილი...

გინდა ცას შეწვდე, როგორც არწივი?  
გული სიცოცხლეს ჯერ კიდევ ითხოვს?  
მზად ვარ, დაგითმო სულის ნაწილი  
და მეტი წილი სულ შენი იყოს,  
ნუ გაიკვირვებ ამ ჩემს სიგიჟეს,  
ნურც იმას, პატივს ჯერ კიდევ რომ გცემ...  
თუკი მზესთანაც აღარ მიგიშვეს,  
მზე გულით დამაქვს, იმასაც მოგცემ...  
ისევ მესიზმრე, გაგრა, ახლახან...  
შენი ხმა მომწვდა, შენი ტუჩებიც...  
იყავ იმისიც, ვისიც ახლა ხარ...  
ოღონდ სულ ცოტა, სულ ცოტა - ჩემიც!

\*\*\*

ვერ ვიტან სხეულს, სულგამომძვრალი როცა სუქდება,  
როცა საშველად მრუშობისკენაც მიმიხარია...  
ვირგებ ამ ნიღბებს, მეტი რა გზაა, ყოფას უხდება,  
ხედავ, უშენოდ, სახე დავკარგე, დიდი ხანია...  
შორით რომ მოსჩანს, ჩუმად გადასვლას ვლამობ იმ ხაზზე...  
იქ ჩემი გზაა, ჩემი კერა მანათობელი,  
რა დროს განცდაა, ფიქრი სირცევილზე, ამდენ ნიღაბზე...  
ახლა ისა სჯობს, სწორად განვსაზღვრო მარგებს რომელი?  
ხო, სახეგამძვრალს, ძვლებში დამტვრეულს, ქარი მიმათრევს,  
აი, საცაა მივეხეთქები გაგრის ნავსადგურს...  
მგონი სიმძიმეს დამძიმებული ტანიც მიმატებს...  
სული რისია? - მაინც გიპოვის სადღაც დაკარგულს...

## უგანოდ

წყვდიადს ვებრძოდი, მომევლინე როცა მძინარეს,  
შიში უმზეოდ გაღვიძების მსურდა მომევლა,  
ვეღარ გიპოვე, შევუერთდი სევდის მდინარეს,  
შენზე ფიქრები დამძიმებულ სულზე მომევრა...  
ჰგავხარ თაიგულს ოცნებების, გრძნობას იისფერს,  
წვიმას, წამოსულს წარსულიდან, ტკბილი განცდებით,  
ნუთუ, იმედი გულისკართან ალარ მიიფრენს?!  
იქნებ, ეს არის დასასრული, იქნებ, არ ვცდებით?!  
მახსოვს, მიწოდე, სიყვარულით, „ჩემი მგოსანი“,  
აი, გიგზავნი ბოლო სტროფებს, მინდა იცნობდე,  
ვგრძნობ, რომ უშენოდ ვიკარგები ფუჭი დროსავით,  
როგორ მაკლიხარ, მენატრები, ნეტავ, იცოდე...  
მთვარე მამშვიდებს, ებაასე, ჯერ არ სძინავსო,  
შენთან ეშვება, საკოცნელად, ლამე ეული,  
თუკი დავჯერდი მარტობას, მაშინ, ძვირფასო!  
სულის სიმძიმეს ვერ აიტანს ჩემი სხეული...  
ნუთებს უტკბილესს მოვიგონებ, ისევ მივტირი,  
ახლა სიჩუმე შენს თვალებზე, ვიცი, ბინადრობს  
და თუ ოდესმე მომანატრე ჩუმი სიკვდილი,  
მაშინ მოვიდეს, უჩემობა როცა ინატრო!



## რა ვძნა, თუკი ჩემს გაგრაში მინდა?

უფერული, ამოცლილი „გულ-ღვიძლით“  
დგას ქალაქი, მიყრდნობილი ქედზე  
და საფლავი - ტყედქცეული, ურიცხვი  
ამბავს ჰყვება მოლალადე ქვებზე.  
არ იგრძნობა სითამამე სხივების,  
აქაური მზე ვერ აფრქვევს სითბოს,  
მაინც მჯერა უწმინდესის ხილვების  
და მდუმარედ ველოდები იმ დროს,  
მშვიდობის ზარს რომ შემოჰკრავს ბიჭვინთა,  
მზე რომ ჯვარზე დაბრძანდება მოქვის  
და სინდისი, გზას რომ გზებად მიჭრიდა,  
დამაბრუნებს და სიმშვიდეს მომგვრის.  
უფერულ გზებს, უფერულ ცას მივანდობ  
ცისაარტყელას, რომ ვატარებ ხელით,  
ოცნებასთან ახლა თვითონ მივა დრო,  
დაბრუნებას ზღვა მაცნობებს ღელვით....  
ფირუზის ფერს სულ დავუთმობ ერთბაშად,  
ზღვას, მთებსა და მშვიდობიან ზეცას,  
რა არ მოხდა, თუმცა, მაინც ვერ დაშრა  
ის ოცნება, რომ მეფარა ზეწრად...  
ფერებს ვარჩევ, ყველას - მისი არჩივი,  
ოცნებებში ვინ დაღლილა ფრენით?!  
აგერ არ მაქვს ცისაარტყელა? - არ ვჩივი  
თუ დამაკლდა რომელიმე ფერი...  
მთავარია, რომ ვსაზრდოობ იმედით,  
შვებას ის მგვრის, რაც აქამდე მგვრიდა,  
რა ვქნა, თუკი დილას ვიწყებ იმ ერთით,  
რა ვქნა, თუკი ჩემს გაგრაში მინდა?

ვშლი ფოტოაღბომს, მოგონებები  
სურათებიდან მოდის რიგებად...  
ჩვენს შეცვედრამდე, დღეებს - დარჩენილს  
დროს ვპარავ, ჩუმად, მოურიდებლად,  
მინდა, რომ მალე გემით დავტრუნდე,  
მზეს - ზღვაში ჩასულს დაცხვდე ნაპირთან;  
თუ გავაღიმებ ქალაქს - მშობლიურს,  
ყველა სხივს მჩუქნის - ასე დამპირდა...  
ჩემს სახლთან შევხვდეთ, ჩემო მერცხლებო,  
დაბრუნდით მალე, ისევ შინ მოდით,  
ვერავინ შეძლებს ჩემს შეჩერებას,  
ვკირ გამოემივინებს - გაგრა, მშვიდობით!

ଭାଷାଭିଜନ...

როგორ მსურდა, რომ ყოველდღე მეთქვა შენთვის - ჩემი ხარ...  
და, როგორც ქარს, შენს ქუჩებში მოუსვენრად მეფორინა,  
ნატვრის ხეზე ციცქანა ტოტი მერამდენედ შეირხა,  
რად არ სჩანხარ? - მერამდენედ შემომჩივლა დელფინმა...  
ახლა მზე თუ გეფერება და თუ სითბოს შეიგრძნობ,  
იცოდე, რომ ის სხივი ვარ, მთებს რომ გადმოეფინა,  
თუ მეტყვი, რომ შენც გჭირდები, ჩემს გულისთქმას შეიცნობ,  
იქნებ ეს ზღვა გადავცუროთ მე და ჩემმა დელფინმა...

\*ინსპირაცია: „მეტიჩარა“, იხილეთ გვ.420

## გაგრა მიდუღებს ძარღვებში სითხეს!

შენი გულიდან ამოშლა, გაგრა,  
ბრძოლით დაღლილმა რამდენჯერ ვცადე,  
ვერ გაგიმეტე დასავინყებლად,  
გულისთქმა ლოცვას გზავნიდა ცამდე,  
ფესვზე ამოსვლას იმედის ნერგის  
ველოდი, როგორც წიფელი ხმელი,  
სულ უფრო მეტად დავშორიშორდით,  
სიყვარულს მაინც ვერ ვახლე ხელი...  
მინდოდა, მაგრამ ველარ გავბედე,  
რომ შევხებოდი ძველ ფოტოალბომს,  
გული ჩემს დუმილს ვერ შეურიგდა,  
გული ჩემს სათქმელს ლექსებით ამბობს...  
ამბობს და იცის, რომ ვცოცხლობ გაგრით  
და როცა სევდის მიზეზი ჰკითხეს,  
უთხრა, რომ გაგრა მასევდიანებს,  
გაგრა მიდუღებს ძარღვებში სითხეს!

## ფიროსმანი და გაგრა

კოხტა კაცი, ფუნჯით ხელში შეუნიშნავთ ნავსადგურთან,  
წვიმას მოყვა უცხო კაცი და ზღვის პირას დასადგურდა,  
ლურჯ მთებს, ლურჯ ზღვას გასძახოდა: „სამოთხე ხართ, აუ, რა ხართ!“  
გუშინ, თურმე, გაგრის ქედთან ფიროსმანი დაუნახავთ...  
და უკითხავთ ბავშვებს მისთვის: „ლამაზ მხარეს დაგვიხატავ?“  
მოგწონს ჩვენი მთა და მდელო, სადაც მზეც კი დაგვაქვს ხატად,  
აღიარა ფიროსმანმა: „რაღა აღარ დამიხატავს,  
მაგრამ ვფიცავ, ჩემს ტილოებს, გაგრის მსგავსი არ მინახავს...“

\*ნიკო ფიროსმანი (1962 – 1918 წწ.) - ზღვის პეიზაჟი; იხილეთ გვ.421

\*\*\*

დილას სწადია, ჩუმად განმკურნოს  
და სულნასული მიხსნას ძილისგან,  
ფანჯრის რაფაზე სევდა კაკუნობს  
წვეთს ემატება წვეთი წვიმისა...

წვიმას მინაზე თითით ვეხები,  
ზოგჯერ ისე ჩანს, თითქოს, ცრემლია,  
სუსტი ფოთლები სველი ვერხვების  
აქ ჩემს სარკმელთან იხოცებიან...

რას დახატავდა ახლა ვინსენტი<sup>1</sup>...  
როგორ სველდება ვარდის კოკორი,  
ისევ მოვიდა წვიმა ისეთი,  
ჩემს აფხაზეთში იცის როგორიც...



---

1 ვინსენტ ვილემ ვან გოგი - პოლანდიელი ფერმწერი და გრაფიკოსი. მისი ერთ - ერთი უკანასკნელი ნამუშევარია „ვარდისფერი ვარდები“. სიცოცხლის ბოლო ორი თვე - 1890 წლის მისი და ივლისი ვან გოგმა პარიზთან ახლოს, ოვერ სიურ უაზში გაატარა, სადაც მან ყვავილების შესახებ რამდენიმე ნახატი დაწერა. ამ სერიის საუკეთესო ნაშრომად ითვლება „ვარდისფერი ვარდები“. ეს ნახატი მხატვრის ბოლო წლებისთვის ტიპიურია. დამატებით იხილეთ გვ.421

## ნეტავ...

მინდოდა, შენთვის კრძალვით მეკითხა -  
ამ მოგონებებს რა ტევს წამებში?  
შენ ჩემში ჩემზე ბევრად მეტი ხარ...  
სისხლის მაგივრად მოჩქეფ ძარღვებში...

ხარ ჩემი აწმყო, ჩემი წარსული,  
სინათლით სავსე თბილი ბინა ხარ,  
რამდენი დროა უკვე გასული,  
მე კი შენს სხივებს გულში ვინახავ...

დამიკავშირებ, ნეტავ მომავალს?  
მაჩვენებ ღიმილს, ფერად აპრილებს?  
დახვდები შვებით შენკენ მომავალ  
თეთრ გემს, მაშინ რომ გასცდა ნაპირებს?

მინდოდა, შენთვის ჩუმად მეკითხა,  
როგორ დავცილდით იმ ერთ ლამეში?!  
ნეტავ, იმ აპრილს,  
ნეტავ, იმ აპრილს,  
ნეტავ, იმ აპრილს  
ალარ გამეშვი...



## შენი აპრილის არგაშლილი დამაკვეთი

თუ მხოლოდ წამით შემომხედავ, დამაკვირდები...  
ამ თბილ მზერაში სიყვარულს და ტკივილს დალანდავ,  
შენი აპრილის არგაშლილი დამაქვეს კვირტები  
და მონატრებულ გაზაფხულზე ტირის ბალადა...

ფრთები დავღალე შენს ძებნაში, დავიზიანე,  
ზოგჯერ ჩურჩულით მიყვებიან მთები შენს ამბავს,  
ყვავილთა თოვას თუ უშენოდ გავიზიარებ,  
მაშ, რა აზრი აქვს გაზაფხულმა ფრთები შემაბას?!

ეჰ, ნეტავ, გზები, ზღვის ნაპირი შემომატარა,  
მაღალი ზეცა დამანახა, მთიანი მხარის,  
ეს გაზაფხულიც მოითმინე, ჩემო პატარავ!  
და არასოდეს მათქმევინო: „გვიანი არის!“



## სიგიზვა ჩემი...

ნაბახუსევი ოთახში ვზივარ  
და ახლა მათრობს სურნელი შენი,  
ფანჯრიდან მოჩანს ნაცნობი პალმა,-  
პატარა ეზოს უზომოდ მშვენი...  
ჩემი ოთახის სარკმლიდან ხედი  
მოგონებების სამყაროს იტევს,  
აქ ვიყუჟები, აქ ვეძებ შვებას,  
როდესაც მუზა მიტევს და მიტევს...  
და აი, ჩემთან შემოაქვს ჩუმად,  
ფინჯანი ყავა მშვენიერ ლედის,  
ის ჩემი მზეა, შველაა ჩემი,  
საჩუქარია ეს ქალი ბედის...  
იცის, რომ ახლა მუზა მყავს სტუმრად,  
მოაქვს რითმები - აღმძვრელი მადის,  
ჯადოსნურ კოცნას მიგზავნის ქალი  
და ოთახიდან უსიტყვოდ გადის...  
ახლოს, სარკმელთან მოცუცქდა მუზა,  
სტრიქონებს ვაცხობთ მღელვარედ, ერთხმად;  
რაც მთავარია, აქ არის გაგრაც  
და ვექაჩებით სიგარეტს ერთად...  
არ მინდა სევდა, არ მინდა ფიქრი...  
ამ მოლოდინის ვატირე დედა...  
მე ამ ოთახში მეფე ვარ, მეფე!  
და ასე ჩემთვის სიგიფეს ვბედავ...  
მადროვეთ, ხალხო, სიგიფე ჩემი,  
იქნებ, იმედი დღეს მაინც მეცხოს,  
თქვენ რას დაეძებთ?! რაფაზე ფანჯრის  
ასე, უბრალოდ, ფეხებიც მეწყოს...

## შენი გული, შენი ფარი მე ვიყო...

თუ მთებიდან სუსხი შემოგეპარა,  
თუ აცივდა, უცაბედად დაზამთრდა...  
და თუ ციდან ჩამოთოვა გიჟურად  
შენი ქოლგა მინდა ვიყო, თავსაფრად;

მენატრება თოლიების სიცელქე,  
ლურჯი ზღვა და იქვე, მწვანე ველები,  
გაზაფხულს თუ შენთან უხმობ, მაშინვე,  
მერცხალივით შენს ცას შემოვევლები...

როგორ მინდა, ძველი ქუჩა ვიპოვო,  
ჩემს სახლამდე იმედის გზა დავაგო,  
თუ ზეცაში ნავარდობა ისურვე,  
შენი ფრთები მინდა ვიყო, ქალაქო!

როგორ მინდა, ჩემი გემი დაიძრას,  
ეჭვი ტვირთად არ ეკიდოს ღუზაზე,  
თუ ლამეში მოგენატრა სინათლე,  
შენი მთვარე მინდა ვიყო, გულსავსე;

ყველა ტალღას მინდა, შენთან მოვყავდე,  
სხვა დინებას მინდა, გამოვერიყო...  
და თუ ტყვიამ შენთან მოსვლა გაბედა,  
შენი გული, შენი ფარი - მე ვიყო!

## გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე !

როგორ მომენატრეთ -  
შენ და გაზაფხული,  
მერცხლებს დაბრუნება  
ისევ ვერ ვაცალე...  
ბედთან შეგუება  
გახდა უფრო რთული,  
ჩემო მშვენიერო!  
შენ ერთს გენაცვალე...  
მე შენ სულ მიყვარხარ -  
თბილიც, ავდრიანიც  
ჩემზე გაბუტული,  
ზოგჯერ ენამწარე...  
შენში ასე მხიბლავს  
დილა ადრიანი,  
ჩემო მშვენიერო!  
შენ ერთს გენაცვალე...  
შენთან ჩახუტების  
სურვილს რა მომიკლავს?!  
ისევ ვემონები,  
რა ვქნა, ველარც ვავნე...  
გულის გაგიჟება  
შენთან ჩამომიყვანს,  
ჩემო მშვენიერო!  
შენ ერთს გენაცვალე...  
გრძნობა ათასგვარი,  
ჩემში გაჩენილი  
მე შენს სიყვარულში  
ვერა, ვერ გავცვალე.  
ვდგავარ აქვე ახლოს,  
თოვლში გაჭედილი,  
გზები გამიკვალე,  
შენ ერთს გენაცვალე!

\*\*\*

մոպարեար, ցոլքո օժրեծո:  
Արեմլագ, ցրճնօծեծագ, նութեծագ...  
Իշմո նացըրուս եց ցամլուլա  
ունեծասեմյուլ դութեծագ...

մուշիրո, լուղեծից մուղելաց  
Իշմո ունեծուս ցեմովոտ,  
ցամշանեծուս տետրո առութեծո,  
ցելմուղերեծյուլ ցեֆովոտ...

մոցոնեծեծու օլուրեծա:  
Ցոյրագ, նուտեծագ, նամեծագ...  
Շմենոգ, շագեանետոնց  
գլուխու օյցա նամեծագ...

նոյ ցոյրոծ ցագամազոնցպուցու,  
Շեն եռմ ցոլուստոյմա մոմանցու...  
Ոմանց մեցագ մոպարեար,  
Ցուցրո մոպարուս ոմամցու...



\*\*\*

ზოგჯერ იას ვემსგავსები  
ფოთლების ქვეშ მიმალულს...  
გაზაფხულზე შენზე ფიქრი  
მომრჩა სიყვარულიდან;

ნულარ მეძებ, მე წავედი  
და გიტოვებ სინანულს,  
თუნდაც წყაროდ ამოხეთქოს  
ერთმა სიტყვამ გულიდან!

მეგონა, რომ ზღვას მოჰქონდა  
შენთან ჩემი სათქმელი,  
მეგონა, რომ თოლიები  
გეტყოდნენ, რომ მჭირდები,

როგორ მწამდა, გიპოვიდა  
სადმე ჩემი სანთელი,  
როგორ შევცდი, როგორ შევცდი,-  
რაც დრო გადის – მცილდები...

ახლა ისევ იას ვგავარ  
ფიფქების ქვეშ მიმალულს,  
მხოლოდ ცრემლი, მხოლოდ სევდა  
დამრჩა სიყვარულიდან...

## თუ გამომრთავთ....

ფიქრი მახრიობს, ისევ ეჭვებს უჯერებს,  
შეუტია წამმა იმედს ნაპარავს....  
ის, რაც ჟანგბადს აწვდის ტვინის უჯრედებს,  
ხელოვნური სუნთქვის მოჰგავს აპარატს;  
მე გაგრასთან ჩახუტება მომინდა,  
ჩემი დილა გაგრის მზის სხივს მივანდე,  
იქნებ მაინც გამოვიდე „კომიდან“,  
ნუ გამომრთავთ, ნუ გამომრთავთ, დილამდე...

## დროის მეგუთნე...

ძალაც, სისუსტეც შენგან მეძლევა,  
გზად შენკენ ეჭვი ასჯერ შემომხვდა,  
გადარჩენილი, ვინძლო, ბეწვზე ვარ,  
მე რომ მესროლეს - ის ხომ შენ მოგხვდა...  
წარსულს ბავშვობა, წლები მივყიდე,  
ვმლერი სიმლერას დროის მეგუთნის,  
ახლა შენ მინდა მხოლოდ მივლიდე,  
შენგან შენდობა ხურდად მეკუთვნის.



## ფრთხილი გაშალე...

იმედი მინდა - გულს რომ ახელებს,  
წაიღეთ სევდა - მეზედმეტება...  
ცისკენ იმედით თუ ვწევ ამ ხელებს,  
მაშინ ვგრძნობ გაგრას, - ფრთებზედ მედება...  
ფრთებს ზოგჯერ ვაჭრო უცხო ნაწილებს,  
ეს სევდის მსგავსი წანაზარდია,  
დრო მონატრებას ტკივილს აცილებს  
და სიხარულის წამად ანთია,  
ფრთები გაშალე, რომ მეც გავშალო,  
ზღვით შემოსილ და თან მთიანო,  
შენ შეგიძლია სევდა დაშალო,  
შენ შეგიძლია დამაფრთიანო...



## ნიავს არ მოგაკარებ...

ფიქრს ფიქრებზე ვაპამ ისევ, მომე შენი ნაკრები...  
ჯერ სადა ხარ - შეხვედრამდე, ას გმირობას ჩავიდენ!  
აქ დაბუდდი, აქ, ჩემს გულში, როცა მომენატრები...  
გამოგაჩენ, დაგხედავ და ისევ გულში ჩაგიდებ.  
როცა გითმობ ადგილს ჩემში, გულიც მერე მშვიდდება...  
ნამო, ნამო... მთელ ქვეყანას ასე შემოგატარებ...  
როცა შენი გამოჩენა აღარ შემეშინდება,  
კვლავ დაგისვამ ხელის გულზე, ნიავს არ მოგაკარებ...

\*\*\*

ნავედი და თან გამომყვა ნიავქარი,  
შიშმა ლოდინს ვერ გაუძლო, გადაგვარდა,  
ჩემი ნავი და ზედ თეთრი იალქანი,  
ჰეგავდა იმედს და იმ ლამეს ჯვარსაც ჰეგავდა...  
მივცურავდი მშობლიური გაგრისაკენ,  
თან მიმქონდა მზე სიცოცხლის და ვარდები...  
მწვანე ქედის დანახვაზე გავიზარდე  
და შემომხვდნენ მთები, როგორც თავადები...  
ეჭვი - მხრებზე გამოზრდილი, მოვიკეცე,  
ჩემი კოხტა ოდაბადე, მიველ, ვნახე...  
სახლის კარებს რომ შევეხე, მოვიკეცე  
და მეცხრე ცას სიხარულით მივეახლე...  
აი, რატომ მომყვებოდა ნიავქარი,  
უსაფუძვლოდ შიში რატომ გადაგვარდა,  
ჩემი ნავი და ზედ თეთრი იალქანი,  
მომიტევეთ, თუ იმ ლამეს ჯვარსაც ჰეგავდა.

## იცოდე, რომ მე შორს არსად წავსულვარ...

მე ის ხე ვარ, ვერაფრით რომ გადარგეს,  
მე უშენოდ არაფერი გამომდის,  
ძველებურად მაიმედებს, მახარებს  
ნორჩი ნერგი, ფესვებთან რომ ამოდის...  
სანთელი ვარ – ილორში რომ „ყიდიან“,  
მშვიდობისთვის მინდა ვენთო – ვიწვოდე,  
მე მარტს ვგავარ და მარტივით, ქალაქო!  
დროსთან ერთად მოგიტაცებ, იცოდე...  
იცოდე, რომ მე შორს არსად წავსულვარ,  
დავბრუნდები იმ თბილ სიოდ, იმ დილად...  
მე ცოტა ვარ – მტერს ერთ ლუკმად ვეყოფი,  
მაგრამ ყელზე დავადგები სიკვდილად!

## იმაღის ნერგი

ერთი პატარა ნაკვეთი მაქვს, ნაკვეთი მიწის...  
ეს არც ბალია, არც ვენახი, განა მინაა?!  
როცა სიჩუმეს გავურბივარ, უშენოდ მიმძიმს, -  
ფიქრი ლურჯ მთებთან მიმაქანებს, სადაც რინაა;  
ფიქრი ჩერდება, მეც ვჩერდები, მიღენენ საზღვარს,  
ისევ მოვცურდი, ჩემს ჯინაზე, გზა ჰერავს მოქონილს...  
მე ეს სიშორე მეზიზდება, გავცქერი შავ ზღვას,  
გულის კუნჭულში მივაშურებ ეზოს - მოგონილს;  
იქ, იმ „ეზოში“, მეჩვენება, ნუგეში დაპქრის,  
მზეო, წერტილი მონატრებას, სევდას დაუსვი,  
მე სიცოცხლე ვარ, დაკარგული, ლანდი ვარ გაგრის,  
წყალი დაუსხით იმედის ნერგს, წყალი დაუსხით...

## მე შვილებს ვზრდი გაგრელებად!

მე ვარ სიო - შენს პალმებს რომ ეფერება,  
მე ვარ სახლი - შენს ქუჩას რომ სითბოს უყოფს,  
მე ვარ ზეცა - შენს დილას რომ ეგებება, -  
შენს ძახილზე სხივებმოსილ მზეს რომ უხმობს...  
მე ვარ ტალღა - ზღვის კალთებს რომ აბობოქრებს,  
მე ვარ გემი - შენს ნაპირს რომ შვებით უცქერს,  
მე ვარ ქარი - შენს ეჭვებს რომ უცებ მოჰკურეფს,  
საგულე ვარ, სადაც იმედს გული უძგერს...  
მე ვარ მიწა - გახლეჩილი ნაწილებად,  
მე ვარ ეზო და ნლებია სხვისი მქვია,  
მე შვილებს ვზრდი გაგრელებად, არწივებად,  
დავბრუნდები, არ იქნება თუკი გვიან...  
მე ვარ ქვიშა - შენს ნაპირზე მოფენილი,  
მე ვარ ლამე, მოალერსე, შენი ლამე,  
მე გზები ვარ - შენს საშველად მოვლენილი...  
დამაბრუნე და თავიდან შემიყვარე...



## გიცდე...

ზღვით წამოსვლა გადავწყვიტე  
და სინათლის დავდგი სვეტი,  
როცა გემი ავაშენე,  
დაილია ზღვაში წვეთი...

როცა ვთქვი, რომ გზას გავყვები,  
და იმედით ავივსები,  
ღამემ მაშინ დამაბრკოლა,  
ტყემ დაფარა ყველგან გზები...

ახლა ფრთებიც გამოვისხი;  
ჩანს ხედები უნაზესი,  
ქარმა შენთან არ მომიშვა,  
შემიცვალოს უნდა გეზი...

ჩემი სახლი - აფხაზეთი...  
მე ღვთისმშობელს შევავედრე,  
მუხლმოდრეკით რომ დამჭირდეს,  
მაინც მოვალ შენთან, მენდე!



## მოვდივარ, ოლოცდ, მშვიდობა იქნეს...

ზღვიდან-მთებისკენ, მთებიდან ზღვისკენ,  
ფიქრსაყოლილი ჩემი ხმა მირბის,  
შენ ისევ მნატრობ, ხელს იშვერ მზისკენ,  
მე ვწვდები სხივებს და გინწავ გვირგვინს...  
ქარი სამეფო მანტიით გმოსავს,  
მარაოს ნაცვლად პალმის რტოს იქნევს,  
ჩემს ხმას ვაყოლებ ქარს, როგორც მგოსანს,  
მოვდივარ, ოლონდ მშვიდობა იქნეს!  
ჩემია ეს გზა, ბალები, ბალჩა...  
არ მიკვირს, მთებო, ამ ცას რომ აქებთ...  
თუკი შენამდე ნაბიჯი დამრჩა,  
ნუ დაიზარებ, გადმოდგი აქეთ...

## სადაც გენ წახვალ, მოგყვები...

ჩემი ხარ - ვამბობ ჯიუტად და რომ მეკუთვნი მარტო მე...  
კმარა, უშენოდ ამ გულმა რამდენი უნდა იწვალოს?!  
მე დავბრუნდები, ნაპირზე ისეთ ნაკვალევს დავტოვებ,  
ზღვა რომ ათასჯერ შეეხოს - სახე არასდროს იცვალოს...  
რაწამს ფეხს დავდგამ მიწაზე, ჯაჭვს ჩამოვიხსნი მხრებიდან,  
სადაც შენ წახვალ, მოგყვები და შენს ნაწილად მიწამ მყოს,  
პირველი სხივი ვიქნები, გადმომავალი მთებიდან,  
რომ შენთვის ჩემი სიცოცხლე მზემ სამუდამოდ იწამოს!

## სანამ ეს მზეც შეულებავთ „მღებავებს“...

ისევ მძიმედ სუნთქავს, ისევ მღელვარებს...  
ზღვაში თავის დახრჩობაც კი უცდია,  
თოვს, ზამთარი მიწად გზავნის „მღებავებს“,  
დროს გაგრისთვის ძალა გამოუცლია...

ჩუმად ათოვს მიტოვებულ საფლავებს,  
ეჰ, მაღირსა დაბრუნება, ნეტავი,  
კვლავ სიჩუმე ერწყმის თოვლის საფარველს,  
ამ სიჩუმეს ვინ დაარღვევს, ნეტავ, ვინ?

უკვე არ ჩანს თეთრ მთებს ზეცა სად ხვდება...  
ომის კვალი ქრება თეთრი საბნის ქვეშ,  
თოვს და გულში ზამთრის სუსხი სახლდება,  
გაგრის „თავად“ ისევ სევდა დანიშნეს...

ისევ მძიმედ სუნთქავს, ისევ მღელვარებს...  
და გულს თურმე გადანერგვა სჭირდება...  
სანამ ეს მზეც შეულებავთ „მღებავებს“,  
ჩემს გულს გატანთ - სულის დასამშვიდებლად...



## სად იყიდება პედიორება?

ქრება ტკივილი, ალბათ, მიაქვს დროს...  
ვიღაც დაწერილ ბედში ერევა,  
მზეს მინდა ვკითხო, იქნებ, მიაგნოს -  
სად იყიდება ბედნიერება?

სად კვეთენ გზები ლურჯ მთებს და ქედებს,  
მშობლიურ სახლში ვინ ათევს ღამეს?  
რად არ ინდობენ მინაზე ედემს  
და ნაცნობ კედლებს ვინ უჩენს ღარებს?

ვიღაც ნაპირზე სურვილს ისევ კლავს,  
ჩვენი შეხვედრის ბედში ერევა,  
თქვით, იმედს ზეცა როგორ ირეკლავს,  
ან ვის მიყიდეს ბედნიერება?



## თუ არ გელიმილება

ჩემს ეზოში ზეიმია  
შემოდგომის სურნელთა...  
მთელი ქუჩის პატარები  
აქ დავრბოდით, სულ ერთად;

ფოთლებს შორის იჭყიტება  
რიწისფერი ადესა...  
ლურჯი ზეცა ჩემს ეზო-კარს  
არ აკარებს ავდრებსა...

მე იმ ბავშვის ღიმილი ვარ,  
ეს სახლი რომ წაართვეს,  
დაკარგული ღიმილი ვარ,  
ცაზე მზეს რომ წარადგენს,

ნუ უჯერებ ქარებს, თუკი,  
მოაქვთ თავი გმირებად,  
დამიძახე, გაგრა, მოვალ,  
თუ არ გელიმილება...



## ეს მსოფლიოც ნაიღათ და დაშალათ...

ო, ამ გიუურ მონატრებას თან ვყვები,  
დრომ ჭრილობას არ უშველა და არც ჩვენ...  
ზღვაო, ნუღარ მემუქრები ტალღებით,  
ჩემი ეჭვი წაიღე და დაახრჩვე!

დარდი მეფობს, ისევ დავალ წუხილით,  
მე ამ დარდის მსახური ვარ და შენ - ტყვე,  
ცაო, ნუღარ მემუქრები ქუხილით,  
ჩემი ეჭვი წაიღე და დასეტყვე!

განშორების მაფრთხობს წელი ათობით,  
ისევ როგორ მოგიპოვო, გამანდე,  
ქარო, ნუღარ მემუქრები ავდრობით,  
ჩემი ეჭვი წაიღე და გაფანტე...

ოცნებებო, თვალებს როდის გაახელთ?  
გამოფხიზლდით, ფრთები მარდად გაშალეთ,  
თუ ჩემს გაგრას არასოდეს მანახებთ,  
ეს მსოფლიოც წაიღეთ და დაშალეთ!



## ქარს არ ესმის უკვე ჩემი...

მთები, ზვრები, ეს „საზღვრები“, ქარო, იქნებ, გადმოლახო...  
ჩემი ეზოს მომიტანო საოცარი სურნელება,  
გაგრა, ახლა ნუ გამწირავ, იქნებ, სხვა გზა გამონახო,  
ქარს არ ესმის უკვე ჩემი, რაც დრო გადის, სულ ნელდება...  
არც გემი ჩანს, თეთრი გემი, ნუთუ, ზღვაში ჩაიძირა?!  
ისევ შორით მოჩანს ნატგრა, მთებთან შერწყმულ ნაპირებად,  
ხმა არ მესმის თოლიასი, გულს ვამშვიდებ - ჩაიძინა...  
ნუთუ, ჩემი „დავბრუნდები!“ - გადაიქცა დაპირებად...  
ვერ ვიჯერებ, რომ ზღვამ გემი ჩასაძირად გაიმეტა,  
ზოგჯერ, ისევ ყრუდ ჩამესმის, რა გაეჭვებს, რა გაშინებს?  
კიდევ დარჩა ის ერთი გზა, ახლა ამ გზის ვარ იმედად,  
ეს ის გზაა, ჩემო გაგრა, ჩვენს გულებს რომ აკავშირებს...

## დრო-ჟამის ვგავარ მევალეს...

ბოლო ლექსს ვარქმევ ყველა ლექსს,  
თუმცა, შეწყვეტას ვინ მკითხავს?!  
დრო-ჟამის ვგავარ მევალეს,  
ეშმაკი მორალს მიკითხავს...  
მხრებზე ცოდვანი წვებიან,  
ვიღაც დაათრევს ამ ცელებს,  
გაგრის ქუჩებში, წლებია,  
ეშმაკი სიკვდილს ავრცელებს...  
აქ ნათელს წყვდიადს უშვერენ,  
ცად ვგზავნი ჩემს ხმას ვედრებად,  
უფალო, გაგრას უშველე,  
ისევ აქციე ედემად...

## 30 30 30 30 30 30 ...

სალამოა... მშვიდი, სავსე სინათლით,  
ზეცა აფრქვევს ფერებს, თვალით უნახავს,  
შენს ქუჩებში დავალ, ჩემი სიმართლით,  
მზეს ზღვის პირი უკვე გადაულახავს,

ჩემი ეზო მომატარა მნათობმა,  
ბავშვობაში ჩავიღვარე სხივებად,  
ო, ამ მთების როგორ მიჭირს დათმობა...  
და ქედების, შენ რომ გეკვრის ღილებად,

მზე ეშვება, იკარგება სინათლე  
და სახლები ჰგვანან ციცინათელებს,  
ეჸ, რად უნდა ვინმეს ჩემი სიმართლე?!  
გაბზარულ გულს დრო, წლებია, ამთელებს...

მზეს მივყვები და სიმშვიდეს ვიუფლებ,  
ჩემს ოცნებებს მაინც ვეღარ ვეშვები,  
ჰორიზონტთან ფიქრებს ვათავისუფლებ  
და დილამდე ზღვაში ჩუმად ვეშვები...

ვერ ვიჯერებ, ნუთუ, გამოგიგლოვე?!  
ნუთუ, ჩემი არ ყოფილხარ წამითაც,  
ვერ ვიჯერებ, ნუთუ, გამოგიგონე?!  
ნუთუ, გემი სამუდამოდ წავიდა...

## 100 ნლის შემდეგ...

განვეშორები შენს ლამაზ სხეულს, 100 ნლის შემდეგ,  
ქარი შენდამი საოცარ ლტოლვას დაშლის გრძნობებად,  
100 ნლის შემდეგ, ჩემს სახლთან მისულს, ვინ მეტყვის-შესდექ?!  
100 ნლის შემდეგ, გთხოვ, მაპატიო დამშვიდობება...  
დაბადებიდან მერით ვსულდგმულობ, შენ ხომ გამზარდე,  
ეჰ, სინანული, უკვე წლებია, ხმაში გროვდება,  
მე ახლა მინდა შენი ალერსი მთებიდან-ზღვამდე,  
100 ნლის შემდეგ? კარს მოგვადგება დამშვიდობება...

\*\*\*

ნუთუ შიში გაქვს რამის?!  
შემეხე, მზეო, მაგრად...  
ეჭვი გავქარწყლე ლამის,  
ლამის ვიქეცი გაგრად...  
მაფრთხობს სიჩუმე ლამის,  
დრო მოსვენებას კარგავს,  
ლამის გავფრინდე, ლამის...  
ლამის შევეხო გაგრას...  
ამ გაზაფხულზე მოდი,  
სანამ აყვავდა ნუში,  
სანამ: „არ გირჩევ ლოდინს“...  
დრომ ჩამჩურჩულა ყურში;  
სანამ მზე გვირგვინს ურთავს,  
ლურჯ მთას სხივებით ლალის  
და სანამ „ანას თუთას“!  
შინ შეუხედავს, ლამის...

---

1 ინსპირაცია - ანა კალანდაძის „თუთა“.

## ყვავილდაცლილი ნუში

ყვავილდაცლილი, მორცხვად დგას ნუში,  
გული ჩემს სათქმელს უსიტყვოდ ამბობს,  
როგორც არასდროს გინატრე გუშინ,  
დღეს მონატრება გუშინდელს სჭარბობს...  
შენს მაისს ვნატრობ, ისევ არნახულს,  
რა დამრჩენია, არ ვიცი, აქ რა?!  
შენ ხომ დამპირდი, რომ ამ გაზაფხულს,  
რომ ამ გაზაფხულს მნახავდი, გაგრა...  
მზე დამიბრუნო იქნებ, გაისად,  
შენ, მზის სხივების თავად სადარო,  
გთხოვ, ჩამახუტო შენს თბილ მაისთან,  
რომ ეს ლოდინი დავასამარო...

## შემიზარე, შეიტო ცის ქვეშ შემიზარე!

თავს დამატყდა ფიქრის წვიმა, არ მინდობს...  
მოგონების სახლში წუთით შევიარე,  
დილას სთხოვე მზის სხივები ამინთოს,  
გევედრები, შენი ცის ქვეშ შემიფარე...  
ტალღას სთხოვე, ამომაგდოს ფსკერიდან,  
შენს თბილ ნაპირს ჩამახუტოს, მონატრებულს,  
სიცოცხლისთვის ახლა შენი მზე მინდა,  
რომ სიცივეს სძლიოს, ასე მომატებულს...  
მოღალატე მხოლოდ მაშინ მიწოდე,  
დარჩენილ წლებს თუ უშენოდ გავატარებ,  
გევედრები, ხელი გამომიწოდე,  
ხომ ხედავ, რომ ამ გულს ხელით დავატარებ...

გაგრა, გესმიიის? დამიბრუნდი, შემიბრალე, -  
შემიფარე, შენი ცის ქვეშ შემიფარე!

## ჩვენი შვილები და პრუდენციან...

რა ძალა აქვს გათენებას, უსულგულოდ, უმზეოდ?!  
დავფართვატებ ღრუბლებს მიღმა, დაკარგული სულივით...  
უგზო-უკვლოდ მიმაქანებს ქარი - ანცი, უზნეო  
და ქარს გაჰყვა დაპირება, რომ ჩვენ ერთად სულ ვივლით...

ნეტავ, რამდენს გაძლებს გული, ნეტავ, რამდენს იცოცხლებს?  
შენ გვინია, რომ ამ ქვეყნად მეც ასი წლით მოვედი?!  
მონატრების ხუთი წელი შეემატა იმ ოც წელს...  
რა უდროოდ მივჩუმათდი, რა უდროოდ მოვბერდი...

თუ ცოდვასაც არ მპატიობ, თუ ჩემს სახლში არ მიშვებ...  
თუ, შენ გამო, არ გადარდებს, კაცს მოვკლავ თუ ვიმრუშებ...  
თუ ბოლო წამს, შენთან მოსულს, ხელებს მაინც გამიშვებ,  
გამოკეტილ კართან მაშინ, მთელ არმიას მივუშვებ...

## გამიყვანე სამშვიდობოს...

რა წამს სუნთქვა შენზე ფიქრმა დაამძიმოს, გაახშიროს  
და სხივები იმედის მზემ სხვას დაუთმოს, გააშვილოს...  
რა წამს გულმა, უპირობოდ, დაბრუნება სახლში მთხოვოს...  
იმ წამს საზღვარს გადმოვლახავ, - გამიყვანე სამშვიდობოს!



## მოდის, ჩცდება ღვთისმობელი

სანამ კიდევ ვდგავარ ფეხზე, სანამ გაგრა მაცოცხლებს,  
არ იქნება - აფხაზეთი რომ ბოლომდე დაეცეს!  
ღვთისმშობელი სტუმრობს ყველას, ვინც იქ დარჩა, მარტო ძლებს,  
ყველას სახლში, ყველას კართან, ქართველს სანთლით დაეძებს...  
ხან სარკმელზე დაუნახავთ, ხან დანგრეულ კედლებთან...  
ტაძრებიდან ხმა რომ მოდის, ქალის ქვითინს მოჰვავსო...  
ღვთისმშობელი, მზესთან ერთად, ჩნდება მთებთან, ქედებთან...  
თურმე, ყველას სახლში შედის და იმედი მოაქვსო.  
მოდის, ჩნდება სანატრელი და გულს რწმენით აღავსებს,  
სიჩუმეს და ფიქრს რომ ერთვის, ახლა ერის ცრემლია,  
მაშინ მთელი აფხაზეთი გაუციათ ათასებს,  
დღეს, სოხუმი, გალი, გაგრა... რწმენის ეპიცენტრია!

## დაანეგათ თავი ამ ჩემს სატკივარს...

მოვიარე გზები სულის სარჩენად...  
მზესაც შევწვდი ყინწვისზე და ბაგრატზე,  
აქ, ამ მზესთან მეძნელება დარჩენა,  
ისევ ვდარდობ ჩემს სახლსა და გაგრაზე...  
დრო ვერ გახდა ტკივილების მკურნალი,  
ფიქრებს მმატებს ფიქრით სავსე ლანგარზე,  
დავრჩი ისევ უნუგეშიდ მწყურვალი  
და ყელს მიშრობს მოგონება გაგრაზე...  
ვერ გავიგე, დროს იმედი სად მიჰყავს?  
მე ხომ ეჭვის ყველა კარი დავრაზე,  
დაანებეთ თავი ამ ჩემს სატკივარს,  
ხელს ნუ ახლებთ ჩემს ოცნებებს გაგრაზე...

## აფხაზეთის თვალ-მარგალიტს...

ჩაგხუტებოდი მინდოდა - შემრცხვა,  
შეუპოვრობის ხარ მაგალითი,  
შავი ზღვის მთებთან უბადლო შერწყმა  
და აფხაზეთის თვალ-მარგალიტი...

დაბრუნდი-მეთქი, მინდოდა მეთქვა,  
რაც იყო, იყო, ნუ ვიკამათებთ!  
ნატვრამ გულიდან თუ ამოხეთქა,  
ისევ თეთრ გემთან მოვიკალათებ...

მინდოდა მეთქვა, კვლავ ჩემი რომ ხარ,  
გთხოვ, ვაპატიოთ ერთურთს წარსული,  
თუ გული მკითხავს, ვეტყვი, რომ მოხვალ,  
უბრალოდ, ახლა შორს ხარ წასული...

გული ბობოქრობს, ხან ისევ რჩება,  
იქნებ, ოცნებებს მოსვლა ენებათ?  
ფოტოალბომი და ფიქრი მრჩება  
გულის დროებით მოსაკეთებლად.



## დროის საცერი

შეჰპარვია თოვლის ფერი  
ფერებს შემოდგომის  
და სიყვარულს, ჩვენს სიყვარულს  
ვცრი საცერში დროის...

დროს გაუძლო სიმარტოვებ  
შეგუებას - ვერა...  
და გულს, ასე რომ უყვარდი,  
დარდისაგან ვბერავ...

მიყვარს შენი მწვანე ქედი,  
მისი თოვლში მორთვაც,  
დგას ლოდინი ნავსადგურთან  
და ბავშვივით მოთქვამს...

ისევ თოვა... ჯერ ვერ გიკრეფ  
ზამთრის გამო იებს,  
ოღონდ დამხვდი, გული ლოდინს  
მაღე გამოილევს...

შეჰპარვია თოვლის ფერი  
ფერებს შემოდგომის  
და სიყვარულს, ჩვენს სიყვარულს  
ვცრი საცერში დროის...

## შევვით ამ ქარებს, გულიდან მოდიან...

ფესვების გარეშე  
გავხდები ვერაფერს,  
სულის ხმა მოგესმათ,  
ჩემი ხმა როდია...  
შეეშვით ამ ქარებს,  
რომც გლეჯდნენ ყველაფერს,  
შეეშვით ამ ქარებს,  
გულიდან მოდიან...  
სიყვარულს ფესვები  
უფრო ღრმად გაუდგამს,  
რამდენჯერ მიგრძვნია,  
თითქოს, ხელს ვკიდებდე,  
შეეშვით ამ ქარებს,  
ეჭვიც კი განუდგა,  
ჩემია ფესვიდან -  
სამყაროს კიდემდე....  
ჩემია ის მთები,  
ჩემია ის სახლი...  
არდაბრუნება კი  
ტვირთი და ლოდია,  
გაგრაში გამიშვით,  
წლებია ვიძახი,  
შეეშვით ამ ქარებს,  
გულიდან მოდიან...

## მოლოდინი...

ვის ხელში დარჩი, ასე უსახოდ?  
შენს გაჩუმებას ჰქონდა რა ფასი?!  
გინატრე ისე, როგორც მწეველმა,  
აკრძალვის შემდეგ, ერთი ნაფასი...

უცებ მომინდა, ისე მეკოცნა,  
კლდეს რომ კოცნიან ლურჯი ტალღები,  
მოახლოება ვეღარ გავბედე,  
თან, შემეშინდა სევდის თანხლების...

ახლა შენს კოცნას ვიჭერ ჰაერში,  
როგორც თოლია პურის ნამცეცებს,  
მზე - ნახევრამდე ზღვაში ჩასული,  
სხვა მოლოდინით თვალებს აცეცებს,

მზეს რა ადარდებს, ხვალაც შეგხვდება,  
მე სანუგეშოდ ვისღა მივმართო?!  
ჩემს მაგნოლიას ვეძებ ფიქრებით,  
თეთრმა ყვავილმა ისევ მიმათრო.

ისევ სიჩუმე, ისევ გავლენა  
გულისამრევი ჩემი ეჭვების  
და მოლოდინი, როცა ფილტვებში,  
როგორც უანგბადი, შემომეჭრები!

## მე ასეთი დაპრუცების მნამს

უნავოდ თუ გადალახავ  
გაშმაგებულ ზღვას,  
თუკი ტალღებს გააპობ და  
სხვას არ მოსთხოვ ხსნას,  
თუკი ფრენას მაინც შეძლებ  
მოტეხილი ფრთით,  
თუკი რთულ გზებს გამოივლი  
და გადმოხვალ მთით...  
თუკი ეჭვით შებოჭილი  
მაინც გასტეხ ნავსს,  
თუკი იმას მოერევი,  
რაც სხვას წამში კლავს...  
სახეშეცვლილ ძველ ტაძართან  
თუ ჩამოჰკრავ ზარს,  
თუ შიშსა და შეგუებას  
არ დაუდებ ზავს...  
თუკი შეძლებ, პატიებას,  
თუ არ ესვრი ქვას,  
თუკი შეძლებ უპატრონო  
იმ საოცარ ქნარს...  
ახლაც თუ გსურს შეეხიდო  
ცეცხლმოდებულ გულს,  
თუკი იმას ეტირება,  
შენს ფიქრებშიც ქუხს...  
მაშინ კაცი შენ ყოფილხარ,  
პირფერობა მძაგს;  
მე ასეთი გზების მჯერა,  
დაბრუნების მწამს!

\*\*\*

თავბრუ მესხმის... დარდს ვაბოლებ, დავბარბაცემ „მოწეული“...  
და ასკდება ვენებს სისხლი, როგორც ხეებს - ბრონეული...  
ნეტავ, ჟამი დაიხევდეს, თუნდაც, ორი ოცეულით...  
რომ არ ვიყო, შენს სადარად, დარდიანი, მეც - ეული...

რომ არ იყოს თეთრი გემი, შორს წასული, უკარება...  
ოღონდ შენთან ჩამახუტა, მერე ვიქცე, თუნდ, ქარებად...  
არ იფიქრო, რომ უშენოდ გულს დარდები უქარვდება,  
რომც გავიქცე, შენი ლანდი გამუდმებით უკან დგება...

### ისევ ძველი ფიქრები და ისევ ძველი ჩრდილები...

ახალ თბილისს წარმომიდგენს მზე დახატულ ქუჩებად,  
მზის ბილიკებს მივუყვები, თითქოს, ვემორჩილები,  
მაგრამ ისევ დამყვებიან და რჩებიან ურჩებად,  
ჩემი ძველი ფიქრები და ძველი გაგრის ჩრდილები...

ამ სიძველის სუნი მხიბლავს და მაბრუნებს წარსულში,  
ცა თბილ სხივებს ფრთხილად უწვენს დედაქალაქს უბეში,  
მზე თვალს მიკრავს, მეც ამაყად ვესალმები, წარბს ვუშლი,  
დავსეირნობთ მე და გაგრა ძველ-თბილისის უბნებში.



## თუ არავინ გპატრონებს

თუ არც კუთხე დაგვითმეს,  
არც - მტკაველი მიწის,  
დრო თუ უკვე არ ითმენს  
და უცეცხლოდ იწვის,

თუ არავინ გპატრონბს,  
არც ზღვას უვდის, არც - მთებს,  
თუკი ეჭვი ბატონობს,  
სევდის კოცონს ანთებს...

წამო, ერთად ვითვრინოთ,  
დედამიწას გავცდეთ,  
ცაზე გამოვაფინოთ,  
მზე - იმედის მაცნე...

გულში გული ჩამიდე,  
სიყვარულით სავსე...  
გაგრა, წამო, წავიდეთ,  
წამომყევი მარსზე...



\*\*\*

ვიზიდავ სიჩუმეს,  
გავდივარ ასტრალში...  
ჩემი რომ ვუწოდე,  
ერთია ათასში...  
სიმშვიდე - ლვთიური,  
განწყობა - მაგარი,  
წითელი პლანეტა,  
პლანეტა - „გაგარი“<sup>1</sup> ...  
შესასვლელს ამშვენებს  
ვება ჭიშკარი,  
კარისკაცს რომ მოჰვავს,  
სწორედ რომ ის არის,  
ამ ზოლში შეღწევას  
სჭირდება ნებართვა  
და ყოველ შესვლაზე  
ლელვაა ვნებათა...  
მიდი და გაბედე  
ომების შეტანა,  
ამიტომ ზავიც კი  
არასდროს შემდგარა...  
ვინმემ რომ გაბედოს,  
დარდების შეგზავნა,  
მოიმკის პასუხად -  
შედეგებს შემზარავს.  
აქ მხოლოდ ფეთქვაა  
ნათელი ფიქრების,  
ზეცასთან გრძნობების  
მუდმივად მიგების...

---

1 „გაგარი“ - გაგრის ძვ. სახელწოდება, ძვ. ქართულად გაგარი ნიშნავს ხეობაში ვიწრო გასასვლელს.

ვუყურებ ჰორიზონტს,  
ვასწორებ თარაზოს,  
თუ ვინმე თამაშობს,  
თავის თავს თამაშობს...  
აქ მხოლოდ დადიან  
გულები სპეტაკი,  
გამიშვით სცენაზე,  
დაიწყო სპექტაკლი;  
სიმშვიდე - ღვთიური,  
განწყობა - მაგარი,  
წითელი პლანეტა,  
პლანეტა - „გაგარი“...



## გაგრა - უშენოდ...

რა დრო გასულა,  
რა დრო გასულა...  
ძლივს აღვიდგინე გზები,  
გზები, რომლებიც  
შენთან მოდიან,  
ლურჯი მთებით და ზვრებით...  
როგორ დამაკლდი,  
როგორ დამაკლდი...  
შენი ცის ფერით, რიწით,  
რინა აგუბებს  
ფიქრებს ცრემლებად  
და მდუმარებით ვიწვით...  
თითქოს ჩამესმის,  
თითქოს ჩამესმის...  
ხმა - შორს წასული გემის,  
გემის, რომელიც  
განცდას მიტოვებს  
მოუთმენელი გვემის...  
ეს მერამდენედ,  
ეს მერამდენედ  
იის სურნელი ვიგრძენ,  
თუმცა, ჭალარას  
და უშენობას...  
კვლავ უსაშველოდ ვიძენ..

## როგორ გიპოვო თბილისში?

ხან „რუსთაველზე“ დაგეძებ,  
სულ გამოჩნდები მგონია...  
ახლა რაც დარდი დამყვება,  
ძველ დარდთან მონაგონია...

ამ „რუსთაველზე“ არ ჩანხარ,  
თანხვედრა აღარც მთებშია  
და ქუჩებს შორის მსგავსება,  
აქ მხოლოდ სახელებშია...

აქ, ამ ზღვის პირას რა გინდა?!  
შენ სხვა ნაპირზე ბინადრობ...  
წამი არ გავა შენი მთა,  
შენი ზღვა რომ არ ვინატრო,

დღესაც ვეძებდი „გაზაფხულს“,  
მითხრეს, რომ გუშინ მოვიდა,  
აქ, გულში შენ სულ ჩემთან ხარ,  
მაგრამ შენს გულში მომინდა...



## შემო სული... სულთამოვანობა

ქარის დუდუნს ხმას უწყობენ ვერხვები,  
წვიმს, ტუჩებზე წვიმის გემო ვიგრძენი,  
ფიზიკურად თუკი ვეღარ მეხები,  
კარს გავალებ, სულში შემომიძვერი...  
იქაც თუ წვიმს, სხვა სურნელი იქნება,  
ზღვას და ლამეს თბილი წვიმა აკვდება,  
მნახე, თორემ ეს სანთელიც მიქრება,  
მნახე, თორემ გზებიც გამომაკლდება...  
შენს ცას სევდა არ უხდება საშინლად,  
ახლა ისევ ძველ ფოტოებს ავტვირთავ,  
შემო სულში, ჩემი სულის საშველად,  
ეს იქნება საშველიც და განტვირთვაც...

## ნვიმს ისე, როგორც არასდროს...

წვიმს ისე, როგორც არასდროს,  
თითქოს, ბუნებაც გაბრაზდა,  
ღრუბელი ღრუბელს ეხეთქა  
და ცას გაეკრა გაგრასთან...  
დრომ ექიმობა ვერ შეძლო,  
ალარც ლოდინი დაფასდა,  
ღმერთო, თქვი, - რისი მჯეროდეს  
მიმართებაში გაგრასთან?  
შენ გაიგივებ, ტკივილო!  
იესოს ჯვარზე გაკვრასთან,  
გული დრომ ამომაგლიჯა  
და გდია სადლაც გაგრასთან...

## როგორ ვნატრობ...

როცა ვნატრობ სიყვარულის ბილიკებით სიარულს,  
დავალ ისევ ბედნიერი შენს პატარა ქუჩებში,  
აქ ყველა გზა, სანუგეშოდ დაატარებს სიყვარულს  
და ძველ წლებზე მოგონება ნავსაყუდლობს სულ ჩემში...

როცა ვნატრობ სურნელებას საოცარი ყვავილის,  
ვინაბები დიდებული მაგნოლიის მკლავებში,  
მერე, როგორც ბავშვობისას, ურუანტელი დამივლის...  
სითბოს ვეძებ ზღვაზე გაშლილ მზის სხივების კარვებში...

როცა ვნატრობ მშობლიური სახლის მყუდრო ოთახებს,  
მოგონებებს მივაშურებ, წამით რომ არ მცილდება...  
გულით ვიჭერ ყველა ტყვიას და ზავს ვაწერ ომთან ხელს,  
გზა შენამდე მოსასვლელი მაინც აღარ მცირდება...

როცა გნატრობ, როცა ვტირი, როცა ლექსად ვიღვრები...  
როგორ გავძლო, შენი ზეცა, შენი მთები არ ვაქო?!  
ეჭვთან ბრძოლით დაქანცული, კვლავ ფიქრებით ვიღლები,  
მე რომ გნატრობ, შენ თუ მნატრობ, ჩემო სევდის ქალაქ?

როცა ვნატრობ სიყვარულის ბილიკებით სიარულს,  
დავალ ისევ ბედნიერი შენს პატარა ქუჩებში,  
აქ ყველა გზა სანუგეშოდ დაატარებს სიყვარულს,  
შენ იცოცხლებ, შენ იცოცხლებ, შენ იცოცხლებ სულ ჩემში!

## ერთი სიტყვა...

გაზაფხულზე ფრთამოტეხილ მერცხალს ვგავარ,  
ვერ იქნა, რომ ვერ დაბრუნდა თბილ ქვეყნებში,  
მისხალ-მისხალ ეშმაკს მიაქვს ჩემი ნატვრა,  
ლამის, სულმთლად ჩაუძახოს შიგ ქვესკნელში...  
გზააბნეულ, უიალქნო გემსაც ვგავარ,  
ვერ იქნა, რომ ვერ დაბრუნდა ნავსადგურში,  
ერთმა სიტყვამ, ზოგჯერ თავსაც რომ მავიწყებს,  
ისევ მწარედ გაიელვა, სადღაც გულში...  
სისხლგამოცლილ, დალურჯებულ ვენებს ვგავარ,  
ტკივილი, რომ რაღაც შხამით ამარაგებს,  
თუ ჩემს მნათობს ჩამოჰლიჯეს ყველა სხივი,  
რით ვუშველო შენს ლურჯ დილას, აბა, რა რგებს?!  
გულგამოცლილ ხმელ წიფელსაც ვგავარ ზოგჯერ,  
თუმც, არ მაფრთხობს მობჯენილი ყელთან ცული,  
მე ხომ ფესვზე ამოსული ყლორტით ვცოცხლობ,  
მე ხომ გაგრის კარიბჭე ვარ მკერდდაცული!

## თუკი ნასვლა გაღირსა...

საზღვრებს ვარდვევ და სარგებელს ვეძებ ზურგის ქარისგან,  
სამკვდროდ მაინც არ გავწირე არც აფხაზი, არც ოსი,  
ნუ მომაწერთ, თითქოს, ვქმნიდე ტრაგედიას გაგრისგან,  
ტრაგედიამ თავად შექმნა ჩემი ლექსის პათოსი...  
ახლა მესმის გულისცემა დიდებული თბილისის,  
სამების ხმა, მტკვრის დუდუნი და სიმღერა ვერხვისა,  
გული მაინც ითხოვს ნახვას გაგრის - ჩემი თილისმის  
და ნუ მკითხავთ ნასვლის მიზეზს, თუკი ნასვლა მეღირსა...

## სამადლოპელი...

ჩაუდგა ხეებს სიცოცხლის წყალი,  
ზეცას დაატყო ხელი ბუნებამ,  
ზამთარი ითვლის ნასესხებ დღეებს  
და ისევ მტანჯავს არდაბრუნება,  
მაინც ვუმადლი ღმერთს სიცოცხლისთვის,  
რომ მარტის მოსვლა არ დაგვიანდა,  
ვუმადლი ზეცას ამ ქვეყნად მოსვლას  
და დაბადებას ადამიანად...  
ყველა გამოცდას სიცოცხლის გზებზე  
ჩემგან ერგება აპლოდისმენტი,  
სად არ ვიარე, რა არ გადამხდა,  
მაგრამ რა მეთქმის მადლობის მეტი?!  
მადლობა ამ გზებს, არასწორს ზოგჯერ,  
გამოწვევებთან შეხვედრისათვის,  
ვუმადლი განცდილს დაკარგვის შიშით,  
მადლობა წარსულს ამ ხვედრისათვის,  
დღესაც ჩემს იმედს ვუმადლი დედას,  
მე მის კალთაში მშვიდად მეძინა,  
მადლობა გაგრას, რომ შვილად მთვლიდა,  
რომ ჩემს ბავშვობას სიტკბო შესძინა.  
მომეცით გაგრა, დამითმეთ გაგრა,  
იმ მთებთან ერთად, ანდა მზიანად,  
მადლობას გეტყვით, ქედებო ჩემო,  
თუ დამაბრუნებთ ადამიანად.

## მინის ყივილი მომიყვანეს შენთან

შენი დუმილი ჰგავს დროსთან ჭიდილს,  
ან უკურნებელ ათასგვარ სენთან,  
მაინც გიპოვი, თვალდახუჭულიც,  
ტკბილი სურნელი მომიყვანს შენთან...

ისევ დაგეძებ, ჩემს შეძახილზე  
ზეცა, ვინ იცის, რამდენჯერ შეკრთა,  
მაინც გიპოვი, რომც დამემალო,  
მთათა ძახილი მომიყვანს შენთან,

ამ დაშინებას, თქვი, რომ ვერ უძლებ,  
გაყინულ გულში რომ სისხლი შეთბა,  
მაინც გიპოვი, მზეს გეფიცები,  
მისი სხივები მომიყვანს შენთან...

რომც ამოძირკვონ ყველა საფლავი,  
ზეცამ სიკვდილთან ინებოს შერთვა,  
რომც გადაბუგონ ჩემი სახლ-კარი,  
ვერ გავტეხ იმ ფიცს, დადებულს შენთან!

გზა მაპოვნინე ჩემს თბილ კერამდე,  
ვლალადებ, ღმერთო, დიდება შენდა...  
მაინც გიპოვი, ჩემო ქალაქო!  
მიწის ყივილი მომიყვანს შენთან.

## თერილი ავსაზე

(14 აგვისტო)

ნუ გგონია, ნატვრა დამრჩა უფრთო,  
რომ ამ მხარეს შიშის გამო ვრჩები,  
ხო, „მტერი“ ხარ, მაგრამ ძმა ხარ უფრო,  
ხო შენია, მაგრამ უფრო ჩემი...

ნუ მაყვედრი იმ აგვისტოს თოთხმეტს,  
ჩემს მიწაზე როგორც მინდა - ვივლი,  
შენ ხომ იცი, ვერ დაგითმობ რომ მეტს,  
არ გამოსდო ჩემს საფიცარს კბილი!

არაქართულს ნუ დაარქემევ ტაძრებს,  
არ დაიდო უფრო მეტი ცოდვა,  
დღრო ყველა დარდს დასცემს, დაანაცრებს,  
მცირე ეჭვსაც გახდის უფრო ცოტას...

ის ეჭვია, შემაფერხა რამაც,  
მინდა, ლოცვით გამინათდეს რომ ცა,  
ერთმა ღმერთმა მოგვავლინა, თანაც,  
ჩვენ ორივეს ერთი მიწა მოგვცა...

ნუ გგონია, ნატვრა დამრჩა უფრთო,  
რომ ამ მხარეს შიშის გამო ვრჩები,  
ხო, „მტერი“ ხარ, მაგრამ ძმა ხარ უფრო,  
ხო შენია, მაგრამ უფრო ჩემი!

\*\*\*

ყიოდა სისხლი, „ჯერ არ დაღვრილი“<sup>1</sup>,  
ეხეთქებოდა ყრუდ ვენის კედლებს,  
ვიდექ კლდის პირას, ზღვას რომ უყურებს...  
და ძლივს ვაწვდენდი თვალს მწვანე ქედებს;

იქვე ყაყაჩო კლდეზე ეკიდა,  
თავის დახრჩობას ლამობდა წყალში,  
...და იყო ომი, გრგვინვა ისეთი,  
რასაც გულიდან ვერასდროს წავშლი.

ის ნაწილია ჩემი ბავშვობის,  
გულში რაც არის, არ ახლოთ ხელი,  
და იმ ბიჭუნას, ჩემი ზღაპრიდან,  
არ დაუვარდეს თმა ერთი ლერი...

ეს არც სისხლია - „ჯერ არ დაღვრილი“,  
დასაბრუნებლად - რა აღარ თქმულა,  
ახლა კლდის პირზე, მე და ყაყაჩოს  
პატიებაა, გვიშველის თუ რამ!



---

<sup>1</sup> ინსპირაცია - მურმან ლებანიძის ლექსი „უფლისციხესთან“.

## ...მე პათოვის უფრო მეტი მინდობა...

მე შენთვის უფრო მეტი მინდოდა,  
ვიდრე მზის სხივი, თავს რომ გევლება,  
ხო, მზეზე უფრო მეტიც მინდოდა,  
შენ ოღონდ გეთქვა, ოღონდ გენება...  
მე შენთვის უფრო მეტი მინდოდა,  
ვიდრე ლურჯი ცა, ვრცელი საჩინო,  
ხო, ცაზე უფრო მეტიც მინდოდა,  
სხვა, რაღაც მეტი, უფრო საჭირო...  
მე შენთვის უფრო მეტი მინდოდა,  
ვიდრე ეს მთები, გასაოცარი,  
ხო, მთებზე უფრო მეტიც მინდოდა,  
არც მხოლოდ ჯვარი, არცა - ლოცვანი...  
ხელი ჩამჭიდე, რომ არ დავეცე,  
შეპყრობილს ვგავარ, დღე რომ მცირდება...  
შენთვის მშვიდობას სანთლით დავეძებ,  
შენთვის ქართული სული მჭირდება.  
აი, ეს არის, თუ რამ მინდოდა...  
და ახლა მინდა, როგორც არასდროს...



## უპილო ღამე...

სიჩუმემ შთანთქა ღამე უძილო,  
შენთან შეხვედრა გადამივადდა,  
მთვარე მკლავებში ძლივსმოქცეული,  
ზღვაში უეცრად გადამივარდა,  
ფიქრი, ათასჯერ სახეშეცვლილი  
შემოძვრა გულში, მეახლა ნელა  
და ამ ღამეში არ ვიცი, როგორ,  
როგორ გავბედე მე აღმაფრენა...  
მეგონა - ღამით გნახავდი სადმე...  
შეგეხებოდი დაუბრკოლებლად,  
შენც გაბედავდი ჩემთან შეხვედრას  
და გამოპარვას აუთრთოლებლად...  
შენი არნახვა მთვარეს დაბრალდა,  
ბნელში ათასჯერ წავიბორძიკე,  
დილამდე ასე გეძებდი, გაგრა,  
იმედს სინათლე წამით მოვწყვიტე...  
თენდება, სულზედ მომეკრა სხივი  
და თბილი სიო მელამუნება,  
ვინ იცის, ნეტავ, ვინ იცის, ნეტავ,  
დღეს რას მიმზადებს დედა-ბუნება?



## იტყვიან - დამნაშავაა

ეს ძველი გაგრის სიოა, ზღვის ნაპირიდან რომ მოდის,  
ვიცი, ჭიდილი ეჭვებთან რომ არ იქნება ადვილი,  
მე დანაშაულს ჩავიდენ, მოვკლავ ულმერთო მოლოდინს  
და იყოს გაგრის ქუჩები, დანაშაულის ადგილი.  
რომ გამოვიხსნა შენი მზე, ჩამქრალი და ფერმიხდილი,  
გთხოვ, დამიბრუნო ლურჯი ცა, შენი მთა, შენი ტყე-ველი...  
ვერ შემაშინებს სასჯელი, თუნდ იყოს დასჯა სიკვდილით,  
ჩემზე იტყვიან - მოკლაო ლოდინი დამაქცეველი!

\*\*\*

თვალებს ვახელ, სანამ დილას შევიცნობდე,  
მზე ლიმილით ჩემს ოთახში შემოვიდა,  
რა იქნება, შენს თბილ სხეულს შევიგრძნობდე,  
თენდებოდეს სწორედ ისე, შენ რომ გინდა...  
მოდი, სანამ წლებმა თმები გამითეთრეს,  
მოდი, თორემ ფიქრებისგან გამომცლიან,  
რა იქნება, იქ, იმ სახლში გამითენდეს,  
სადაც მთები ზღვას ხვდებიან და კოცნიან...

## თუკი ისევ ჩემი გქვია...

რას გაუგებ ზოგის ლიმილს, ვინ რას ფიქრობს - ვინ იცის?!  
ზოგჯერ სიტყვაც გაყინულა, მეგობრისგან ვერთქმული,  
ჩემებურად, ნეტავ, ახლა შენზე ფიქრში ვინ იწვის?!  
ისევ შორს ხარ, ჩემო გაგრა, მაგრამ - ბევრზე ერთგული!  
თუკი ისევ ჩემი გქვია, განმეშორე დროებით,  
ისევ შემხვდი, სადმე შემხვდი, რომ შევიკრათ ერთ გულად...  
დღეებს ვითვლი, წუთებს ვითვლი, ზოგჯერ გამოტოვებით...  
ერთგულება თუ შემფიცე, შემეხიდე ერთგულად!

## თამო, გემუდარები...

მარტმა მაინც მისი ქნა,  
წამოყარა ფიფქები,  
გულმა შემოიზიდა  
ისევ შენზე ფიქრები...

მოდი, ერთად ვიცელქოთ,  
სადმე მთაში გავიქცეთ,  
ოღონდ თოვლში ვიცეკვოთ,  
რომ მძევლებად არ ვიქცეთ...

მოდი, რინაც ჩავაბათ,  
ამ უცნაურ ფერხულში,  
წამი მიღირს ჩალადლა,  
თუ გაქცევას ვერ ვუშლი..

ჰაერივით მაკლია  
მთების ზღვასთან ნაზავი,  
მარტი მაინც მარტია,  
მეც გიში ვარ მასავით...

ხოდა, მარტიც აგვივება...  
გაგრა, მესიზმარები,  
თოვლში ვდგავარ, აქვე ვარ,  
წამო, გემუდარები...



## გულის არითმია...

ეჰ, ნეტავი, სად ხარ, გაგრა, ნუთუ, უკვე დაგავიწყდი?!  
თოლიებსაც არ ვახსოვარ, მოკითხვასაც არ მითვლიან...  
იმედისთვის სამათხოვროდ ხელს, მერნმუნე, არ გავიწვდი,  
იმედი ხომ გულით დამაქვს და მაქვს გულის არითმია...  
ნუთუ, ზეცა კიდევ იტანს შენს სიჩუმეს, შენს სიბრმავეს?!  
არ არსებობს, შენზე აუგის ეს ქედებიც არ იტყვიან...  
შენზე მთები რასაც ბჭობენ, ვიმეორებ მეც იმავეს,  
ეს იმედი დამაქვს, დამაქვს... და მაქვს გულის არითმია...

## „სასუნთქი გზები“

რენტგენზე ვაშუქებ დაბერილ ფილტვებს,  
გახსოვს, გეძახდი სუნთქვას და მზესაც...  
ფიქრებმა სევდისგან სულ გამომფილტრეს,  
შენ დაგარქმევდი ჩემს სასუნთქ გზებსაც.  
ფილტვების სანაცვლოდ სურათზე მოჩანს  
ქალაქი ჩემი - იმედი ჩემი...  
მეშველა მგონია, ხველებაც მორჩა,  
სევდა მაფიქრებს - გადანარჩენი...  
არ მეპატიება, ჩავქინდრო თავი,  
შეხვედრის შენთან სურვილი მიტევს...  
უმთავრესს მახსენებს შემონათვალი,  
მე ვასუფთავებ შენს გზებს და ფილტვებს!

## მხოლოდ - ნახვამდისო

თითქოს, ვსახავ საგალ ბილიკს -  
გზებს აფხაზთან, ანდა ოსთან...  
გულს ბასი გაუმართავს,  
ღამით მფარველ ანგელოზთან;  
მეკითხება:  
- აქ, მიწაზე, იმ სამოთხის ნახვა ლირსო?  
- მეც წამიყვან?  
- უეჭველი...  
- და რა იცი?  
- ნახვამდისო...  
- მაშ, წავიდეთ, ამად ლირსო?  
- დიახ, მხოლოდ ნახვამდისო!

## დამიპრუდები, მაინც მგონია...

იქ, ეზოს ბოლოს, იმ მთის ფერდობზე.  
ახლა გაგრის მზე წამოგორდება...  
და ყველა ფიქრი, ყველა ერთ დროზე,  
ჩემი ბავშვობის სახლთან გროვდება...  
ველარ ვიგუე სხვაგან ლურჯი მთა,  
„თავისუფლება“ - განაწამები,  
გულსაც აღმოხდა, თუ რამ უჭირდა:  
მაფრთხობს ჭალარა, განა წამები...  
გემს მინდა შენკენ გეზი ვუჩვენო,  
„დრო მკურნალია“ - გამიგონია,  
ვერა, ვერ გაძლებ, ვიცი, უჩემოდ,  
დამიპრუნდები, მაინც მგონია...

\*\*\*

რაუამს იმედი ამომენუროს  
და ჩემს გაზაფხულს სიცივემ დაჰკრას,  
იცოდეთ, გულში მზე მისვენია,  
ამომაცალეთ, - მიეცით გაგრას!  
მადლობა ღმერთს, რომ შევიგრძნობ სხეულს,  
სულ ის სახლიდან ყოველ დღე გაჰყავს,  
ძალა მჭირდება, „ძალა ხნავს აღმართს...“  
აღმართის ბოლოს შევხვდები გაგრას!

## ბარბარობა

ლოცვა ზეცას უტოლდება, ისმის რეკა ზარების,  
ლვთის მსახური დამწვარ სანთლებს იღებს ჩუმად, მალ-მალე...  
რწმენით გამობარ ყველა ოჯახს შეეწიე, ქალწულო...  
და ამ ქვეყნად ყველა ბავშვი დაიფარე, ბარბარე...  
მეც გულისთქმა მომაქვს შენთან, დიდმოწამე წმინდანო,  
იმედს, სულ რომ თან დამყვება, სანუგეშოდ გაბარე,  
შეეწიე ჩემს პატარებს, სწორი გზებით ატარე,  
ჩემი გაგრა, ჩემი სახლი, დაიფარე, ბარბარე...  
თუკი შიში დამეუფლა და თუ ეჭვმა გამთელა,  
ჩემს თავს სხვებს ნუ დაანახებ, გევედრები - დამფარე,  
მერე გზები მაპოვნინე მისასვლელი გაგრამდე,  
უფალს მანდე, უფლისათვის წამებულო ბარბარე...

## ბათუმი - გაგრა

დღეს ბათუმია, დროებით, ჩემი ფიქრების განქარვა,  
მომნატრებია სახლ-კარი, ლურჯი მთები და ჩემი ცა,  
მზეო, ნუ ტირი, მცირე ხნით, დე, გამიტაცოს ამ ქარმა,  
ჩემს აფხაზეთში, რომელსაც შენიც ჰქვია და ჩემიცა...  
ასე მგონია დავფრინავ, გაგრის ცას, თითქოს, ხელს ვკიდებ,  
მზეო, გამიშვი ჩემს სახლში, როცა კი ქარი დაბერავს,  
იცოდე, სანამ ვსულდგმულობ, სანამ გული ძგერს ჯერ კიდევ,  
ეჭვი ვერასდროს გაბედავს ჩემი იმედის დარბევას!

## გაგრის მზე...

როცა ლამე ქსოვს ფიქრების ფარდას,  
მხოლოდ ცამ იცის მაშინ რა მომდის,  
როცა სიზმარი ყველა ეჭვს ფანტავს,  
გაგრა, შენი მზე მაშინ ამოდის...  
როდესაც ხმაურს სიჩუმე შთანთქავს,  
და არც იმედი ისე არ მოდის,  
როდესაც მთვარე ვარსკვლავებს თარგავს,  
გაგრა, შენი მზე მაშინ ამოდის...  
ვყვირი შენს სახელს, ჩემ გვერდით არ ხარ,  
რა ვქნა დუმილი თუ არ გამომდის?!  
ლამეა, საზღვრებს უსიტყვოდ ვლახავ,  
ჩემთვის შენი მზე ახლა ამოდის!

## მაპოვნივა პილიკები დაკარგული...

იმედის სხივს გულში ვიკრავ, მზეს ვედრები,  
გმადლობ, ღმერთო, რომ დღეს გული არ მატკინე...  
და ლაზარეს მსგავსად, ახლა გევედრები-  
ალადგინე, ჩემი გაგრაც ალადგინე!  
გევედრები, დააბრუნე გაზაფხული,  
რომ მერცხალი დაუპრუნდეს თავის ბუდეს,  
მაპოვნინე ბილიკები დაკარგული,  
რომ ქალაქი ჩემკენ პირით შემობრუნდეს...

## სეული ვარ, განა გულით?!

მზემ იწამა, თუკი დღემდე ვერ ხვდებოდა,  
გაგრა მტკივა, სნეული ვარ, განა გულით?!  
გუშინ სიზმრად, ფრთებშემოსილს მეხებოდა  
გაგრის დილა, შემოსილი გაზაფხულით...  
თეთრი გუნდი მეხებოდა თოლიების,  
ჩემს ძახილზე თავმოყრილი ნავსადგურთან...  
და მე ვგრძნობდი, ნაკბენივით მორიელის,  
რომ ქალაქი უსულეულოდ განადგურდა...  
ფიქრი მკლავდა, ასე როგორ გავიმეტო,  
თოლიები, შორიახლოს თავმოყრილი?!  
ზღვის ტალღებზე გემს ვეკვროდით საიმედოდ,  
მე და ნატვრა - სახლებიდან გამოყრილი...  
მზემ იწამა, თუკი დღემდე ვერ ხვდებოდა,  
გაგრა მტკივა, სნეული ვარ, განა გულით?!  
გუშინ სიზმრად, ფრთებშემოსილს მეხებოდა  
გაგრის დილა, შემოსილი გაზაფხულით...

## შველა უცდა დედამიწას...

კოლხი მქვია, აფხაზიც ვარ,  
საერთო გვაქვს მე და რინას,  
გაგრის გულში ახლაც ვზივარ,  
სულს ვუბერავ დედა-მიწას,  
მარტი უწევს ცას უბეში,  
გარინდულა ქუჩა, სახლი,  
ვერ მომყიდა დრომ ნუგეში...  
ცარიელი უჩანს დახლი...  
უნუგეშოდ ვდგავარ კართან,  
შიშს მოუხმო სერზე მარტმა,  
იმ ერთ საზღვარს, მე რომ მკლავდა,  
სხვა საზღვრებიც შეემატა...  
ლურჯ მთებს თუ არ დავიგულებ,  
მხოლოდ ნატვრა ვერ დამიცავს!  
სანამ სახლ-კარს დავიბრუნებ,  
შველა უნდა დედა-მიწას!

კოლხი მქვია, აფხაზიც ვარ,  
საერთო გვაქვს მე და რინას,  
გაგრის გულში ახლაც ვზივარ,  
სულს ვუბერავ დედა-მიწას...



\*\*\*

რაზე ხარჯავთ, მაცოდინა, ამ დროს...  
ლამის თავზე ჩამოგვემხო ზეცა,  
თუ გაგრიდან ქარს მოჰქონდა ხმები,  
ამ ბოლო დროს გავიგონე ვერც რა...

დააცადეთ ამ ქვეყანას სუნთქვა,  
ნუ წაართვით მზის სხივები ზეცას!  
თქვენგან ქმნილი გაზაფხულის რა ვთქვა?!  
დააცადეთ დაბრუნება მერცხალს...

ვერც შიმშილი გამოიხსნის მინას,  
ვიღაც ისევ ნაწილ-ნაწილ რომ შლის,  
ნუ ვიქნებით მოლოდინში იმის,  
რომ ყველა გზა მართლა მიდის რომში..

კვლავ მაფიქრებს უპატრონო გაგრა  
და ჩემს ასაკს ზოგჯერ წლებსაც ვუკლებ,  
სულიერი შიმშილობა ჩემი  
30 წელს უკაკუნებს უკვე...



## მოდის, მოდის ღვთისმამბალი... გარიამობა - 2021

შენ, ვინც ახლა ჩემს თბილ სახლში მაინც ეძებ მოსვენებას,  
იცოდე, რომ ხელს გაგინვდი, თუკი ამის მომცემ ნებას...  
ისე ამ ზღვას ვერ დაგითმობ, მიტოვება მიჭირს მთისა,  
ყური უგდე, ზარებს რეკენ სამრეკლოდან ბიჭვინთისა...

დღეს ის დღეა, როცა მტერსაც ხელს გაუწვდის საძმოდ, კაცი,  
თუმცა იცი, რომ ჩემს მიწას არ გავყიდი, არც რომ გავცვლი...  
როცა რწმენით „ამინ“-ს ვამბობ, მაშინ ოქროს არის წამი...  
ბიჭვინთისკენ გზას მიიკვლევს ღვთისმშობელი მარიამი...

მიდის, თითქოს, ფეხს არ ადგამს მწვანე ველებს აფხაზეთის,  
თავად ცა რომ ამეტყველდა, ეს მზის ხმაა, ან ხმა ღმერთის...  
აფხაზეთო, უნდა მითხრა, რომ მენდობი, რომ გჭირდები...  
მოდის, მოდის ღვთისმშობელი და თავს ხრიან ლურჯი მთები...

ათასობით დევნილის ხმა, თან მიჰყვება, როგორც ლოცვა,  
ყველა წმინდა სალოცავი მუხლმოდრეკით მოილოცა...  
ახლა შეძლებს ყველა დედა გმირთა შვებით დატირებას,  
ახლა არ აქვს შესატყვისი მშვიდობას და პატივებას.



## გიორგობა - 2021

ვხედავ, როგორ გასჩენია  
შიში დემონს ჩრჩილების,  
სადაც მზეა, ღმერთო, მომეც  
ძალა დამორჩილების...

გაჩერების, უსიტყვობის...  
ჟამი მორჩა მეფობის,  
სოხუმს მივალ, ძალა მინდა  
დაუმორჩილებლობის...

გაგრას მივალ, გესმით? - მორჩა  
ღელვა ანდა წიოკი...  
და მახვილით უღმრთო ეჭვებს  
გმირავს წმინდა გიორგი!



## დაზაფრული დედამიწა....

ზამთარი და გაზაფხული  
შემომსხდარან ტოტზე ნუშის,  
ჩემი მერცხლის დაბრუნებას,  
უსათუოდ რაღაც უშლის,  
ფიფქებს უხმოდ ვეკითხები -  
ახლა თოვა რამედ თუ ღირს?!  
და არ ძალმიძს შევეგუო  
აყვავებულ ხეთა დუმილს...  
თეთრ ყვავილებს ეპარება  
სიცივე და ჩუმი სევდა,  
იქვე შაშვი გარინდულა,  
გუშინ ხმას რომ გამოსცემდა,  
არც სიმღერა ენძელათა,  
არც სურნელი თეთრი ხნულის,  
ნუთუ სულაც არ დამდგარა  
მღელვარება გაზაფხულის?!  
შიში დაძრნის ნინ და უკან,  
ზამთარს, ყინვას დაემონა,  
არც ქუჩაში, არც ტაძარში,  
გულში უნდა რწმენას პოვნა...  
და თუ უწინ ვეღარ ვგრძნობდი,  
მეგონა, რომ თითქოს ინვა, -  
ახლა ბრუნავს, თუკი ბრუნავს  
დაზაფრული დედამიწა...  
ზამთარი და გაზაფხული  
შემომსხდარან ტოტზე ნუშის,  
ჩემი მერცხლის დაბრუნებას,  
უსათუოდ რაღაც უშლის  
და როგორც კი მოფრინდება,  
დაამშვენებს კოხტა ბუდეს,  
იმედს შევთხოვ, მზესთან ერთად,  
დედამიწას დაუბრუნდეს!

## გარდაუვალი დაპრუნება

ყველაფერი მაგრძნობინებს  
დაბრუნებას გარდაუვალს,  
შენს თეთრ სახლებს, ქუჩებს, ბაღებს...  
წყენა ალბათ გადაუვა...  
ისე ცხადად შეგიგრძენი,  
რომ არ მინდა შეგაშინო,  
ისევ ბრუნავს, ისევ ბრუნავს  
დედამინა შენ გარშემო.  
ხო, შენ მზე ხარ მიწიერი  
და შენს სხივებს ვიკრავ გულში...  
ო, რამდენჯერ გამოვცადე  
შენი ზეცა სიყვარულში,  
მონატრებულს, გულში დარდი  
ო, რამდენჯერ გამიცრია...  
თუნდაც დარჩეს ცა და მიწა,  
ვერაფერში გამიცვლიან.  
განა მხოლოდ მთებზე ვდარდობ,  
ან ქუჩებზე რომ მელიან,  
განა მხოლოდ ის მადარდებს,  
ჩემი სახლი რომელია?!  
ტაძრებს ვნანობ და საფლავებს,  
უპატრონოდ დატოვებულს  
და შენ გნატრობ, ჩემო გაგრა,  
თავად მზესთან გატოლებულს.  
ყველაფერი მაგრძნობინებს  
დაბრუნებას გარდაუვალს,  
შენს თეთრ სახლებს, ქუჩებს, ბაღებს...  
წყენა ალბათ გადაუვა...  
ისე ცხადად შეგიგრძენი,  
რომ არ მინდა შეგაშინო,  
ისევ ბრუნავს, ისევ ბრუნავს  
დედამინა შენ გარშემო.

## სახლის კართან - ღვთისმშობელი

ხო, მეგონა, ცას მოჰქონდა დასასრული,  
ეს სიჩუმე სულ არ ჰგავდა ღვთისმშობლობას...  
და ეჭვები საყდრის კართან დარაზმულნი,  
სულს მიღრღნიდნენ და მიქადდნენ მზის ობლობას...  
სავალ გზებზე შიში ოხრად სულ მოყრილი,  
აღარც წიგნის ყურისგდება, არცა - ბრძენის.  
ვეღარ ვნახე ორი კაციც, მუხლმოყრილი,  
არც სუფრები, არც გალობა, არც რამ რწმენის...  
არც კოცონი დამინახავს სადმე გუშინ  
და დაძრნოდა ეს ეშმაკიც გარე-გარე,  
მაგრამ ვგრძნობდი, ლოცულობდა ყველა გულში,  
ხოდა, ეჭვიც დავწვი, სულ არ გავიკარე.  
ღმერთს შევთხოვე შველა სულთა შესამოსად  
და შევჩივლე, რომ ულმერთოდ კრთის სოფელი  
და ეშმაკმა რომ გაბედა ჩემთან მოსვლა...  
სახლის კართან დახვდა დედა - ღვთისმშობელი.

## მეორედ მოსვლა

წადილს - დავბრუნდე ვერავინ მოშლის,  
ეჭვს - ცოდვადქცეულს ვინ მომაკარებს?!  
სანამ თავიდან დავინყებ ყოფას,  
მე მოვიხურავ იმ სახლის კარებს...  
თუნდაც მოვიდეს დრო ბოლო ჟამის,  
ცა შეუერთდეს ზღვასა და ხმელეთს,  
ერთხელაც გნახავ, ბოლოჯერ მაინც,  
„შემოღამება“ მეყოფა მერეც...  
მერე შენც გნახავ, ცხრათვალა მზეო,  
უბეს რომ მითბობ, თამაშით მივსებ...  
დაველოდები „მეორედ მოსვლას“  
და დაბადებას გაგრაში ისევ!

## განითლებული ქალაქები და აღდგომა

ლრუბლებიდან ცა მზის სხივებს ძლივს აჩენს,  
მერცხლებს გეზი არევიათ ჩვენამდე,  
თვლემს დროება და ბუნებას ძილს აჩვევს,  
ნამებს ვითვლით უფლის გამოჩენამდე,  
შიშით ვითვლით „განითლებულ“ ქალაქებს,  
რაღაც ძალა ერთმანეთთან არ გვიშვებს,  
იმედს ახლა მოლოდინი განაგებს  
და სიმცირეს მდუმარებით გვანიშნებს....  
მინდა, მზის სხივს ეჭვი გადავუმალო,  
მზე ცას გახსნის, მერე შიშიც დახრის თავს  
და ბრწყინვალე აღდგომის დღეს, უფალო,  
ვიცი, ჩუმად შემომიღებ სახლის კარს...

## ეუ ესვრი ჩემს თოლიას!

მოაგორებს დრო ფიქრების ურიკას  
და საშველად ჩემკენ გზები მოდიან...  
გთხოვ, ნუ ესვრი ჩემს თოლიას, ნუ მიკლავ,  
დედამიწა მხოლოდ შენი როდია?!  
გაზაფხულდა, თეთრ ყვავილებს რომ აფრქვევს,  
ჩემი ეზოს ნუშის თხელი ტოტია,  
ახლა ყველას პირზე „ბადე“ მოგვარგეს,  
დედამიწა მარტო ჩვენი როდია!

## ՀԱՅՈ ԱԼՖՐԵԴ ԹՈՒՄԱՆՅԱՆ

իսեզ գոմթկուցեծ - պատրո ჩէմիա?!  
Ցուլքո օմեդո ցամոնիկուտա...  
Շեն մոմոյանց կոնցրարց պահենքո,  
մյ արց պահենքու մոմոյանց ծովոնտա!

իսեզ գոմթկուցեծ - պատրո չէմիա?!  
Գրո հիմս օմեդու մռարցյենա,  
Շեն մոմոյանց կոնցրարց պահենքո,  
մյ արց պահենքու մոմոյանց ծովոնտա...

իսեզ գոմթկուցեծ - պատրո չէմիա!  
Տեղա սագոյիրալո արշ մայքս, արշ արոև!  
Շեն մոմոյանց կոնցրարց պահենքո,  
ար ձագազոնց պահենքու մոյքս բաժարո!

իսեզ գոմթկուցեծ - պատրո չէմիա!  
Ցուլքու սոմլուրանո սփառնոնքս մոնորո,  
Շեն մոմոյանց կոնցրարց պահենքո,  
մյ արց պահենքու մոմոյանց օլորո!

իսեզ գոմթկուցեծ - պատրո չէմիա!  
Շամո ալֆրեդու յարենքս ըշաւետա,  
Ար ձագազոնց պահենքու նոն րա մոյժձանու  
Քութուլաթուրաս յարտաւել մեցետա!

## უახლესი

გავასკაცდი, ლამის, ფიქრი ვამრავლე,  
ერთი წამიც არ გასულა უშენოდ,  
უმზეობა ღრუბლებს გადავაბრალე,  
იმედს ჩემით გადავწყვიტე - ვუშველო.  
სულ მოვდივარ ნაპირამდე, ყოველ დღე,  
ფიქრად, სიზმრად, სულ ვეხები შენს მიწას...  
გზად, ათასჯერ ეკალ - ბარდებს მივედე,  
დაბრუნება გულმა შენს მზეს შეჰვიცა.  
გამიმრავლდა ნაბიჯები შენამდე,  
გავიზარდე, დრომ ჭალარა შემმატა,  
შეპყრობილი ზეცის გამოშვებამდე,  
სული შენკენ მაინც გამოემართა...  
არ მოვეშვი იმ ნაპირზე სიარულს,  
ნისლში ახლაც იკვეთება ნიშნები...  
გაგრა, ვიცი, უერთგულებ სიყვარულს  
და ულრუბლო ცაზე დაინიშნები...  
ამიტომაც დაზავება ალარ მსურს!  
ამიტომაც ავიტანე „შიშები“,  
ვიცი, გულში, რომ ამ „ნარლვნის“ დასასრულს...  
ცისარტყელას მსგავსად გადაიშლები...



## გიჟი მიცოდე, ოღონდ მომიშვი...

ჩემი გულით ვგრძნობ შენს გულისცემას,  
შენი ცა მინდა - მწამს ვიდრე...  
ჩუმად მომყევი,  
გრძნობით მომყევი,  
მზესთან მომყევი, წავიდეთ!

შენს ამოსუნთქვას მოაქვს სიცოცხლე,  
დრო კი წამს მპარავს წამითვე,  
ფიქრი დამითმე,  
გზები დამითმე,  
შენი ლურჯი მთა დამითმე!

გიჟი მიწოდე, ოღონდ მომიშვი...  
სანამ გულს სენი შეყარეს,  
შავ ზღვას შევერწყა,  
ქვიშას შევერწყა,  
თუნდაც შევერწყა შენს ჰაერს!



## ახლა ნახეთ სევდის გამოქარვება

ცელქი სიო გადაიქცა ქარებად,  
ახლა ნახეთ სევდის გამოქარვება,  
გზა ვიპოვე, ქარო, ნულარ მაწვალებ,  
ძლივს გავშალე ფრთები, ცოტაც მაცალე...

მზეს უთხარით, რომ იმ საზღვრებს გამოცდეს,  
როგორ მიცნობს? - მე ხომ ცამდე ფიქრი ვარ,  
არ ვიცნობო, გაგრა, აღარ წამოგცდეს,  
მზის ბილიკებს მივუყვები, მივქრივარ...

სად აჯობებს, რომ მიპოვო, დაფიქრდი,  
ხსნა დროშია? - თუ ასეა, ვიქურდებ...  
სანამ ახლა მქვია სევდა და ფიქრი,  
ჩემი სახლის სხვენზე შემოვიბუდებ...



## 0.6. გამრის ზღვის „ბურკები“...

სულ ბოლოში, კიდემდე მიმიყვანა მამაჩემმა, გადაიხედე, რა ლამაზი თევზი მოცურავსო, ჰოპ... და ამოვყავი თავი ზღვაში, მაშინ ცურვა არ ვიცოდი და საშინელმა შიშმა შემიძყრო... მაშინ პირველად გავუნაწყენდი გაგრას, რომ, მართალია პატარა ტალღებთან, მაგრამ მაინც მარტო დამტოვა. ყლუუპ, ყლუუპ, გავიძახი, ვაფართხალებ ხელებს და არავინ მშველის... „იცურავე, იმოძრავე, იცურავეე“ - ყვირის მამაჩემი, სხვაგვარად ვერ ისწავლი, სხვაგვარად სულ დაგჩაგრავს ზღვა... ვიპრძოლე, ვისწავლე, გამოვცურე და მას შემდეგ სულ მოვცურავ,

ზოგჯერ - დინების მიმართულებით, ზოგჯერ - საპირისპიროდაც.

მამაჩემმა მასწავლა ბრძოლა და ცხოვრების გზებზე რთული, მტკიცენაბიჯების გადადგმა. (ახლა, უცებ გამახსენდა. წლების წინ ნამდვილ დათვს რომ შევხვდი და გულუბრყვილოდ დავიჯერე, რომ ეს უბრალოდ დიდი ძალი იყო. ალბათ, იმ დროსაც მამამ გამათა-მამა).

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. რა არ გამომივლია. ვიცი, მჯერა,



ჩემს მთავარ გზას გაგრამდე მივყავარ. ჩავალ და კიდევ გავაგრძელებ სვლას... უკვე მშობლიურ მხარეში და ნაცნობი ბილიკებით. მივალ ბიჭვინთის ტაძარში, მივალ წინაპართა საფლავებთან, მი-

ვალ მშობლიურ სახლთან, მივალ გაგრიფშთან, მივალ ბებიის გადამ-ნვარ სახლ-კართან, მივალ საყვა-რელ ნავსადგურთან, მივალ.... მი-ვალ... მივალ... მერე აქაც მივალ, გაგრის ზღვის „ბუიოკთან“, ჰორპ, ისევ გადავეშვები ზღვაში და სამუ-დამოდ ჩამოვირეცხავ გაგრასთან განშორებით გამოწვეულ სევდას.

ჰო, მივალ ამაყად, უპირობოდ დავბრუნდები და დავმშვიდდები.

- მე მოვესწრები დაბრუნებას? -  
მკითხა ამასწინათ მამაჩემმა.

- აბა, რა, მამა, ყველა ერთად  
დავბრუნდებით, უფრო დიდი ოჯახით.



## როცა წვიმას მიაქვს ცა...

როცა ლელავ, როცა წვიმას მიაქვს ცა,  
სწორედ მაშინ მეჩვენები მშვიდი,  
ის დრო თითქოს დავიწყებას მიეცა,  
როცა შენი ფიქრებიდან მშლიდი...

ტალღებს როცა უმოწყალოდ აზვირთებ,  
მაშინ გიძგერს სითამამით გული,  
როცა თეთრ გემს შორს, სამგზავროდ ამზითვებ.  
მაშინ მზე გაქვს გემზე გამობმული.

ვიცი, სიზმრად რატომ აღარ მოდიხარ,  
შენ ამ სახით ჩემი ნახვა არ გსურს,  
ჩემი ახლა უფრო მეტად მგონიხარ,  
წერილებზე როცა არ მცემ პასუხს...

შენ რომ ცა გაქვს, მინდა, მხოლოდ ჩანდეს ის...  
და ჩემს ქალაქს ჰქონდეს შენი სახე,  
ის სიტყვები გამუდმებით ჩამესმის:  
დამიბრუნდი, მხოლოდ ცხადში მნახე...

როცა მიხმობ, როცა ვეღარ ჩუმდები,  
ჩემს მზე-ქალაქს მაშინ უფრო ჰგავხარ,  
ზეცას ერწყმის თოლიათა გუნდები,  
შენ - ასეთი მხოლოდ ერთი მყავხარ!

## გაგრის ცვიგა

ზეცამ ღრუბელი მოისხა ტანზე,  
მოგონებები ფიქრებად ცვივა,  
ვნატრობ - ბავშვობა მაწვიმდეს თავზე  
და მისველებდეს მხრებს გაგრის წვიმა...  
სანამ გული ძერს, დავბრუნდე უნდა...  
მწალია - გაგრის შუქურად ვენთო,  
არ მსურს - მშვიდობას ვნატრობდე მუდამ,  
არ მსურს - ვნატრობდე ჩემს სახლ-კარს, ღმერთო!  
წვიმს, სანუგეშოდ, ცამ რა ქნას მეტი?! -  
„ფესვმოკიდებულ შენს იმედს ვრწყავ“ - ო,  
გაგრაა ჩემი სინათლის სვეტი,  
გაგრაა ჩემი იმედის წყარო!

## გაუგლელი ფრთხი

ამ განშორებას იქნებ, ვუშველოთ,  
მზე გამოვგლიჯოთ ომის მარწუხებს,  
გაგრა, მაგიშებს დილა უშენოდ  
და გაუშლელი ფრთები მაწუხებს...  
ფრთებს ვეღარ ვაჩენ, ვის რა გავანდო?!  
დავესესხები ალბათ, ამ წუთებს,  
ახლაც ნაცნობი ცის ქვეშ ვნავარდობ,  
თუმც, გაუშლელი ფრთები მაწუხებს...

## იყოს ზეცა მანიშნებლად

მომენატრა ჩემი გაგრა,  
ყმაწვილობის ნიავ-ქარი,  
ახლაც დამაქვს ციცქწა ჯვარი -  
ჩატიხრული მინანქარი,

ზოგჯერ მესმის სიმღერის ხმა,  
სიყვარულის მუშტარისა,  
მომენატრა ჩემი ეზო,  
სიტკბოება მუშმალისა;

ვდგავარ ახლა სახლის კართან,  
თან შევდივარ, თანაც - ვერა  
და მიყურებს ვიღაც უცხო,  
უცხვირპიროდ, ალმაცერად...

იცის, იცის... დავბრუნდები,  
იყოს ზეცა მანიშნებლად,  
რომ უთუოდ, ან დღეს ან ხვალ  
მაინც მოვალ, მაინც შევალ!

ხო, ჯვრით ხელში დავბრუნდები,  
მიწაც იყოს მანიშნებლად,  
რომ ქართული სუფრა მალე  
იქ, ჩემს სახლშიც გაიშლება...

## ჩემი ქოლების ქვეშ ჩემი გაგრაა

სიყვარულია, კუთხე განაა?!  
თანაც სამოთხის შესადარია,  
ჩემი ქოლების ქვეშ ჩემი გაგრაა,  
ცა რომ დაიქცეს, ჩემთან დარია.  
იწვიმოს მერე, მე რას დამაკლებს?!  
დრო და ეს წვიმა წარსულს არ შლიან,  
მზე ამ ქოლების ქვეშ მინდა დავაკდეს,  
მერე ფიქრები ლურჯ ფრთებს გაშლიან.  
ფრთებს გამოისხამს ლოცვა წირვაში,  
ზეცა მაჩვენებს გზები სად არის...  
და თუნდაც ქარში, თავსხმა წვიმაში,  
ეჭვი ვერ მავნებს, ვერცა - ავდარი...  
სიყვარულია, კუთხე განაა?!  
თანაც სამოთხის შესადარია,  
ჩემი ქოლების ქვეშ ჩემი გაგრაა,  
ცა რომ დაიქცეს, ჩემთან დარია.

## სიყვარულის ნატერზალი...

მტანჯველია ეს სიჩუმე და ეს გზები უკვალო...  
გული ისევ შენით გულობს, შენს ძახილზე მღერისო,  
მე რას მარგებს ეს ცივი მზე ან ტაძარი უკარო...  
რას არ დავთმობ, შენი ნახვა ოღონდ ერთხელ მეღირსო!  
სახლისაკენ მიმავალი, ნისლს თუ გადავურჩები,  
მერე ეჭვებს გადავაქცევ კეთილშობილ ფიქრებად,  
და თუ რამე კვალს დატოვებს ჩემი გაგრის ქუჩებში,  
ეს უთუოდ სიყვარულის ნატერფალი იქნება.

## სუ, „დაკარგვაზე“ არც ერთი ბგერა!

ახლა ჩემს სურვილს ერთ წამში ვატევ...  
სიო პალმის რტოს საამოდ ვარცხნის,  
ვიხსნი ბორკილებს, ჯებირებს ვამტვრევ!  
ამომენურა მარაგი მარცხის...  
ხელი ჩემს ფიქრებს არავინ ახლოს,  
ჩემია ეს მთა, შერწყმული ზღვასთან,  
ვდგები ურყევად, ძალიან ახლოს  
შენთან მოსასვლელ თოვლიან გზასთან...  
ჩვენს გულებს შორის დაგებულ ბილიკს  
ვერ შებილნავენ, მერწმუნე, ვერა...  
ეჭვო, მოეშვი უაზროდ ქილიკს,  
სუ, „დაკარგვაზე“ არც ერთი ბგერა!

\*\*\*

ისე მოთოვა, სულმთლად მოექცა  
თოვლის საბანქეშ შენი ლურჯი ცა,  
შენს თილისმაზე ფიქრი მომეცა,  
თოვლიც გშვენის და გშვენის რუჯიცა...  
ვამტვრევ ცხრა კლიტულს, მოვქრი მარხილით,  
ველი შეძახილს ბოლო კარიდან,  
„არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!“<sup>1</sup>,  
მოგონებათა მხოლოდ კვალილა...  
ჩუმად ვეხები შენს თბილ ნაკვალევს,  
თოვლში მივყვები ბილიკს სახლისკენ,  
ბორკილდადებულ ვამტვრევ ამ კარებს,  
ჩემი გულია შენი სამიზნე...

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე - „ელეგია“

## იარე, სულ ნინ იარე...

გაგრა, რა გბოჭავს, გამანდე -  
მავთულხლართების გროვაო?  
გამოჩინდი, ნისლი გაფანტე,  
მერე იმედიც მოვაო...

მოვა და ზეცას გაათბობს,  
გაჰვეჯს, თუ რამე გვბოჭავდა,  
ლრუბელს წაიგდებს, გააპობს,  
ცაზე რომ შავად მოსჩანდა...

ერთურთს რომ შევხვდეთ, რა გვიშლის, -  
ზღვის გადალახვა - ძლევაო?!  
წამოვალ, გულს თუ გამიშლი,  
„ზღვა კოვზით დაიღევაო“...

თუ მხედავ, თუკი მიცანი,  
მითხარ, მზეს რატომ მალავო?!  
შენ გქვია ჩემი მიზანი,  
ჩემი ჭრილობის მალამო...

რა ვერ გიშუშებს იარებს,  
მავთულხლართების გროვაო?  
იარე, სულ წინ იარე,  
მერე იმედიც მოვაო...

## შენი მთაბისთვის ცეცხლშიც ჩავდგები!

შენი წუხილით  
მზეც კი შეწუხდა,  
ცეცხლი გარს გივლის,  
უვლის ვედრებას,  
ქედი დამწვარი  
ზღვაში შეცურდა  
და შეერია  
სულისკვეთებას...  
ვინც გაგიმეტა, ახლა  
არც კი მძულს,  
ასე არცა ლირს  
გროშად კაციო!  
სულს ნუ დაუთმობ  
ზეცად გახიზნულს,  
სულ რომ გადაგწვან,  
ფერფლად გაქციონ!  
ახლა გწყურია  
ვინმე ერთგული,  
აფრებდამწვარი  
შორით ჩანს გემი,  
ოღონდ არ მითხრა,  
რომ ხარ ბედკრული,  
შენი მთებისთვის  
ცეცხლშიც ჩავდგები!

## ნლების შემდეგ, როცა გაგრის მთებს და ტყეებს ცეცხლი გაუჩნდა, გამიახლდა ტკივილი

\*\*\*

დგას ქალაქი მარტოსული,  
რატომ არ წვიმს, რატომ ვერ ცრის...?  
შემიძერე, ღმერთო, სული,  
აფხაზეთი გულზე მეწვის...  
ტყეებს გააქვთ ტკაცატკუცი,  
მთებს ჭრილობა გაუახლდა,  
არც პატრონი, არცა კურცხლი...  
გაგრას შიში ჩაუსახლდა.  
ჩვენ რომ გვესმას, ენას იმტვრევს,  
ყვირის, ეს ხმა გაგრას გასცდა,  
მისი ენა, დარდს რომ იტევს,  
აღარ ესმის არა კაცსა...  
შენ ცეცხლს ებრძვი, მე კი მცივა...  
მაინც ფიფქებს ვინატრებდი,  
შენთვის ახლა მინდა წვიმა...  
და მშვიდობის მინდა მტრედი.

\*\*\*

ისევ სიჩუმე, შხამმოკიდებულ ვაბოლებ ფიქრებს,  
ზღვა მექაჩება უკიდეგანო მოგონებებში,  
ეს წარსულია, უმისამართოდ ხელ-ფეხს რომ იქნევს...  
და ვიძირები შენს თბილ ტალღებში, როგორც ვნებებში...  
ფიქრი სასუნთქ გზებს ერთობ არ წყალობს, დაახშო სულმთლად,  
ტვინში ათასჯერ გაიელვებს, ის ხომ ჩემია!  
ფილტვებდახშული და განწირული, მე მაინც ვსუნთქავ,  
სანამ იმედად შენთან შეხვედრა შემომრჩენია...

## გეტყვი, არასდროს

ბინდდება...

მთვარე დაცურავს განაბული შავი ზღვის მხრებზე  
და თითქოს კოცნის მონატრებას, დაკოურილ ხელზე...

მინდება,

შენთან შეხება, სიგიჟემდე მინდება მაშინ,  
როცა სურნელი მაგნოლიის იფრქვევა ქარში...

მაკლიხარ,

შენი მაისის გახელებას მივტირი, ჩემო,  
როცა წვიმის ხმას ჯადოსნურად აუღერებს ჩელო...

გეხები,

ზღვაში ჩავდივარ, ჭრილობებზე მედები ახლა  
და მლაშე წყალი მაგრძნობინებს, რომ ისევ აქ ხარ...

გიშვებ?

გეტყვი, არასდროს! ჩემს შემართებას ტკივილით ვზომავ,  
ზღვაში შეჭრილ გემს, ჰორიზონტან, მივყვები ზოლად...

## თანდება დილა მკათათვის

თენდება დილა მკათათვის,  
დროს მოაქვს შესაგებელი,  
შეუძლებელი კაცთათვის,  
უფლისთვის - შესაძლებელი...

ახლა რას მოვლენ ტალღები,  
ღელვასთან ჩემი ფიქრების...  
ფიქრებს გაგრამდე წავყვები  
სხვას რაღას ჩავიფიქრებდი?!

რწმენის ვიქეცი შეგირდად,  
გაგრას რომ ხელით შევეხო,  
მინდა, ერთ გულად შევიკრათ,  
ხოდა, მომყევით, ჩემებო...



## ჩემი ხა გესმის, გესმის ჩემი ხა?

ალარ ვნებდები, ვეძახი შენს მზეს,  
ის კი მიმალავს სხივებს...  
ღრუბელს უთხარი, ცოტახნით შესდგეს,  
ნუ გამიცოცხლებს ხილვებს...

ჩემი ხმა გესმის,  
გესმის ჩემი ხმა?

იქნებ, შენს გზავნილს აფერხებს რაღაც,  
იქნებ, ამ ქარში ვკარგავ...  
გადაკარგულან ფიქრებიც სადღაც,  
რად არ მპასუხობ, გაგრა?

ჩემი ხმა გესმის,  
გესმის ჩემი ხმა?

ღმერთმა შენი ცა მარგუნა ბედად  
და უშენობა არ მსურს,  
დამამცირებელ პასუხზე მეტად,  
ვგმობ გაუცემელ პასუხს...

ჩემი ხმა გესმის,  
გესმის ჩემი ხმა?

ნიშნად დასტურის მეყოფა ნავიც,  
სხვა მინიშნება ანდა...  
გთხოვ, შეარხიო მცირედით მაინც,  
ჩემს სახლში თეთრი ფარდა...

ჩემი ხმა გესმის?  
ვიცი, რომ გესმის!

## ՅՈԵՖ ԹՐՇՈՍ, ԱԾԿՅՈՒՆ

Ժիշ Տառապարո, Ցլվաժո Բայուլո,  
Գոնեծաս Տաճ մուշացս?  
Ըլես մովութրոնդո ցո՛շոն ցամոմցեզար  
Ռոտմեծիշ Տայույրալս...

Տառմելո Իյմո Մնջանց յեղեծիշ  
Տոմլերոտ ցանջացրծյ,  
Ոմնեծաս ցագրա, ցագրա, Ռոմելուց  
Թյուիս յալայիշ...

Ոմնեծաս ցագրութշուց դա յանս կոծեստան  
Շենթլոնծյ პալմեծօ,  
Ըրոս ցայժլուա մոցոնցեծատա  
Այսուրո կարչեծօ...

Եղիազ, Շեմեծլոս աելա ցեալժուաց  
Ըալիկծոնծա ամ եցուտ...  
Եամո - Եազուցետ, Շաքե ազմլերդո,  
Վոնց մոցուս, ամպեզուտ...



## მაჟაფილი ეს სიმცირე ჩემი...

ხან ვკვდები, ხან ვიპადები ისევ,  
ხან დავიწყებ, ხან ვიტყვი, რომ ვრჩები...  
შიშს ეშმაკი ძალებივით მისევს,  
მაპატიეთ ეს სიმცირე ჩემი...

ჩემო მთებო, მშობლიურო მიწავ,  
მაპატიეთ, თუ ოდესმე ვდუმდი,  
ხო, მოვფრინავ, ჩემს საფიცარს ვიცავ  
და მტრედების თან მომყვება გუნდი...

აი, მოჩანს მთების ზღვასთან კვეთა,  
ო, რა არის ამ ხედების ფასი...  
თან მომყვება დინჯად ქართლის დედა,  
მოაქვს ხმალი, და პირსავსე თასი...

ხან ვკვდები, ხან ვიპადები ისევ,  
ხან დავიწყებ, ხან ვიტყვი, რომ ვრჩები...  
შიშს ეშმაკი უკვე ვეღარ მისევს,  
შორს, შორს - მეთქი ეს სიმცირე ჩემი...



## მირკანი

მზე იმედს მოსვლის უფლებას დართავს,  
მარტი სიცივეს გააწნავს სილას...  
არ გავურბივართ გაგრას და ზამთარს  
მე, ბეღურა და მზისფერი დილა...

დადნება თოვლი, გაჩნდება მწირი  
კვალი ჭრილობის, დროიდან ომის,  
მხოლოდ სინანულს, სიყვარულს... წილი  
შეხორცებაში ექნება ლომის...

მოვა ჩემი თვე, მირკანი<sup>1</sup> მოვა,  
ალბათ, გაზაფხულს მოიყვანს რწმენა,  
რღვევა საზღვრების სიმშვიდეს მომგვრის,  
გაგრა ფიქრია და გამოწვევა...



---

1 მირკანი - მარტის ძველქართული სახელწოდება.

06 090 66

დღას ნაპირთან გაგრა, მარტო,  
დარჩენილი, ვით ლირი,  
არც სახლს ვჩივი, არც ეზო-კარს,  
შინდის ხეებს მივტირო...

სალამური, ხმა-ჟღერადი  
შინდის ხისგან კეთდება,  
„გაგვაგონე ის ხმა ტკბილი“ -  
შემომძახეს ქედებმა...

ის ორი ხე, ეზოს უკან,  
ჯერ კიდევ დგას, ეული...  
ამიტომაც არ დამარქვათ  
იმედგამოლებლი.

...და გაზაფხულზე მოვლენ იცავის...

თუ მზეს დაფარავს თაღი გედების,  
თუ ვერას შევქმნი ამად-ლირსეულს,  
ვიტყვი, მინახავს ბაღი ედემის,  
მზეს შევხებივარ, სამოთხისეულს,  
გზად თუ ეშმაკი გადამეღობა  
და დრო არ დამრჩა მონანიების,  
მე ჩემს სამოთხედ გაგრაც მეყოფა...  
...და გაზაფხულზე მოვლენ იები...

## რადარეპზე გაგრაა

ჩემს მზეს - უხილავს შენი ლურჯი ცა  
როგორც ბავშვს, ისე ატარებს...  
მოვლელავ, როგორც თეთრი ხომალდი,  
ზღვაში ლურჯ ტალღებს რა დალევს?!

ზღვას მივეკედლე, თან ვათვლევინებ  
რადიო ტალღებს რადარებს...  
რა დალევს შენზე აყოლილ ფიქრებს,  
შენზე სათქმელსაც რა დალევს...

შენი ბუნების ფერთა თამაში  
კაცს ხომ უსიტყვოდ გადარევს;  
სანამ შენ მყავხარ, სანამ შენ მყავხარ...  
იმედს ხვალისას რა დალევს?!

## გულო, შენ იყავ მოთავი

თუ ეჭვი ამხსნის ბორკილებს,  
თუ ტყვეობიდან გამიშვებს,  
გული მუზარადს მოირგებს,  
ვიცი, გააპობს ქარიშხლებს...

გულო, წამომყევ, სიცოცხლე  
დუმილთან აღარ მეგობრობს,  
ამ გზებზე ნუღარ მიცოცხლებ,  
ვინც მიმტროს, გადამელობოს!

მარტოდ ამ ფრთებსაც ვერ გავშლი,  
გულო, შენ იყავ მოთავე,  
რომ გაგრას უძლურებაში  
წამლად შევერგოთ ორთავე!

## ՇԱԿԱՆԱՏՔԵՎՈՂՈ ՏՈՒՓՅԱ

Ըլուրջո մտա ամծոծս - առ զուցո,  
Սամշելս զելոգո սաօդան,  
Սեօզո առ մոմրիա սամշելագ  
Ճա առց բամ, ցամոսացլուդան...

Ցղամաց ճակարցա սոմթզուցյ,  
Գասառցարո ցըրյեծո,  
Տոտյոնս, ծյոնյեծամ այրծալա  
Ցեցուս յշե՛ ցամոցյենյեծո...

Ճյուման նապորտան ցյումեծո  
Ճա ֆյունցուցիւցո մոմոսցլա,  
Ցոյցյեծս օմորցեծս մերյեծուդան  
Ցառցյեծյուլո մոմոնիա...

Ճաճյումեծյուլան յշիհեծո,  
Սության առ մրացեն քալմեծո,  
Ցոյյրյեծոն նապնոծ նացսացցյուրս,  
Տան հիմն սախլս մովեպարյեծո...

Ցուլո մթզուդու, տյումցա կո  
Ցացրաս մոյուտեցաս զեր յուտվլուս,  
Ցյանասկենյելո սությոց եռմ  
Տացագ մալալ լմերտս յցյուտցնուս!

\*\*\*

... და იყო ომი, იყო სიგიუე,  
გარდაუვალი დუმილი დღეთა,  
არგანშორების მცდელობა ასი,  
ცამდე ასული ჩურჩული ღმერთთან;

მანამდე იყო განცდა სამოთხის,  
სიმღერა ცისა, დაღადი ტყეთა,  
მერე კი თავზე დამსხვრევა ღამის,  
აღმართვა საზღვრის და გაცვლა ტყვეთა;

იყო, რაც იყო... კმარა გოდება,  
ოლონდ მომიხმე, საზღვართან ვდგავარ,  
ახლა ხვალისა უფრო მადარდებს,  
გაგრის ქუჩებში ბავშვივით დავალ...

ვგრძნობ, როგორ არ ვგრძნობ სუნთქვას წინაპრის...  
დრო მოაგორებს ფიქრშებმულ ურემს,  
ქარი უნენავს ვაზის ზვრებს ნაწნავს,  
ქარია, ფიქრებს გზა-კვალს რომ ურევს...

ქარშიც, ავდარშიც ჩემს თავს დავეძებ,  
დაკარგულ სხეულს შენი მზე უვლის  
და მელანდება, თითქოსდა ვიყო  
სულგაცრეცილი ბორბალი ურმის...

ხო, იყო ომი, იყო სიგიუეც,  
სულში ჩაწვდომა გარდასულ დღეთა...  
და ზუსტად ვიცი, რომ ნატვრა ჩემი,  
აღსასრულებლად მიბრძანდა ღმერთთან...

## მაინც გაგრა

მაინც - გაგრა, ჩემი გაგრა, საოცარი ხედები,  
მზის ღრუბლიდან გამოჭყეტა, ჩუმი გამოხედვები,  
ყველაფერი სულ თავიდან, თუნდაც, გამოვიარო...  
მაინც გაგრა, „ეგ მაკლია“, სხვის ჭკუაზე ვიარო...

მაინც ჩემი სალოცავი, თუნდაც ასე პატარა,  
მაინც ის გზა, ორცეცხლშუა, მე რომ გამომატარა,  
მაინც ისევ ის აფხაზი, ასჯერ შეძულებული,  
მაინც ჩემი მწვანე ქედი, ზღვაში შეცურებული,

მაინც ჩემი სანაპირო, მოწყენილი პალმებით,  
მშობლიური ჩემი სკოლა, თავის გამოპარვებით,  
ერთად მინდა მოვისროლო ყველა ფრაზა - ზოგადი,  
ვიცი, ქვეყნის მომავალი აფხაზეთზე რომ გადის...

მაინც ძველი საფლავები, თუნდაც ძირგამოთხრილი  
და სიცელქე ბავშვობისა, მუხლებამდე მოთხვრილი...  
მაინც ეზო, ჩემი ეზო, გადავლილი ტრაქტორით,  
არ მადარდებს აფხაზეთზე ვინ რას მითვლის, რა ტონით...

მაინც - გაგრა, ჩემი გაგრა, საოცარი ხედები,  
მზის ღრუბლიდან გამოჭყეტა, ჩუმი გამოხედვები,  
ყველაფერი სულ თავიდან, თუნდაც, გამოვიარო...  
მაინც გაგრა, „ეგ მაკლია“ სხვის ჭკუაზე ვიარო...

## თავისუფლება

ჩემს გულისცემას მხოლოდ შენ იცნობ,  
მზეო, მზის სხივით განისაზღვრები...  
თავისუფლებას მაშინ შევიცნობ,  
თუკი შემბოჭავ გაგრის საზღვრებით.

აბარგებული ბილეთს ვუკვეთავ,  
ჩემს მოთმინებას ვწონი ღირსებით,  
მზეო, მოშორდი ღრუბელს - უკეთ ვარ...  
სულ სხვა იმედით მგონი, ვივსები.

შორს, ცისარტყელას ისევ გავყევი,  
ღმერთო, აქ თუ ხარ... ზოგჯერ მანიშნე  
და თუ წვიმაა დღესაც გზამკვლევი,  
ალარ დავეძებ, ორჯერ დანიშნე...

ჩემს გულისცემას მხოლოდ შენ იცნობ,  
მზეო, მზის სხივით განისაზღვრები...  
თავისუფლებას მაშინ შევიცნობ,  
თუკი შემბოჭავ გაგრის საზღვრებით.



## არ ლირს გაგრა დაცებებად!

შენ გგონია, რომ მაშინებს ეზო-კარის,  
ჩემი სახლის უსინდისოდ გარდასახვა?!  
სანამ იმ სახლს ახლა შენად იგულებდე,  
პატრონს სთხოვე, შენთვის პირჯვრის გადასახვა!  
შენ გგონია, ბრძოლის უინი დამიკარგე?!  
შენ გგონია, წამიშალე მოგონება?!  
ბედის ბორბალს ისევ წალმა ვატრიალებ  
და იმედიც ჩემს ფეხებთან მოგორდება.  
აბა, კიდევ, რითი გინდა დამასუსტო...  
თქვი, რაც გინდა, მაინც უხმოდ გავატარებ...  
ოქროს მძალავ? აბა, როგორ გამომტაცებ? -  
როცა ოქროს მე სულ გულით დავატარებ.  
ეს წუთია, რომ გავიგე - ჩემი სახლი,  
შარშან, თურმე, უქცევიათ ნანგრევებად,  
საძირკველზე სხვა სახლი დგას, მაგრამ რა ვქნა? -  
არა, არ ლირს გაგრა მაინც დანებებად!

## „მზეში მოვდივართ ჩვენ ათასობით“<sup>1</sup>

ნუ გეგონება, რომ დაგივიწყეთ, გადავიკარგეთ...  
ჩაკეტილ კარში ახლა დროებით ვერ შემოვდივართ,  
ქარს გავატანეთ ჩვენი ნაღველი, გადავიქარვეთ,  
მზეში მოვდივართ ჩვენ ათასობით, მზეში მოვდივართ...

ახლა დროებით შენს მთებს ვეხებით სხივებით მზისა  
და სხივებითვე ვეამბორებით კუთხე-კუნჭულებს,  
გადასალახად შემოვიტოვეთ მცირედი გზისა,  
მზეში მოვდივართ, სანამ იმედი გულში ჩურჩულებს...

1 თომას ტრანსტრომერი - შვედი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი

## უფრო გეფი ვარ ახლა

მომნატრებია რიწა,  
ჩემს თბილ სახლ-კართან მისვლა,  
მე ის ბიჭი ვარ, ციცქნა,  
შენ რომ გიყვარდა, ის ვარ...

დავშორიშორდით, გაგრა,  
ახლა მოვეკითხო ვის რა?  
მიყვარხარ, როგორც მაშინ,  
შენ რომ გიყვარდა, ის ვარ...

ვინც შენ გაგნირა, ყველას  
თავზე დაატყდა რისხვა,  
მე ნუ ამკიდებ სხვის ბრალს,  
შენ რომ გიყვარდა, ის ვარ...

ჩემი ბავშვობის გზებზე  
სევდა ჩამონვა ნისლად,  
ნუ მემალები, გაგრა,  
შენ რომ გიყვარდა, ის ვარ...

იმედი გქონდეს მათი,  
ახლა რომ მხრებზე ვისვამ,  
უფრო მეტი ვარ, მეტი...  
შენ რომ გიყვარდა, ის ვარ!

მომნატრებია რიწა,  
ჩემს თბილ სახლ-კართან მისვლა,  
მე ის ბიჭი ვარ, ციცქნა,  
შენ რომ გიყვარდა, ის ვარ...



## მოვლენ გავშვებად ჩემი შვილები

ისევ შენთან ვარ და თავს ვიწონებ  
ნარინჯისფერი ეზოს ვარდებით,  
ჩემი სუნთქვა ხარ, გახშირებული  
და გულისცემა - ამოვარდნებით...

ვარდის სურნელი მოდის ღამითაც,  
შენი სინათლე მოჩანს ღრუბლებშიც,  
ისევ ბავშვი ვარ და მზე ნავარდობს  
ისევ პატარა გოჩას უბეში...

მხიბლავს წყაროთა მთიდან რაკრაკი,  
მარად სიმწვანე - ბარად გაშლილი,  
მეცნი ეს სახლი, აი, ეს ქუჩაც...  
და შესახვევი ბარათაშვილის...

მოვალ, სად წავალ, ოღონდ დამპირდი,  
რომ არასოდეს შემიშინდები,  
მე თუ დავბრუნდი, უკვე თმათეთრი,  
მოვლენ ბავშვებად ჩემი შვილები...

ისევ შენთან ვარ და თავს ვიწონებ  
ნარინჯისფერი ეზოს ვარდებით,  
ჩემი სუნთქვა ხარ, გახშირებული  
და გულისცემა - ამოვარდნებით...

## გულს დავუთმობ

გულს დავუთმობ, შევიპრალებ, თანაც მოვუბოდიშებ,  
მეგობრობის ხელს გავუწვდი, თუკი ახლოს მომიშვებს,  
ოღონდ ნუ მთხოვს, რომ დავუთმო ჩემი საკარმიდამო,  
არ გაბედოს, რომ ქართველის მოსვლა აღარ მინდაო...

არ გაბედოს დაიპრალოს, რომ ბედია მისია,  
მოქვზე, ლიხნზე საქართველოს ხელი გამომიცვნია,  
სულ ახსოვდეს, რომ საფლავი ღირსებაზე მეტია  
და ბაგრატის საძვალეს რომ კვლავ პატრონობს ბედია!

მიწა? - მხოლოდ იმისია, ვინც თოფს აღარ გაპოხავს,  
ვისაც ზიზღი, სიძულვილი საგულედან გამოჰყავს,  
თუკი ამას აღიარებს, ჩახუტებას რა უნდა?!  
აგერ, ვხედავ, რომ მერცხალი ჩემს ეზოში დაბრუნდა...

მეც მინდოდეს დაბრუნება, ვიღას გაუკვირდება?!  
მივალ სახლში და ჩემს ნუშსაც ტოტი გაუკვირტდება...  
მან ნაბიჯი გაიმეტოს, თუკი მე ათს გადავდგამ,  
თორემ გაგრის სიყვარულით მთებს და ზეცას გადავდგამ...



## ԵՅԱԼ ԹԵՇ ԹՐՈՑՈՒԹԱԿ ՍԵՌՎԵՆԵՐԵԱԾ ՀՈՂԱԾ

Թիյ Շեմոֆցոմիս տազս ալճեվս ხոլվեծս,  
Շվեծաս პոյլոնծ քալլեծտան ზավշո,  
Նաքորուսակեն ապարեծս սեռվեծս,  
Ռողոր ար յոնդա - Շեցուրդես թլվաժո...  
Քոգոլս նամեծտան ցանցուրդեծո ախլացս,  
Թիյ ցաս մոյերոս ապորեծս լուռոտ,  
Ռազա մոոտմենս գոլամճյ ախլա,  
Ռոմ ուսեց գագրէցէս սամոտենս ხոլվոտ.  
Բագուս դա տաճաց, ար յոնդա ჩիսվլա,  
Վեր յտեռոցեծա Շենս եցդեծս, մդորալս,  
Եցբազ, գրոյեծոտ ամ թլվաժո ჩիմսվա,  
Եցալ մեց մոցուրդան սեռվնատել գոլաս!

## ԱՏԵ ԺՅՈՒՌՈ ՌՄԱԿՈ ԵԱՐ...

ԱՏԵ ԺՅՈՒՌՈ ՌՄԱԿՈ ԵԱՐ,  
ԱՏԵ ՄԻՇՆՎԳՈՄԵԼՈ,  
ԳՐԺՆՈՒՅՆ ՎՈԽԾՈ ՍԱԴԱՍՄՈՐՍ,  
ԾԱՄՐԻԱ ԳՄՈՋՄԻ ՌՈՄԵԼՈՒ...  
ՇԵՆՍ ԼՄՈՐՋ ԸԱՑԵ ԼՐՄՈՋԵԼՈ  
ԳԱՅՐԱ, մապացու - ՐԱ,  
ՍՈՊՎԱՐՄՈՋ ԺՅՈՒՌՈ  
ԱՐԱ ՄԱՃԱԳՈՒ - ՐԱ...  
ՑՈՂՈՒՄ ՎԱՄՑՈՒ ԲԵՄԱ ՍԱԴԵՄԵԼՍ,  
ՄՈՎՐԵ ՍՈՒՊՎԱ ՑՈՂՈՒՄ ՎԵ,  
ԱՄ ԹԼՎԱՍ, ԱՄ ԹԵՐԵԾՍ ՎԿՈՋՄՈՆ  
ԲԵՄՈ ՍՈՊՎԱՐՄՈՋ ՎԵ...

## მა ისეთი ფა მინდა...

ვიყურები სარკმლიდან,  
წრეს ხაზავენ მერცხლები,  
სევდისფერო ღრუბელო,  
როდის ჩამომეცლები?!  
როდის მოვა ზაფხული,  
მე რომ მინდა იმგვარი,  
სარტყელივით, სოხუმო,  
წელზე შემომიკარი...  
შენი სიღრმის სიმშვიდით,  
რინავ, შემომეგებე,  
მე ისეთი ცა მინდა,  
ღმერთო, შენ რომ შეღებე...  
მე ისეთი მთა მინდა,  
ჩემს გაგრას რომ დახატავს,  
ახლა ფიქრის ზღვაც მინდა,  
გრძნობის გამოსახატად...  
თურმე, დროის დინება  
ტალღებს უფრო აზვირთებს,  
ბენვის ხიდზე ვკიდივარ  
და ვაკეთებ აზიდვებს...  
ნიღბებს ვწირავ ცეცხლისთვის,  
აზრს ვერ ვხედავ თამაში,  
მინდა, ჩემი სიბერე  
გავატარო გაგრაში!

## მაიც ჩამოვალ, თუნდაც ჭაღარა

მომე სასმისი - განსხვავებული, მომე დავლიო, თვითონ ავივსებ,  
გამომიწოდე ხელი, გაბედე, შემომეგებე ასე, ან ისე...  
ზღვას თუ მიანდე მზე სამუდამოდ, ვერ გათენდება  
ასე თავისით,  
მზის სადლეგრძელო უნდა დავლიო, ჩემი - იმ სახლის  
ღვინო დამისხით!  
ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ, ღირდა გაჩენა ერთი წამისთვის!  
ვეღარ გიმეტებ, ვეღარ გიმეტებ, ვეღარ გიმეტებ ჩემი  
თავისთვის!  
ხოდა, ჩუმად ვარ, დავლევ, რა იყო, ჯერ იად მოვალ,  
მერე - ენძელად...  
მაინც ჩამოვალ, თუნდაც ჭაღარა, ერთიც დამისხი, მყავდე  
დლეგრძელად!

## მიცდა, სულ ჩემი იყო!

მიცვლის ნათელი ბუნებას,  
მინდა, ზეცამდე მწევდე,  
მინდა, რომ შინ დაბრუნებას  
კი არ მირჩევდე, წყვეტდე!  
არ მომბეზრდება - გაქებდე,  
გული იმედებს ნერგავს,  
არ მსურს, სიცოცხლეს გარქმევდე,  
მინდა, სიცოცხლე გერქვას...  
სულში ხელს მინდა გიყოფდე,  
ასეთი ტურფა ვინ გყო?!

არ მსურს, ვინმესთან გიყოფდე,  
მინდა, სულ ჩემი იყო!

## შანსი არ არის - დაგთმო როდესმა!

ვხედავ მარწუხებს კვლავ გასცდა სული,  
ჩემი ოცნების ხარ ორეული,  
ხარ დასაწყისიც, ხარ დასასრულიც,  
ხან ახლობელი, ხან - შორეული...

შენ გამო ზოგჯერ კვალს მირევს ნისლი,  
ზოგჯერ განთიადს მხრებზე ვუწევარ...  
სიზმრებში ფრენას ვერაფრით ვიშლი,  
ღამეს დარჩენის წუთებს ვუწელავ...

ხან „მეზიზლები“, რადგანაც დამთმე,  
ხან ჩვენ სიყვარულს უფალს ვავედრებ,  
მთვარესთან ერთად მინდა, რომ დავთვრე,  
იქნებ გავგიჟდი, იქნებ ვამეტებ?!

ამ ღამეს ისევ ფიქრებში გავლევ,  
ახლა ტალღის ხმად მინდა მომესმე,  
შენს სადღეგრძელოს უსიტყვოდ დავლევ,  
შანსი არ არის - დაგთმო როდესმე!



## 13 ნოემბერი...

„რეკავს სადგურიდან  
ზარი მეცამეტე...“  
ისევ ველოდები  
მწვანე მატარებელს...  
იყოს, რაც იქნება,  
უკვე ვერც ვამეტებ,  
ფიქრებს ვეზიდები,  
გზაზე სატარებელს...  
აი, მივაგენი  
ვაგონს მეცამეტეს,  
ჩემი ადგილიც კი  
ვხედავ - ცამეტია,  
ეჭვთან საკამათოდ  
მაინც ვერ ჩავერთე,  
რომ ვერ დამამარცხა,  
სადლაც წაეთრია...  
გზაზე შემოდგომის  
სუსხი დამეწია,  
ცამეტს გვპირდებიან  
სინოპტიკოსები,  
გრძნობა, ხასიათიც...  
მაინც ამეწია,  
მივალ გაგრისაკენ,  
თბილად ვიმოსები...  
დღესაც ცამეტია...  
ისევ ცრურწმენები?  
ამ გულს შეხვედრამდე,  
ცეცხლი უკიდია..  
მორჩა დაყოვნება,  
მორჩა სულ ცრემლები,  
ხოდა, ცამეტები  
ნაღდად სულ მკიდია!

\*\*\*

ახლა წარსულს ვერ გინოდებ  
და არც აწმყო გქვია,  
მაგრამ მაინც მოგინოდებ -  
გული დაგრჩეს ლია...

მთა მოიგდებს მხრებზე ნაბადს,  
შენც სიამეს მოგვრის,  
ქარი, მე რომ ფრთებს შემაბამს,  
მომავლიდან მოქრის!

მარტი იმედს დააბუდებს,  
სხვა ამბები მომდის,  
გემი, მე რომ დამაბრუნებს,  
მომავლიდან მოდის!

შენ ხარ სულის რელიქვია,  
განშტოება მზისა,  
იმას, რასაც ჩემი ჰქვია,  
ვერ დავარქმევ სხვისას!

დილას ისევ შენით ვიწყებ,  
განშორება არ მსურს,  
იმას, რასაც ვერ ვივიწყებ,  
ვერ დავარქმევ წარსულს...



## პილეთი გაქვს გაფართობლის...

ბილეთი მაქვს მატარებლის... ჩქაროსნულის? არა, ისე...  
იცით, იქ მე რა ეზო მაქვს, ნაკლებია არავიზე...  
გრძნობს რაღაცას ყოველი ხე და ცრემლები წასკდა ტიტას,  
არ დავეძებ ახლა კუპეს, წავალ თუნდაც „პლაცკარტითა“.

ჩემს სახლ-კარს და კოხტა ეზოს რა ამოშლის ფიქრებიდან,  
გაგრა! მინდა ჩემი იყო, მინდა რიწა, კიდევ მინდა:  
ზღვა, მთები და ლურჯი ზეცა, ჩემი ოქროს პირამიდა...  
მე შევამტვრევ რკინის კარებს... შენ გამოდი გვირაბიდან...



\* \* \*

ზოგი სულმთლად  
ჩაძირულა ჭაობში,  
ზოგი დუმს და  
გაჰყოლია დინებას...  
თუკი ახლა  
ამ შავ კედლებს ჩამოვშლი,  
თავს დავაღწევ  
გამოკვეთილ დილემას...  
თუმცა ზოგი  
ჩემიაო, - გაჰყვირის...  
სხვის სახლ-კარზე  
ამტკიცებს, რომ მისია,  
დავიძარი,  
ეს კი ხმაა საყვირის,  
მაინც მოვქრი,  
თუმცა, გარშემო ნისლია...  
ზოგი ყრუა,  
ზოგიც ავის მნებელი,  
ზოგს ყურს უჭრის  
ხმა ქართული გარმონის...  
მთავარია,  
ჩემი მატარებელი  
ნელა, მაგრამ  
გვირაბიდან გამოდის...

## ԵԱՅՐԾՈ, ՖՈՇՄ, ՀԱՏԵԿԸՆ...

մարդու զեր նազալ, նամուծո...  
ոյ մարդոմ րալա զակըտո՞!  
յնդա զուռացու ծիսարեծո,  
մովեյդու, գամուզակըտո...

գացրա ուսետու շարցու,  
ուռութա մենց մոնձա գացուսու,  
յէջեծս ծէյջեծնիւ գավոյրաց,  
գամենց զեծ, մեւու րա ցուսո...

մնց դամումեծս քուզուլուծս,  
րուցա դաւուլուս օարեծս,  
րուցա սեցեծուստցուս օմեգուծ,  
առց մենց դաւուլուս դաւուլուս...

գացրա ուսետու շարցու,  
առ մոնձա մեռլուգ սահեմուգ,  
նամուծու, ծոյժու, գատենցա...  
սամուտեյ յնդա գահցենու!



## იმაზოს მატარებელი

მიყვარს მერცხლების ჭიკჭიკი, ეს ხმა ბავშვობას მახსენებს,  
წვიმის ხმაც მიყვარს, ზეციდან მოგონებები მასველებს,  
მიყვარს ის დილა, რომელიც შენს ოცნებებზე მიყვება,  
გაგრამდე მატარებელი ნაწვიმარ რელსებს მიჰყვება...

მიყვარს ის გემი, რომელიც ჯერ კიდევ მელის ნაპირთან,  
ლურჯ მთებთან მინდა შეხვედრა და შენს ვარდისფერ აპრილთან,  
კვლავ მიგუგუნებს-იჩქარის მატარებელი შენამდე,  
აბა, შენ იცი, იმედი კვლავ შენებურად შემართე!

მიყვარს სიზმარი, რომელშიც არ მიჭირს შენი მოძებნა,  
არც ცხადში აზრად არ მოვა შენი ვინმესთვის ბოძება...  
მიყვარს სურნელი ყვავილის, თუკი შენს სურნელს მაგონებს,  
ჩემს მატარებელს გზადაგზა ვაპამ იმედის ვაგონებს...



## ახალი წლის სურნელი

საოცარი ტრიალებდა სურნელი,  
არც ფოთოლთა, არც ყვავილთა, არც იმ ცის,  
მაგრამ იყო ამ სურნელში რაღაცა,  
მშობლიური, რასაც გული განიცდის..  
ორი ათას ოცდა ... - ში დავბრუნდით,  
ბევრი იყო დაბრუნების მსურველი,  
ახალი წლის სამზადისში ვიყავით,  
საოცარი ტრიალებდა სურნელი...  
წამოსვლისას ჭრელაჭრულა ბურთები  
გადამალა მამამ სადღაც, მახსოვდა,  
საოცარი ტრიალებდა სურნელი  
ახალი წლის, გაგრის სათამაშოთა..



## გაგრა და კალანდა

(კალანდობას გილოცავთ)

ვეძებ ჩემს ადგილს ნაცნობ ქალაქში,  
მივალ, მშვიდობის მერგო ალმები,  
ერთი კუთხე მაქვს იქ, ჩემს გაგრაში,  
ვწერო, მიმიშვით, მემუარები...  
მივალ, ეს გული იტყვის დანარჩენს,  
ისევ შედგება ჩვენი ტანდემი,  
დავწერ იმაზე, როგორ დავახრჩე  
ჩუმი სევდა და ჩემი დარდები...  
დავწერ იმაზე, რა ქმნის ჭრილობას,  
როგორ დასრულდა ეჭვთა თარეში,  
რომ მოვკვდებოდი, მიჯაჭვულობას  
ახლა მაინც რომ აღარ გავეშვი...  
დავწერ გრძნობაზე, მთა რომ გადადგა,  
დავწერ წუთებზე, წლებს რომ უდრიდა,  
კარს შემოაღებს მალე კალანდა  
და მზე იშვება ჩემი ბუდიდან...  
ჰო, ჩემს მხარეში დილას ვაგზავნი,  
ისეთს, რომელიც ჯერ არ ყოფილა,  
მოაქვთ იმედებს მზე და საგზალი,  
გაგრა ნისლიდან გამოყოფილა...  
ვეძებ ჩემს ადგილს ნაცნობ ქალაქში,  
მივალ, მშვიდობის მერგო ალმები,  
მივალ, მიმიშვით კოხტა გაგრაში,  
უნდა დავწერო მემუარები...

## პველი გაგრის კარიბჭე

ჩემს სახლამდე მისასვლელი გზები ასჯერ დავსახე,  
ნეტავ, როდის მივადგები ძველი გაგრის კარიბჭეს?  
იმ მთის ძირას, ჩემს ეზოში, ისევ უნდა დავსახლდე,  
ბოლოს, გული სანუგეშოდ, ისევ ძველ სახლს აირჩივს...

თოვს, ზამთარი თეთრი მთიდან მოაცილებს იანვარს,  
შობის ღამე წინ მოუძღვის და სიმშვიდეს მანიჭებს...  
ამ ზამთარში გული ნატრობს გაგრის ლურჯ მთებს, მზიან დარს,  
ნეტავ, როდის მივადგები ძველი გაგრის კარიბჭეს...



## შენთან ერთად გაზაფხულიც მეყოფა

თუკი გულმა შენკენ გამოიწია,  
არ დამძრახო სიჭაბუკის ვერყოფნა,  
თუნდაც ასმა დაზამთრებამ მიწია,  
შენთან ერთი გაზაფხულიც მეყოფა...

მე კი ვიცი, რომ მიკალებ ბებერსაც,  
შემიფარებ, ზოგჯერ შემეხიდები,  
მე ახლა მსურს ავყვე გიუურ ვნებებსა,  
მერე თუნდაც გადაუწვავთ ხიდები...

ახლა მინდა, მოგაწვდინო ჩემი ხმა,  
ახლა მინდა, იყოს ჟამი შენების...  
და მტკიცება, რომ ნამდვილად ჩემი ხარ,-  
აღარ დადგეს პირას გადაშენების...

სანამ მქვია ახალგაზრდა, ახლა მსურს -  
დაბრუნება, ფუსფუსი და შენებაც...  
ოღონდ შემხვდი, მზად ვარ ამ გზის დასასრულს,  
უყოყმანოდ, თავად დემონს შევება.

თუკი გულმა შენკენ გამოიწია,  
არ დამძრახო სიჭაბუკის ვერყოფნა,  
თუნდაც ასმა დაზამთრებამ მიწია,  
შენთან ერთი გაზაფხულიც მეყოფა...

22.02.22

საკრალური ციფრებიო,  
რა არ ითქვა, დაიწერა...  
ვდგავარ ახლა ჩემს სარკმელთან  
და სატქმელიც გაიწელა...  
ჩაფიქრებას ვინ დამასწრებს,  
იმდენია საოცნებო...  
მთვარემ - ლოყა მომიშვირე,  
მოიწიე, გაკოცებო...  
რას არ გავწვდი, ვის არ შევწვდი,  
წამი წამზე დავაჯინე,  
გამოყოფილ ფიქრთა შორის  
ის მთავარიც გავაჩინე...  
სხვა რომ დავთმე, ამეტირა,  
განა მხოლოდ ეს მინდოდა?!  
მაგრამ მაინც გამოვყავი,  
დავიწყების მეშინოდა.  
მთვარეს ლოყა მივუშვირე,  
ცას მივაბი ჩემი ლოცვა  
და გავუშვი ნატვრა ზემოთ,  
დრო მოვიდა ჩემი როცა...  
ეჰ, ნეტავი იქ, იმ ცაზე  
მზემ ღრუბლები გადარიყოს,  
ჩემი შვება და ნუგეში  
ისევ ჩემი გაგრა იყოს.

## ომი დაიცყო...

(ის, რაც უკრაინაშ გამიახლა)

არ მსურს, არ მინდა წვიმა ტყვიების,  
წვიმა ასეთი შვენის გაზაფხულს?!  
სმები არ მინდა გამოტირების,  
დამსგავსებია მარტი დაზაფრულს...

ღმერთო, განგება ნუთუ ეს არის?  
ახლა ცრემლები უნდა ცვიოდეს?!  
ახლა მიწიდან, ნაცვლად ეშმაკის,  
უნდა იები ამოდიოდეს...

არ მსურს, გარბოდნენ შიშით დედები,  
სადღაც ბუნკერში ბავშვებს სციოდეს,  
ფრთებდაგლეჯილი თეთრი მტრედები  
არა, არ მინდა ციდან ცვიოდეს!

მზეს რომ ღრუბელი გამოუხტება,  
მომაწვებიან მაშინ ფიქრები,  
განა გაზაფხულს თოვლი უხდება?!  
მაგრამ არ ვჩივი, იყოს ფიფქები.

დილა ყოველი შვება მგონია,  
თითქოს, ცხოვრებას ვიწყებ თავიდან...  
მარტი მაკვირვებს, რა დროს თოვლია?!  
იყოს მშვიდობა! ფიფქებს ავიტან...

## გზეო, პოლოს, კვლავ გაგრაში ვხვდებით!

ვიღაც დაძრნის, დუმილისთვის ხარჯს სთხოვს  
იქეთ - კიევს, აქეთ - მიწას კოლხურს,  
არ შეეხოთ, არ ესროლოთ ხარკოვს,  
მეორეჯერ ნუ მიბომბავთ სოხუმს...

ზეცა ალექსა ფიქრით სავსე სკოვრებს,  
მთვარე მოჰვავს ცეცხლმოდებულ ნამგალს...  
არ შეეხოთ, არ ესროლოთ კიევს,  
მეორეჯერ ნუ მიბომბავთ გაგრას...

სადღაც მოდის დნეპრი ჩუმად, მდორედ,  
სადღაც ენგურს მოგონება გასცდა,  
ბავშვს ნუ ესვრით, არც გაბედოთ, თორემ,  
მობრუნდება - ბუმერანგის მსგავსად.

მზეო, კიევს გაუნათე ზეცა...  
გამარჯვება კვლავ ატარე მხრებით!  
მერე ერთი, ჩამომხედე მეცა...  
მზეო, ბოლოს, კვლავ გაგრაში ვხვდებით!



## დედებს არასდროს ესროლოთ

დედებს არასდროს ესროლოთ,  
არ გააკაროთ ძაძები!  
ტყვიავ, ლულიდან - გულამდე  
ულმობლად ნუღარ დაძვრები...

ყიუინა, ცეცხლი, ტყვიები...  
გაზაფხულს განა უხდება?!  
ქარო, მოყარე ღრუბლები,  
იწვიმოს გადაუღებლად...

დედას უფსკრულთან რა უნდა,  
სისხლისღვრა როგორ დაუშვით?!  
დედებს ხიდები აუგეთ  
და სამშვიდობოს გაუშვით...

ჩათრევა იცის მდინარემ  
საპირისპირო დინებით...  
ცრემლების ნაცვლად კალთები  
დედებს აუვსეთ იებით...



## მარიუპოლი

(ჩვენთან გაგრა, იქ - მარიუპოლი)

ეს სიჩუმე, აქ რომ სუფევს  
კივილს აღემატება,  
გაზაფხულო, ცა დაიქცა,  
მოდი, რა გემართება?

ომის კვალს რომ ვერ მივაგნოთ,  
მიდის დაწვა გვამების...  
კაცს - უსულოს დასტყობია  
ხელი გადაგვარების...

ბოლი ასდის სევდის ქალაქს,  
იწვის განაწამები,  
დროს კი ახლა, თითქოს, ზომავს  
ტყვია, განა წამები...

ფრთებს გიმტვრევენ, ანგელოზო,  
შენ კი მაინც უფრო შლი,  
გზა პირდაპირ სამოთხისკენ  
გადის მარიუპოლში...



## მყინვარდვერი ყაზბეგის

ბედავს ვიღაც გარღვევას  
კვლავ წითელი ხაზების,  
მთელ ევროპას გასცემის  
მყინვარწვერი ყაზბეგის.

უკვირს მწარე დუმილი  
მთათა მთელი რიგების,  
არ ჩანს ზეცის მიწებთან  
კვალი შემორიგების...

ისევ ცხელი ტყვიები...  
გათენება სროლებით,  
ბოლმისა და ზენოლის  
ჩართვა - გამოსროლებით...

ღმერთმა შექმნა ქვეყანა -  
უსაზღვრო და უბინო...  
ღმერთს ნუ ესვრით, შეჩერდით,  
რომ არ დარჩეთ უმიწოდ!

ბედავს ვიღაც გავლებას  
კვლავ წითელი ხაზების,  
მთელ ევროპას გასცემის  
მყინვარწვერი ყაზბეგის.



## მომაშორეთ ყველა ეჭვი


ღმერთმა ისე მოაბრუნოს  
საქმე, დროსთან თანხვედრით,  
სიმღერ - სიმღერ ჩავდიოდეთ  
და ლექსების თანხლებით...  
ჩავდიოდეთ შეძახილით:  
გაუმარჯოს აფხაზეთს!  
გაუმარჯოს თინათინებს,  
არჩილებს და მალხაზებს,  
ვინც სამშობლოს სატარებელს  
მხრებზე მტკიცედ დაიტევს,  
გაუმარჯოს ავთანდილებს,  
თამარ - ქალებს, დავითებს!  
გაუმარჯოს ყველა ქართველს,  
ვინც ამ წუთას გაჩნდება,  
ვისაც ფიქრი სამშობლოზე  
ჩაეღვრება განცდებად;  
ო, რა ახლოს დავიგულე  
ჩემი გაგრა, ბიჭვინთა...  
მომაშორეთ ყველა ეჭვი,  
უნინ გზებს რომ მიჭრიდა...  
ვლოცავ გმირებს - საქართველო  
ერთიანი მოხაზეთ!  
მოგლეჯილი ორი „მკლავი“  
მივაკეროთ ჩოხაზე!  
არ დაგვჭირდეს, თორემ ხმალი  
უცებ გამოიწვება,  
ჩემი ლოცვა სამშობლოზე  
აფხაზეთით იწყება...  
ღმერთმა ისე მოაბრუნოს  
საქმე, დროსთან თანხვედრით,  
სიმღერ - სიმღერ ჩავდიოდეთ  
და ლექსების თანხლებით.

## ფერი დაეტყო გაზაფხულს...

ეს გახელება, ალბათ, ცის არის...  
ვერ დაგმალავენ ვერსად ქარები...  
შენ უწინ იყავ ჩუმი სიზმარი,  
იყავ ქალივით „ვერსაკარები“...

ვმღერი, არ ვიცი, რატომ მომინდა,  
ახლა მიენდოს ძალას „მერანი“,  
ვითვლი ყოველ წამს, რა დრო მოვიდა,  
შენთან შეხვედრას კრძალავს ვერავინ...

მცირედ დაეტყო ფერი გაზაფხულს,  
მზეს უსინჯავენ გემოს დარები...  
იქნებ, მეღირსო, გაგრა, ამ ზაფხულს,  
გაგრა, გამოჩნდი, გემუდარები.



## ახლა რომენა სულის ანდამატია

ზარებს რეკენ სალოცავში ეშერის,  
ბიჭვინთაში და ლავრაში პეჩერის,  
წინა ხაზზე დგანან ახლა გმირები  
და სრულდება მტკიცე დანაპირები...  
ღმერთო, ტყვია რომ აშინებს პატარებს,  
მტკრად აქციე, ქარში გამოატარე,  
დაე, იყოს ყველგან შენი სუფევა,  
გაჩენილი რწმენით თავისუფლება!  
იქ - მშვიდობა, ღმერთო, აქაც - მშვიდობა...  
მზე დილამდე ახლა დამემშვიდობა,  
ხვალ მოვდივარ, ვისაც არ გსურთ ვგმინავდე,  
დამეხსენით გზებზე - ფსოუს პირამდე...  
გაზაფხული მოდის ახლა იმედად,  
მზემ სხვა სითბო ჩვენთვის გამოიმეტა,  
ახლა რწმენა სულის ანდამატია,  
დადგა მარტი, ჰო, ნამდვილად მარტია...



## მომავალს სახელად ვარქმივ „გაგრას“

თუკი აღმართეს ყველგან კედელი,  
თუკი ტყვიები მაინც გავარდა,  
მზე თუ დამირჩა გამოკეტილი?  
სათქმელს ღმერთამდე ლოცვას გავატან...

ლოცვას მოჰყვება ნატვრის გამხელა,  
მზის შერკინება სევდის ღრუბელთან,  
მერე იხილავთ კედლის გარღვევას,  
ნახავთ - სიჩუმეს რასაც ვუტედავ...

ყველა ბოქლობის შევძლებ გაღებას  
და გაცოცხლდება ძველი კადრები,  
ნარსულს გაჰყვება, ცრემლებს გაჰყვება...  
ფერფლადქცეული ბარიკადები...

მზეს ველოდები - მთიდან გადმოსულს,  
ახლა ეს ნატვრა ღირდა გამხელად,  
გაგრა რომ ერქვა მხოლოდ გარდასულს,  
ახლა მომავალს ვარქმევ სახელად!



## გზა - პიევიდან გაგრამდე...

უკრაინა - ბრძოლის ხაზი, არდათმობა ღირსების...

უკრაინა - დროშის ფერებს აყოლილი ქავერი...

შემზარავი ხმა - გულისკენ გასროლილი ისრების  
და პირველად ჩასუნთქული - მიწისქვეშა ჰაერი.

ნითელ ხაზებს გაცდენილი ბოროტების მანქანა,  
გადამწვარი ეკლესია და ლოცვების კრებული,  
გაზაფხული, უცაბედად რომ წასულა, გამქრალა...  
დედის კალთას მოწყვეტილი, ბავშვი ატირებული,

დაფლეთილი ჯარისკაცი და წიგნაკი უბისა,  
განცდა, მაინც დარჩენილი, ერთმანეთის მოვლისა...  
მოლოდინი, მოლოდინი, მოლოდინი უფლისა,  
მოლოდინი, მოლოდინი - მეორეჯერ მოსვლისა...

როცა ვხედავ თავგანწირვას და შენს შეუპოვრობას,  
ჩემს წინაშე აღმართული ძალმიძს კედლის განგრევა,  
მარტო კაცი ვერ დააღწევს თავს უსახო მონობას...  
შენ ღირსი ხარ გამარჯვების და გარგუნოს განგებამ!

მერე შენი გამარჯვება აქეთ გადმომილოცე,  
ალალ იყოს, ქართველ გმირთა გაღებული სიცოცხლეც...  
იმ ჰატარა ანგელოზთა სულებისთვის ვილოცებ...  
არ დანებდე, უკრაინა, უკრაინა, იცოცხლე!

\*\*\*

უკრაინაში გმირულად დაღუპული,  
ორი ქართველი ვაჟკაცის:  
გიორგი ბერუაშვილისა და დავით რატიანის ნათელ ხსოვნას!

ახლა, წინაშე უკვდავებისა,  
რამე, სიკვდილო, განა გემართა?!  
დავით, გიორგი, თქვენმა გმირობამ  
დღეს ჩვენს სიცოცხლეს ძალა შემატა.

გადადიოდა დროშა მშვიდობის,  
ხელიდან ხელში გადადიოდა...  
და გმირ ქართველებს ჭრილობებიდან  
სისხლი უჩქეფდა, განა სდიოდა...

ღამე მოვიდა, ისევ ლოდინი...  
ნეტავ, არ იყოს ცეცხლის კერები?  
ხვალ, დაფულეთილი იმედებივით,  
ისევ თავიდან შევიკერები...

როცა გაგრაში ჩავალ მშვიდობით,  
კენტად არ ვივლი.... არც - დარდიანი,  
ორ ახალ ქუჩას შვებით დავაწერ:  
ბერუაშვილი და რატიანი...

## სარეპა

ბავშვს ეძინა, გამოქცეულს ომიდან  
და ფეთქავდა ნატყვიარი მკერდი...  
ომგადახდილს, მაინც ლოცვა მომინდა,  
ლია კარში შემოფრინდა მტრედი...  
შემოფრინდა, თითქოს, შვება მომგვარა,  
ეს სიჩუმე იყო მთქმელი ბევრის,  
ომმა კართან ასი ფიქრი მოყარა,  
თავად ეჭვი დაემსგავსა დევნილს...  
ყიდდა ღამე სევდის ღრუბლებს, ცალობით,  
დამსკდარ ქუჩებს ქვეშ წვიმისა ვპანდი,  
თენდენოდა დილა, სავსე წყალობით  
და ხარების მოჰყენოდა მადლი...

## გზა თბილისიდან - გაგრამდე

ეჭვებმა იმედს მიმართეს,  
ყველა შეხვედრა გადავდე,  
მატარებელი მიმაფრენს,  
ჩემს საოცნებო გაგრამდე...  
მზე ჩემი მთიდან გადმოდგა,  
მზეს ერთი ნატვრა გავანდე,  
ყველაზე ტკბილი გამოდგა  
გზა თბილისიდან - გაგრამდე...

## აღდგომა

გთხოვთ შენდობას, მოწყალეა სამება,  
ცოდვა-ბრალით ვდგავართ თავებდახრილი,  
მოგვიტევე არნახული წამება,  
წმინდა სისხლის, თუნდაც წვეთი - დაღვრილი...

ასეთ ტკივილს არ ვუსურვებთ არავის...  
ღვთისმშობლისა მოგვიტევე ცრემლისთვის,  
გთხოვთ, დაინდე, ღმერთო, მოდგმა ადამის, -  
სამსჯავროზე უფლის გადაცემისთვის.

შიშთან ერთად, ძვლებს რომ ამტვრევს სიცივე,  
უნდა გავხდეთ მოწმე, ალბათ, მოვლენის...  
მოგვიტევე ჩვენი რწმენის სიმცირე  
და სიდიდე ჩვენი ამაოების...

ზარებს რეკენ წმინდა მთიდან ათონის  
და მეორედ გაჩნდა განცდა მოსკლისა,  
გვაქვს იმედად მოლოდინი აღდგომის,  
წმინდა ცეცხლის ისევ გარდამოსვლისა.



\*\*\*

თუ მზის სხივებს ხედავ ბოლოს გვირაბისა,  
ეს ღმერთია, ცას სინათლე ვინც აღირსა,  
შენი მთების ზღვასთან წვდომა შემიქია,  
ღმერთს მადლობა, რომ ჯერ კიდევ შენი მქვია...

მოდი ერთად გავარლვიოთ ეს სიბნელე,  
სანამ ფრთები შეგვიკეცა ჩვენ სიბერემ...  
გზის დასასრულს ათინათი ჩანს, ხომ ხედავ?  
მაში, იცოდე, ანგელოზმა ჩამოგვხედა...

იმ შუქისკენ თბილისიც კი გამომყვება,  
ისევ შეძლებს გული გულთან დამოყვრებას,  
ხო, წამოვალთ თბილისიდან ერთად ყველა,  
გაუმარჯოს, ვინც შენს ლურჯ მთებს ეთაყვანა...

თუ მზის სხივებს ხედავ ბოლოს გვირაბისა,  
ეს ღმერთია, ცას სინათლე ვინც აღირსა,  
შენი მთების ზღვასთან წვდომა შემიქია,  
ღმერთს მადლობა, რომ ჯერ კიდევ შენი მქვია...



\*\*\*

წვიმამ ჩემს ქუჩას ქუდი მოაძრო  
ქარნი გამხდარან ავნი - ანცები.  
ოლონდ შენ მყავდე, ქარებს მოვახრჩობ,  
სიამოვნებით დავიქანცები...

ქროდნენ გუშინაც კართან სიონი,  
წვიმა სიგიუეს ურცხვად ბედავდა,  
ლამის თავს ხრიდა კავკასიონი  
და ზღვას შერწყმოდა უცაბედადა...

ძალა არ გვქონდა თავის აწევის  
და შენც, ავდარო, გვდევდი გველივით;  
ქოჩორს მოვებით ბაბუაწვერის  
და შორს გავფრინდით, დევნილებივით...

ქარმა გვატარა „ბარიკადებით“,  
ვერც რამ ვუთხარი, ისე წავიდა...  
როს დავეცემით, მაშინ აღვსდგებით,  
აღმოვცენდებით ისევ თავიდან...

შენ დაგანარცხა იქეთ ნაპირზე,  
მე გადმომაგდო ენგურს გამოლმა,  
მზე ჩემს მამულში, იქვე მაღირსე,  
ლაქა ჩემს გულზე შენს გულს ამოჰყავს...



\*\*\*

მერცხლის ბუდე გამახსენდა გაგრის ციცქნა ტაძარში  
ფიქრი მხრებზე შემოვისხი, დილით, სანამ ვილოცე...  
გამახსენდა ნავსადგურთან კაფე - შუა ნაძვნარში  
და სალაყბო ალაგები გაგრის სანაპიროზე...

გამახსენდა, რომ დავქროდი, როგორც ქარი, მხედარი...  
და ჩემს პირველ სიყვარულსაც თუ რა ერქვა სახელად,  
გამახსენდა, გამახსენდა, გამახსენდა, ღმერთმანი...  
ბიძაჩემმა ჭოგრიტიდან როგორ გამომახედა...

გამახსენდა, ბებო ცუგას „ბიმკას“ როგორ ეძახდა,  
გამახსენდა, სახლის წინ რომ წყარო ჩამოდიოდა,  
იმ სახელის გახსენებაც გადავწყვიტე მეცადა,  
ერთმა ქუჩამ რომ დაირქვა, გადმოსულმა ტილოდან...

გამახსენდა, ნინოშვილის ქუჩა იყო, ნამდვილად,  
მას მთებიდან ცისფერ ზღვამდე მზის თანხლებით ჩავყავდი,  
თავში სიტყვებს ვაკონინებ: „ჩხომი, ღუმუ, კარდილა...“  
რომ შემეძლოს, ჩემს ბავშვობას ისევ გამოვჩარხავდი...



## აგუგუნდა, აგუგუნდა ჩემი მატარებელი

სწორ რელსებზე შედგა ჩემი ფრთაშესხმული იმედი,  
სულ სხვა დილამ გადაწყვიტა აფხაზეთის ცის ბედი,  
ლიანდაგი გახდა რწმენის წყაროს გამტარებელი,  
აგუგუნდა, აგუგუნდა ჩემი მატარებელი...  
მივდივარ და თან მომყვება თბილისური ჰანგები,  
თბილისური - რატომ? - ვიცი, რომ გაიგებს გამგები,  
უიმედოდ მტერი იყოს, ეჭვებს ჭამენ ქორები,  
მალე სადგურს მივადგები, გაგრას ჩავეკონები...  
მალე გაგრას ჩავახუტებ ჩემს თბილისელ გაგრელებს,  
მემანქანე ხედავს სადგურს და მსუბუქად ანელებს,  
ამის შემდეგ, ვინმემ არ ქნას, გაგრას ავნოს, აწყინოს!  
ზღვაში ჩასულ მზეს უთხარით - ადგეს, გამოაბრწყინოს!

\*\*\*

გიბრუნდები და მტკიცეა სიტყვაც, გულიც...  
მხრებზე, გაგრა, ბევრს ვერაფერს მოვიკიდებ.  
გული მომაქვს, სავსე შენი სიყვარულით,  
როგორც ცეცხლი, წლების წინ რომ მომიკიდე...  
უტყვი გავხდი შენი ზეცის გადამკიდე,  
მზის სხივების დაბადებაც შენთან ხდება....  
მოვდივარ და არ დამიწყო, - რად არ გკითხე...  
ჩვენს სიყვარულს არ სჭირდება შეთანხმება...  
ახლა მხოლოდ ერთგულების სჯობს გაზომვა...  
მზეს ამჯერად გაღვიძება გვიან არ რგებს...  
შენი გულის ლიანდაგი, სწორხაზოვნად,  
მიუერთე ჩემი გულის ლიანდაგებს!

## საოცნებო მატარებელი

გამოვყვები საოცნებო მატარებელს,  
როცა გნახავ, დავმშვიდდები, დავდუმდები...  
მზის სხივები ხელის გულზე მატარებენ,  
დავბრუნდები, უსათუოდ დავბრუნდები,  
გამოვყვები ნაცნობ ქუჩებს - ბავშვობისას,  
ჩემი მიწის ყოველ მტკაველს დავიპრუნებ,  
არ მიგიჩნევ უპატრონოდ და შორისად....  
ყოველ კუთხეს მხოლოდ ჩემად დავიგულებ...  
მივაკითხავ ბაბუს საფლავს, მიტოვებულს  
და არავინ არ უწოდებს უპატრონოს!  
დავიპრუნებ მზეს, იმედთან მიტოლებულს,  
რომ შენს მთა-ბარს მხოლოდ ზეცამ უბატონოს.  
გამოგიხსნი, არ მოვუშვებ შენთან სევდას,  
არასოდეს გათქმევინებ - „სად არისო?“  
დავბრუნდები, ჩემი ეზოს შესასვლელთან  
დამელოდე, გამოგიწვევ „სადაისოდ“...  
გამოვყვები საოცნებო მატარებელს,  
როცა გნახავ, დავმშვიდდები, დავდუმდები...  
მზის სხივები ხელის გულზე მატარებენ,  
დავბრუნდები, უსათუოდ დავბრუნდები!



## დაპრუცება უკვე გადაცყვაფილია

გაგიჟებით კლდეს ეხეთქა, გასკდა ქარი,  
ტალღას ებრძვის თეთრი გემი და თან დავობს...  
ფიქრმა ჩემში ვერ იპოვა გასაქანი  
და ტოტებზე, ხმელი წიფლის, დაქანაობს...

ახლა ფიქრის დრო ნამდვილად აღარ დამრჩა...  
მერე რა, რომ გზები მრუდე, წყვეტილია...  
კარსმომდგარი გულმა სისხლი გადაქაჩა,  
დაბრუნება უკვე გადაწყვეტილია!

ფიქრში ასჯერ გადმოვსულვარ გაგრის მთებით,  
ნინაპართა საფლავებზეც მიფიქრია,  
გასკდა ქარი, კლდეს ეხეთქა გაგიჟებით,  
ამ ყიუინას შეძახილი მიწის ჰქვია...

მატარებლის გაჩერება მოჩანს, ბოლო,  
სულ პატარა და ნათელი წერტილია,  
არ იდარდო, ქარო, გრძნობით მონაქროლო,  
დაბრუნება უკვე გადაწყვეტილია!



## ოქრო ხარ, აბა, რა ხარ?!

შენი მთა მიდგას მხარში,  
ცა კი მიცვნია მისნად,  
ჩემი წყარო ხარ ფიქრის,  
ოქროს სხივი ხარ მზისა...

ჩემი სიმდიდრე გქვია,  
ოქრო ხარ, აბა, რა ხარ?!  
ჩემი ლურჯთვალა ნატვრის  
სადარაჯოზე დგახარ...

ჩვენი შეხვედრის, ვხედავ,  
უკვე დამდგარა ჯერი...  
გულში ჩაღვრილი სისხლის  
ოქროს წვეთი ხარ ჩემი...

ჩემს მატარებელს ველი,  
ეჭვზე არ ვღელავ დიდად...  
უნდა დავიძრა მალე,  
ოქროს ღილაკი მინდა...



## მატარებლით მოვგუგუნებ, გაგრა...

მატარებლით მოვგუგუნებ, გაგრა...  
არ მოგიხდა შენ დარჩენა ცალად...  
მცირე იმედს ვეჭიდები, მაგრამ  
ქვას გახეთქავს ჩაჭიდების ძალა...  
მალე ჩემი გამოჩნდება ქუჩა,  
გზა სწორია, ამიტომაც ვერ ვჭრი...  
არც ისეთი მკლავები მაქვს, თუმცა,  
აბა, სცადოს, დამეჭიდოს ეჭვი...  
მოვდივარ და გზას იმედით ვქარგავ...  
აი, ქედი... აი, კოხტა ბორცვიც...  
არც ისეთი სიმაღლე მაქვს, მაგრამ  
ზეცას ვწვდები გულმხურვალე ლოცვით;  
ლოცვა მთებს დგამს... უძლურია ავი,  
მე მსმენია იმ ლურჯ მთათა ძმობის...  
არც ისეთი წონით მომაქვს თავი,  
თუ არ ჩავთვლით წონას ჩემი გრძნობის.  
ალარ მინდა, არც შენ გარგებს მტრობა...  
მოვდივარ და გაჩერებებს ვითვლი...  
ლექსს ვამსგავსე ვავონების წყობა,  
მატარებელს გამოვაპი რითმი...  
ახლა ვხვდები, როგორ ჩნდება რწმენა,  
რა მამხნევებს, რა მამყოფებს კარგად...  
გაატანე ქარს მისხალი წყენაც,  
მატარებლით მოვგუგუნებ, გაგრა...

## ... და იპაზება გაგრა თავიდან...

ქარებს ღრუბლები მიმოუფანტავს,  
ცის კამარაზე მზე თავს იწონებს,  
თეთრ აივანზე მთა გადმომდგარა,  
ბარს გადმოჰყურებს და თმებს ისწორებს,

ზღვა მიაცილებს თეთრ გემს გაგრისკენ,  
გემი სავსეა თაიგულებით  
და ჩვენ ვპრუნდებით კოხტა სახლებში  
და ჩვენ ვპრუნდებით სავსე გულებით...

თავს დაგვტრიალებს თეთრი თოლია,  
ისე დაფრინავს, როგორც არასდროს...  
ეს სიყვარული, ეს აღმაფრენა  
ყველას გარშემო უნდა გადასდოს...

მოდის ანდრია, მოდის სვიმონი,  
რწმენა გვაშორებს ყველა ბარიერს  
და უპატრონო საფლავებიდან  
ამოუყრიათ ტანი ბაიებს...

უიმედობა წელში გამტყდარა,  
ადრე, არასდროს თავს რომ არ ხრიდა,  
და იბადება... და იბადება...  
და იბადება გაგრა ახლიდან...

\*\*\*

როცა თავად ხარ  
მზეც და ნათებაც...  
მზეს რად ვეძებდი,  
გამკვირვებია,  
ახლა ჩემს სახლში  
ნეტავ, რა ხდება?  
ატამს ტოტები  
გაჰკვირტებია...

მინდა, შენს ლურჯ მთებს  
მეც რომ ვუყურო,  
ახლა სხვაგვარად  
მეიმედები...  
მინდა, გაჩუქო  
ზეცა უღრუბლო...  
და დაგიბრუნო  
თეთრი მტრედები.

ფიქრებს ყიჟინა  
ახლავს - გუნდური,  
ნატვრის ახდენა  
მართლა მელირსა...  
ყური დაუგდე,  
ახლა გუგუნი  
უნდა მოგესმას  
მატარებლისა...

მთვარე ასრულებს  
ღამის გასტროლებს,  
დავალ იმედით  
ცამდე გაშლილი...  
შენი ხმა მესმის? -  
დამიდასტურებ?  
არის კავშირი? -  
„არის კავშირი...“



## გაგრიფაც მონატრეპულ თბილის...

მაგონდება ძველი წლები, უსასრულოდ როცა გწერდი,  
რა ხანია დაგიბრუნდი, დავთმე ჩემი დარდი, სევდა...  
სიხარულის ცრემლს მაგონებს მწვანე ნაძვზე წვიმის წვეთი,  
მივუყვები ზღვის სველ ნაპირს, ფიქრიც სულმთლად  
დამისველდა...

გუბეებთან ყიფინია და მეც ვისმენ ბავშვურ სიცილს,  
მიხარია, რომ ეს ხმები გულს სიამით ახლაც მივსებს,  
ზღაპრულად წვიმს, სწორედ ისე, ჩემს ქალაქში როგორც იცის,  
შემოდგომის ნათელ ფერებს წვიმა უფრო ახალისებს...

ვარდო, როდის აყვავილდი, როცა გუშინ გნახე კვირტად?!  
გაგრა, როდის დაგიბრუნდი, როდის მოვწყდი ჩემს თეთრ გემბანს?  
ვზივარ ახლა ჩემს თბილ სახლში, ჰო, გაგრაში, გაგიკვირდათ?!  
და თბილისში, გაზაფხულზე, გული სტუმრად ჩასვლას გეგმავს...



## ქორცილი გაგრაში

ჯვრისწერაა ბიჭვინთაში, მეთქმის ვერც რა...  
და სტუმრების შესახვედრად ქარი გარბის,  
ჯვარს იწერენ მონა ღვთისა - ლურჯი ზეცა  
და მხევალი ღვთისა - მიწა გაგრის...



გაგრის გულში გაუშლიათ, ო, რა სუფრა...  
კოლონადა მოუწყვიათ, როგორც სცენა,  
მერცხლებს თავი აუშვიათ, ვხედავ, სულმთლად,  
ჟივილ-ხივილს ემატება ბულბულთ სტვენა...

დღეს თამადა ამ სუფრასთან თავად მზეა,  
რომ ცეკვავენ, პალმებია ძველი გაგრის,  
ბედნიერი ისახება გაგრის მზერა  
და იმედი, ქართან ერთად, ყველგან დაქრის...

დღეს გაგრიფში მასპინძელი ჩვენი გახლავთ,  
ხედავთ, გაგრას ჰორიზონტზე სხივი გასდევს...  
სცენისაკენ თოლიებმა მიხმეს ახლა,  
სადღეგრძელოს ვიტყვი ისეთს, ქვასაც გასტეხს!

გაუმარჯოს ამ სიყვარულს, აქ რომ სუფევს,  
გაუმარჯოს შეგებებას ზღვასთან მთების,  
ღმერთო, გაგრას ნუ მოუშლი ასეთ სუფრებს,  
გაუმარჯოს შვებით გაშლას ჩვენი ფრთების!

გაუმარჯოს, ვინც მშვიდობის ფასი იცის,  
ომამდელ კვალს სიყვარულით ვინც არ წაშლის,  
იმ აფხაზსაც გაუმარჯოს, დამცველს მიწის,  
ვინც ქართულზეც აცეკვდება და ხელს გაშლის.

## 306 თქვა, არ დაპრუდეაო?!

ახლა ვზივარ ფერად სანაპიროზე,  
გულის კარებს შვენის შენი თამასა,  
მივახატე მწვანე ქედი ტილოზე,  
მზე სახეზე სხივით შემეთამაშა...  
ეს სიმშვიდე მთიდან გადმოეფინა,  
ამ წუთების არ მსურს გამოტოვება,  
იცი, ახლა მინდა მხოლოდ ერთი რამ -  
ვიყო ასე და გაჩერდეს დროება...  
ეჭვებს ძირი სულმთლად გამოვუთხარე  
და ყოველი, - პირქვე გადაბრუნდაო.  
ვისაც გინდა, ნიშნისგებით უთხარი:  
„ა, ბატონო, ვინ თქვა, არ დაბრუნდაო?!”.




თავისუფალ თეატრსა და 6. ლუმინარის სახელობის მოზარდ  
მაყურებელთა თეატრში გამართული ჩემი შემოქმედებითი  
საღამოების ამსახველი ფოტო - მსასალა
















გაგრის რკინიგზის სადგური




წაშლილი ქართული წარწერა




შიდა ინტერიერი



შიდა ინტერიერი



გვირაბთან ქართული წარწერა  
ამჟამად წაშლილია



გაგრის ძველი ეკლესია




ეკლესიის სხვადასხვა ფრაგმენტი  
ბოლნური ჯვრის გამოსახულებით



გაგრის პატარა სალოცავი. მახსოვს, სწორედ ამ ეკლესიაში უწმინდესთან და უნეტარესთან პირველი შესვედრა.



ლამის გაგრა



ასე შენდებოდა გაგრა



რიწა



გაგრის კოლონადა



დაძარლვული ფილები, შ.რუსთაველის ქუჩა



გაგრის კარაველა



ძველი გაგრის სანაპირო ზოლი და პარკი



გაგრის პირველი საშუალო სკოლა



ვერა კვარაცხელია



ნათელა სიმონია



ომის დროს ეს წარწერა  
ტალახით შებლალეს. მერე  
კი საერთოდ გააქრეს.







მიხეილ არაშამია -  
სკოლის დირექტორი

ცენტრში - ლილი სურმავა




გაგრის | საშუალო სკოლის  
პირველი კურსდამთავრებული  
- ლეილა ოჩიგავა



ჰიანდიზია




ინსპირაცია:  
მხატვარ ბექა ხუცურაულის ნამუშევარი



სასტუმრო-რესტორანი გაგრიფში



ძველი გაგრა, მდ. უღეკვარას ხეობა



ომის კვალი, გაგრა



ომისდროინდელი სოხუმი



აფხაზეთის ა/რ - ის მინისტრთა საბჭოს შენობა



ბებიის სახლი (ძველ გაგრაში), სახლის წინ მდგარი  
მაგნოლიაც კარგად ჩანს. 1981 წ.



ომის შემდგომ გადალებული ფოტო, ამ დროს სახლი  
უკვე დამწვარია, მარცხენა მხარეს მოჩანს მხოლოდ პირველი  
სართულის მცირე ნაწილი. 1996 წ.




დააკვირდით მსგავსებას პირველ და მესამე ფოტოს შორის.  
ვიღაც შეეცადა სახლი ალეფვინა და მისთვის ძველი იერსახე  
დაებრუნებინა. 2023 წ.



ლიხნის ტაძარი ომამდე




ბოლო პერიოდში ჩაუტარდა რესტავრაცია  
(წესების დარღვევით, არავინ იცის რა ბედი ენია ქართულ  
წარწერებს)



ბედია - ძველი სახით



ბაგრატ III - ბედიის ფრესკა



ბედიის ტაძარი - დღეს



ილორი - რუსული გუმბათის გარეშე




ილორის უფრო ადრინდელი  
ფოტო

ილორი - დღეს, სახეცვლილი  
ფორმით



მოქვის ტაძარი



ბიჭვინთის ტაძარი



შ.რუსთაველის ბიუსტი. ომამდე და ომის შემდგომ




ფეიონის ყვავილი



შემოდგომის გაგრა



გაგრა ზამთარში




ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსი. მინიჭებული აქვს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

მიმდინარეობს მხოლოდ ფასადური რესტავრაცია. ტაძრის

ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელია, რუსული ოკუპაციის გამო.



სკულპტურული ანსამბლი „მყვინთავები და დელფინები“, ბიჭვინთა




კადრები ფილმიდან „მეტიჩარა“; მთავარ როლში ნინო სურგულაძე.  
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს მშობლიურ კუთხეში გამართულ კინოპრემიერას ბიჭვინთაში დავესწარი (მამის ინიციატივა იყო). თითოეული დეტალი მახსოვეს.

მაშინ აფხაზეთში სტუმრად იმყოფებოდნენ ქართული კინოს ვარსკვლავები: ოთარ კობერიძე და ლია ელიავა. ჩემთვის მათი სილვა ცალკე ზეიმი იყო. მამა მოიწვიეს, როგორც გამორჩეული ნევროპათოლოგი. ერთ - ერთ მსახიობს დასჭირდა.



ვინსენტ ვან გოგის „ვარდისფერი ვარდები“



ნიკო ფიროსმანის ზღვის პეიზაჟი, ფრაგმენტი



[www.mtsignobari.ge](http://www.mtsignobari.ge)

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71